PRIME Time

N7 (308) ორშაბათი, 23 თებერვალი, 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

EUROPEAN YOUTH OLYMPIC FESTIVAL TBILISI 2015

GINO ჯინო PARADISE ფერადისი

ექსკლუზიური ინტერვიუ თბილისის მერთან

გიგი უგულავაზე: „დისკომფორტი არ მაქვს, თუმცა ვიცი, რომ ხალხი შედარებებს აკეთებს“

პირად სკანდალებზე: „ეს ყველაფერი სრული ბოდვაა... ეს სიცრუე იყო...“

ნაციონალურ „კადრებზე“: „ისინი იყვნენ საბოტაჟის რეჟიმში, ხშირი იყო არასაჯარო ინფორმაციის უწყებიდან გატანის ფაქტი“

EXCLUSIVE

ინგოროყვას კლინიკა სკანდალში ეხვევა

რატომ მალავდნენ პაციენტის EXCLUSIVE გარდაცვალების ფაქტს კლინიკაში?

გოჩა ინგოროყვა: „ჩვენთან გაპიარდა არა ეს კონკრეტული ფაქტი, არამედ ამ პროგრამის დაწყება, ანუ ის, რომ ასეთი ოპერაციების გაკეთება დაიწყო...“

ზურაბ ჟვანიას საქმის მთავარი მოწმე გოგლა ჟვანიას წინააღმდეგ

„გოგლამ ყველაფერი იცის... ზურას შვილებს მოვლა უნდათ, გოგლას შვილებსაც. გოგლას კარგი ბიზნესი აქვს, გერმანიაში ახლახან მაღაზია გახსნა, მისი მეუღლე მინისტრის მოადგილეა“

კვირის სკანდალი

საბავშვო ბაღებში ბავშვები საკვებით იწამლებიან SCANDAL

ფაქტები და ვიდეომასალა – გაფუჭებული და მოპარული პროდუქტები

- „თევზი, რომელიც ბაღებში შედის, ძალიან ბევრ დაავადებას იწვევს, პირველ რიგში ახდენს გულის დაავადებების პროვოცირებას, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს“

- „გვაქვს ვიდეომასალა, სადაც კარგად ჩანს, როგორ გამოდის ბაღის წარმომადგენელი სამსახურიდან დატვირთული, როგორ ალაგებს მანქანაში დახუნძლულ პროდუქტებს“

- დააპატიმრეს პირი, რომელიც მეტრო „სამგორის“ ტერიტორიაზე, ანტისანიტარიულ პირობებში, გაფუჭებულ ხორცს ასუფთავებდა და უვარგისი პროდუქტი შეჰქონდა ბაღებში

კიწმარიშვილის საქმეზე პროკურატურამ ეჭვმიტანილები დაკითხა?!

„საუბარია რამდენიმე პირზე. გვაქვს ეჭვი, რომ ისინი ერთმანეთთან იყვნენ დაკავშირებულნი“

EXCLUSIVE

რა წესით დაუპირისპირდება ნინო გვენეტაძე არასასურველ მოსამართლეებს?

„თუ ჩემი კანდიდატურა ჩავარდება, ეს მხოლოდ პოლიტიკური პროცესების გამო მოხდება“

EXCLUSIVE

სალომე ზურაბიშვილი: „მესამე ძალის შექმნაზე უფრო მნიშვნელოვანი პოლიტიკური სპექტრის განახლებაა“

ოპოზიციის მორიგი შეთქმულება

როგორია მთავრობის დათხოვნის ახალი სქემა

EXCLUSIVE

ზურაბ ადეიშვილის სკანდალური სქემა

როგორ ატერორებდნენ უცხოელ ბიზნესმენებს საქართველოში

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საკონსტიტუციო გადა

პოლიტიკური შეთქმულება თუ თეორიული შანსი

ქეთი ხატიაშვილი

ერთი პოლიტიკური შეთქმულება უკვე გადავაგორეთ. მაშინ მედიაში ბევრი იწერებოდა იმ 5 მინისტრზე, რომლებსაც თავიანთი გადადგომით შეეძლოთ, პრემიერ-მინისტრი გადაეყენებინათ... ამის შემდეგ პარლამენტში უკვე დიდი ვაჭრობა დაიწყებოდა. არ გამორიცხავდნენ ახალი უმრავლესობის ჩამოყალიბებას. ამ შეთქმულების თეორიის მთავარი გმირი ირაკლი ალასანია იყო. მითქმა-მოთქმა იმდენად გაძლიერდა, რომ კომენტარი ამ თეორიაზე პრემიერმა ღარიბაშვილმაც გააკეთა.

თუმცა, როგორც იტყვიან, „Дыма без огня не бывает“. მაშინ ამ თემაზე „პრაიმტაიმიც“ წერდა. სხვათა შორის, გადადგომების სერიალის მოტივად მაშინ ჩვენ პოლიტიკური კურსიდან გადახვევა დავასახელეთ. ანუ სცენარი დაახლოებით ასე უნდა განვითარებულიყო: ხუთი მინისტრი ერთწუთიან განცხადებებს გააკეთებდა საგარეო კურსის ცვლილებასთან დაკავშირებით, რუსეთისკენ გადახრას გააპროტესტებდა და გადადგებოდა.

ანუ, მთელი ინტრიგა ის გახლავთ, რომ კონსტიტუციის მიხედვით, მთავრობაში 5 მინისტრის შეცვლა ავტომატურად იწვევდა მთელი მთავრობის გადადგომას. და სანამ პრემიერი 3 ან 4 მინისტრს შეცვლის, 5-ს შეეძლო დაესწრო და თავად გადაეყენებინა მთავრობის მთელი შემადგენლობა.

მართალია, ხუთი მინისტრი არა, მაგრამ ირაკლი ალასანიას გადაყენების შემდეგ, მასთან ნათესაურად დაკავშირებული კიდევ ორი მინისტრი ნამდვილად გადადგა და მათ მაშინ მართლაც ევროატლანტიკური კურსიდან გადახვევა დაასახელეს პოსტიდან წასვლის მიზეზად. ალასანიასთან პოლიტიკურად დაკავშირებულმა იუსტიციის მინისტრმა კი გადადგომა საჭიროდ არ მიიჩნია. თეა წულუკიანმა განაცხადა, რომ ის არ აპირებს პოსტის დატოვებას, რადგანაც დარწმუნებულია ქვეყნის კურსის ურყეობაში. არადა, ელოდნენ, რომ წულუკიანი მეოთხე იქნებოდა და მეხუთეც გამოჩნდებოდა. თუმცა, ჯაჭვური რეაქცია თავდაცვის მინისტრის გადაყენებას არ მოჰყოლია.

მას შემდეგ ირაკლი ალასანია თითქოს ცდილობს მთელი თავისი პოლიტიკური მოღვაწეობა ირაკლი ღარიბაშვილის განადგურებას მიუძღვნას.

„ნაციონალური მოძრაობა“ ფსიქოლოგიურ ომს აწარმოებს. პოლიტიკაში ეს ნაცადი მეთოდია...

ისე, ირაკლი ალასანია რისკავს, ნინო ბურჯანაძეს დაემსგავსოს. პოლიტიკაში ახლა მათ ბოღმა აერთიანებთ. ნინო ბურჯანაძეს – მიხეილ სააკაშვილის, ირაკლი ალასანიას – ირაკლი ღარიბაშვილის. ბურჯანაძეს გულწრფელად სწამდა, რომ პოლიტიკური კარიერა მას სწორედ სააკაშვილმა წაართვა, როცა პრეზიდენტი გახდა. როგორც ჩანს, სწორედ ასეთივე ჭმუნვები აქვს ალასანიას ღარიბაშვილის მიმართ. თავდაცვის ექსმინისტრი საკუთარ წარუმატებლობაში ღარიბაშვილს ადანაშაულებს.

ირაკლი ალასანია თავის განცხადებებსა თუ ქმედებებში ბოღმას უკვე ვეღარ მალავს. და როგორც ბურჯანაძე იყო რადიკალური შეფასებებში და სააკაშვილის გადაყენებას უკვე გაკაპასებული მოითხოვდა, დღეს ასეთივე აგრესია აქვს ალასანიას ღარიბაშვილის მიმართ.

არა, სააკაშვილსა და ღარიბაშვილს არ ვადარებ ერთმანეთს, ისინი საკმაოდ განსხვავებული პოლიტიკური ფიგურები არიან... თუმცა, არის ბოღმა, როგორც ფაქტორი, რომელიც ქართულ პოლიტიკაში ხშირად პოლიტიკოსების ბედსაც კი განსაზღვრავს.

ასე რომ, ბრძოლა გრძელდება. „შეთქმულების“ ახალი ეტაპი, როგორც ამბობენ, მალე დაიწყება. ჯერ საქმე მხოლოდ მათემატიკამდეა მისული. მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების, ვისთვის მიზეზი და ვისთვის საბაბიც, არსებობს – ლარის კურსი და ეკონომიკა. დანარჩენი უკვე რაოდენობაზე იქნება დამოკიდებული. უნდობლობის გამოცხადებისთვის პარლამენტართა 76 ხმაა საჭირო. ნაციონალები მიიჩნევენ, რომ ირაკლი ალასანიას გარდა, მათ კიდევ 18 დეპუტატი უნდა იპოვონ, ვინც მთავრობის გადაყენების საკითხში დაეხმარებათ. ზაქარია ქუცნაშვილმა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატობის კრიტერიუმები გააპროტესტა და უმრავლესობიდან 16 დეპუტატის მხარდაჭერა მოიპოვა. შეიძლება ოპოზიციამ მათზე გათვალოს? ვფიქრობ, არა.

ყოველ შემთხვევაში მათემატიკურ ამოცანას ამოხსნა უნდა მოუძებნონ.

ირაკლი ალასანიამ „ტაბულასთან“ საუბარში განმარტა:

– ჩვენ, რა თქმა უნდა, გვიფიქრია, რა ფორმებით შეიძლება ეს პრაქტიკულად უუნარო და ნდობადაკარგული მთავრობა შეიცვალოს. პირველ რიგში, ბუნებრივია, როცა ეს კრიზისი მწვავდება და არ უჩანს არანაირი პირი იმისა, რომ ამათ აქვთ ანტიკრიზისული გეგმა, გამოსავალი, ამაზეც შეიძლება ფიქრი და შემდეგ ნაბიჯზეც, შემდეგ რა უნდა მოჰყვეს ამას, ამიტომ, გამორიცხული არაფერი არ არის. მაგრამ, პირველ რიგში, ჩვენ რაც გვაინტერესებს, ჩვენი ფრაქციაც და დარწმუნებული ვარ, ოპოზიციის სხვა წარმომადგენლებიც ახლა უკვე სერიოზულად მოსთხოვენ ეკონომიკურ გუნდს კონკრეტული ანტიკრიზისული გეგმის დადებას და ეს უნდა მოხდეს უახლოეს პერიოდში, რადგან რამდენი დღეც გადის, უფრო და უფრო უარესდება თითოეული ჩვენი მოქალაქის ცხოვრების პირობები

ოპოზიციას ტალღის ასაგორებლად დიდი დრო არ აქვს. შანსი მათ, სულ რაღაც, ორ-სამ კვირაში მიეცემათ. ეს ის დროა, როცა მთავრობა პარლამენტში 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშით წარდგება. თუკი პარლამენტმა ბიუჯეტის შესრულებას მხარი არ დაუჭირა და თქვა, რომ ბიუჯეტი ვერ შესრულდა და ჩავარდა, მაშინ მთავრობის ნდობის საკითხი დადგება.

ექსპერტ ლევან ალაფიშვილის განმარტებით, კრიზისის შემთხვევაში „დირიჟორის ჯოხი უკვე პრეზიდენტ მარგველაშვილის ხელში გადადის“, რადგანაც პრეზიდენტს მოუწევს საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. ანუ ის გადაწყვეტს მთავრობის ახალი შემადგენლობით შევიდეს პარლამენტში თუ პარლამენტი და-

ახლა ქაოსი და დესტაბილიზაცია მხოლოდ პრორუსულ ძალებს გააძლიერებს... პოზიციასა და ოპოზიციას მოვუწოდებ, დაივიწყონ ყველაფერი, ყველა ინტერესი გვერდზე გადადონ...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ატრიალება

ითხოვოს.

თუმცა, ლევან ალაფიშვილი მიიჩნევს, რომ კრიზისის შექმნა საკმაოდ ცუდად აისახება ქვეყანაზეც და ეკონომიკაზეც:

– როგორი პოლიტიკური ინტერესებიც არ უნდა არსებობდეს, მთავრობის ნდობის საკითხის დაყენება და კრიზის შექმნა უპასუხისმგებლობა იქნება, ეს არასტაბილურ მდგომარეობას შექმნის და ძნელად წარმომიდგენია ის, ვინც ამ ვითარებაში იხეირებს. ეს საკითხი სახელმწიფოებრივად უნდა გადაწყდეს... რა თქმა უნდა, ბიუჯეტში პრობლემები გვაქვს, სავალუტო ფონდს უკვე მეორედ მივმართეთ დასახმარებლად... ახლა ქაოსი და დესტაბილიზაცია მხოლოდ პრორუსულ ძალებს გააძლიერებს... პოზიციასა და ოპოზიციას მოვუწოდებ, დაივიწყონ ყველაფერი, ყველა ინტერესი გვერდზე გადადონ... ახლა კრიზისული მართვის დროა და ის ერთობლივად უნდა დაიძლიოს. პასუხისმგებლობა უმრავლესობამაც უნდა აიღოს და უმცირესობამაც.

გრიგოლ გეგელიას მიაჩნია, რომ:

– კრიზისის დროს, აუცილებელია, ხელისუფლება იმედის წყაროდ გვევლინებოდეს. თუ სრული უიმედობა გამეფდება, ეკონომიკური ვითარება მხოლოდ უარესობისკენ წავა. ამის გათვალისწინებით, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობის შემადგენლობის ცვლა... ზოგადად, ეკონომიკური სტაბილურობის თვალსაზრისით, ფართომასშტაბიანი ცვლილებები, განსაკუთრებით კი ეკონომიკური კურსის უცაბედი ცვლილებები უდავოდ ცუდია. მაგრამ, უკვე იმ ვითარებაში, სადაც არსებული ხელისუფლების პოლიტიკამ მიგვიყვანა, პირადად მე ველარ ვხედავ, სტაბილურობის განცდა უფრო მეტად როგორ შეიძლება გაქრეს. სამაგიეროდ, თუ ახალი სახეები და იმედი გამოჩნდა, მგონია, რომ სტაბილურობის განცდაც შეიძლება დაბრუნდეს. ამდენად, მიმაჩნია, რომ მნიშვნელოვანია მთავრობის შემადგენლობის განახლება.

რაც შეეხება მთავრობის შემადგენლობის განახლებას, ამ თემაზე სხვადასხვა ინფორმაციები ვრცელდება. ვინ გადაყვება ლარს? ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს ხადური უნდა იყოს, მეორე ნაწილის აზრით – ეროვნული ბანკის პრეზიდენტი...

კრიზისის დროს, აუცილებელია, ხელისუფლება იმედის წყაროდ გვევლინებოდეს. თუ სრული უიმედობა გამეფდება, ეკონომიკური ვითარება მხოლოდ უარესობისკენ წავა

პოლიტიკური „კრიზისი“

„ნაციონალური მოძრაობა“ ფსიქოლოგიურ ომს აწარმოებს. პოლიტიკაში ეს ნაცადი მეთოდია. საკაშვილის ხელისუფლებამ ასეთი ბრძოლები არაერთხელ მოიგო. მოიგო თავის მაშინდელ ოპოზიციასთან. ახლა ის თავად არის ოპოზიციაში და თავად აწარმოებს ფსიქოლოგიურ ომს. ამ დროს ყველაფერი მაინც პიარზეა აგებული. აქ კი მათ, როგორც მათივე კონკურენტები აღიარებენ, ბადალი არა ჰყავთ.

მაგალითად, აჭარის უმაღლეს საბჭოში მმართველმა პარტიამ უმრავლესობა დაკარგა, თუმცა, ამით პოლიტიკური სურათი დიდად ვერ იცვლება. ნაციონალებს მთავრობის შეცვლისთვის საჭირო 14 ხმა არ აქვთ. თუმცა, ამ ეტაპზე ეს აუცილებელიც არ იყო. ნაციონალებმა განაწყენებული მურმან დუმბაძე კარგად გამოიყენეს იმისთვის, რომ აჭარის უმაღლეს საბჭოში უმრავლესობა დაეშალათ. ამით კი ფსიქოლოგიური ზემოქმედება უფრო მოახდინეს ელექტორატზე, ვიდრე პოლიტიკურ პროცესებზე გამარჯვება. მით უფრო, რომ იმავე დღეს გაჩნდა ინფორმაცია, რომ მმართველმა კოალიციამ უმრავლესობა ოზურგეთშიც დაკარგა. თუმცა, გურიის ამ რეგიონში ქოცები უმრავლესობას არც ფლობდნენ.

დავით ბაციკაძე ოპოზიციამ მიზანში შემთხვევით არ ამოიღო. ვიცე-სპიკერი საკმაოდ სერიოზული ფიგურა იყო – ავთანდილ ბერიძე მხოლოდ სიმბოლურად იკავებს თანამდებობას და ფაქტობრივად, არაფერს წყვეტს. ახლა როცა სერიოზული ფიგურა ჩამოშორებულია, მის ადგილს, სავარაუდოდ, მურმან დუმბაძის კადრი დაიკავებს. მისი ფუნქცია გასაგებია, რაც იქნება... ასე რომ, „კრიზისი“ აჭარაში, სავარაუდოდ, „უსისხლოდ“ გაგრძელდება.

თბილისში კომენტარები უკვე გააკეთეს. პრემიერმა მომხდარი ღალატად შეაფასა: „სამწუხაროდ, ეს არის ჩვენი გუნდის ყოფილი წევრების მიერ დაგეგმილი პროვოკაცია. ისინი „ნაციონალურ მოძრაობას“ გაურიგდნენ, მაგრამ იქ არაფერი განსაკუთრებული არ ხდება. სიტუაცია კონტროლის ქვეშაა. ის, რომ ორმა, სამმა, ასე ვთქვათ, დეპუტატმა მოღალატეობრივად დატოვა ჩვენი გუნდი და გაურიგდა „ნაციონალურ მოძრაობას“, მათი არჩევანია, ჩვენ ამაზე ძალიან მკაცრი რეაგირება გვექნება“.

რეაგირება, სავარაუდოდ, დუმბაძისა და მისი კადრების „ქართული ოცნებიდან“ გარიცხვა იქნება.

ასე რომ, ფსიქოლოგიური ომი გრძელდება. ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისების ხელოვნურად გამძაფრება მართლაც მთელ პოლიტიკურ სიტუაციას ააფეთქებს. მღვრიე წყალში კი ოქროს თევზი შესაძლოა, მართლაც პრორუსებმა დაიჭირონ.

სხვათა შორის, კიდევ ერთი საინტერესო განსხვავება. ევროპაში კრიზისების დროს პოზიციაც და ოპოზიციაც თანამშრომლობის რეჟიმში არიან და კონკურენციას ქვეყანას არ აყოლებენ... საქართველოში კი თუმცა, ყველა თავს ევროპული ღირებულებების მატარებლად მიიჩნევს, მაინც ფეხის დადების ეფექტზე არიან ორიენტირებულნი...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დემურ გიორხელიძე: „ბევრი შეცდომაა დაშვებული ეროვნული ბანკის მხრიდან – მარაგების ზრდის მიზნით ის ეკონომიკიდან იღებდა ფულს...“

მზეკო ჟვანია

რა ხდება ლარის კურსთან დაკავშირებით? რა როლს თამაშობს ამ პროცესებში ეროვნული ბანკი, როგორია მისი პასუხისმგებლობა და რა შეცდომებია დაშვებული? „პრაიმტაიმს“ ლარის კურსთან დაკავშირებით ექსპერტი დემურ გიორხელიძე ესაუბრა:

– ბატონო დემურ, ბევრი მსჯელობა მიდის იმასთან დაკავშირებთ, რა პასუხისმგებლობა აქვს ეროვნულ ბანკს ამ პროცესში, ლარის გაუფასურებას ვგულისხმობ. თქვენი აზრით, ეს საკითხი ეროვნულ ბანკს როგორ უკავშირდება?

– მონეტარულ პოლიტიკას, კონსტიტუციით, მთელ მსოფლიოში ასეა, ახორციელებს ეროვნული ბანკი. ამიტომ, ცხადია, რომ ეროვნული ბანკების პასუხისმგებლობა ძალიან მაღალია, რადგან ის პოლიტიკა, რომელსაც ის ატარებდა, შეესაბამებოდა იმ პოლიტიკას, რომელიც ქვეყნისთვის იყო აუცილებელი, ეკონომიკურ ზრდასა და დასაქმებას, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობასაც არ ჰქონდა ასეთი პოლიტიკა. ეს ყველაფერი, ნაკლოვანებები პოლიტიკაში, გადაიფარებოდა საგარეო კეთილისმყოფელი ფაქტორებით, როდესაც ტურისტი მოდიოდა, როდესაც კურსიც შედარებით სხვა იყო, როდესაც ჩვენი მწირი ექსპორტი მეზობელ ქვეყნებსა და ევროკავშირში, ასე თუ ისე, რაღაც შემოსავლებს იძლეოდა. როგორც კი ევროკავშირში მდგომარეობა გართულდა, იქ სერიოზული ეკონომიკური კრიზისია, უკრაინაში ომია, დოლარმა დაიწყო გამყარება ყველა ვალუტის მიმართ, ტურისტები არ მოდიან, რადგან მათ ქვეყანაში კრიზისია, ეს ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვა და აფეთქდა. ცხადია, შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული ბანკიც და მთავრობაც პასუხისმგებელია. არსებობს მაკროეკონომიკური პოლიტიკა, ერთიანი, სხვანაირი არ შეიძლება იყოს. აქედან ფულად საკრედიტო პოლიტიკას ბანკი ატარებს, რომ მთავრობის ხელში არ იყოს მანიპულირება ფულით და ა.შ. ფისკალურ პოლიტიკას, ანუ საგადასახადო და საბიუჯეტო პოლიტიკას მთავრობა ატარებს, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა რგოლია ჩართული ამ პროცესში, პოლიტიკა ერთი უნდა იყოს, კოორდინირებული ეს არ იყო და შედეგი მივიღეთ. უამრავი შეცდომა დაუშვა ეროვნულმა ბანკმა ამ წლების განმავლობაში, მიზანმიმართული თუ შემთხვევითი, ცალკე თემაა და შედეგიც მივიღეთ.

– რაში ხედავთ გამოსავალს – ეროვნულმა ბანკმა უნდა შეიცვალოს პოზიცია, მთავრობის შემადგენლობა უნდა გადახალისდეს თუ არსებობს სხვა გეგმაც?

– ახლა მთავარია, შეხედულება შეიცვალოს. მთავარია, გაჩნდეს ფინანსური ნაკადი. სავალუტო დეფიციტია ქვეყანაში, იმპორტზე ჩამოკიდებულ ქვეყანაში არ არის და არ შემოდის საკმარისი ვალუტა, მთავარია, ჩაცხრეს ეს აჟიოტაჟი, გარკვეული ციებ-ცხელება და თუ გნებავთ, სპეკულაციური ზეწოლა ლარზე და შემდეგ უკვე მაკროეკონომიკური პოლიტიკა, კოორდინირებული ეროვნულ ბანკსა და მთავრობას შორის. აქ ცვლილებები კი არ არის საჭირო, არამედ მთავარია, შეხედულებები შეიცვალოს. თუ ვერანაირ ცვლილებას ვერ შემოგვთავაზებენ, მაშინ ეროვნული ბანკის შემადგენლობის, საბჭოსი, ხელმძღვანელისა და მთავრობის პასუხისმგებლობა თავისთავად დადგება და წავლენ სახლში, სხვა რა გზაა.

– კონკრეტულად რა უნდა გაეკეთებინა ეროვნულ ბანკს, რაში გამოიხატება მისი პასუხისმგებლობა?

– ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს დაშვებული იქნა შეცდომები, როდესაც ფულის მიწოდება ხელოვნურად იქნა შეზღუდული და შესაბამისად, კურსი ძალიან მაღალ დონეზე დაფიქსირდა. ფულის საშინელი დეფიციტია ეკონომიკაში, არ აძლევდა მას განვითარების საშუალებას. ერთი მხრივ, კურსი იყო დაჭერილი და მეტ-ნაკლებად ხერხდებოდა ინფლაციის კონტროლი ეკონომიკაში. გარდა ხელისუფლების მიერ ლობირებული ჯგუფებისა და სახელისუფლებო მოთხოვნებისა, ფული მიუწვდომელი იყო, რადგან ამ მცირე ეკონომიკაში 4,5 ნაკლები ფული ემსახურება ეკონომიკას. მთელ მსოფლიოში ეკონომიკისა და ფულის მოცულობა პრაქტიკულად ერთნაირია. ასე რომ, ბევრი შეცდომაა დაშვებული. ის, რომ მარაგების ზრდის მიზნით ეკონომიკიდან იღებდა ფულს ეროვნული ბანკი, რასაც ჩვენ ყოველთვის ვაპროტესტებდით, იმიტომ, რომ თითქოსდა მიზანი არ ყოფილა, რომ ეკონომიკა უნდა განვითარდეს, დასაქმება უნდა განვითარდეს, ჩვენ ხელოვნურად ავიღეთ და მონეტარული პოლიტიკა იზოლირებული იყო ეკონომიკური პოლიტიკიდან ყოველთვის, თითქოსდა კურსი უნდა დაგვეჭირა. კურსს იჭერ იმისთვის, რომ განვითარდე. თუ არ ვითარდები, ე.ი არასწორად იჭერ. ასე მოუვიდა ეროვნულ ბანკსაც.

„არც ერთი კვლევა არ აჩვენებს, რომ ნაციონალების მიმართ კეთილგანწყობა იზრდება. უფრო პირიქითაა“

დავით ბერძენიშვილი: „ფრაქცია „ქართული ოცნება“ ვფიქრობ, მოძებნის ფორმებს, რომ საკუთარი ფრაქციის წევრებთან გადაუჭრელი პრობლემები არ შეექმნას“

ხათუნა მგალობლიშვილი

„რესპუბლიკური პარტიის“ მიმართ კითხვები ჯერ კიდევ არსებობს და ყველა თუ არა, მათი უმრავლესობა „თავისუფალ დემოკრატებთან“ არის კავშირში. „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობისთვის უსუფაშვილის გუნდის ზედმეტად ლოიალური დამოკიდებულება ალასანიასადმი, როგორც ჩანს, ეჭვებს აჩენს. თუმცა პარტიაში ირწმუნებიან, „ქართული ოცნების“ დამფუძნებელთან ურთიერთობაში არანაირი პრობლემები არ გვაქვსო.

დავით ბერძენიშვილის განცხადებით, პარტია ივანიშვილთან მიმართებაში ძალიან ფრთხილი და კორექტულია, ზუსტად ისევე, როგორც თავად ყოფილი პრემიერი.

დავით ბერძენიშვილი, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი:

– ბიძინა ივანიშვილმა სამი-ოთხი თვის წინანდელი ვითარება გაიხსენა, როდესაც „თავისუფალი დემოკრატები“ ოპოზიციაში გადადიოდნენ. მაშინ „რესპუბლიკური პარტიის“ განცხადებები, პოზიციები, ქმედებები კოალიციიდან გასული პარტიის მიმართ უფრო ზომიერი და სხვა ტონალობის იყო, ვიდრე ვთქვათ „ქართული ოცნების“ ან სხვა ფრაქციების წარმომადგენლების. ეს პრობლემა დიდი ხანია აქტუალობადაკარგულია, ამიტომ ვფიქრობ, სამი თვის წინანდელ ამბებზე საუბარი დღევანდელი პოლიტიკური დღის წესრიგისთვის აბსოლუტურად არასერიოზულია.

– როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილი ასე არ ფიქრობს, რადგან გაიხსენა...

– ივანიშვილმა ეს გაიხსენა... ივანიშვილი რომ ძალიან ფრთხილი და კორექტულია, თუნდაც ამ პასაჟში ჩანს და ჩვენც ძალიან ფრთხილები და კორექტულები ვართ მასთან მიმართებაში.

– როდის ესაუბრნენ რესპუბლიკელებს ბოლოს ბიძინა ივანიშვილის, რა კითხვები ჰქონდა მას?

– ჩვენ არ გვაქვს პრობლემები ურთიერთობაში კოალიციის დამფუძნებელთან.

– უმრავლესობის ერთ-ერთი წევრის განცხადებით, ზაქარია ქუცნაშვილი შეძლებს იმდენი დეპუტატის დათანხმებას, რომ ნინო გვენეტაძის კანდიდატურის ჩასაგდებად საკმარისი იყოს...

– მე არ ვიცი, ვინ როგორ მოიქცევა, მაგრამ არსებობს პარტიულ-ფრაქციული დისციპლინა. თითოეული ფრაქციის ხელმძღვანელი, ბუნებრივია, ეცდება, იმის რეალიზება მოახდინოს გარეთ, რაზეც უმრავლესობის ფორმატში შევჯერდებით, ფრაქციათა ხელმძღვანელების ფორმატში კონსულტაციების დროს. ფრაქცია „ქართული ოცნება“, ვფიქრობ, მოძებნის ფორმებს, რომ საკუთარი ფრაქციის წევრებთან გადაუჭრელი პრობლემები არ შეექმნას და არ ჰქონდეს, იმიტომ რომ, თუ ეს პრობლემები გადაუჭრელი იქნება, მაშინ ეს უკვე გავა...

– კოალიციის ფორმატიდან?

– არა, კოალიცია არაფერ შუაშია, ეს არის კონკრეტულად ფრაქცია „ქართული ოცნების“ საკითხი, არც ერთი სხვა ფრაქცია პრობლემებს არ ქმნის, როდესაც შეთანხმებები ხდება. ეს არის იმ ფრაქციის, მე ვფიქრობ, ამოწურვადი პრობლემა და, ალბათ, შეთანხმებულ პოლიტიკას აწარმოებენ. რაც შეეხება ნინო გვენეტაძეს, პრეზიდენტმა წარადგინა ძალიან კარგი კანდიდატურა. ჩვენ ნინო გვენეტაძის მიმართ, ბუნებრივია, კეთილგანწყობილები ვართ. რესპუბლიკელები ჯერ კიდევ 2004-2008 წლის მოწვევის პარლამენტში ვიცავდით ნინო გვენეტაძეს, ტურავასა და სხვა მოსამართლეებს, ვისაც მაშინდელი ხელისუფლება უკანონოდ და უსამართლოდ ექცეოდა. მაშინ მათ შეუწყვიტეს მოსამართლის სტატუსი. ნინო გვენეტაძეს დიდი ხანია ვიცნობთ, მას შემდეგ, რაც რესპუბლიკელები გავხელისუფლდით, გვენეტაძემ შეაჩერა პარტიის სტატუსი. თუმცა 2008 წელს გვენეტაძე იყო რესპუბლიკელების კანდიდატი ძალიან მძიმე საარჩევნო პროცესში ხაშურში. გარდა ამისა, პარტნიორებთან კოალიციაში, ყველა საპარლამენტო ფრაქციასთან ვაპირებთ, კონსულტაციები ვაწარმოოთ. დიდი იმედი მაქვს, რომ ძალიან საქმიან გარემოში წარიმართება კონსულტაციები. იმედი მაქვს, რომ პროცესი იქნება მშვიდი, ნორმალური, პროფესიონალური.

– ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო, რომ კანდიდატი პოლიტიკურად აქტიური არ ყოფილიყო, თუმცა გვენეტაძე სწორედ რომ რესპუბლიკელების წევრია...

– ვფიქრობ, „ნაციონალურ მოძრაობას“ პარლამენტში აქვს შანსი, ადეკვატურად შეაფასონ ვითარება და არ აღმოჩნდნენ საკუთარი შეცდომების მძევლები, არ გაჯიუტდნენ, რადგან გაჯიუტება არის სიბრიყვე. მე მგონია, რომ ნინო გვენეტაძესთან მიმართებაში ის უსამართლობა, რაც ჩადენილი იყო ნინა ხელისუფლების მიერ, არ უნდა იყოს საფუძველი მის მიმართ დამოკიდებულების გამოხატვაში. ამიტომ ეს ნაციონალებისთვის უფროა ტესტი, ვიდრე ნინო გვენეტაძისთვის. ის, რომ გვენეტაძისა და კიდევ სხვა მოსამართლეების მიმართ უსამართლოდ მოიქცა „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლება წინა წლებში, ეჭვს არ იწვევს და საქმე სტრასბურგის სასამართლოშია, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ როგორც გვენეტაძეს მოექცნენ თავის დროზე უსამართლოდ, ასევე მოექცევა ის მათ სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე დანიშვნის შემთხვევაში. მთავარია, განხილვა იყოს სერიოზული და საქმიანი.

– ფიქრობთ, რომ გვენეტაძე „ქართული ოცნების“ მხარდაჭერას მიიღებს?

– მას შემდეგ, რაც ნინო გვენეტაძე მიხეილ სააკაშვილის უშუალო ბრძანებით უკანონოდ და უსამართლოდ ჩამოაცილეს მოსამართლეობას, ის ძალიან აქტიური ადამიანი იყო და 2008 წელს ხაშურში უმძიმეს საპარლამენტო არჩევნებში იყო რესპუბლიკელების საპარლამენტო კანდიდატი. 2012 წელს მან შეაჩერა „რესპუბლიკურ პარტიაში“ წევრობა და სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობით დაკავდა იმ პერიოდიდან დღემდე. ამიტომ სრულიად გასაგებია, რომ მას არავითარი პარტიული თანამდებობა ჰქონია, როდესაც პარტიაში იყო და თანაც უკვე სამი წელია, ის არ არის ჩვენი პარტიის წევრი, ის არის პროფესიონალი და დაუბრუნდება თავის პროფესიას. მის საქმიანობაში პოლიტიკური შემადგენელი ძალიან მინიმალური იყო და როგორც უკვე გითხარით, ის გამოიხატებოდა 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებით. და თუ 2008 წელს უთანასწორო ბრძოლაში ხმალამოღებული მებრძოლი იყო, საერთო ოპოზიციურ სპექტრთან ერთად, ეს მისი მინუსი არ არის. ეს კარგი ნიშანია. ვფიქრობ, ის არ შეეგუა უთანასწორობას და უსამართლობას. მე კარგად მახსოვს სხვა მოსამართლე, რომელიც წნეხს შეეგუა, რასაც ვერ ვიტყვით გვენეტაძესა და ტურავაზე.

– მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში დაინიშნა ოფიციალურად, მიგაჩნიათ, რომ ეს „ნაციონალურ მოძრაობას“ გააძლიერებს?

– საკუთარ თავს უფრო ამხნევებენ ნაციონალები და ჯერ კიდევ შერჩენილ მომხრეებს. მათ პლაცდარმი შექმნეს უკრაინაში, მაგრამ ეს პლაცდარმი ქართველ ამომრჩეველზე ვერ იმოქმედებს. არც ერთი კვლევა არ აჩვენებს, რომ ნაციონალების მიმართ კეთილგანწყობა იზრდება, უფრო პირიქით.

– გაქვთ ინფორმაცია რომ მათი რეიტინგი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ბოლო მონაცემები იყო?

– ეს თემა არ გვაინტერესებს...

– აჭარაში განვითარებულ მოვლენებს როგორ შეაფასებთ?

– იმედი მაქვს, ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობა გაუმკლავდება საკუთარ რეგიონულ პარტიულ პრობლემებს. ეს არ არის „რესპუბლიკური პარტიის“ პრობლემა.

ზურაბ ჟვანი მოწმე საქარ

EXCLUSIVE

ხათუნა მგალობლიშვილი

ზურაბ ჟვანიას საქმის ერთ-ერთი მთავარი მოწმე, როგორც კი საბუთებთან დაკავშირებულ საკითხებს მოაგვარებს, საქართველოში ჩამოსვლას აპირებს. ნათელა მოდებაძემ ირლანდიის მოქალაქეობა ნოემბერში მიიღო, მისი შვილები დღესაც საქართველოში ცხოვრობენ, შესაბამისად, მისი უახლოესი გეგმებიც სწორედ შვილებთან სტუმრობას უკავშირდება. გეგმების მიუხედავად, ნათელა მოდებაძეს არ აქვს იმედი, რომ პროკურატურა საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ მაინც დაკითხავს. ნათელა მოდებაძე დარწმუნებულია, რომ ყოფილი პრემიერის გარდაცვალების საქმის გამოძიება არც მოქმედი ხელისუფლების პირობებში მოხდება. ნათელა მოდებაძის განცხადებით, რეალობის გარკვევის სურვილი რომ არსებობდეს, პირველ რიგში, ვასილ მაღლაფერიძეს დაიბარებდა პროკურატურა დაკითხვაზე და თავად მოდებაძის ავარიის ფაქტითაც დაინტერესდებოდა, რომელიც დღემდე გამოუძიებელია...

გახმაურებული საქმის ერთ-ერთი მთავარი მოწმე აცხადეს, რომ ირლანდიაში მომხდარი ავარიის საქმის გამოძიება ბევრ დეტალს ახდიდა ფარდას... თუმცა ამ ფაქტით არც გამოძიება ინტერესდება და არც გარდაცვლილი პრემიერის ძმა, გოგლა ჟვანია.

ნათელა მოდებაძე, ზურაბ ჟვანიას საქმის მთავარი მოწმე:

– ბოლო პერიოდში, მას შემდეგ, რაც კვლავ გააქტიურდა ჟვანიას საქმის განხილვა, არავინ შემხმიანებია. სამაგიეროდ მანამდე იყო ბევრი ზარი, მირეკავდა ძალიან ბევრი ვითომგამომძიებელი, გვარებიც მეწერა მათი და როდესაც მათი ვინაობა გადავამოწმე, აღმოჩნდა, რომ არც ერთი მათგანი პროკურატურაში არ მუშაობდა. ამის შესახებ გოგლა ჟვანიასაც ვუთხარი, ძალიან ბევრი ვინმე მირეკავს და ეს მაეჭვებს-მეთქი. თუმცა პროკურორმა ჩემი ვაჟები დაიბარა პროკურატურაში.

– მას შემდეგ, რაც ხელისუფლება შეიცვალა?

– დიახ, 2012 წელს.

– თქვენს შვილებს რა შეხება ჰქონდათ ამ საქმესთან, ისინი თვითმხილველები ხომ არ იყვნენ?

– რატომ დაიბარეს ჩემი ვაჟები, დღემდე არ ვიცი. არ დამავიწყდება მათი აგდებული საუბარი. როდესაც ჩემმა შვილებმა მათი ვინაობა იკითხეს, პასუხი ასეთი იყო: თქვენ მოდით დაბარებულ ადგილას და თავად შემოგიყვანენო. ასე რომ, ჩემმა შვილებმა არც კი იციან, ვისთან იყვნენ.

– რა კითხვები დაუსვეს, შეგიძლიათ, გვითხრათ?

– ჩემს შესახებ დაუსვეს კითხვები. ჩემს შვილებს საიდან უნდა სცოდნოდათ ის, რაც მე ვიცოდი? ჩემმა შვილებმა კი არა, ჩემმა უახლოესმა მეგობრებმაც არ იცოდნენ. მე ისეთი საფრთხე შემექმნა, რომ ხმამაღლა



„ეს ბინა ვასილ მაღლაფერიძეს ჰქონდა ნაქირავები. როგორ უარყოფს, ღმერთის არ ეშინია? მაღლაფერიძე პირადად ვნახე ორჯერ ამ ბინაში“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ია...ს საქმის ერთ-ერთი მთავარი თვალოში ჩამოსვლას გეგმავს

ნათელა მოდებაძე: „გამოვიდა არჩილ კბილაშვილი და განაცხადა, ნათელა მოდებაძე დაკითხული გვყავსო, მე არავის დავუკითხივარ. ერთადერთი, ჩემი შვილები დაიბარეს“

„უბედური შემთხვევიდან მეორე დღესვე უცხო პირები დადიოდნენ ეზოში და თითქოს ისე, ყველასთან ლაპარაკობდნენ, ჭორებს ავრცელებდნენ ჟვანიასა და უსუპოვის შესახებ“

საერთოდ არ ვლაპარაკობდი ამ თემაზე. თუმცა ბევრი რამ ვიცოდი, იყო ბევრი დეტალი, რომელიც შემეძლო მეთქვა.

– რა დეტალები?

– ბევრი რამ იყო რაც მე ვიცოდი და ეს ვუთხარი მაშინ გოგლა ჟვანიასაც, გამოძიებასაც, თუმცა არავინ დაინტერესდა.

– და რატომ გადაწყვიტეთ იმ ადამიანების გადამონმება, რომლებიც პროკურატურის სახელით გირეკავდნენ?

– ძალიან დამაეჭვა, იმდენი ზარი განხორციელდა ერთდროულად იმ პერიოდში. მეუბნებოდნენ, ჩავწეროთ თუნდაც სკაიპით, რაც თქვენ იცით, ან ჩვენ ჩამოვალთ ირლანდიაში და დაგკითხავთო. იძლეოდნენ დაპირებებს და ამით მთავრდებოდა ყველაფერი, შემდეგ იკარგებოდნენ. ამის შემდეგ მოვისმინე, როგორ გამოვიდა არჩილ კბილაშვილი და განაცხადა, ნათელა მოდებაძე დაკითხული გვყავსო, როგორ და რატომ გააკეთა ეს განცხადება, არ ვიცი. იგივე განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა, სავარაუდოდ, კბილაშვილისგან ჰქონდა ეს ინფორმაცია.

– სინამდვილეში არავის დაუკითხიხართ?

– მე არავის დავუკითხივარ. ერთადერთი, ჩემი შვილები დაიბარეს. საერთოდაც, მიმაჩნია, რომ ჟვანიას საქმე კიდევ დიდხანს გაჭიანურდება. იგივეს ვიტყვი ეროსი კინმარიშვილის, შარაძის საქმეებზეც. ეს საქმეები არ გაიხსნება.

– რატომ, რის საფუძველზე აკეთებთ ასეთ განცხადებას?

– ჩვენ არ ვართ დემოკრატიული ქვეყანა...

– ის, რომ ზურაბ ჟვანიას ძმა დღეს ხელისუფლებაშია, არაფერს ნიშნავს?

– გოგლამ ყველაფერი იცის, ის ვერაფერს შეცვლის, მას რისი შეცვლაც შეუძლია ეს არის ის, რომ კარგად იცხოვროს. ზურას შვილებს მოვლა უნდათ, გოგლას შვილებსაც. გოგლას კარგი ბიზნესი აქვს, გერმანიაში ახლახან მაღაზია გახსნა, მისი მეუღლე მინისტრის მოადგილეა. კარგი ცხოვრების მოწყობა მეც შემეძლო, თუნდაც სააკაშვილის ხელისუფლების დროს. თუკი სინდისისა და ნამუსის ძარღვს გაიწყვეტ ადამიანი, ყველაფერს შეძლებ... ჩვენ და ჩვენმა შვილებმა კი უნდა ვიბრძოლოთ, ვიომოთ, დავსახიჩრდეთ ფიზიკურადაც და სულიერადაც. ჩემი ვაჟი, რომელსაც 7 შვილი ჰყავს, მათ შორის ერთი ინვალიდი, რომელსაც განსაკუთრებული მკურნალობა ესაჭიროება, ჩემ გამო სამსახურიდან გაათავისუფლეს, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე. უკვე მეორე წელია, უმუშევარია, მაშინ როცა შვიდი წელი ისე იმუშავა, ერთი საყვედურიც არ მიუღია... დირექტორმა დაიბარა და პირდაპირ უთხრა, დედაშენი თქვენზე არ ფიქრობს, რად უნდა ასეთი რაღაცების წერაო. ეს პიროვნება ბოკერიას ახლობელია. ჩვენ უუფლებონი ვართ, უნდა ვიომოთ, დავსახიჩრდეთ ჩვენი სამშობლოს გულისთვის, სხვამ კი ფუფუნებითა და განცხრომით იცხოვროს.

– განაცხადეთ, რომ სერიოზული პრობლემები შეგექმნათ, რა პრობლემები შეგექმნათ და ვისგან?

– პრობლემები შემექმნა ისეთი ახლობელი ადამიანისგან, რომელიც თანამდებობაზე იყო იმ პერიოდში. ჩემი მისამართით იყო მინიშნებები, რომ უნდა გავჩუმებულიყავი. ჩემს მეუღლესაც სამინელ რაღაცებს მოუყვნენ ჩემზე, თითქოს აგენტი ვიყავი და უმჯობესი იქნებოდა, თუ ქვეყნიდან წავიდოდი. წინააღმდეგ შემთხვევაში სულს გამაფრთხობინებდნენ.

როდესაც პატარკაციშვილის შტაბში ვმუშაობდი, მაშინ მოვიდნენ ვიღაც ნიღბიანები და მომიტანეს ფოტოსურათები, სადაც მე და გოგლა ჟვანია ვიყავით და მეკითხებოდნენ, რას ელაპარაკებოდი ჟვანიას, რა იცი ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შესახებო.

– ეს ნიღბოსნები ვინ იყვნენ?

– ეს ის პერიოდი იყო, როდესაც პატარკაციშვილზე დიდი ზენოლები ხორციელდებოდა. სწორედ მაშინ მოვიდნენ ჩემთან ეს ნიღბოსნები. ბუნებრივია, მე არ ვიცი, ვინ იყვნენ ისინი. მინიშნება გამიკეთეს, რომ არ უნდა მელაპარაკა. სხვათა შორის, ჭორებს იმის შესახებ, რაც დღეს ვრცელდება ტელევიზიების მეშვეობით, თითქოს ჟვანია და უსუპოვი ერთად იყვნენ და არატრადიციული ორიენტაციისანი იყვნენ... მაშინაც აქტიურად ავრცელებდნენ.

– ვინ საუბრობდა მაშინ ამაზე?

– უბედური შემთხვევის მეორე დღესვე უცხო პირები დადიოდნენ ეზოში და თითქოს ისე, ყველასთან ლაპარაკობდნენ, ჭორებს ავრცელებდნენ ჟვანიასა და უსუპოვის შესახებ. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ეს სპეციალურად ხდებოდა. დღესაც იგივე ხმებს ავრცელებენ, ეს არის დადგმული სპექტაკლი, რაღაცისთვის საჭირო. მე ამ ვერსიას ვერ გავითავისებ. მე ვითხოვდი, ჩამოდით ირლანდიაში და აქ დამკითხეთ-მეთქი. ჩემმა ადვოკატმა მითხრა, თქვენ ჩვენი მფარველობის ქვეშ ხართ, ჩამოვიდნენ და ჩვენი ადვოკატების თანდასწრებით მოხდება დაკითხვაო. თუმცა არავინ ჩამოსულა.

– თქვენ აცხადებდით, რომ აუცილებლად უნდა დაკითხულიყო ვასილ მაღლაფერიძე...

– რა თქმა უნდა, ეს ბინა ვასილ მაღლაფერიძეს ჰქონდა ნაქირავები. როგორ უარყოფს, ღმერთის არ ეშინია? მე ეს დეტალი იქიდან ვიცი, რომ ეს ბინა ჩემს მეგობარს უნდა ექირავებინა 150 დოლარად, თუმცა შემდეგ ბინის პატრონმა გვითხრა, ვასილ მაღლაფერიძეს მივაქირავე ორმაგ ფასში. ვასილ მაღლაფერიძე პირადად ვნახე ორჯერ ამ ბინაში.

– ოდესმე დაგინახავთ იქ ჟვანია?

– არა, არასოდეს.

– ავარიის ფაქტს უკავშირებთ იმ მუქარების გაგრძელებას, რაც საქართველოდან წასვლამდე იყო, როგორც თქვენ ამბობთ?

– იცით, საქართველოში ყოფნისას ძალიან აქტიური ვიყავი. ვავრცელებდი სააკაშვილის სანინააღმდეგო ფოტომასალებს აქციების დარბევის შესახებ, ვავრცელებდი მიმართვებს ინგლისში, საფრანგეთის, ჰოლანდიის, ამერიკის ხელისუფლების სახელზე, საკონსულოებში ვარიგებდი ფოტომასალებსა და მიმართვის ტექსტებს. ავარიაც სწორედ მაშინ მოხდა, როდესაც ამერიკის საკონსულოდან გამოვედი, მარტო ვიყავი იმ დღეს და ორმოციოდე მეტრში მოხდა ავარია, „გოლფის“ მარკის მანქანამ გადამიარა და მეორე მანქანის, ჯიპის ქვემოდან თოთხმეტმა კაცმა ძლივს გამომიყვანა. ეს დეტალები იმ ადამიანების მიერ მიცემული ჩვენებებიდან გავიგე, რომლებიც თვითმხილველები იყვნენ. ამ ფაქტის შემდეგ ერთხელ მოვიდა მხოლოდ პოლიცია და მას შემდეგ ჩემთვის აღარავის მოუკითხავს. სამი თვე კომაში ვიყავი, თერთმეტი ოპერაცია გავიკეთე, სხეულის ყველა ნაწილი დამსხვრეული მქონდა და გადაბმული ვარ შურუპებითა და მეტალოპლასტმასებით.

– თვითმხილველებიდან ვერავინ დაინახა, ვინ იჯდა საჭესთან, ან მანქანა ვერავინ ამოიცნო?

– თვითმხილველების ჩვენებებიდან გავიგე სწორედ ავარიის დეტალები. სხვათა შორის, ერთ-ერთი მათგანი ქართველი იყო.

– სააკაშვილის ხელისუფლებას ადანაშაულებთ, რომ ავარიის გამოძიება არ მოხდა?

– არ ვიცი, თუმცა ჩემი ავარიის პერიოდში სისტემატურად დადიოდნენ ირლანდიაში საგარეო საქმეთა მაშინდელი მინისტრი გრიგოლ ვაშაძე, დედაქალაქის მერი გიგი უგულავა, პრემიერი-მინისტრი ნიკა გილაური. გილაურს, საერთოდაც, ირლანდიაში აქვს განათლება მიღებული.

– ფიქრობთ, რომ ამ ადამიანების ხელი ურევია საქმის გამოძიების შეფერხებაში?

– სხვა რა ვიფიქრო? ეს ხომ დემოკრატიული ქვეყანაა? მაშინ ამდენ ხანს რატომ არ გამოიძიეს ავარიის საქმე? ერთადერთხელ მოვიდა ჩემთან პოლიცია, საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ. და მას შემდეგ აღარავის არაფერი მოუკითხავს. ადვოკატი თავიდან აქტიურობდა, ავარიიდან პირველი წლის განმავლობაში ყოველთვე მოდიოდა, მასალებს მაცნობდა, მეუბნებოდა, მასალები სასამართლოში გადავაგზავნეთ, იქიდან დასტური მოვიდა, რომ განიხილავენ, რადგან მოსაგები საქმეაო. შემდეგ საერთოდ დაიკარგა, კონტაქტზეც აღარ გამოდის ჩემთან. ეს სახაზინო ადვოკატია. მე რომ კერძო ადვოკატი მყოლოდა და ამ საქმით გოგლა ჟვანია დაინტერესებულიყო, შეიძლება ბევრი რამ გარკვეულიყო.

– ირლანდიაში ჩვენი მაშინდელი ელჩი არ დაინტერესებულა თქვენი საქმით, მდგომარეობით?

– დიასპორის ყოფილი მინისტრი, სურგულაძე და კონსული კოპლატაძე, რომლებიც ვალდებული იყვნენ, გაუსაძლის მდგომარეობაში მყოფისთვის, ელემენტარული დახმარება გაეწიათ, არათუ დამეხმარნენ, არც კი დაინტერესებულან. დღეს კი სურგულაძეც და კოპლატაძეც ელჩია, რა შეიძლება ვუწოდოთ ამ საქციელს? კონსტიტუციაში წერია, რომ საქართველოს მთავრობა ვალდებულია, ყველგან დაიცვას საქართველოს მოქალაქის უფლებები, რომელ ქვეყანაშიც არ უნდა ცხოვრობდეს ის. რისთვის არის საჭირო მაშინ საელჩოები და საკონსულოები, რაში გვჭირდება? რისთვის გვყავს დიასპორის სამინისტრო? რა მოვალეობას ასრულებდა სურგულაძე მაშინ? მე შეძლია, სურგულაძეს იურიდიულად მოვედავო, მაგრამ სასამართლოებში სიარული ჩემთვის საკმაოდ მძიმეა. ორმა მანქანამ გადამიარა და ინვალიდის ეტლში ვზივარ. გარკვეული პერიოდის შემდეგ ეკლესიაში შევხვდით და მკითხა, რატომ დაწერეთ ჩემზე ისეთი ცუდი რაღაცებიო. ვუთხარი, ეკლესიაში ამაზე საუბარი სწორი არ იქნება, გარეთ გამობრძანდით და ვისაუბროთ-მეთქი. მეჩქარებაო და წავიდა, არც მოისურვა ჩემთან ლაპარაკი.

– თქვენ მაშინ საქართველოს მოქალაქე იყავით?

– დიახ. სამი თვეა, რაც ირლანდიის მოქალაქეობა მივიღე და დიდი გამოფენისთვის ვემზადები. მე ვაკეთებ თოჯინებს, უკვე ოცდაერთი თოჯინა მყავს. ასევე გამომყავს ოცდახუთი სახეობის ქართული ყველი, მათგან შვიდი სახეობა დაძველებული ყველია. ოქტომბრისთვის უკვე მზად იქნება. ასე რომ, თუ თავის დროზე საქართველოს ელჩმა ირლანდიაში და კიდევ ვიღაცებმა მიმატოვეს, უფალი ჩემთან არის.

– საქართველოში ჩამოსვლას ხომ არ აპირებთ?

– ჩამოვალ, რა თქმა უნდა. უბრალოდ, ჯერ არ ვიცი, როდის, რადგან დოკუმენტაცია ჯერ კიდევ მოსამზადებელი მაქვს.

„მე შემიძლია სურგულაძეს იურიდიულად მოვედავო, მაგრამ სასამართლოებში სიარული ჩემთვის საკმაოდ მძიმეა. ორმა მანქანამ გადამიარა და ინვალიდის ეტლში ვზივარ“

„ჩემი ავარიის პერიოდში სისტემატურად დადიოდნენ ირლანდიაში საგარეო საქმეთა მაშინდელი მინისტრი გრიგოლ ვაშაძე, დედაქალაქის მერი გიგი უგულავა, პრემიერი-მინისტრი ნიკა გილაური“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პირველად „პრაიმტ

EXCLUSIVE

ექსკლუზიური ინტერვიუ უკრაინის იუსტიციის მინისტრის მოადგილესთან

მარიამ ნადირაძე

სააკაშვილის ხელისუფლების თანამდებობის პირების უკრაინაში პოლიტიკურ თანამდებობებზე დანიშვნა საქართველოში ჯერ კიდევ რჩება მითქმა-მოთქმის საგნად.

პირველად „პრაიმტაიმში“ პირველი პირისგან მიიღებთ პასუხს ყველა იმ კითხვაზე, რაც ყველაზე ხშირად ისმება არა მარტო საზოგადოების, არამედ ხელისუფლების მხრიდანაც.

სკანდალურ დანიშვნებთან და ყოფილი ხელისუფლების საქართველოში დაბრუნების გეგმებთან დაკავშირებით დღეს უკრაინის იუსტიციის მინისტრის მოადგილე გია გეწაძე გვიპასუხებს:

– ამბობდით, რომ კერძო ბიზნესიდან აღარასდროს დაბრუნდებოდით საჯარო სამსახურში. თქვენ კი არათუ დაბრუნდით, სხვა ქვეყნის მაღალჩინოსანიც გახდით...

– თურმე მართლა არასოდეს უნდა თქვა არასოდეს... ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო და არის უკრაინის წარმატება. „მაიდანის“ დროს ხშირად ვიყავი აქ და ვეხმარებოდი ჩემს უკრაინელ მეგობრებს. შესაბამისად, მათი მხრიდან შემოთავაზებაზე – მოდი, მოგვეხმარე, ერთად გავაკეთოთ... – უარის თქმა ვერ შევძელი.

– ეს შემოთავაზება უკრაინელებისგან მიიღეთ, თუ მიხეილ სააკაშვილისგან?

– მიხეილ სააკაშვილისგან შემოთავაზება არ მიმიღია, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მე საკუთარ თავს მის გუნდში არ მოვიაზრებ. პირიქით, ამაყიც ვარ ამით. იმ ხელისუფლებაში სახელმწიფო მოხელედ იმიტომაც ვმუშაობდი, რომ სწორედ ამ გუნდის წევრი ვიყავი. მომავალშიც ასე განვიხილავ თავს. რაც შეეხება შემოთავაზებას უკრაინაში ამ თანამდებობის დაკავებაზე, შემოთავაზება მიხეილ სააკაშვილისგან არ ყოფილა. შესაძლებელია, მისი მხრიდან იყო რეკომენდაციები, მაგრამ ამის თაობაზე მე საქმის კურსში არ ვარ.

– ამბობთ, რომ ამაყი ხართ სააკაშვილის გუნდის წევრობით და იმ შედეგებით, რაც იმ ხელისუფლებას ჰქონდა... თუმცა იმ ხელისუფლების პირობებში, წარმატებების გარდა, საკმაოდ სერიოზულ შეცდომებს, რიგ შემთხვევებში კი დანაშაულებსაც ჰქონდა ადგილი... ამაზეც იღებთ პასუხისმგებლობას?

– რა თქმა უნდა, პასუხისმგებელი ვარ იმ შეცდომებზე, რაც იმ დროს ხდებოდა, როდესაც მე საქართველოში პოლიტიკური თანამდებობა მეკავა... რაც შეეხება დანაშაულს, თუ ვინმე მას ჩაიდენს, სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად უნდა აგოს პასუხი, რა თქმა უნდა, სამართლიანი და ყოველგვარი პოლიტიკური ნნეხისგან თავისუფალი სასამართლოს პირობებში...

– საქართველოში პატიმრობაში იმყოფებიან თქვენი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები... მათ მიმართ კონკრეტულ ეპიზოდებზე ძალაში შესული სასამართლო განაჩენებიც არსებობს უკვე. მიხეილ სააკაშვილმა ქართული მედიისთვის მიცემულ ბოლო ინტერვიუში მხოლოდ მერაბიშვილისა და უგულავას პატიმრობის შესახებ გამოთქვა პროტესტი. ბაჩანა ახალაიასა და სხვათა შესახებ არაფერი უთქვამს. ხომ არ არის ეს გუნდის გადაწყვეტილება, რომ ერთგვარი გადახალისება მოხდეს და საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ოდიოზურ ფიგურებს გაემიჯნოს?

– მე არ მაქვს პასუხი ამ კითხვაზე. შესაძლოა, მიხეილ სააკაშვილმა სხვა ინტერვიუში სხვა დაპატიმრებულებზე ისაუბროს, მით უმეტეს, რომ უამრავი ადამიანია უკვე ციხეში...

– საქართველოში განხილვის თემაა მეგობარ ქვეყანაში, უკრაინაში იმ ადამიანების თავმოყრა, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებისგან იძებნებიან... ვგულისხმობთ, თუნდაც, ზურაბ ადეიშვილს.

– გააჩნია, ვინ უწოდებს უკრაინას მეგობარ ქვეყანას. მე, როგორც უკრაინის მოქალაქე, ვფიქრობ, რომ საქართველოს საგარეო უწყებაში უკრაინის ელჩის დაბარება იყო, სულ მცირე, დიდი შეცდომა. არ მინდა სხვა შეფასება გავაკეთო ამ ეტაპზე. ჩემი აზრით, უკრაინის ელჩი უნდა დაებარებინათ კითხვით – რით შეგვიძლია დაგეხმაროთ? ვინაიდან გაქვთ ომი რუსეთთან და თქვენი ტერიტორიებიც ჩვენსავით ოკუპირებულია.

– მაგრამ კითხვა, რაც ელჩის მიმართ დაისვა – რატომ ინიშნებიან უკრაინაში მაღალ თანამდებობაზე ადამიანები, რომლებსაც საქართველოს ხელისუფლება დამნაშავეებად მიიჩნევს და ეძებს? – არალეგიტიმური კითხვაა?

– ჩემი აზრით, ეს იყო შეცდომა. მე რამდენადაც ვიცი, ზურაბ ადეიშვილი არსად არ არის დანიშნული ჯერჯერობით...

– არც განიხილება მისი დანიშვნა?

– ვერ გეტყვით, არ ვარ ინფორმირებული. თუმცა საინტერესო იცით, რა არის? – სანამ ზურაბ ადეიშვილი უკრაინაში ჩამოვიდოდა, რჩევებს აძლევდა ევროკავშირის წევრ, სულ მცირე, ორ ქვეყანას. იმ ქვეყნების ელჩები რატომ არ დაიბარეს? ჩვენ, უკრაინა, რა, დაბალი ღობე ვართ? ან რატომ არ დაიბარეს ამერიკის ელჩი ახსნა-განმარტებებისთვის მაშინ, როდესაც მიხეილ სააკაშვილი ამერიკაში ცხოვრობდა და ლექციებს კითხულობდა? რატომ მას არ მოსთხოვეს ახსნა-განმარტებები? უკრაინა ყოველთვის უჭერდა მხარს ქართველ ხალხს, მიუხედავად იმისა, ვინ ჰყავდა ხელისუფლებაში. რა კონტექსტში შეიძლება იყოს განხილული სწორედ ამ ქვეყნის ელჩის დაბარება?

– და მაინც, თქვენი ხელისუფლების პირობებში რომ დანიშნულიყვნენ უკრაინაში შევარდნაძის ხელისუფლების თქვენ მიერ ძებნილი ჩინოვნიკები, რა ზომებს მიმართავდით?

– მაშინ სულ სხვა პოლიტიკური ვითარება იყო და ამიტომაც ზუსტ შედარებას ვერ მოვახდენ. დღეს ჩემს ქვეყანას, უკრაინას, ეომება რუსეთი. აქ იხოცებიან ადამიანები და ამ დროს საქართველოში უკრაინის ელჩს სთხოვენ პასუხს, რატომ დაინიშნა სააკაშვილი პოროშენკოს მრჩეველად...

– სოციალურ ქსელში დაიდო ზურაბ ადეიშვილის ფოტო, რომელიც ადასტურებს, რომ საქართველოში ძებნილი ადეიშვილი ნამდვილად იმყოფება უკრაინაში ოფიციალურ შეხვედრებზე...

– ზურაბ ადეიშვილი ჩემი მეგობარია. ადრე ის ევროკავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში იმყოფებოდა და მე ის იქ მოვინახულე. გიდასტურებთ, რომ გარკვეული დროის წინ ის კიევშიც ვნახე. თუმცა, ვერ გეტყვით, დღესაც არის თუ არა ის აქ...

– ნუთუ ის კიევში მხოლოდ მეგობრების მოსანახულებლად ჩამოვიდა?

– რა თქმა უნდა, არა. მე რამდენადაც ვიცი, სხვადასხვა კანონმდებლობაზე მუშაობაში ეხმარება თავის უკრაინელ მეგობრებს.

– საქართველოში დიდი ხმაური გამოინვია ცნობამ იმის თაობაზე, რომ უკრაინაში ბერკუტის „სპეცნაზის“ უფროსად და მოადგილედ დათა ახალაია და სოსო თოფურიძე ინიშნებიან. არსებობს ინფორმაციაც მეგის ქარდავას შესაძლო დანიშვნაზე სასჯელაღსრულების „სპეცნაზის“ უფროსად. შეგიძლიათ დაგვიდასტუროთ ეს ინფორმაციები?

– აქ მე შევხვედრივარ ქართველებს, რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა მიმართულებით, კონსულტაციებს უწევენ სხვადასხვა უწყებებს. თქვენ მიერ დასახელებული პირები არ მინახავს.

– ვრცელდება ინფორმაციები იმის შესახებაც, რომ უკრაინაში თავი მოიყარეს არა მარტო იმ ადამიანებმა, რომლებიც თქვენი ქვეყნის მთავრობაში დაინიშნეთ კონკრეტულ თანამდებობებზე, არამედ მაღალჩინოსანმა სამხედროებმაც – ქართული შეიარაღებული ძალების ყოფილმა სარდლებმა და ბრიგადის მეთაურებმაც. მათ შორის არის გენერალი გიგი კალანდაძეც. რამდენად საფუძვლიანია საქართველოში არსებული ეჭვი იმის შესახებ, რომ შესაძლოა მართლაც არსებობდეს ერთგვარი შტაბი, რომელიც გეგმავს და ამზადებს არეულობას საქართველოში იმისთვის, რომ ყოფილი ხელისუფლება კვლავ დაბრუნდეს აქ ხელისუფლებაში?

– სისულელედ მიმაჩნია ეს ყველაფერი. როდესაც ორი ქართველი თუნდაც ყავაზე შეხვდება ერთმანეთს, ისინი აუცილებლად განიხილავენ პოლიტიკურ თემებს – ვინ არის ხელისუფლებაში და ვინ შეიძლება ის შეცვალოს... მით უმეტეს, პოლიტიკოსი ყოველთვის ფიქრობს ხელისუფლებაში დაბრუნ-

რა საქმიანობას ეწევიან კიევში ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსანი სამხედროები?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ᲐᲘᲛᲨᲘ“

რა ფორმით გეგმავს უკრაინის ხელისუფლების ქართველი წარმომადგენელი საქართველოში დაბრუნებას?

ებაზე. პირადად მე დღეს სულ სხვა ამოცანები მაქვს და საქართველოს პოლიტიკაზე არ ვფიქრობ. თუ ვილაცები იკრიბებიან და ფიქრობენ, როდის იქნება შემდეგი არჩევნები და რამდენ პროცენტს აიღებს რომელიმე პოლიტიკური ძალა, ამაში რა არის საგანგაშო? ამას აკეთებს ნებისმიერი სამი კაცი, სოფელში რომ შეიკრიბებიან ბუხართან...

– იქ ყოფილი ძალოვნების თავმოყრა გარკვეულ საფრთხეებზე არ უნდა მიანიშნებდეს საქართველოს მოსახლეობას?

– მე რამდენადაც ვიცი, ეს ძალოვნები თავისი გამოცდილებით ეხმარებიან უკრაინელებს – არიან ინსტრუქტორები, ამზადებენ სამხედროებს და ეხმარებიან ზუსტად ისე, როგორც ჩვენი უკრაინელი ძმები გვეხმარებოდნენ ჩვენ ომის დროს. რა არის ამაში გაუგებარი?

– ანუ გადაჭრით შეგიძლიათ თქვათ, რომ უკრაინაში მყოფი „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი მხარდამჭერები საქართველოში დესტრუქციულ პროცესებს არ გეგმავენ?

– საუბრები მათთან, ვისაც მე აქ ვხვდები, შემოიფარგლება მხოლოდ იმ პროექტებით, რასაც ჩვენ უკრაინაში ვგეგმავთ – როგორ გატარდეს რეფორმები და ა.შ. მე სხვა თემატიკის შეხვედრებს არასდროს დავსწრებივარ.

– საქართველოში კეთდება სხვადასხვა ტიპის შეფასებები თქვენი და თქვენი თანაგუნდელების უკრაინაში დანიშვნებთან დაკავშირებით. მათ შორის ასეთიც, რომ ყოფილი ხელისუფლება საქართველოში ნაშოვნი ფულით უკრაინაში ახდენს დესტრუქციული ძალების ორგანიზებას იმისთვის, რომ კვლავ დაბრუნდეს საქართველოს ხელისუფლებაში...

– ამ შეფასებაში საერთოდ ვერ ვხედავ რაციონალობას. არასდროს მახასიათებს სხვისი აქტივებით დაინტერესება, მაგრამ ყველაზე მდიდარ ქართველზე გაცილებით მეტი ფული ჰქონდა იანუკოვიჩს. ხალხი მივიდა და გააგდო. რა შუაშია ხალხის ნებასთან ფული?

– უკრაინაში გრძელვადიანი გეგმები გაქვთ?

– სიმართლე გითხრათ, უკრაინაში გრძელვადიანი გეგმები არ მაქვს. გრძელვადიანი გეგმა მაქვს საქართველოში.

– რას გულისხმობთ?

– ქართულ პოლიტიკაში მაქვს გრძელვადიანი გეგმები. როდესაც აქ შევასრულებ ჩემს ფუნქციას, ვიქნები აქტიური პოლიტიკური მოთამაშე ქართულ პოლიტიკურ ველში, მიუხედავად იმისა, რომელი ქვეყნის მოქალაქე ვიქნები.

– ეს თქვენი მხრიდან მოულოდნელი განაცხადია. თქვენ აქტიური პოლიტიკური მოთამაშე არც ყოფილხართ. გარკვეული დროით მაღალ თანამდებობებს იკავებდით მხოლოდ სააკაშვილის ხელისუფლებაში. მერე კი კერძო ბიზნესში წახვედით...

– მე მქონდა სხვადასხვა დროს პოლიტიკური თანამდებობები, მაგრამ საკუთარ თავს მივიჩნევდი სახელმწიფო მოხელედ. თუმცა, მომავალში საკუთარი თავი აქტიურ მონაწილედ წარმომიდგენია პოლიტიკურ პროცესებში.

– თქვენს ამ განცხადებაში სააკაშვილის ბოლოდროინდელი ინტერვიუს გამოძახილს ვხედავ – რომ ადამიანები, რომლებიც დღეს უკრაინის ხელისუფლებაში არიან წარმოდგენილი, მომავალში იქნებიან საქართველოს ხელისუფლებაში...

– პრინციპში, რატომაც არა... მე ვიქნები აქტიური ქართველი პოლიტიკოსი მომავალში. თუმცა, ამ ეტაპზე საქართველოს მოქალაქეობის დათმობა მომიწევს. ეს ასე ხდება, როდესაც სხვა ქვეყნის მოქალაქეობას იღებ, უნდა დათმო შენი ქვეყნის მოქალაქეობა. მერე მოვა დრო, როდესაც მივმართავ პრეზიდენტს ორმაგი მოქალაქეობის თხოვნით, მნიშვნელობა არ აქვს, დღევანდელი პრეზიდენტი იქნება ეს, თუ სხვა ვინმე და არ მგონია, რომელიმე პრეზიდენტმა ამაზე უარი მითხრას...

– რატომ ხართ ასე დარწმუნებული?

– რა არგუმენტი ექნება რომელიმე პრეზიდენტს ამ თხოვნაზე უარის თქმისთვის?

– უკვე უკრაინის მოქალაქე ხართ?

– დიახ. ამ დღეებში მივმართავ საქართველოს საკონსულოს უკრაინაში. ხომ არ დავმალავ, რომ მოქალაქეობა უკვე მივიღე? თუმცა, ჩვენს პრაქტიკაში იყო ასეთი ფაქტიც, როცა ერთმა პიროვნებამ საფრანგეთის მოქალაქეობა მიიღო და არ უცნობებია საქართველოს მთავრობისთვის ამის შესახებ.

– ბიძინა ივანიშვილს გულისხმობთ?

– რა თქმა უნდა... მერე დაიწყეს დავა იმის შესახებ, უნდა ჩამორთმეოდა თუ არა მას საქართველოს მოქალაქეობა. თუ ამ კუთხით მიუდგებიან საკითხს, იქნებ არც მე ჩამომერთვას საქართველოს მოქალაქეობა, რა იცით...

– ქართულ პოლიტიკაში მოთამაშედ ინდივიდუალურად გეგმავთ შემოსვლას, თუ რომელიმე გუნდთან ერთად?

– რა თქმა უნდა, გუნდთან ერთად...

– „ნაციონალური მოძრაობის“ სახელით?

– გააჩნია „ნაციონალურ მოძრაობაში“ რას გულისხმობთ?

– რა უნდა ვიგულისხმო? ის, რასაც დღეს წარმოადგენს ეს მოძრაობა...

– ვერ გეტყვით, რა იქნება ხვალ. დაახლოებით 6 თვის წინ ვინმეს რომ ეთქვა ჩემთვის, რომ უკრაინაში მომიწევდა სამუშაოდ გადმოსვლა, ალბათ, ვერც წარმოვიდგენდი ამას. კონსულტაციებისა და რჩევების მიცემა, რა თქმა უდნა, წარმომედგინა, ვინაიდან ასეთი ტიპის ურთიერთობა ისედაც მქონდა ჩემს უკრაინელ მეგობრებთან. შესაბამისად, რა მოხდება მომავალში საქართველოში, როგორი პოლიტიკური განლაგება იქნება, რა პარტიები მოვლენ, ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით. თუმცა, პირადად მე, გია გენაძე, აუცილებლად ვიქნები აქტიური პოლიტიკური მოთამაშე.

– რა დროში გეგმავთ საქართველოში დაბრუნებას?

– ვერ გეტყვით, თუმცა დანამდვილებით გეტყვით, რომ უკრაინაში ყოფნის ათწლიანი გეგმა ნამდვილად არ მაქვს...

– უახლოეს არჩევნებამდე?..

– არ ვიცი. წინასწარმეტყველი არ ვარ.

– უკრაინულ პრესაში გაჟღერდა, რომ სხვა მინისტრებისგან განსხვავებით, რომლებსაც დაქირავებული აქვთ აპარტამენტები, თქვენ სასტუმროში ცხოვრობთ. ადგილობრივი ბიუჯეტი უზრუნველყოფს თქვენს იქ ცხოვრებას?

– დიახ, ჯერჯერობით ვცხოვრობ სასტუმროში, საკუთარი ხარჯებით. შეუძლიათ ეს გადაამოწმონ, მით უმეტეს, მქონდა ინფორმაციები, რომ ჩემი საბანკო ანგარიშები მოწმდებოდა... ისე კი, მგონი, აპირებენ საცხოვრებლით ჩვენს უზრუნველყოფას.

– თქვენ გახდით იუსტიციის მინისტრის მოადგილე ქვეყანაში, სადაც ომია...

– რა თქმა უნდა, დიდი გამოწვევაა. არ ვფიქრობ, რომელიმე სხვა ქვეყანაში წავსულიყავი რამე თანამდებობაზე, უკრაინის გარდა, თუნდაც ძალიან მეგობრულში საქართველოსთვის. სულ სხვა პირადი ემოცია მაქვს უკრაინასთან მიმართებაში.

„პრაიმტაიმის“ სტატიას ახმეტაში პოლიტიკური გარჩევები მოჰყვა

ზაქრო ქინქლაძე: „ზვიადაურს ვურჩევ, თავი გაანეგოს რაიონის ადგილობრივ საქმეებში ცხვირის ჩაყოფას“

მირიან ბოქოლიშვილი

გაზეთ „პრაიმტაიმის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუს ზურაბ ზვიადაურთან ახმეტაში პოლიტიკური გარჩევები მოჰყვა. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ამ ინტერვიუს შემდეგ „რესპუბლიკური პარტიის“ წევრი ზაქრო ქინქლაძე გამგებლის კაბინეტში დაიბარეს და საქმე „გაურჩიეს“. თავად ქინქლაძე ამბობს, რომ ამ ინტერვიუში გამოთქმული ბრალდებების შესახებ ახმეტის გამგებელს ნამდვილად ესაუბრა, თუმცა გამგეობაში ის არავის დაუბარებია და ვითარების გარკვევა მისი ინიციატივა იყო. ქინქლაძის ინტერვიუს ოდნავ ქვემოთ წაიკითხავთ, მანამდე კი გაგახსენებთ, რას ამბობდა ზურაბ ზვიადაური რაიონში „რესპუბლიკური პარტიის“ წარმომადგენელზე.

რატომ დაიბარეს რესპუბლიკელი ზაქრო ქინქლაძე გამგებლის კაბინეტში?

„რესპუბლიკურ პარტიასთან“ არ მაქვს ცუდი დამოკიდებულება. კონკრეტულ პიროვნებებთან მაქვს პრეტენზია, რომლებიც ჩირქს მცხებენ. ძალიან მარტივია, პოლიტიკოსმა თავი იმართლო და თქვა, რომ ტყუილია, რასაც ჩემზე ამბობენო. ამიტომ ჰკითხეთ კოალიციაში შემავალ სხვა პარტიებს, რა ხდება რაიონში, ვინ არის ზვიადაური, რას აკეთებს ის ახმეტაში და ვინ არის ზაქრო ქინქლაძე, მეტსახელად „ჯორი“... როცა ჩვენ ხელისუფლებაში მოვედით, ზაქრო ქინქლაძე საკრებულოს თავმჯდომარედ დაინიშნა. ამავდროულად ბექა ბაიდაური დაინიშნა გამგებლად... საკრებულოს წევრებმა დაინახეს, როგორ მოქმედებდა ზაქრო ქინქლაძე. მან მოინდომა, გამგეობა ხელში აეღო და ბაიდაურს უჩივლა. ინკოგნიტო წერილი შეიტანა პროკურატურაში, რომ ბექა ბაიდაურს პასპორტში გადაკეთებული ჰქონდა ასაკი და ეს იყო კანონდარღვევა. ბაიდაური საქართველოს სამგზის ჩემპიონია ძიუდოში, სპორტსმენები ხშირად მიმართავენ ამ მეთოდს, ასაკის გადაკეთებას, მაგრამ ეს პოლიტიკასთან რა კავშირშია, არ ვიცი. თან ეს მუხლი ამნისტირებული იყო. ეს არ არის გუნდურობა. ამით ქინქლაძეს სურდა ბექა ბაიდაური გეთავისუფლებინათ დაკავებული თანამდებობიდან, თავისი კანდიდატურა წამოეყენებინა გამგებლის თანამდებობაზე და საკრებულოსთან ერთად გამგეობაც ხელში ჩაეგდო. გადახედეთ მონაცემებს – როგორც კი საკრებულოს თავმჯდომარედ დაინიშნა, ხელფასი მოიმატა და მაქსიმალური პრემიები დაინიშნა. ეს დაინახეს კოალიციაში შემავალმა სხვა პარტიებმა, ბრმა არავინაა, და ზაქრო ქინქლაძე გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან“, – ამბობს გაზეთ „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ზურაბ ზვიადაური.

თავად ზაქრო ქინქლაძე ზვიადაურის ბრალდებებს აბსურდულს უწოდებს და ირწმუნება, რომ მას არანაირი განცხადება პროკურატურაში არ შეუტანია.

ჩვენ, ასევე, დავინტერესდით, რა კავშირი აქვს ახმეტაში გამოცხადებულ ტენდერებთან ქინქლაძის ძმის კომპანიას და ზურაბ ზვიადაურის მეუღლის ოჯახს? გავრცელებული ინფორმაციით, ახმეტაში არაერთ ინფრასტრუქტურულ პროექტზე გამოცხადებულ ტენდერში სწორედ ქინქლაძის ძმის კომპანიამ გაიმარჯვა, თუმცა იყო შემთხვევა, როდესაც პროექტის განხორციელება, გამარჯვებული კომპანიის ნაცვლად, ზვიადაურის სანათესაოს გადაეცა.

– ძალიან ძნელია, ზვიადაურის სულელურ ბრალდებებზე კომენტარი გააკეთო. მაგან თავისი საქმე რომ აკეთოს პარლამენტში და ერთხელ მაინც თქვას სიტყვა მიკროფონთან, ან კალამი აიღოს ხელში და ასოები თუ იცის, რაიმე დაწეროს, უკეთესი იქნება. ზვიადაურს ვურჩევ, თავი გაანებოს რაიონის ადგილობრივ საქმეებში ცხვირის ჩაყოფას.

– როგორც ვიცი, ამ ინტერვიუს შემდეგ გამგებლის კაბინეტში დაგიბარეს და პასუხს გთხოვდნენ, შეიტანეთ თუ არა ანონიმური საჩივარი პროკურატურაში... მართალია?

– არა, ბატონო, მე ჩემი ინიციატივით ნამდვილად ვესაუბრე გამგებელს. შევხვდი ამ ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ. მანაც დაადასტურა, რომ მსგავსი ინფორმაცია აბსურდულია. მითხრა, მეც პირველად გავიგე ამ საჩივრის შესახებო. ყველამ კარგად იცის ყველაფერი. ამდენ ჭორაობას, მიმართოს პროკურატურას და გაარკვიოს, მართლა შევიტანე თუ არა რამე.

– ბატონო ზაქრო, აქვე მინდა გკითხოთ ტენდერებზე... ამბობენ, რომ რამდენიმე ტენდერში თქვენი ძმის კომპანიამ გაიმარჯვა...

– ჩემი ძმის კომპანიასთან და მის საქმიანობასთან შეხება არ მაქვს. შესაბამისად, ამაზე ვერაფერს გეტყვით. არ ვერევი ასეთ საკითხებში.

– ზვიადაურების ნათესავებზე რას იტყვით?.. ითქვა ისიც, რომ ერთ-ერთ ტენდერში თქვენი ძმის კომპანიამ გაიმარჯვა, მაგრამ რეალურად სამუშაოები ზვიადაურის ცოლის ოჯახის კუთვნილმა კომპანიამ შეასრულა...

– ვერ გეტყვით. ზვიადაური ყველაფერში ერევა და ყველგან მონაწილეობს. მაგან ახმეტა საკუთარი სამფლობელო ჰქონია და ფიქრობს, მისი შემოღობილი ტერიტორიაა. ვცდილობ, მაგ ადამიანთან საერთოდ არ მქონდეს შეხება. ის თავის სადეპუტატო საქმიანობას იყენებს ჩემი და ჩემი ოჯახის დევნისთვის.

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

გია ბურჯანაძე: „დღეს ბაღებში პროდუქტი შედის და ბავშვებს ნ



„მოხდა ინდმეწარმის დაპატიმრება, რომელიც მეტრო „სამგორის“ ტერიტორიაზე, კერძო ბინებში ანტისანიტარიულ პირობებში გაფუჭებულ ხორცს ასუფთავებდა და სწორედ ეს უვარგისი პროდუქტი შეჰქონდა ბაღებში“

EXCLUSIVE

ხათუნა მგალობლიშვილი

რა საკვებით ამარაგებენ ბაღებს და რამდენად მიდის ბავშვებამდე მათთვის გამოყოფილი პროდუქტები? როგორც ირკვევა, ბაღების გამგებლების უმრავლესობა ბავშვების პროდუქტებით საკუთარ ოჯახებს კვებავს. „ანტიკორუფციული კავშირის“ მიერ ქურდობის კონკრეტული ფაქტები ვიდეოებზეც არის აღბეჭდილი და შესაბამისი უწყებების დაინტერესების შემთხვევაში მათ მტკიცებულება აუცილებლად გადაეცემათ.

თუმცა ქურდობა არ არის ბაღების ერთადერთი პრობლემა. ბაღების უმრავლესობაში ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქცია შედის, არის შემთხვევები, როდესაც ბავშვებს ვადაგასული ან გაფუჭებული პროდუქტით კვებავენ.

გია ბურჯანაძის განცხადებით, უკვე წლებია, ბაღებში სიცოცხლისთვის საშიში თევზის სახეობა შედის, რომელიც გულის და სისხლძარღვების დაავადებებს იწვევს.

გია ბურჯანაძე, „ანტიკორუფციული კავშირის“ თავმჯდომარე:

– უვარგისი თევზი წლებია შედის ბაღებში. ზოგადად, ეგრეთწოდებული ფილეები არის ორჯერ გაყინული და ხშირ შემთხვევაში სამჯერ და ოთხჯერ გაყინულიც კი შეაქვთ ხოლმე. ჩვენ გვაქვს ვიდეო და დოკუმენტური მასალები, რომელიც პირდაპირ დევს ინტერნეტში და კარგად ჩანს, როგორ და რა პირობებში ხდება აღნიშნული ფილეების დამზადება. პროცედურულად ავხსნი, როგორ მზადდება და შემდეგ მშობლებმა გადაწყვიტონ, რატომ შეიცავს საფრთხეს ასეთი თევზის მიცემა მათი შვილებისთვის: რეწვის დროს თევზი პირველად დამუშავებას გადის გემზე და ხდება მისი გაყინვა. თევზის 70-80% ჩინეთიდან მოდის, ადგილზე ჩამოსვლის შემდეგ ქარხნებში უკვე მეორედ იყინება. პოლიფოსფატებით ხდება ფილეს ნაჭრების დამუშავება, დაახლოებით 24 საათის განმავლობაში ისინი პოლიფოსფატის კასრში ინახება. როგორც წესი, ეს კეთდება მასის მომატების მიზნით. შემდეგი ეტაპი წყალში მოთავსება და კვლავ გაყინვაა. აღნიშნული პოლიფოსფატებით დამუშავებული თევზი, რომელიც ბაღებში შედის, ძალიან ბევრ დაავადებას იწვევს. პირველ რიგში, ახდენს გულის დაავადებების პროვოცირებას, გულსისხლძარღვთა დაავადებებს და როდესაც ასეთი სახის პროდუქტი მოიხმარება პატარა ბავშვებში, სკოლამდელი ასაკი მაქვს მხედველობაში, სავსებით მიუღებელია.

– მშობლებს აქვთ მიღებული ეს ინფორმაცია?

– რაც უნდა გაგიკვირდეთ, მშობლები ამ ყველაფრის ახსნის შემდეგ იცით, რაზე ამახვილებენ ყურადღებას? ბაღები უფასოა და როგორ მოვთხოვოთ ბაღს ხარისხიანი საკვებიო... სულ რამდენიმე წლის წინათ მოხდა ბაღების გადასვლა საბიუჯეტო დაფინანსებაზე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ ბავშვები უნდა დაგვიწამლონ და უხარისხო პროდუქციის გამო პასუხი არავინ არ უნდა აგოს.

– რა დაავადებებს იწვევს აღნიშნული თევზის მიღება დროთა განმავლობაში, ესეც იციან მშობლებმა?

– რა თქმა უნდა, არ იციან და ახლა თქვენი გაზეთის საშუალებით გაიგებენ. აღნიშნული პოლიფოსფატების მიღება წარმოუდგენელ შედეგებს იღებს, მე ვამტკიცებ, რომ ეს სექტორი, ბაღებს ვგულისხმობ, სავსებით უხარისხო პროდუქციით არის გაჯერებული. აბსოლუტურად დაცემულია ხარისხი კვების ბლოკში.

– კონკრეტული მაგალითი შეგიძლიათ დაგვისახელოთ, მაგალითად, რომელიმე ბაღი?

– მაგალითად, შარშან შევამოწმეთ 66-ე ბაღი და აღმოვაჩინეთ, რომ ვადაგასული სოსისი მოიხმარებოდა.

– რამდენად ძველი იყო?

– ორი კვირის ვადაგასული იყო, ბავშვებს აჭმევდნენ ვადაგასულ ორცხობილებს, ვადაგასულ კვერცხს. არ იყო დაცული ტემპერატურული რეჟიმი ხორც-პროდუქტების შენახვის და ასე შემდეგ. ანუ ამ სეგმენტს მაკონტროლებელი არავინ არ ჰყავს. არც მერიას აინტერესებს და არც მინისტრს. ერთადერთი ინტერესი არსებობს მხოლოდ, როგორმე აკეთონ ფული კომპანიებმა, რომლებიც ამარაგებენ ბაღებს. ისინი საკუთარ ჯიბეებს ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობის ხარჯზე ისქელებენ. ეს პრობლემა ასეთივე სიმწვავით იდგა წინა ხელისუფლების დროსაც და იგივე მდგომარეობაა ამჯერადაც. მინდა სამომავლოდ დაინერგოს კონტროლის მექანიზმი. აუცილებლად უნდა დაინერგოს სკოლამდელი ასაკის ბავშვების საკვები პროდუქტის ხარისხის კონტროლი. მაგალითად, იყო შემთხვევა, როდესაც ვარგისი ხორცი მიიტანეს, მაგრამ ტემპერატურის დაუცველობის გამო ხორცი გაფუჭებული იყო, სუნი ჰქონდა. გამორთულ მაცივრებში ალაგებენ ხოლმე ხორც-პროდუქტებს. ბაღის გამგებლები და დირექტორები, როგორც წესი, ასეთ დეტალებს არ აქცევენ ყურადღებას, სინამდვილეში კი ეს ძალიან მნიშვნელოვანი დეტალია. იყო ფაქტი, როდესაც სურსათის უვნებლობის სააგენტომ სტანდარტი შეიმუშავა, რომ ყველა ბაღში უნდა იყოს რამდენიმე მაცივარი, რომლებშიც სხვადასხვა სახის პროდუქტები ცალ-ცალკე იქნება შენახული. ხორცის შენახვას აბსოლუტურად სხვა ტემპერატურა ესაჭიროება, კვერცხს – სხვა და კარაქს კიდევ – უფრო განსხვავებული. პრობლემა იმდენია, ამ მხრივ, რომ ჩამოთვლასაც კი ვერ ავუდივართ. სულ ახალი ფაქტია, რა-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

უხარისხო ამლავენ“

მდენიმე დღის – ბაღების მართვის სააგენტომ შესაბამისი მონიტორინგის განხორციელების დროს აღმოაჩინა მოპარული ხორც-პროდუქტები. რამდენიმე თვის წინათ ერთ-ერთ ბაღში თორმეტი გაფუჭებული ქათამი აღმოაჩინეს, ბაღების მართვის სააგენტომ იქვე გააფორმა გაფუჭებული საკვების განადგურების აქტი და ნაგვის ბუნკერში ჩაყარა, რომ მათი გამოყენება არ მომხდარიყო.

– რაც შეეხება მოპარულ პროდუქტს, ამის დამადასტურებელი ფაქტები არსებობს?

– ბაღებში შესული პროდუქტის ნაწილი ვიღაც-ვიღაცებს სახლში მიაქვთ. ამის ვიდეოფაქტები არსებობს. ეს ვიდეო გადავეცით ბაღების მართვის სააგენტოს, მაგრამ რეაგირება არ მომხდარა.

– რომელ ბაღში დაფიქსირდა მოპარვის ფაქტი?

– ეს ბაღი მდებარეობს ვაკე-საბურთალოს ტერიტორიაზე. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ ამ ფაქტით შესაბამისი უწყებები დაინტერესდებიან, ბუნებრივია, მე დავასახელებ კონკრეტულ ბაღს, სადაც მოპარვის ფაქტი დავაფიქსირეთ. მშობლებს თავიანთი ტელეფონებით ჰქონდათ გადაღებული, როგორ გაჰქონდათ ბაღიდან პროდუქტები თანამშრომლებს. ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ ჩვენ თავად გადავწყვიტეთ შემოწმება აღნიშნული ბაღის, ჩვენი მონიტორინგის ჯგუფი დილიდან საღამომდე დაუდარაჯდა და გვაქვს ვიდეომასალა, სადაც კარგად ჩანს, როგორ გამოდის ბაღის წარმომადგენელი დატვირთული სამსახურიდან, როგორ ალაგებს მანქანაში დახუნძლულ პროდუქტებს. სადარბაზომდე მიჰყვა ჩვენი მონიტორინგის ჯგუფი ამ პიროვნებას და სახლში შეიტანა ბაღიდან წამოღებული პროდუქტები. მსგავს ფაქტებზე მწვავე რეაგირება უნდა ხდებოდეს.

– ბაღების სააგენტო არ აწარმოებს მონიტორინგს მსგავს ფაქტებზე?

– დაიწყო მონიტორინგი, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, საჭიროა გაძლიერებული ყურადღება და მკაცრი რეაგირება. პერიოდულად უნდა ტარდებოდეს მონიტორინგი სხვადასხვა საკვებზე გაკონტროლების მიზნით. მსგავსი არაფერი კეთდება. კვირის ან თვის განმავლობაში უნდა აიღონ სხვადასხვა ბაღიდან საკვების ნიმუშები, რითიც ბავშვებს კვებავენ, უნდა მოხდეს მათი ლაბორატორიული შემოწმება და მშობლებს აუცილებლად უნდა გაეცნოს მათი პასუხები. რაც მთავარია, მსგავსი რეიდები მოულოდნელი უნდა იყოს. ბაღები, სკოლამდელი ასაკის ბავშვების კვება არის აბსოლუტურად ფულის შოვნის გარემო კონკრეტული ადამიანებისთვის. ეს დაუშვებელია.

– როდესაც რომელიმე ბაღში აღმოაჩენთ დარღვევას, გარკვეული პერიოდის შემდეგ ხდება იმ კონკრეტული ბაღის გადამოწმება?

– რა თქმა უნდა. მაგალითისთვის მოგახსენებთ დიდუბე-ჩუღურეთის ბაღს, სადაც შემოწმების შემდეგად აღმოვაჩინეთ გაფუჭებული საქონლის ხორცი. სურსათის უვნებლობის სააგენტომ აღნიშნულ ფაქტზე შეადგინა სამართალდარღვევის აქტი და გადასცა ფინანსურ სამსახურს. შედეგად მოხდა ინდმეწარმის დაპატიმრება, რომელიც მეტრო „სამგორის“ ტერიტორიაზე, კერძო ბინებში ანტისანიტარიულ პირობებში გაფუჭებულ ხორცს ასუფთავებდა და სწორედ ეს უვარგისი პროდუქტი შეჰქონდა ბაღებში ბავშვებისთვის საკვებად. ბევრს ჩვენი აქტიურობა აღიზიანებს, თუმცა მინდა ვთქვა, რომ ჩვენ არ გავჩერდებით და ყველა ასეთ დამნაშავეს აუცილებლად გამოვავლენთ. ჩვენი ორგანიზაცია არავითარ შემთხვევაში არ გაჩერდება, კიდევ უფრო აქტიურ მონიტორინგს განვახორციელებთ საკვებ პროდუქტებზე.

– ქურდობის ფაქტები რამდენად ხშირია?

– ძალიან ხშირია. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ადგილას ვიდეოკამერები დამონტაჟდა, მოპარვის ფაქტების შემცირებისა და საბოლოოდ აღმოფხვრის მიზნით, მაინც ხდება ბაღებიდან პროდუქტის გატანა. ბათუმში, სადაც ვიდეოკამერები იყო დამონტაჟებული, 7 კილო ხორცის მოპარვა მაინც მოახერხა თანამშრომელმა.

– როგორ, არ იცოდა კამერების არსებობის შესახებ?

– 15 კილო ხორცი, რომელიც კონკრეტული ბაღის აღსაზრდელებისთვის იყო გამიზნული, მზარეულმა მოათავსა ქვაბში და იქიდან ამოიღო მხოლოდ და მხოლოდ 6,5 კილო ხოცი. გჯერათ, რომ ამ მზარეულმა მართლაც 15 კილო ხორცი მოათავსა ქვაბში? რეალურად მან 7 კილო ხორცი გამოიყენა ბავშვებისთვის, დანარჩენი 8 კილო წაიღო სახლში და აჭამა თავისი ოჯახის წევრებს. ზოგიერთი ბაღის უნამუსო გამგე დღეს ასე შოულობს, ხელფასის გარდა, შემოსავალს. ბავშვების საკვების ფულს ჯიბეში იდებენ, შესაბამისად, არამიზნობრივად ხარჯავენ საბიუჯეტო თანხებსაც. თავად ფაქტი, რომ ბაღი დღეს უფასოა და მშობელს აღარ უწევს ფიქრი იმაზე, რა აჭამოს და რა მიუტანოს ბაღში შვილს, ძალიან კარგია, მაგრამ მაღელვებს ის, რომ დღეს ბაღებში უხარისხო პროდუქტი შედის და ბავშვებს წამლავენ. ბავშვები უნდა იკვებებოდნენ უმაღლესი ხარისხის საკვები პროდუქტებით და არა იმ ქიმიური მინარევებითა და საწამლავებით, რომლებიც ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობაზე უარყოფითად აისახება.

– რამდენად პოპულარულია ბაღებში თევზი, სახელწოდებით პანგასიუსი?

– პანგასიუსი, პირდაპირ გეტყვით, საშინელებაა. სად და როგორ იზრდება ეს თევზი, დეტალები რომ გაარკვიოთ, ნამდვილად მიხვდებით, რასაც ვგულისხმობ. მდინარე, სადაც ამ თევზს იჭერენ ეკოლოგიურად ერთ-ერთი ყველაზე დაბინძურებული მდინარეა მთელ მსოფლიოში. ამ თევზის მიღებაზე ბევრი ქვეყანა საერთოდ უარს აცხადებს. შესაბამისად, პანგასიუსი ვრცელდება ისეთ ქვეყნებში, სადაც არც ლაბორატორიული შემოწმება ხდება და არც კვლევა.

ვასაძის 5 ელფერი

მირიან ბოქოლიშვილი

ლევან ვასაძის ბოლო სატელევიზიო გაელვებამ, პუტინთან დაახლოებული ქართველი ბიზნესმენის, მიხეილ ხუბუტიას ნათქვამი გამახსენა. ხუბუტიასთან ინტერვიუ ორიოდე თვის წინ ჩავწერე და ლევან ვასაძის შესახებაც ვკითხე.

„სბერბანკის“ პრეზიდენტმა, გერმან გრეფმა და მე სულ ახლახან შევსვით ლევან ვასაძის სადღეგრძელო“, – ამბობდა ხუბუტია. სიმართლე გითხრათ, მაშინაც არ გამკვირვებია, თუ რატომ სვამდნენ რუსეთში ვასაძის სადღეგრძელოს, მაგრამ ამერიკელების მიერ კიევის ცენტრის გადაწვის შესახებ გაკეთებულმა განცხადებამ, კიდევ უფრო გაამყარა ჩემი აზრი ამ პიროვნების შესახებ.

როდესაც კიევის ცენტრის გადაწვას – ამერიკის, 2008 წლის ომის დაწყებას კი საქართველოს „დამსახურებად“ მიიჩნევ, ცხადია, მოსკოვში შენს სადღეგრძელოს დალევენ, თანაც ფეხზე წამომდგარი. არც იმაშია რაიმე გასაკვირი, რომ მას არასდროს ჰქონია კონფლიქტი პუტინის ოლიგარქებთან.

„ლევანი ჩემს მეგობართან მუშაობდა, სწორედ მისი მეშვეობით გავიცანი ის. მას არასდროს ჰქონია რუსეთში კონფლიქტი. იცოდა თავისი საქმე, როგორ უნდა ეკეთებინა ბიზნესი. მის მიმართ აქ ყველა კარგად იყო და არის კიდეც განწყობილი“, – ამბობს ხუბუტია.

პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი ვასაძის პიროვნებას კარგად იცნობს. ის ბიზნესმენის ლექტორიც იყო. „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ცისკარიშვილი გაკვირვებას გამოთქვამს ყოფილი სტუდენტის ბოლოდროინდელი განცხადებების გამო.

სოსო ცისკარიშვილი, ექსპერტი:

– ჩემთვის ლევან ვასაძე არ გახლავთ მხოლოდ ტელეეკრანიდან გაცნობილი ადამიანი. ის იყო ჯერ ჩემი სტუდენტი, შემდეგ ჩემი თანამშრომელი საგარეო ურთიერთობათა სახელმწიფო კომიტეტში. კარგად ვიცნობ მის ოჯახს. რაიმე სწრაფვას პოლიტიკისადმი ვერ ვატყობდი. ამ კაცმა ლამის ხატზე დაიფიცა, რომ პოლიტიკური ამბიციები არ აქვს, თუმცა კითხვები მაინც ჩნდება. კატეგორიულად არ ვიზიარებ ლევანის მოსაზრებას, რომ კიევის ცენტრი ამერიკელებმა გადაწვეს. მიკვირს მისი ასეთი შეფასება, თუმცა ბევრ იმ საკითხზე სიამოვნებით ვისაუბრებდი მასთან, რასაც ჰქვია საუკეთესოს წამოღება ჩვენი პარტნიორებისგან. ამა თუ იმ ვექტორის რადიკალიზაცია არ შეიძლება და ეს საკმაოდ მეტი საფრთხის შემცველია“, – ამბობს ცისკარიშვილი.

ლევან ვასაძემ განათლება „გარყვნილ“ დასავლეთში, კერძოდ, შეერთებულ შტატებში მიიღო. 90-იანი წლებში კი რუსეთს მიაშურა და ბიზნესი წამოიწყო. 1998 წელს ის ხდება კორპორაცია „სისტემას“ ვიცე-პრეზიდენტი. „სისტემა“ ერთ-ერთი ყველაზე დიდი რუსული კომპანიაა, რომელიც ბევრ სხვადასხვა სფეროშია წარმოდგენილი. კომპანიის დამფუძნებელი და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ვლადიმირ ევტუშენკოვი რუსული ოლიგარქიული ელიტის ერთ-ერთი გავლენიანი წევრია. მას აქვს პირადი კონტაქტები, როგორც ვლადიმერ პუტინთან, ისე პოსტსაბჭოთა ქვეყნების სხვა ლიდერებთან.

რუსეთში გამდიდრებული ვასაძე 2008-2009 წლებში ბრიტანეთში ცხოვრობდა, 2009 წელს კი საქართველოში დაბრუნდა, თუმცა, როგორც პრესაში იწერება, რუსეთში მას კვლავ აქვს აქტიური ბიზნესი – 2010 წლის იანვარში ვასაძემ მოსკოვში ჩამოაყალიბა პირდაპირი ინვესტიციების ფონდი – Prometheus Capital Partners.

საქართველოში დაბრუნებული ვასაძე ააქტიურებს კონტაქტებს როგორც მღვდელმსახურებთან, ისე ბაგრატიონთა სამეფოს შტოსთან, რომელმაც მას რაინდის ტიტულიც კი უბოძა. საზოგადოების ნაწილი ეჭვობს, რომ ვასაძე პოლიტიკაში შემოსვლისთვის ნიადაგს იმზადებს და ამ მიზნის მისაღწევად ეკლესიის მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობს. ის, ერთი მხრივ, მოითხოვს „სააკაშვილის კრიმინალური რეჟიმის გასამართლებას“, მეორე მხრივ, უპირისპირდება მმართველი გუნდის ყველაზე უფრო პროდასავლურ ძალებს. აშკარაა, რომ ამით ვასაძე პოლიტიკური ველის გასუფთავებას ცდილობს და სასურველ მომენტს ელის. ეს მომენტი კი დადგება მაშინვე, როგორც კი „ქართული ოცნება“ პოპულარობას დაკარგავს. არსებული პოლიტიკური ძალებისგან იმედგაცრუებულ საზოგადოებას ვასაძე ქვეყნის გადარჩენის საკუთარ რეცეპტს შესთავაზებს და, სავარაუდოდ, პოლიტიკაში მოსვლის გადაწყვეტილებას გარდაუვალი აუცილებლობით ახსნის – ქვეყანა იღუპება და არ მაქვს უფლება, კვლავ გარედან ვუყურო ამ ყველაფერს.

საბოლოოდ კი, ქვეყნის გადარჩენის ნაცვლად, შესაძლოა, კრემლში დაწერილი პროექტი შეგვრჩეს. ამის საფუძველს იძლევა 2013 წლის მარტში მის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომი, რომელიც ცალსახად ანტიდასავლური პათოსითა და რუსული იდეოლოგიითაა გაჯერებული.

„ერთმორწმუნე რუსები კულტურულადაც და ზნეობრივადაც ჩვენი მტრები კი არა, ჩვენი მოკავშირეები არიან“, – ასეთია ვასაძის ნაშრომის დედააზრი. რუსეთში გამდიდრებული ბიზნესმენი მიიჩნევს, რომ ამერიკელებს ღმერთის ნაცვლად მასონებისა და ფულის სწამთ, მის რისხვას იმსახურებენ კათოლიკეები, რომლებსაც მართლმადიდებლების მტრებად მოიხსენიებს. ვასაძე საჯარო გამოსვლებში პირდაპირ, თუ ირიბად ცდილობს, საზოგადოება დასავლეთის გახრწნილობასა და საქართველოში პროდასავლური ძალების განადგურების აუცილებლობაში დაარწმუნოს.

ექსპერტების ნაწილი დარწმუნებულია, რომ ვასაძე რუსული პროექტია, რომელიც პოლიტიკაში საკუთარი როლის გააქტიურებას მოთმინებით ელოდება. როდის გამოჩნდება ის რეალურ პოლიტიკურ ტატამზე, ამის თქმა რთულია, თუმცა ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ის პოლიტიკური ლიდერობისკენ ისწრაფვის. ამჟამად ვასაძე საკუთარ შეფასებებში სრულიად თავისუფალია და არც რაიმე პასუხისმგებლობა ეკისრება, მაგრამ რა მოხდება, თუ ის ქვეყნის მართვის სადავეებს აიღებს ხელში? მისი რიტორიკიდან გამომდინარე ამ კითხვაზე პასუხი არცთუ ისე ძნელია – დასავლეთთან კავშირის გაწყვეტა და სრული იზოლაცია. ცხადია, ეს იქნება საქართველოში რუსეთისა და პრორუსული ძალების საბოლოო გამარჯვების უტყუარი ნიშანი.

მისი ხედვა და რეალური ცხოვრება საკმაოდ წინააღმდეგობრივიცაა: 1. ის ამბობს, რომ არ არის პრორუსი, მაგრამ ოკუპანტ ქვეყანას ჩვენს მოკავშირედ განიხილავს და არა მტრად. ეს გასაგებიცაა, რადგან მილიონებად შეფასებული მისი კაპიტალის ძირითადი ნაწილი, სწორედ ერთმორწმუნე რუსეთში ინახება; 2. ამერიკას მასონებისა და გარყვნილების ქვეყნად ახასიათებს, თუმცა თავად განათლება სწორედ ამერიკაში აქვს მიღებული; 3. მოითხოვს „სააკაშვილის 9-წლიანი კრიმინალური რეჟიმის“ გასამართლებას, თუმცა თავად ამ 9 წლის განმავლობაში ხმა არ ამოუღია; 4. საკუთარ თავს ხელისუფლების მხარდამჭერად მოიაზრებს, თუმცა შანსს არ უშვებს, რომ საჯარო გამოსვლებში მმართველ გუნდში შემავალი პროდასავლური ძალები ანტიეროვნულ ქმედებებში არ დაადანაშაულოს; 5. გვევლინება, როგორც მართლმადიდებლობის დამცველი, თუმცა ეს ხელს არ უშლის, გაამართლოს, ან წააქეზოს ისეთი ძალადობრივი და ანტიჰუმანური ქმედებები, როგორიც 2013 წლის 17 მაისს თბილისში განვითარდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნლის ტრანსპლანტაცია მსხვერპლით დასრულდა!!!

ირაკლი მამალაძე

ნლის ტრანსპლანტაციად მონათლული ოპერაცია, რომელიც ინგოროყვას კლინიკაში ჩატარდა, მსხვერპლით დასრულდა. რა თქმა უნდა, მსგავსი ფატალური შედეგისგან დაზღვეული არავინ არის. ის, რომ შედეგად სიკვდილიც შეიძლება დამდგარიყო, ამის შესახებ ინფორმაციას პაციენტი ფლობდა. ინგოროყვაში განმარტავენ, რომ ოჯახს პრეტენზიები არ ჰქონია. თავისთავად, ეს ვითარება ჩვენთვის გასაგებია.

არის შემთხვევები, როცა პაციენტი თავის თავზე იღებს რისკებს, რისკავს და ეს მისი არჩევანია. ამ ფაქტით ჩვენ სხვა მიზეზით დავინტერესდით. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ინგოროყვას კლინიკამ კონკურენციის მიზნით იჩქარა და ოპერაცია, რომელიც ჩაატარა, წარმატების მცირე გარანტიას იძლეოდა. მაგრამ პირველობის სურვილმა, იმძლავრა და ღვიძლის გადანერგვის ოპერაცია პირველად სწორედ თბილისში, ინგოროყვას კლინიკაში ჩატარდა. როცა მედიაში ეს ფაქტი გაპიარდა და მას წარმატებული უწოდეს, პაციენტი უკვე გარდაცვლილი იყო. ის, რომ გარდაცვალება დადგა, ამის შესახებ მოგვიანებით ითქვა და ისიც მხოლოდ ერთ-ერთ ჟურნალში, სხვა სახის განმარტებები ან კომენტარები არ გაკეთებულა.

„პრაიმტაიმს“ სურდა, პაციენტის ოჯახიც ჩაეწერა, თუმცა, ინგოროყვას კლინიკამ მათთან ვერ დაგვაკავშირა. გასაგები მიზეზის გამო – უფლება არ აქვთ. ასეთი ოპერაციების შემთხვევაში პაციენტის ვინაობა დახურულია.

მივყვეთ მოვლენებს. რატომ შეირჩა პაციენტი, რომელზეც რისკის ფაქტორი მაღალი იყო? კონკურენციის გამო? აქვე გავშიფრავთ, რას ვგულისხმობთ კონკურენციაში. ღვიძლის ტრანსპლანტაციისთვის თბილისში ინგოროყვას კლინიკა ემზადებოდა, ბათუმში – „ალდაგის“. ინგოროყვამ „ალდაგს“ ორი კვირით „დაასწრო“.

„პრაიმტაიმს“ ვრცელი განმარტება მისცეს იმის შესახებ, როგორ შეირჩა დონორი პაციენტისთვის. და საერთოდ, როგორ მოხდა წყვილების შერჩევა. როგორც ირკვევა, ზოგმა უარი თქვა, ზოგიერთ შემთხვევაში დონორი არასრულწლოვანი იყო, რასაც ქართული კანონმდებლობა კრძალავს. საბოლოოდ შეირჩა ის, ვისაც ჯანმრთელობის სხვა სერიოზული პრობლემები ჰქონდა. როგორც აგვიხსნეს, საოპერაციოდ ის თავად პაციენტის დაჟინებული მოთხოვნით შეირჩა.

თუმცა, მივყვეთ მოვლენებს.

არსებული ინფორმაციით, თბილისში ცოცხალი ღვიძლის გადანერგვა თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას კლინიკის ერთობლივი სამედიცინო პროექტის ფარგლებში დაიგეგმა. როგორც უნივერსიტეტის რექტორი ზურაბ ვადაჭკორია აცხადებს, ამ ურთულეს ოპერაციაში, ქართულ მხარესთან ერთად, იაპონიის ნაგასაკის სამედიცინო სკოლა და ნიდერლანდების ერასმუსის სამედიცინო ინსტიტუტი მონაწილეობდნენ. მოლაპარაკებები რამდენიმე წელი გრძელდებოდა.

„ჩვენთან გაპიარდა არა ეს კონკრეტული ფაქტი, არამედ ამ პროგრამის დაწყება, ანუ ის, რომ ასეთი ოპერაციების გაკეთება დაიწყო... დაიწყო საქართველოში ეს ოპერაციები და ეს კარგია“

როგორც „პრაიმტაიმისთვის“ გახდა ცნობილი, ოპერაცია ინგოროყვას კლინიკაში 14 საათი მიმდინარეობდა. პაციენტი ამავე კლინიკამ შეარჩია. როგორც ირკვევა, შუახნის მამაკაცი სამედიცინო ცენტრში გადიოდა მკურნალობის კურსს. ღვიძლის გადანერგვა იაპონელმა პროფესორმა, ქართველ კოლეგებთან ერთად, 12-კაციანი ბრიგადით ჩაატარა. პაციენტი პოსტოპერაციულ პერიოდში მეექვსე დღეს გარდაიცვალა. 14-საათიანი ოპერაციის დასრულების შემდეგ, მედიასთან კლინიკის ხელმძღვანელმა გოჩა ინგოროყვამ და ოპერაციაში მონაწილე სხვა ექიმებმა ტრანსპლანტაცია დადებითად შეაფასეს, თუმცა საბოლოოდ ცოცხალი ღვიძლის გადანერგვა ფატალურად დასრულდა.

აღნიშნული ოპერაციის დეტალებზე „პრაიმტაიმი“ კლინიკის პრესსამსახურს ესაუბრა.

განმარტებები ლელა მანაგაძემ გააკეთა:

– ქალბატონო ლელა, როგორც გავიგეთ, ინგოროყვას კლინიკაში ჩატარებული უნიკალური ოპერაციის შედეგად პაციენტი დაიღუპა...

– იცით, როგორ არის? იქნებ პაციენტის ოჯახისგან ავიღოთ ნებართვა, თუ ისინი აპირებენ საუბარს ამ თემაზე...

– ჩვენ გვაინტერესებს, უბრალოდ, პაციენტი ამ უნიკალური ოპერაციის შემდეგ დაიღუპა?

– იცით, როგორ არის? პაცი-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ა სკანდალური ეხვევა

კონკურენცია თუ უბრალო შემთხვევითობა

ენტი არ დაღუპულა ტრანსპლანტაციის გამო. მას ჰქონდა სხვა პათოლოგიები და თვითონ მისი ოჯახის წევრები მოვიდნენ თხოვნით... პატრონი თუ მოგვცემს უფლებას, რომ ვილაპარაკოთ ამ თემაზე, კი ბატონო.

– პატრონი რა შუაშია ამ შემთხვევაში, კლინიკამ ხომ გადაწყვიტა და შეარჩია სასურველი პაციენტი?

– პაციენტი ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო, პატრონი იყო თვითონ თხოვნით მოსული, მათ არ შეეძლოთ მისი წაყვანა, და რადგან ჩვენ ვაპირებდით და ადრე გვქნოდა მოლაპარაკებები, სწორედ ამ პაციენტის გამო განახლდა ეს მოლაპარაკებები, თხოვნის სახით, რომ ჩამოსულიყვნენ, იმიტომ რომ პაციენტის პატრონის ძალიან დიდი თხოვნა იყო, რომ მაინც გვიკვდებაო და იქნებ როგორმე...

– მაინც გვიკვდება და იქნებ როგორმე თქვენ მოკლათო? თუ როგორ არის?

– არა, ასე არ ყოფილა, იქნებ როგორმე რამე ეშველოსო.

– ქართველი ექიმები თუ მონაწილეობდნენ ამ ოპერაციაში?

– იცით, როგორ იყო? მას მისი გუნდი ჰყავს.

– დაფინანსება ვისი მხრიდან გაკეთდა?

– კლინიკის მხრიდან, პაციენტს არაფერი გადაუხდია.

– და ამ პაციენტზე რატომ შეჩერდით?

– არა, ჩვენ კი არ შევჩერდით ამ პაციენტზე, და ამაზე კი არ არის, უბრალოდ ეს საქმე უნდა აეწყოს საქართველოში, რადგან ძალიან ძვირადღირებულია და ქვეყნიდან ვერ ახერხებს ხალხი გასვლას, მიხვდით რაშია საქმე, ჩვენთან სხვა ბევრი ოპერაციაც კეთდება, ახლა ჩატარდა გულზე ოპერაცია ლაპარასკოპიით, მაგრამ ასეც ხდება ხოლმე...

– აპირებთ კიდევ ღვიძლის ტრანსპლანტაციის ოპერაციების ჩატარებას?

– ძალიან ბევრი რამ კიდევ არის გასაკეთებელი, რა თქმა უნდა, ვაკეთებთ და რა თქმა უნდა, ვაპირებთ.

ინგოროყვას კლინიკის პრესსამსახურის უფროსმა თავდაპირველად მოგვცა პირობა, რომ პაციენტის ოჯახთან მოგვეცემოდა გასაუბრების საშუალება. თუმცა მოგვიანებით, როგორც მან განაცხადა, კონფიდენციალობის დაცვის მიზნით, ოჯახმა ამ თემაზე საუბარი არ ისურვა. გარდაცვლილი პაციენტის ოჯახს ინგოროყვას კლინიკაში ფატალურად დასრულებული ოპერაციის ფაქტზე, ამ ეტაპზე, გამოძიების მოთხოვნით არ მიუმართავს ჯანდაცვის სამინისტროს რეგულირების სააგენტოსთვის. „პრაიმტაიმი“ ამ თემასთან დაკავშირებით, ჯანდაცვის რეგულირების სააგენტოს დაუკავშირდა. გაინტერესებდა, მიმდინარეობს თუ არა აღნიშნულ ოპერაციასთან დაკავშირებით მოკვლევა. **ამ საკითხზე ჩვენს კითხვებს პასუხობს თემურ პირველაშვილი, რეგულირების სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილე:**

– რეგულირების სააგენტოში აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით განცხადება ან საჩივარი არ შემოსულა. ჩვენთვის, ასევე, უცნობია ამ ოპერაციის დეტალები და ამ ეტაპზე მოკვლევა არ მიმდინარეობს.

– ბატონო თემურ, როგორც მივხვდი, ჩვენ ვართ პირველწყარო, ვინც აღნიშნულ ინფორმაციას გაწვდით და, შესაბამისად, ამ ინფორმაციის საფუძველზე გაქვთ თუ არა ვალდებულება, დაიწყოთ მოკვლევა?

– დიახ, აღნიშნული შემთხვევა მართლაც საყურადღებოა. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვგეგმავთ ამ შემთხვევის შესწავლას. პაციენტის ოჯახისგან რომ შემოსულიყო საჩივარი, პროცედურებს დავიწყებდით, თუმცა რახან ასეთი საჩივარი არ შემოსულა, იძულებულები ვართ, სასამართლოს მივმართოთ, რათა მოვიპოვოთ ნებართვა, რომ შევიდეთ, დავიწყოთ მოკვლევა ამ ფაქტთან დაკავშირებით.

„პრაიმტაიმთან“ რამდენიმე განმარტება კლინიკის გენერალურმა დირექტორმა გოჩა ინგოროყვამაც გააკეთა. ის საგანგებოდ შეგვხვდა იმისთვის, რომ აეხსნა, რა მნიშვნელობა აქვს ასეთი ოპერაციების ჩატარებას საქართველოსთვის. რა თქმა უნდა, ჩვენ მას სრულიად ვეთანხმებით და მის პათოსსაც ვიზიარებთ. იმასაც ვაღიარებთ, რომ ინგოროყვას კლინიკაში ბევრი საკმაოდ რთული ოპერაცია წარმატებულად ჩატარდა. თუმცა, ჩვენ მაინც დავინტერესდით, რატომ მოხდა წარუმატებელი ოპერაციის წარმატებულად გაპიარება.

– პაციენტს სხვა პათოლოგიებიც ჰქონდა, რომელიც ღვიძლისგან იყო გამოწვეული....

– ბატონო გოჩა, ვიცით, რომ პაციენტს ხელი ჰქონდა მოწერილი შესაბამის დოკუმენტებზე და იცოდა, რომ ასეთი შედეგი შეიძლება დამდგარიყო. ჩვენ სხვა საკითხი გვაინტერესებს: ეს ოპერაცია გაპიარდა, როგორც წლის ტრანსპლანტაცია, რეალურად ოპერაცია წარუმატებელი აღმოჩნდა...

– კი, გაპიარდა და გაპიარდა იმიტომ კი არა, რომ ჩვენ ეს ფულის გამო გავაკეთეთ. გაპიარდა იმიტომ, რომ 40 პაციენტმა გაიარა იმ იაპონელი ქირურგის ხელში, მან ჩამოიყვანა თავისი ბრიგადა, ანესთეზიოლოგებიც კი. 20 ათასი ლარის სამედიცინო იარაღები ვიყიდეთ, მაგრამ მაინც თავისი ჩამოიტანეს. მერე ჩვენმა აჯობა და ჩვენი იარაღებით გააკეთეს; გაპიარდა იმიტომაც, რომ ეს იყო უნიკალური ოპერაცია. ბათუმშიც ხომ გაკეთდა და გულშემატკივრობდით, რომ ის მაინც გადარჩენილიყო.

„ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲙᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲘᲙᲔᲗᲔᲑᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲕᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲐᲕᲘ ᲐᲜ ᲕᲘᲜᲛᲔᲡ ᲓᲐᲕᲐᲡᲬᲐᲠᲘᲗ... ᲑᲐᲗᲣᲛᲗᲐᲜ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ... ᲠᲐ ᲣᲐᲖᲠᲝᲑᲐᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘᲐ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲛᲘᲓᲒᲝᲛᲔᲑᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲐᲠᲐ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲒᲕᲔᲥᲜᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲐᲑᲡᲣᲠᲓᲘᲐ“

– ბატონო გოჩა, პირველად ბათუმში ჩატარდა ღვიძლის გადანერგვის ოპერაცია თუ თქვენს კლინიკაში?

– პირველად ჩვენ გავაკეთეთ, მაგრამ განსხვავება ის იყო, რომ იქ ახალგაზრდა და-ძმა იყო. რა თქმა უნდა, გაგვიხარდა, იქ ოპერაცია ნარმატებით რომ ჩატარდა. სხვაგანაც კეთდება, ჩვენც გავაკეთებთ. ეს დარგი წინ უნდა წავიდეს. ასეთი ფორმით დაავადებულთა დიდი ნაწილი კვდება და ეს პრაქტიკა ჩვენშიც უნდა დაინერგოს... პაციენტი ჩვენი მიზეზით არ დაღუპულა... დაიღუპა თავის დაავადებით... ჩვენთან გაპიარდა არა ეს კონკრეტული ფაქტი, არამედ ამ პროგრამის დანყება, ანუ ის, რომ ასეთი ოპერაციების გაკეთება დაიწყო... დაიწყო საქართველოში ეს ოპერაციები და ეს კარგია.

– თუ შეიძლება, ერთ კითხვას დაგისვამთ. ბათუმიც ემზადებოდა ამ ოპერაციისთვის და თქვენი კლინიკაც, რახან თქვენთან პირველად გაკეთდა, ხომ არ დაასწარით ბათუმს და პაციენტი ხომ არა შეარჩიეთ ნაჩქარევად?

– ეს გამომძიებლის კითხვებია უკვე... ერთი წელია ვარჩევთ პაციენტებს და არსებობს პროტოკოლი, რომ ეს კლინიკა მზად არის ტრანსპლანტაციისთვის. ეს 9 თვის წინ დაიწერა... ოპერაცია იმიტომ კი არ გაკეთებულა, რომ მე პირველი ვყოფილიყავი ან ვინმეს დავასწარით... ბათუმთან ჩვენ მეგობრული კავშირები გვაქვს... რა უაზრობა ჩვენს საქმეში კონკურენცია. ასეთი მიდგომები საერთოდ არა გვაქვს და არც არასოდეს გვექნება. ეს აბსურდია.

გოჩა ინგოროყვას განმარტებით, პაციენტის ოჯახიც და დონორიც და პაციენტიც ინფორმირებულები იყვნენ რისკების თაობაზე. მისი განმარტებით, პაციენტს მაინც ჰქონდა იმედი, რომ წარმატებით დასრულდებოდა ოპერაცია. თუმცა, ასეთი შედეგი დადგა.

14-ᲡᲐᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲛᲔᲓᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲛᲐ �გᲝᲩᲐ ᲘᲜᲒᲝᲠᲝᲧᲕᲐᲛ ᲓᲐ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲡᲮᲕᲐ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲛᲐ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲐ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲐᲓ ᲨᲔᲐᲤᲐᲡᲔᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲦᲕᲘᲫᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐ ᲤᲐᲢᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

კულტურის სამინისტრო vs „მანდარინები“

ხათუნა მგალობლიშვილი

„ოსკარიდან“ დაბრუნების შემდეგ „მანდარინების“ მსახიობები, ჯილდოს სახით, ფულად პრემიას მიიღებენ. კულტურის სამინისტრომ გადაწყვეტილება უკვე მიიღო, თუმცა მის მიღებამდე მიხეილ გიორგაძეს გიორგი ნაკაშიძის სკანდალური „სფიჩის“ მოსმენა მოუწია. შესაბამისად, უცნობია სამინისტროში ფულადი პრემიის იდეა ნაკაშიძის აღშფოთების მოსმენამდე მიიღეს თუ მას შემდეგ... მსახიობების „სხვა შუადღეში“ გამოსვლის შემდეგ კულტურის მინისტრს ახსნა-განმარტების მიცემა რამდენჯერმე მოუწია. გიორგაძე ყოველ ჯერზე ერთსა და იმავეს იმეორებდა, რამდენიც მოითხოვეს, იმდენი მიიღესო. „მანდარინების“ დამდგმელმა რეჟისორმა და პროდიუსერმა „ოსკარის“ ცერემონიაზე დასასწრებად სამინისტროს მსახიობების მგზავრობის, ვიზისა და ყოველდღიური სახარჯო ფულის ანაზღაურება სთხოვა. თხოვნა, როგორც სამინისტროში აცხადებენ, ასევე პროცენტით შესრულდა: ზაზა ურუშაძეს 18 დღისთვის გამოეყო – 1080 დოლარი. ანუ დღეში 60 ამერიკული დოლარი. მსახიობებს მიშა მესხსა და გიორგი ნაკაშიძეს ყოველდღიურად – 420 დოლარი თითოეულს. მათი ბილეთებისთვის – 2236 დოლარი, გიორგი ნაკაშიძის ვიზისთვის – 160 დოლარი. მთლიანი თანხა 5395 დოლარს შეადგენს, ლარებში კი – 10 301 ლარსა და 25 თეთრს. გამოდის, გიორგი ნაკაშიძესა და მიშა მესხს ყოველდღიურად გაცილებით მეტი თანხის დახარჯვის საშუალება ექნებათ, ვიდრე ფილმის რეჟისორსა და პროდიუსერს. რაც შეეხება სასტუმროს, მათი უზრუნველყოფა თავის თავზე ესტონურმა მხარემ აიღო. შესაბამისად, „ოსკარის“ დაჯილდოების ცერემონიამდე რომელიმე კაფეში მიშა მესხი კირა ნაითლის თუ გადააწყდება, გაიცნობს და ჭიქა ყავაზე დასთანხმდება, მსახიობს ფსიქოლოგიური პრობლემა ნამდვილად აღარ შეექმნება. ეს გიორგი ნაკაშიძის ერთ-ერთი მოთხოვნა იყო, რომელმაც, ასევე, პირდაპირ ეთერში სტუმრობისას განაცხადა: „მიშკა კომუნიკაბელური პიროვნებაა, იქ რომ კაფეში კირა ნაითლი შეხვდეს, ყავაზე დაპატიჟოს, ფსიქოლოგიური პრობლემა ხომ არ უნდა შეექმნას?“

ამერიკიდან დაბრუნებულებს თანხის რა ოდენობით დააჯილდოებენ, ეს ჯერჯერობით უცნობია. თუმცა მინისტრი პირობას დებს, რომ უკმაყოფილო არავინ დარჩება.

რამდენი გადაურიცხა მერიამ „მანდარინების“ მსახიობებს

მიშა გიორგაძე, კულტურის მინისტრი: „გიორგი ნაკაშიძის მიერ საკმაოდ ირონიულად იყო მოხსენიებული ის საღამო, რომელიც სამინისტრომ მოაწყო. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თავად გადასცა ზაზა ურუშაძესა და გიორგი ოვაშვილის მეუღლეს ყველაზე მაღალი ჯილდოები, რაც კი კულტურის სამინისტროში არსებობს. რაც შეეხება ფულს, ცნობილია, რომ რაც ზაზამ მოითხოვა, 100%-ით დაფინანსდა. საუბარი იყო იმაზე, რომ ეს ცოტა იყო და ამბობდნენ, ჩვენ რომ არ გვეთხოვა, თავად ვერ უნდა მოეფიქრებინათო... ჩვენ მოვიფიქრეთ. საღამოზე, სადაც ზაზა ურუშაძესა და გიორგი ოვაშვილს ჯილდოები გადაეცათ, ზაზასთან ერთად მოვილაპარაკეთ, რომ, როდესაც ამერიკიდან დაბრუნდებოდნენ, ერთად გავაცხადებდით, რაში გამოიხატებოდა ჯილდო, იქნებოდა ეს გარკვეული საპრემიო ფონდი, ახალი პროექტის დაფინანსება თუ კიდევ სხვა რამ... ზაზა არის ფილმის პროდიუსერი და რეჟისორი, ადამიანი, რომელიც ჯგუფის შიდა ორგანიზებულობას ასახავს. ამიტომ, მასთან ერთად, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მიუხედავად იმისა, რა შედეგით დაბრუნდებიან ამერიკიდან, მიგვაჩნია, რომ ეს უკვე დიდი წარმატებაა და ჯეროვნად უნდა აღინიშნოს. შესაბამისად, სანამ ასე არტისტულად მოხდებოდა თემის გახმოვანება, გიორგის ძალიან მარტივად შეეძლო საკუთარ პროდიუსერთან გადაემოწმებინა, მართლაც ასე უყურადღებოდ დავტოვეთ, მადლობების, „სფიჩებისა“ თუ სიმბოლური ჯილდოების ამარა, თუ კიდევ რამე იქნებოდა. მას ასევე გადამოწმება შეეძლო ჩემს პირველ მოადგილესთან, რომელსაც ბავშვობიდან იცნობს. ვფიქრობ, ეს წმინდა შიდა ორგანიზებულობის არარსებობის პრობლემაა. როცა დაბრუნდებიან, ყველაფერს ძალიან ლამაზად და კარგად გავაკეთებთ და ნამდვილად არავინ დარჩება უკმაყოფილო“.

მსახიობი გიორგი ნაკაშიძე მიიჩნევს, რომ ყურადღება მას სწორედ ამერიკაში გამგზავრებამდე სჭირდებოდა, რადგან „ოსკარის“ ცერემონიის დრესკოდი მკაცრად გაწერილ წესებს შეიცავს, რომლის უზრუნველყოფაც საკმაოდ სერიოზულ ფინანსებთან არის დაკავშირებული.

გიორგი ნაკაშიძე: „ოსკარზე“ გამგზავრება არ არის მხოლოდ ის, რომ თვითმფრინავში ჩაჯექი და წახვედი, ეს არის დრესკოდი, მდგომარეობა, ელემენტარული ფინანსი, რომ ჯიბეში გედოს... „ოსკარზე“ ნომინირებული ფილმის მსახიობების მუშაობა კულტურის სამინისტრომ არაფრით აღნიშნა და მათ არც ამერიკის კინოაკადემიის დაჯილდოების ცერემონიაზე დასასწრები თანხები გამოუყო. ის, რომ მსახიობები ვართ და ტელევიზიით გამოვდივართ, არ ნიშნავს, რომ ფული გვაქვს“.

რაც შეეხება დრესკოდს, მსახიობების გარეგნობაზე უსასყიდლოდ იზრუნეს კონკრეტულმა პროფესიონალებმა. მანამდე კი „ოსკარის“ დრესკოდის მრავალწლიანი ისტორიის შესწავლა მოუწიათ, პრობლემების თავიდან აცილების მიზნით.

ირაკლი ბოჭორიშვილი:

– გიორგი და მიშა ძალიან ახლობლების მეშვეობით დაგვიკავშირდნენ. დრო ორი კვირა გვქონდა და ძალიან ბევრი წლის „ოსკარის“ ჩაცმულობის შესწავლა მოგვიხდა. ვაკვირდებოდით ყველა დეტალს, როგორი ფეხსაცმელი ეცვათ, როგორი ბაფთა თუ ვარდი ეკეთათ. გიორგის ვარიანტში ყველა იდეა აბსოლუტურად ჩვენი იყო. მისი პიროვნებიდან გამომდინარე, ჩაცმულობა კლასიკურ სტილში გადაწყდა, შესაბამისი იყო ფეხსაცმელიც. რაც შეეხება მიშას, ის თავადაც აქტიურად ჩაერთო პროცესში, გვანვდიდა იდეებს და ჩვენც გავითვალისწინეთ მისი იდეები. მისი სტილი უფრო „ხმაურიანია“. სხვათა შორის, სხვადასხვა წლების დაჯილდოებები რომ დავათვალიერეთ, ჩვენ რომ გვგონია, ჩაცმულობა აუცილებლად კლასიკური უნდა იყოს, ასეც არ არის. მიშას უნდოდა მოკალომო ტიპის ლაკის ფეხსაცმლით გასულიყო წითელ ხალიჩაზე და ამასაც გაბედვა უნდა.

– ეს უსასყიდლო მომსახურება იყო?

– ეს საჩუქარია და ამაზე საუბარიც კი არ ღირს. მთავარია, რომ ორივემ ძალიან კომფორტულად იგრძნონ თავი და ორივეს ძალიან მოეწონა ჩვენი ნამუშევრები. მთავარი ეს არის.

ვიზუალის გარდა, როგორც ცნობილი გახდა, გიორგი ნაკაშიძეს ფინანსური დახმარება გაუწია ერთმა საჯარო უწყებამ და ერთმა კერძო კომპანიამ. არც ერთი მათგანი კონკრეტულ თანხას არ ასაჯაროებს. „ბორჯომის“ წარმომადგენლის განცხადებით, თანხა კონფიდენციალურია, რადგან ის კერძო პირს გადაერიცხა და არა ორგანიზაციას. „ბორჯომმა“ მხოლოდ გიორგი ნაკაშიძეს გადაურიცხა თანხა, რაც შეეხება მერიას, როგორც „პრაიმტაიმისთვის“ გახდა ცნობილი, მერიის სარეზერვო ფონდიდან გიორგი ნაკაშიძისა და მიშა მესხის სახელზე 1000-1000 ლარი გამოიყო.

კულტურის ყოფილი მინისტრის, ნიკა რურუას განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ ფილმის პროდიუსერის მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილდა, გამოდის, რომ კულტურის სამინისტროს არანაირი „დანაშაული“ არ ჩაუდენია...

გიორგი ნაკაშიძისგან განსხვავებით, დაძაბული სიტუაციის განეიტრალება მიშა მესხმა მაშინვე სცადა და განაცხადა, რომ მათთვის ყველაზე დიდი ჯილდო შემდეგი სიტყვების მოსმენაა: „როდესაც კითხულობ და გესმის, ამაყები ვართ იმით, რომ ქართული ფილმი „ოსკარზე“ მოხვდაო, – ეს ყველაფერია ჩვენთვის“.

„ოსკარიდან“ დაბრუნების შემდეგ „მანდარინების“ მსახიობები, ჯილდოს სახით, ფულად პრემიებს მიიღებენ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ექსკლუზიური ინტერ

● გიგი უგულავაზე: „დისკომფორტი არ მაქვს, თუმცა ვიცი, რომ ხალხი შედარებებს აკეთებს“

● ნაციონალურ „კადრებზე“: „ისინი იყვნენ საბოტაჟის რეჟიმში და ხშირი იყო ხელშეშლა, ხშირი იყო არასაჯარო ინფორმაციის უწყებიდან გატანის ფაქტი“

● კორუფციაზე: „ვერავის დავინდობთ, ყველამ მოწესრიგებულად უნდა აკეთოს თავისი საქმე და ცდუნებას არ აჰყვეს“

● სისტემაში სუსტ რგოლზე: „ეს გამონაკლისი არ იქნება, სხვა სამსახურებიც შემოწმდება“

● პირად სკანდალებზე: „ეს ყველაფერი სრული ბოდვაა... ეს სიცრუე იყო...“

● თბილისის მომავალზე: „მეტი ადამიანია დასაქმებული, მეტად მოწესრიგებულია საჯარო ინფრასტრუქტურა და ცხოვრების პირობებიც უსაფრთხო და უკეთესია“

ქეთი ხატიაშვილი

დედაქალაქის მთავარი მეურნე საკუთარ თავს დიდი პოლიტიკის ნაწილად არ განიხილავს, ანუ ის პოლიტიკოსი არ არის. თუმცა მიიჩნევს, რომ საკმარისად რისკიანია იმისთვის, რომ, საჭიროების შემთხვევაში, პოლიტიკური გადაწყვეტილებებიც მიიღოს.

დავით ნარმანიას მძიმე დროს უხდება თბილისის მერობა. კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ საკმაოდ დიდი მოლოდინები შექმნა, თავად მერიც წინასაარჩევნო მარათონზე თბილისელებს ბევრი საინტერესო პროექტის განხორციელებას დაჰპირდა. თუმცა ოპტიმისტურად არის განწყობილი და ამბობს, რომ ზუსტად იცის, როგორ თბილისს დაუტოვებს თბილისელებს.

დავით ნარმანია „პრაიმტაიმს“ მერიაში შექმნილ ვითარებასა და დედაქალაქის პრობლემებზე ესაუბრა:

– ბატონო დავით, თქვენი წარმოდგენები იმის შესახებ, თუ რა არის მერობა, რა სახის პრობლემების გადაჭრას უკავშირდება ის, როგორია სამუშაო გრაფიკი და ასე შემდეგ, რეალობას დაემთხვა?

– მერობა, პირველ რიგში, ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. მეორე მხრივ, ეს არის საქმის კეთების აზარტი. პასუხისმგებლობაა, ვინაიდან ყველაფერი, კარგიც და ცუდიც, რაც ამხელა სისტემაში კეთდება, ერთ ადამიანს უკავშირდება. უნდა ეცადო და წინასაარჩევნო დანაპირები ფინიშამდე მიიყვანო. როცა საკითხს პასუხისმგებლობით უდგები, შესაძლებლობების მაქსიმუმი უნდა გააკეთო. რა თქმა უნდა, ეს მარტივი არ არის, საკმაოდ მძიმე ტვირთია. სხვა ყველაფერი უნდა გადადო და დილიდან გვიან ღამემდე იმუშაო, რომ შედეგი დადო. ექვსი თვე გავიდა და ჩვეულებრივი სამუშაო გრაფიკით დღე ჯერ არ მქონია. მაქსიმალურად უნდა დაიხარჯო, თუ შედეგის მიღწევა გინდა...

– ანუ ეს არის ის, რაც წარმოგედგინათ?

– წარმომედგინა, რომ იქნებოდა რთული სამუშაო, იქნებოდა ბევრი წინააღმდეგობა, პრობლემა, მაგრამ ყველა ნიუანსზე წარმოდგენა ვერ გექნება. პრაქტიკაში სხვა საკითხებიც იჩენს ხოლმე თავს. ასე რომ, სანამ პრაქტიკაში არ ნახავ, ვერასოდეს წარმოიდგენ. შესაბამისად, ახლა უკვე ცალკეულ ნიუანსშიც გამოჩნდა საკმაოდ ბევრი პრობლემა და გასათვალისწინებელი დეტალი. არ უნდა შეცდე და ოპტიმალური შედეგი მიიღო.

– როგორ ფიქრობთ, თქვენი გამოცდილება საკმარისია იმისთვის, რომ ამ წინააღმდეგობებს გაუმკლავდეთ?.. ანუ რამდენად სწორი იყო გათვლა, როცა ფსონი მეურნეზე დაიდო და არა პოლიტიკოსზე? ამას იმიტომაც გეკითხებით, რომ თბილისი ძალიან პოლიტიზებული ქალაქია და გვინდა თუ არა, მაინც პოლიტიკიდან ფასდება ნებისმიერი პრობლემა...

– გეთანხმებით, ბევრი საკითხი, პრობლემა ხშირად პოლიტიზდება და პოლიტიკური განსჯის საგანი ხდება, თუმცა, საქმის კეთება, რაც დედაქალაქთან და მერის ფუნქციებთან არის დაკავშირებული, დიდწილად მეურნის საქმიანობაა, ამიტომაც ის გამოცდილება, რაც სამინისტროდან მომყვება სამეურნეო საკითხების დაგეგმვასა და აღსრულებაში, მეხმარება. არის ცალკეული საკითხები, რაც პოლიტიკურ გადაწყვეტას მოითხოვს და მაღალი რანგის თანამდებობის პირს, რა თქმა უნდა, უნდა ეყოს პოლიტიკური გამბედაობა და მიიღოს გარკვეული გადაწყვეტილებები, მიუხედავად იმისა, მოჰყვება თუ არა ამას საზოგადოების

გარკვეული ფენის უკმაყოფილება. საერთოდ, არ არსებობს საკითხი, რომელიც, როგორი ფორმითაც არ უნდა გადაწყვიტო, ვიღაცამ მაინც არ გააპროტესტოს. ამიტომაც ამას წინასწარ უნდა იყო შეგუებული. როცა ოქროს არჩევანია გასაკეთებელი, ასეთ შემთხვევაში, მიღებული გადაწყვეტილების დროს მოწინააღმდეგე მეტია... ეს რეალობაა და ამას თვალი უნდა გაუსწორო.

– თქვენი მერობის 6 თვე ახსენეთ, შეგიძლიათ, დაასახელოთ ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც გადაწყვიტეთ და კმაყოფილი ხართ?

– არის რამდენიმე ასეთი საკითხი, მათ შორის, ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც ჩვენამდე ვერ წყდებოდა და ჩვენ გადავწყვიტეთ, მიუსაფართა თავშესაფარია... მიმდინარეობს მშენებლობა და ამ საკითხს სწორედ თბილისის ახალი მთავრობა წყვეტს; ეს არის იგივე პუშკინის ქუჩაზე ორმხრივი მოძრაობის აღდგენის საკითხი; ეს არის ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობის საკითხი და ამ მიმართულებით მდგომარეობის გაუმჯობესება; ეს არის ორმოცი ქუჩა, რომელიც ჩვენ გავაკეთეთ და მოვაწესრიგეთ – იგულისხმება საგზაო საფარის დაგება, ტროტუარების მოწესრიგება...

– პრობლემების სიას რომ ჩავხედოთ, აქ მთავარი პრობლემა მაინც დედაქალაქში შექმნილი საცობებია. გაქვთ კონკრეტული გეგმა ამ საკითხის გადასაჭრელად?

– საცობები ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა. რაც არ უნდა კარგად გამართული გეგმა გვქონდეს, დედაქალაქის ტერიტორია ლიმიტირებულია, ავტომანქანების რიცხვი კი – მზარდი. შესაბამისად, მისი მთლიანად მოხსნა შეუძლებელი იქნება... მაქსიმალურად შევეცდებით, ეს საკითხი ნაწილობრივ მაინც მოვაგვაროთ. რამდენიმე მიმართულებით ვმუშაობთ. პირველ რიგში, ეს არის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება; მეორე, მეტი ჭკვიანი შუქნიშნის დამონტაჟება. ასევე, ცალკეულ ტერიტორიებზე, სადაც მონიშნული პარკირება ხელს უშლის ტრანსპორტის გადაადგილებას, პარკირების მოხსნა, დაგეგმილია ცალკეული მონაკვეთების გაფართოება ან მოძრაობის სხვანაირად განსაზღვრა. ეს ეხება „ლაგუნა ვერეს“ მიმდებარე ტერიტორიის გაფართოებას, რაც წელსაა დაგეგმილი.

– ეს ყველაფერი ბიუჯეტში უკვე გათვალისწინებულია?

– ის, რაც თანხებთან არის დაკავშირებული – გზების მოწესრიგება, შუქნიშნები და ასე შემდეგ, ბიუჯეტში ასახულია.

– ნაციონალებს ჰქონდათ გეგმაში, სხვა უბნებშიც ისეთივე ესტაკადები გაეკეთებინათ, როგორიც გმირთა მოედანზეა...

– სხვა უბნებზე ასეთი პროექტი ნამდვილად არ დაგვხვედრია. თუმცა, რასაც ჩვენ ვგეგმავთ, ეს არის თამარაშვილის გამზირზე გადასასვლელი ესტაკადა, რათა ავტომობილებმა გაჩერების გარეშე იმოძრაონ. ასევე, ვაშლიჯვრის მიმდებარე ტერიტორიაზე ცალკე ასასვლელ-ჩამოსასვ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვიუ თბილისის მერთან

EXCLUSIVE

ლელი გზის გაკეთება. ეს პროექტები ზოგი პროექტირების პროცესშია, ზოგი ჯერ კიდევ იდეის დონეზეა. სხვათა შორის, უკვე გამოცხადებული გვაქვს ტენდერი შინდისი-კრწანისის მონაკვეთზე ახალი გზის მშენებლობაზე. ნელს საპროექტო სამუშაოებს შევისყიდით, მომდევნო წლის გაზაფხულიდან კი უკვე სამუშაოებს დავიწყებთ....

– რაიმე დისკომფორტს ხომ არ გიქმნით უგულავას ფაქტორი? ის, რომ ხალხი მუდმივად ადარებს... კონკურენციას გრძნობთ?

– დისკომფორტი არ მაქვს, თუმცა, ვიცი, რომ ხალხი შედარებებს აკეთებს... შესაძლოა, ვიღაცები უფრო ადრინდელ პერიოდსაც იხსენებენ, როდის რა გაკეთდა. ხალხი იღებს გადაწყვეტილებას და ისინი აკეთებენ არჩევანს...

– როცა მერის ოფისი დაიკავეთ, სისტემაში ნაციონალების დროინდელი კადრები დაგხვდნენ, გაგიჭირდათ მათთან საერთო ენის გამონახვა?

– ზოგიერთ მათგანთან მუშაობა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, ისინი იყვნენ საბოტაჟის რეჟიმში და ხშირი იყო ხელშეშლა, ხშირი იყო არასაჯარო ინფორმაციის უწყებიდან გატანის ფაქტი და ამ თვალსაზრისით პირველი თვეების განმავლობაში ბევრი წინააღმდეგობა შეგვხვდა.

– ვრცელდება ინფორმაცია, რომ მერიაში დიდი წმენდა იწყება, ეს ნაციონალების კადრებს ეხება? თუ ფიქრობთ, საკუთარი გუნდიც გადაახალისოთ და სტრუქტურა განაახლოთ?

– მოქმედი კანონიდან გამომდინარე, თვითმმართველობის სისტემაში აუცილებელი იყო ატესტაციისა და კონკურსის ჩატარება... შესაბამისად, ჩვენ პირველ ეტაპზე ჩავატარეთ ატესტაციები, მოქმედმა თანამშრომლებმა გაიარეს ტესტირება და გასაუბრება. ამის შემდგომ დარჩენილ ვაკანსიებზე გამოვაცხადეთ კონკურსი, სადაც ასევე ტესტირებით და გასაუბრებით შეირჩნენ კანდიდატები, მათ შორის 40% ახალი თანამშრომლებით დაკომპლექტდა. კიდევ გვაქვს ვაკანსიები და ტესტირებით შევარჩევთ.

– ბატონო დავით, თქვენ საბოტაჟი ახსენეთ, შეგიძლიათ, კონკრეტული მაგალითები მოიყვანოთ, განსაკუთრებით ინფორმაციების უკანონოდ გატანის მიმართულებით?

– უფრო ხშირი იყო შემთხვევები, როცა თანამდებობის პირებს დავალებები ეძლეოდათ და არ ასრულებდნენ, დროს წელავდნენ, რომ საქმიანობა ჩაეგდოთ. ასევე, იყო შემთხვევები, როცა იგივე კანცელარიიდან ან სხვადასხვა სამსახურებიდან დოკუმენტაციის უკანონოდ მოპოვება ხდებოდა. თუ ვინმეს ინფორმაცია სჭირდება, მან ის უნდა გამოითხოვოს... საჯარო დოკუმენტაციის გამოთხოვას თავისი წესები აქვს და ის ფარულად არ უნდა მოიპოვო... ინფორმაციის ფარულად გატანა დაუშვებელია. ამას არაერთხელ ჰქონდა ადგილი.

– მათ წინააღმდეგ საქმე აღიძრა?

– არა, მაგრამ განთავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან...

– ბოდოკიას საქმის შემდეგ, ოპოზიციამ სისტემურ კორუფციაზე დაიწყო საუბარი. ამ სისტემაში, სადაც უფლებებიც დიდია და ფულის კეთების შანსიც, როგორც ჩანს, ცდუნებას ყველა ვერ უძლებს... გამორიცხავთ, რომ შეიძლება ეს პრობლემა არსებობდეს? როგორ აპირებთ მასთან დაპირისპირებას?

– გამოვრიცხავ, რომ სისტემურ დანაშაულთან გვაქვს საქმე. სამართალდამცავები სწავლობენ ამ საქმეს და დარწმუნებული ვარ, რომ გამოძიება ყველა კითხვას პასუხს გასცემს. აქვე ვიტყვი, რომ, თუკი ვინმეს ხელი წასცდება ან თუ ვინმე არასათანადოდ მოიქცევა, მათ მიმართ ადეკვატური ღონისძიებები გატარდება. ვერავის დავინდობთ, ყველამ მოწესრიგებულად უნდა აკეთოს თავისი საქმე და ცდუნებას არ აჰყვეს.

– საკუთარი სისტემას თვითონ თუ აკონტროლებთ?

– ჩვენ გვყავს შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური. ამ სამსახურს უკვე დავავალე სამი დიდი სამსახურის – ქონების მართვის საგენტოს, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურების შემოწმება. შეისწავლის შიდა აუდიტი მათ და ნახავს, რამდენად გამართულად მუშაობენ ისინი.

– ფიქრობთ, რომ ეს ყველაზე სუსტი რგოლია?

– არა, ესენი ყველაზე დიდი სტრუქტურებია, რომელთაც ძალიან დიდი პასუხისმგებლობა აქვთ და ბევრი დავალება ეძლევათ. მაინტერესებს მათი გამართული და კანონიერი მუშაობა. ეს გამონაკლისი არ იქნება, სხვა სამსახურებიც შემოწმდება.

– ველოდოთ ხმაურიან შედეგებს, განთავისუფლებებს?

– არა მგონია, რაღაც დიდი, გასახმაურებელი შედეგები დაიდოს. სადმე გადაცდომებს თუ იპოვიან, ამას, ჩემი მხრიდან, ადეკვატური რეაგირება მოჰყვება...

– ძლიერი მერი ხართ?

– ამაზე კომენტარი ხალხმა უნდა გააკეთოს...

– გჯერათ, რომ ბოდოკიას ეს თანხა სხვებთან არ მიჰქონდა? ოპოზიცია დარწმუნებულია, რომ წილში სხვებიც იჯდნენ...

– მაგალითად, ვინ?

– მაგალითად, თქვენ...

– ეს ყველაფერი სრული ბოდვაა, სხვა ტერმინი ამგვარ საკითხთან მიმართებით ვერ მოვძებნე.

– თითქოს ბოდოკიამ თქვა კიდეც, ხმაურიან ფიგურებს დავასახელებო...

– დაასახელოს... გამოძიება მიდის და ყველაფერი გაირკვევა...

– ჩვენ პრობლემების პოლიტიზებაზე ვსაუბრობდით, ერთი ასეთი ფაქტი მახსენდება: როცა სოციალურ ქსელებში ნაგვით სავსე ურნების ფოტოებს დებდნენ, ფოტოები ძველი იყო, თუმცა, ისე დაიდო, თითქოს დედაქალაქის ქუჩები ერთი წუთის წინ იყო გადაღებული... საკითხების ასეთი პოლიტიზება მუშაობაში ხელს არ გიშლით?

– რა თქმა უნდა, ასეთი არასწორი ინფორმაციის გავრცელება სამსახურში თანამშრომლების მოცდენას იწვევს – ისინი ცდილობენ, ვითარება გაარკვიონ, გაიგონ, ეს რეალურია თუ არა... გარკვეული კატეგორიის ადამიანებზე კი ეს მორალურადაც მოქმედებს.

– თავის დროზე ითქვა იმის შესახებ, რომ თქვენ თბილისელი არ ხართ და თბილისური გაგება და ჯიგარი თქვენთვის უცხოა... მართალი გითხრათ, ეს ტერმინები ჩემთვისაც უცხოა... ასეთი მენტალიტეტის მქონე ადამიანების გაგება შეძელით? მათთან კომუნიკაცია დაამყარეთ?

– საერთოდ, ადამიანებთან კომუნიკაცია არ მიჭირს... ადამიანების მოსმენა შემიძლია, მათ შორის. დაპირისპირებული მხარეებისაც. საერთო ენის გამონახვაც შემიძლია და გადაწყვეტილების მიღების დროს შუალედის პოვნაც. ყოველთვის მზად ვარ, მოვუსმინო ადამიანებს, რაც არ უნდა რადიკალური შეხედულება ჰქონდეთ მათ და რაციონალური გადაწყვეტილება მივიღო...

– ეგრეთწოდებულ ნაციონალების კადრებთანაც სცადეთ საერთო ენის გამონახვა?

– თბილისის მერიაში ბევრია, ვინც მანამდეც მუშაობდა და ჯეროვნად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. თუმცა, იყო კატეგორია, რომელთანაც მერის მოადგილეები ან სხვადასხვა უწყების ხელმძღვანელი პირები მუშაობას ვერ ახერხებდნენ, ისინი დათხოვნილები არიან.

– არჩევნების დროს მახსოვს დედათქვენთან დაკავშირებული სკანდალი...

– ეს სიცრუე იყო...

– არსებობს წითელი ხაზები ოჯახსა და სამსახურს შორის? იციან მათ, რომ თქვენს საქმიანობაში არ უნდა ჩაერიონ?

– რა თქმა უნდა, ოჯახი ოჯახია, ყველას თავისი საქმე და ფუნქცია აქვს და ამ წითელ ხაზებს არ გადმოდიან, რათა მე ხელი არ შემეშალოს. ამ თვალსაზრისით თავს კომფორტულად ვგრძნობ...

– სახლში მისულს სია არ გხვდებათ? მაგალითად, მეზობელს სურს ავტოფარეხის გაკეთება, სხვას რაღაცის აშენება და ნებართვა სჭირდება...

– სია? ვერანაირად ვერ დამხვდება... როცა სახლში მივდივარ, ყველას სძინავს და როცა დილით სამსახურში გავდივარ, მაშინაც სძინავთ...

– „პანორამა თბილისზე“ მოგვიყევით, ამ პროექტის გარშემო ბევრი მითქმა-მოთქმაა...

– „პანორამა თბილისი“ ძალიან სერიოზული პროექტია და რამდენიმე

მნიშვნელოვანი ეფექტის მომტანი იქნება. ეს არის დიდი ინვესტიცია, რომლის მსგავსი ერთ ობიექტთან დაკავშირებით დედაქალაქში ჯერ არ განხორციელებულა. საუბარია ნახევარ მილიარდ დოლარამდე ინვესტიციაზე, პროექტი თანაინვესტირების ფონდის მხრიდან ხორციელდება. მეორე მხრივ, ეს მნიშვნელოვანი ბიძგია ეკონომიკური ზრდისთვის. მესამე, გასათვალისწინებელია პროექტის სოციალური ეფექტი – როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის პროცესში ბევრი ადამიანი დასაქმდება. სამი ათასზე მეტი ადამიანი მუდმივად იქნება ამ ობიექტზე დასაქმებული. დასაქმებულების ოჯახებში სოლიდური შემოსავლები შევა. ითქვა, თითქოს სერიოზული რაოდენობის ხეები უნდა მოიჭრას პროექტის განხორციელებისთვის. ეს სიცრუეა. 187 ხე იჭრება, თუმცა, ინვესტორმა 30 ათასი ხის დარგვის ვალდებულება აიღო. გამხმარი ხეების მოჭრა და გამოტანა უკვე დაიწყო, პარალელურად მიმდინარეობს ახლის დარგვა. პრობლემასა და წინააღმდეგობას ვერ ვხედავ.

– რაც შეეხება ვაკის პარკში სასტუმრო „ბუდაპეშტის“ მშენებლობას, რასაც ასევე მოჰყვა ხმაური და დაპირისპირება...

– დედაქალაქის მერია უსაფუძვლოდ ხელს არავის უშლის, პირიქით, ხელს ვუწყობთ ყველას, ვისაც განვითარების სურვილი აქვს. კონკრეტულად ამ ობიექტთან საკმაოდ მოცულობითი სასტუმროს მშენებლობაზეა საუბარი. პირველი ხარვეზი დაფიქსირდა – მშენებლობა წითელ ხაზებს იყო გადმოცდენილი და ჯარიმა გამოიწერა.

– ეს ხარვეზი გასწორდა?..

– გასწორდა. სხვა დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს. თუ ეს პროექტი დაკორექტირდება, მისაღები იქნება მოცულობით, ან ისევ რესტორანი აშენდება, ასეთ შემთხვევაში ჩვენ განვითარებისა და მშენებლობის წინააღმდეგი არ ვართ, საქმე სასამართლოშია და დაველოდოთ მის გადაწყვეტილებას.

– თქვენი პრობლემების გადაჭრა მაინც მთავრობასთანაა გადაჯაჭვული. მაგალითად, იგივე საცობებთან დაკავშირებით, პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება და ტექდათვალიერების ვადა კიდევ ერთხელ გადაწია. ამბობენ, რომ მთავრობაში არ არის კოორდინაცია და კომუნიკაცია ჭირს. გაქვთ პრობლემები ამ მიმართულებით?

– ცენტრალურ ხელისუფლებასთან კომუნიკაციის არანაირი პრობლემა არ გვაქვს. მთავრობის სხდომაზე გადის კონკრეტული საკითხები და არ მახსოვს, რომ რაიმე თემა ჩავარდნილიყო. მთავარია, საკითხი მომზადებული იყოს. როცა ერთობლივად ვმუშაობთ, შედეგსაც ვაღწევთ.

– დაბოლოს, ბატონო დავით, წარმოდგენილი გაქვთ ის თბილისი, რომელიც თქვენს შემდეგ დარჩება?

– რა თქმა უნდა, წარმოდგენილი მაქვს... ეს არის ის თბილისი, რომელიც ჩემს საარჩევნო პროგრამაშია ასახული...

– ეს თანამედროვე თბილისია, ტურისტული თუ როგორი?

– ეს არის მოწესრიგებული თბილისი, როგორც ჩვენი რეგიონის კულტურული და ტურისტული ცენტრი. მეტი ადამიანია დასაქმებული, მეტად მოწესრიგებულია საჯარო ინფრასტრუქტურა და ცხოვრების პირობებიც უსაფრთხო და უკეთესია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ოპერის ქართველი დივე



ნინო მაჩაიძე: „ალესანდროს დაბადების შემდეგ უკეთესი გახდა ყველაფერი. მან ჩემი და ჩემი მეუღლის ცხოვრებას ბედნიერება შემატა“

my View
თამარ გონგაძე

ამ სამ ქართველ ოპერის დივას პაატა ბურჭულაძის საიუბილეო კონცერტის შემდეგ კულისებში მოვუყარეთ თავი. მათი ერთად ნახვა ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევაში თუ გახდებოდა შესაძლებელი. „პრაიმტაიმმა“ შანსი ხელიდან არ გაუშვა და საამაყო მომღერლების ბლიც ინტერვიუები ჩაწერა.

ოპერის ანჯელინა ჯოლი დედობამ შეცვალა

ნინო მაჩაიძე მილანში იტალიელ მეუღლესთან გვიდო ლოკონსოლოსთან და ვაჟთან ერთად ცხოვრობს. ნინო უცხოური პრესის გამოკითხვით ყველაზე ლამაზ ოპერის მომღერალთა ათეულში ნინო სურგულაძესთან ერთად მოხვდა. ქართველი სოპრანო, არა მხოლოდ მისი სილამაზის, არამედ პიროვნული თვისებებისა და შარმის გამო იკავებს პირველ ადგილს ათეულში. ის მსოფლიოში წამყვან საოპერო სცენებზე ასრულებს ნაწარმოებებს. ნინოს უნიკალური სტილი, შესრულების ტექნიკა და ვოკალური დიაპაზონი აქვს, რომლითაც მსოფლიოს აოცებს. ნინოს ოპერის ანჯელინა ჯოლისაც ეძახიან.

ნინო მაჩაიძე თბილისს ბოლოს რვა თვის წინ სტუმრობდა. ძმის ქორწილში იყო ჩამოსული.

ნინო მაჩაიძე: ჩემი შემდეგი ვიზიტი თბილისში აპრილშია დაგეგმილი, პატრიარქის ფესტივალი უნდა გავხსნა და კონსერვატორიის დიდ დარბაზში კონცერტი მექნება. ერთი სული მაქვს, ამ ფაქტით ძალიან ბედნიერი ვარ. ეს წელი ჩემთვის რთულია. რვა სადებიუტო როლი მაქვს სამღერი. ერთ ოპერას რომ ვმღერი, მეორეს ვმეცადინეობ. ამ გადატვირთული პერიოდის მიუხედავად, მე ძალიან ბედნიერი ვარ.

ნინომ იტალიელი კოლეგა გვიდო „ლა სკალას“ აკადემიაში გაიცნო. პირველ წელს იყო მეგობრობა. შემდეგ ორივეს „ლა სკალამ“ „რიგოლეტოში“ მონაწილეობა შესთავაზა.

„მე და გვიდოს ხშირად გვიწევს ერთმანეთისგან შორს ყოფნა, მე ერთ ქალაქში, გვიდოს - მეორეში. თავისუფალი დრო რომ გამოგვიჩნდება, ერთმანეთთან ჩავდივართ. ეს არის მომღერლის ცხოვრება. აქვს კარგი მხარეებიც და ცუდიც. უარყოფითი ის არის, რომ ახლობლებისგან შორს ხარ, მაგრამ, როცა ამდენხნიანი განშორების შემდეგ ხვდები, ეს ძალიან დიდი ბედნიერებაა“.

- დასვენებას როგორ გეგმავთ?

- ვერ ვიტყვი, რომ ვგეგმავ. რეპეტიციების განმავლობაში შეუძლებელია დასვენება, მაგრამ, როცა სპექტაკლები იწყება, შუალედში შემიძლია, დავისვენო. როდესაც გასტროლებზე ვარ, ყოველთვის ვახერხებ ქალაქების დათვალიერებას. ძალიან მიყვარს სეირნობა, ბევრს დავდივარ. კიდევ მიყვარს მზარეულობა. ახლახან, ავსტრიამ გამოსცა კულინარიული წიგნი, რომელშიც შევიდა მსოფლიოს 6ნ ყველაზე ცნობილი ოპერის მომღერლის კულინარიული რეცეპტები. მეც შემიყვანეს ჩემი ლობიანის რეცეპტით. წიგნში არის ფოტოები – როგორ ვამზადებ ლობიანს და რაც მთავარია, რეცეპტი დავწერე ქართულად. ქვევით კი წერია თარგმანი. მე და ჩემს მეუღლეს ერთად გვიყვარს კერძების მომზადება. ისიც ძალიან კარგი კულინარია.

- წელიწად-ნახევრის წინ დედა გახდით. დედობამ რა შეცვალა თქვენში?

- ალესანდროს დაბადების შემდეგ უკეთესი გახდა ყველაფერი. მან ჩემი და ჩემი მეუღლის ცხოვრებას ბედნიერება შემატა. ყველაფერი გალამაზდა. ალესანდრო ჩემი ძმის ქორწილში მყავდა ჩამოყვანილი.

ანიტა რაჭველიშვილმა ლა სკალას დარბაზი დაანგრია

ანიტა, მილანიდან, რამდენიმე საათით სპეციალურად საიუბილეო კონცერტისთვის სტუმრობდა თბილისს. 14 თებერვალს ლა სკალაში „აიდას“ პრემიერა ჰქონდა. ამნერისის პერტია ბევრჯერ აქვს ნამღერი, თუმცა ლა სკალაში პირველად იმღერა. პიტერ შტაინის დადგმა შთამბეჭდავი ყოფილა. ოპერას ზუბინ მეტა დირიჟორობდა. ანიტასთან ერთად მთავარი, ამონასროსის პარტია გია გაგნიძემ იმღერა.

მარიამ როინიშვილი: „ანიტას მისამართით ატეხილი აპლოდისმენტების ხმა ყურებიდან არასოდეს ამომივა“

ანიტა რაჭველიშვილი: ძალიან ემოციური იყო. ორი ქართველი ერთ სპექტაკლში - საოცარია.

- რეჟისურაზე რას გვეტყვით?

- სტანდარტული და კლასიკურია. დეკორაციაა მინიმალისტური. ძირითადი აქცენტი კოსტიუმებზე და მომღერლებზეა გადატანილი.

- ლამაზი კოსტიუმებიაო, ითქვა.

- ძალიან ლამაზი, ნანა ჩეკის კოსტიუმები გვეცვა. ჩეკის ჰოლივუდის უამრავი ფილმის კოსტიუმებზე აქვს ნამუშევარი.

- კიდევ სად მღერით?

- ზალსბურგის ფესტივალზე მივდივარ. შემდეგ მივემგზავრები რომში, ისევ „აიდას“ სამღერად.

ანიტას პრემიერას ლა სკალაში მარიამ როინიშვილი დაესწრო. მას ემოციების გაზიარება ვთხოვე.

მარიამ როინიშვილი: მე საოცრება ვნახე. ყველა ქართველი ჩემსავით იამაყებდა იმით, რომ ანიტა ჩვენი ქვეყნის შვილია და ქართველია. მისი ხმა ზღვის ტალღებივით მოდიოდა დარბაზში ყველა მსმენელამდე. ეს იყო სასწაული. ანიტას მისამართით ატეხილი აპლოდისმენტების ხმა ყურებიდან არასოდეს ამომივა, ალბათ. ანიტა რომ გამოვიდა, ლა სკალას დარბაზი დაინგრა, სრული ამ სიტყ-

ანიტა რაჭველიშვილი: „ნანა ჩეკის ლამაზი კოსტიუმები გვეცვა. ჩეკის ჰოლივუდის უამრავი ფილმის კოსტიუმებზე აქვს ნამუშევარი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

ქართველი მომღერლები ოპერის მსოფლიოს ლამაზ მომღერალთა ათეულში

ვის მნიშვნელობით. ამ სპექტაკლში მეორე საოცარი ქართველი გიორგი გაგნიძეც მონაწილეობდა. ეს ჩემს სიამაყის განცდას აორმაგებდა. იტალიაში ლა სკალას სცენაზე ქართველების გამოსლამ დარბაზი დაანგრია. უბედნიერესი ვარ, რომ ანიტას მეგობარი და ამ წარმატების გამზიარებელი აღმოვჩნდი. ვულოცავ და მჯერა, რომ ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც მას წინ ელოდება.

თეონა დვალი იაპონიაში სუშის საჭმელად ემზადება

თეონას ოპერის ყველაზე გამხდარ მომღერალს ვეძახი. თავისი ფიზიკური მონაცემით სრულიად ანგრევს ოპერის მომღერლის სტერეოტიპს. მის პირად ცხოვრებაში სიახლეა, თუმცა ამაზე მომღერალი ჯერ დაკონკრეტებით არ საუბრობს, თუმცა პირობას დებს, რომ პირველად ჩვენი ფურცლებიდან გამჟღავნდება მისი რჩეულის ვინაობა.

თეონა დვალი: ფლორენციაში ბევრი კონცერტი და სპექტაკლი მელის. ვერდის სამ რომანსს საბალეტო დადგმასთან ერთად წარმოვადგენთ.

- სოლო კონცერტი მაქვსო, მითხარი.

- დიახ, სოლო კონცერტი მაქვს რამდენიმე ქალაქში - ფლორენციაში, რომში, მილანში.

- კონცერტის პროგრამა როგორია?

- ძირითადად არიებისა და დუეტებისგან შედგება. მეგობარ ტენორთან ჯორდანო ლუკასთან ერთად ვმღერი. ადრე სხვა სოლო კონცერტებით წარვმდგარვარ



„წითელი ყველაზე ძალიან მიყვარს, იმ პერსონაჟებს, რომელსაც ვასახიერებ, ეს ფერი უხდება ხოლმე“

იტალიელი მსმენელის წინაშე.

- სასცენო კაბებს სად იძენ ხოლმე?

- იტალიაში, ინგლისში, საქართველოში ვიძენ სასცენო კაბებს. წითელი ყველაზე ძალიან მიყვარს. იმ პერსონაჟებს, რომელსაც ვასახიერებ, ეს ფერი უხდება ხოლმე. საქართველოში ძირითადად ვიკერავ ხოლმე. კონკრეტულ ბრენდებს არ ვანიჭებ მნიშვნელობას. სხვათა შორის, მარტში იაპონიაში მივდივარ, ვერდის „ტრავიატას“ ვმღერი. პირველად მივდივარ იაპონიაში და მიხარია. შვიდი სპექტაკლი მაქვს. თვე-ნახევარში დათვალიერებას მოვასწრებ. შევეცდები ტოკიოს მთავარი ღირსშესანიშნაობები დავათვალიერო, სუში დავაგემოვნო. მიხარია ის, რომ საყვარელ იაპონურ სამზარეულოს დავაგემოვნებ.

- და პირადში რა სიახლე გაქვს?

- პირად ცხოვრებაში რაღაცები ხდება, საინტერესო ცვლილებები და სიახლეებია, რომლის შესახებ პირველი შენ გაიგებ.

- რამდენ ხანში?

- ვნახოთ. ჯერჯერობით არ მცალია პირადი ცხოვრებისთვის, ის გვერდით მაქვს გადადებული.

- ქართველია თუ იტალიელი?

- ჯერ ვერც ამას ვიტყვი.

- ველოდებით შენი სიყვარულის ისტორიის მოსმენას.

- პირობა პირობაა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პატიმრები არასათანადო მოპყრობის შესახებ საუბრობენ

მირიან ბოქოლიშვილი

არასათანადო და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში... ციხის სკანდალური კადრების შემდეგ საზოგადოება „ქართული ოცნების“ ხელისუფლებისგან სიტუაციის რადიკალური ცვლილებას ელოდა, თუმცა „9-წლიან რეჟიმს“ ახალმა ხელისუფლებამ მხოლოდ ფართომასშტაბიანი ამნისტიით უპასუხა, ნაცვლად იმისა, რომ სისტემაში რადიკალური ცვლილებები განეხორციელებინა.



წერილი ციხიდან: „თვეები გადის და უფრო უარესი ხდება. გთხოვთ, ხმა მიაწვდინოთ საზოგადოებას, რათა შეიტყონ ჩვენი გაუსაძლის ტყვეობაში ყოფნა“

„დაწესებულებაში არ არსებობს აფთიაქი, რომ ჩვენი ხარჯებით შევიძინოთ მედიკამენტები. საკვების რაციონი „დიეტა“ არის ეკოლოგიურად უსუფთაოდ დამზადებული, დაბინძურებული

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული პრობლემების შესახებ ინფორმაცია საპატიმროებიდან პერიოდულად ჟონავს. არასათანადო მოპყრობაზე მიუთითებს ის წერილიც, რომელიც „პრაიმტაიმის“ რედაქციამ ბათუმის #3 დაწესებულებიდან მიიღო. წერილს, სადაც სწორედ ციხეში არსებულ გაუსაძლის სიტუაციაზეა საუბარი, არაერთი პატიმარი ანერს ხელს.

„მოგახსენებთ ბათუმის #3 დაწესებულებაში არსებულ ვითარებაზე, თუ რა გაუსაძლის პირობებში გვიწევს სასჯელის მოხდა. პირველ რიგში, მოგახსენებთ, რომ ვართ სხვადასხვა დაავადებით დაინფიცირებულები. ეს ყველაფერი იცის მთავარმა ექიმმა ზურა ორაგველიძემ ჩვენი სამედიცინო ბარათებიდან, რომ დროულად გვესაჭიროება გამოკვლევები და სასწრაფოდ მკურნალობის კურსი გვაქვს ჩასატარებელი, ათასი თხოვნის მიუხედავად არ გვხდება, მარტო გვითვლის ექიმების პირით, – მე რა ვუყო თუ ავად არიან, მე ხომ არ გავხადე ავადო. იმეორებს იგივე სიტყვებს რასაც იმეორებდა ნინა ჯალათების რეჟიმის დროს. როცა ვთხოვთ წამლებს, არის ერთი და იგივე პასუხი, რომ სამედიცინო დეპარტამენტის თავმჯდომარე თამთა დემურიშვილი არ უგზავნის საჭირო მარაგს. დაწესებულებაში არ არსებობს აფთიაქი, რომ ჩვენი ხარჯებით შევიძინოთ მედიკამენტები. საკვების რაციონი „დიეტა“ არის ეკოლოგიურად უსუფთაოდ დამზადებული, დაბინძურებული, ყველანაირ ვიტამინებგამოცლილი. საკანში წყალი გვაქვს გრაფიკით, 24 საათის განმავლობაში 4-5 საათით მოდის, როგორც დასალევი, ასევე დასაბანი, რითაც ხშირად ვავადდებით დიზენტერიით. აგრეთვე, საკანში მწყობრიდან არის გამოსული ვენტილაცია, საკნის ფანჯარა არის ძალიან პატარა, საიდანაც არ მოგვეწოდება ჰაერი და ჟანგბადი, ასევე, ვერ ვსარგებლობთ ჩვენი კუთვნილი ერთსაათიანი ჰაერზე გასეირნებით. ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლები, დირექტორის კახა გველესიანის ბრძანებით, გვართმევენ თბილ ტანსაცმელს და ამის შემდეგ გვიშვებენ საკნებში. ასევე, მოგახსენებთ, რომ, როცა ჩვენი კუთვნილი ტელეფონის საშუალებით ვუკავშირდებით ოჯახის წევრებს, გვერდზე გვიდგას 3-4 თანამშრომელი, ხმამაღლა საუბრობენ, ამბობენ უზრდელურ სიტყვებს და გამოირჩევიან აგრესიით. ამ აგრესიაზე ჩვენ არ ვპასუხობთ, რადგან პირად საქმეში ჩაგვიდებენ საყვედურს, მოგვათავსებენ სამარტოო საკანში, სადაც საპირფარეშოში სათვალთვალო კამერაა დამონტაჟებული. ასევე, შეგვიზღუდავენ ტელეფონით, პაემნით, მაღაზიით სარგებლობის უფლებას. სულ გვემუქრებიან, – #7 მკაცრი რეჟიმის იზოლატორი უარესი იქნებაო. აქ ძალიან ბევრი თანამშრომელი და სამედიცინო ნაწილის მუშაკი ძველი რეჟიმის დროსაა ნამუშევარი. ყველა ფაქტი უფრო ვრცლად თავის პირად ანგარიშში აქვს ასახული სახალხო დამცველს, უჩა ნანუაშვილს, მას ყველაფერი საკუთარი თვალით აქვს ნანახი. თვეები გადის და უფრო უარესი ხდება. გთხოვთ, ხმა მიაწვდინოთ საზოგადოებას, რათა შეიტყონ ჩვენი გაუსაძლის ტყვეობაში ყოფნა, შეიტყოს ხალხმა, თუ რა ტანჯვა-წამება გვიწევს ამ ვითომ კანონდამცველების ხელში“, – გვწერენ სასჯელაღსრულების #3 დაწესებულების პატიმრები: ალექსანდრე ჩერქეზიშვილი, მიხეილ წითაძე, კახა მეცხვარიშვილი და გიორგი მარსაგიშვილი.

გრძელდება თუ არა ციხეებში არაადამიანური მოპყრობა და, ზოგადად, რა ხდება სასჯელაღსრულების სისტემაში? ამის გარკვევა სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილთან ვცადეთ.

უჩა ნანუაშვილი, სახალხო დამცველი:

– გასულ წელს პროკურატურაში ჩვენ მიერ 18 შეტყობინება გაიგზავნა არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით. ვფიქრობ, ეს საკმაოდ დიდი ციფრია. რიგ შემთხვევაში გამოძიება დაწყებულია, მაგრამ პასუხისმგებლობა არ არის დამდგარი. არასათანადო მოპყრობა ბოლო პერიოდში გამოიკვეთა, როგორც ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა. კიდევ უფრო მეტი პრობლემაა ის, რომ ხშირ შემთხვევაში გამოძიება არ მიდის კონკრეტულ შედეგამდე. ბოლო თვეების განმავლობაში ჩვენ მიერ მომზადებული რამდენიმე რეკომენდაცია არ არის შესრულებული. ეს რეკომენდაციები ეხება სწორედ არასათანადო მოპყრობის ფაქტებს. მათ შორის 12 ნოემბერს, გლდანის #80 დაწესებულებაში მომხდარი ცნობილი ფაქტი, რასაც ჩვენი წარმომადგენლები პირადად შეესწრნენ. შეიძლება ცალკე გამოვყოთ #7 დაწესებულებაში არსებული გაუსაძლისი ვითარება. იქ პირობები საკმაოდ მძიმეა.

– როგორც ვიცი, თქვენ ამ დაწესებულების საერთოდ დახურვას ითხოვთ, თუმცა სასჯელაღსრულების სამინისტრო ამაზე უარს ამბობს...

– დიახ, ჩვენ ვითხოვთ ამ დაწესებულების საერთოდ დახურვას. იქ დარღვეულია პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტები, როგორც საყოფაცხოვრებო პირობების, ისე გადატვირთულობის კუთხით. ვფიქრობ, ზოგადად, პრობლემა ძალიან ბევრია და ამას სჭირდება სისტემური ხედვა.

– რამდენიმე დღის წინ დააკავეს ციხის დირექტორი, რომელიც ე.წ. მაყურებლებთან გარკვეულ თანამშრომლობაში ამხილეს... ზოგადად, მაყურებლების ინსტიტუტი, მათთვის პრივილეგიების მინიჭება, რამდენად აქტუალურია?

– რა თქმა უნდა, ეს პრობლემა არსებობს. თქვენ მიერ ნახსენები სუბკულტურა განსაკუთრებით მწვავე პრობლემაა რამდენიმე დაწესებულებაში. ე.წ. მაყურებლები ცდილობენ, ზეგავლენა მოახდინონ არა მხოლოდ სხვა პატიმრებზე, არამედ ადმინისტრაციაზეც. ამ პრობლემის გადაჭრას სჭირდება კონკრეტული გეგმა, რათა მინიმუმამდე იყოს დაყვანილი ეს გავლენა.

– არსებობს ეს გეგმა?

– რაღაც ნაბიჯები ამ მიმართულებით ნამდვილად გადაიდგა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი.

– არის თუ არა გამოსავალი იმ რეფორმაში, რომელიც დაგეგმილია სასჯელაღსრულების სისტემაში? ვგულისხმობ, სად-ის ავტონომიურობის შეზღუდვას...

– სწორედ ამ რეფორმას ვგულისხმობ, როდესაც სისტემური ცვლილებების აუცილებლობაზე ვსაუბრობ. სისტემა უფრო მეტად უნდა იყოს პატიმრების უფლებების დაცვაზე ორიენტირებული. ვფიქრობ, ეს რეფორმა ხელს შეუწყობს, ერთი სტრუქტურის ქვეშ მოხდეს ამ საკითხების მოგვარება.

უჩა ნანუაშვილი: „არასათანადო მოპყრობა ბოლო პერიოდში გამოიკვეთა, როგორც ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა. კიდევ უფრო მეტი პრობლემაა ის, რომ ხშირ შემთხვევაში გამოძიება არ მიდის კონკრეტულ შედეგამდე“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სამხარაულის საქმე იხსნება?!

EXCLUSIVE

„არსებობენ მოწმეები, რომლებიც ამბობენ, რომ სამხარაული ავალებდათ ზურაბ ჟვანიას საქმის მასალების გაყალბებას“

მირიან ბოქოლიშვილი

ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმეს უახლოეს ხანში ნათელი მოეფინება – ირწმუნება გარდაცვლილის ძმა, გოგლა ჟვანია. პროკურატურის კულუარებში კი ამბობენ, რომ ამას ავტომატურად მოჰყვება ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ყოფილი ხელმძღვანელის, ლევან სამხარაულის მკვლელობის გახსნა, რომელიც აქამდე არსებულ ოფიციალურ ვერსიას რადიკალურად ეწინააღმდეგება.

რა იყო მკვლელობის რეალური მოტივი – ბავშვობისდროინდელი წყენა თუ ჟვანიას საქმის ფალსიფიცირება?

რა იყო სამხარაულის მკვლელობის რეალური მიზეზი – ბავშვობისდროინდლი წყენა თუ ფალსიფიცირებული საექსპერტო დასკვნა ზურაბ ჟვანიას საქმეზე? ამბობენ, რომ ამ კითხვას პროკურატურა მალე გასცემს პასუხს. კითხვა და ეჭვი კი საკმაოდ ბევრია.

გამოძიების იმდროინდელი ვერსიით: 25 წლის ლევან სამხარაული მორიგ უქმეებზე ჩადის ყვარელში. კლასელთან,ზეზვა ასაბაშვილთან ერთად მიდის სხვა კლასელთან. მისგან მობრუნებულებს ხვდებათ კიდევ ერთი კლასელი, დავით მჭედლიშვილი, რომელიც სამხარაულს მისალმებისთანავე დაახლის ტყვიას „ТТ“-ს სისტემის პისტოლეტიდან. იგივე იარაღით დაჭრის საბაშვილსაც. შემდეგ კი მიდის სახლში და ორი იარაღით, იგივე „ТТ“-თი და გადაჭრილი გლუვლულიანი სანადირო თოფით, იკლავს თავს. შესაბამისად, აქვს ორი ჭრილობაც: „აბრეზით“ მიყენებული – გულ-მკერდის არეში და პისტოლეტით – თავის არეში. ვინაიდან ლევან სამხარაულისა და ზეზვა ასაბაშვილის მიმართ დანაშაულის ჩადენისთვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემი პირი გარდაიცვალა, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება შეწყდა.

ექსპერტიზის ბიუროს ხელმძღვანელი ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული ფილმის ეთერში გასვლიდან მეორე დღეს მოკლეს, 2005 წლის 22 მაისს. ხსენებული ფილმი ჟვანიას გარდაცვალების ოფიციალურ ვერსიას ეჭვქვეშ აყენებდა და ამის გასამყარებლად, სწორედ ექსპერტიზის ბიუროს მასალებს ეყრდნობოდა, რომელიც საზოგადოებისთვის იმ დრომდე არ იყო ცნობილი.

საგამოძიებო ფილმის ავტორმა, ჟურნალისტმა ვახო კომახიძემ შვეიცარიაში პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა და საქართველოში ის სულ ცოტა ხნის წინ დაბრუნდა. „პრაიმტაიმი“ სამხარაული-მჭედლიშვილის საქმესთან დაკავშირებით სწორედ ვახო კომახიძეს ესაუბრა.

ვახო კომახიძე, ჟურნალისტი:

– ფაქტია, რომ სამხარაული მოკლა თავისმა კლასელმა. ეჭვი იმისა, რომ მას არ მოუკლავს, არავის გამოუთქვამს, მაგრამ რატომ მოკლა, ეს სულ სხვა თემაა. ოფიციალური ვერსიით, მკვლელობა ბავშვობის დროს გულში ჩარჩენილ წყენას უკავშირდებოდა, მაგრამ ძალიან საკამათო იყო ყოველთვის მკვლელის თვითმკვლელობის საკითხი.

– რატომ?

– მჭედლიშვილი მკვლელობის შემდეგ მიდის სახლში და თავს იკლავს ორი იარაღით – გადაჭრილი თოფითა და პისტოლეტით. რამდენად შესაძლებელია ორი იარაღით თვითმკვლელობა, თანაც ისე, რომ ერთი თავში ისროლო და მეორე გულ-მკერდის არეში, ეს ბადებს სერიოზულ ეჭვებს. ექსპერტები ამბობენ, რომ ეს შეუძლებელია. ასევე, საეჭვოა ის გარემოება, რომ გასროლის ხმები იყო აცდენილი. თუკი მას თავის მოკვლა ჰქონდა გადაწყვეტილი, ამას ერთი იარაღითაც გააკეთებდა. როდესაც ეს შემთხვევა მოხდა, მჭედლიშვილის დედა ქვედა სართულზე იმყოფებოდა, გასროლის ხმის შემდეგ ის ადის ზევით და ხედავს, რომ გადაჭრილი თოფი გვამიდან მოშორებით გდია.

– ეს რაზე მიუთითებს?

– ანუ თუ ჩავთვლით, რომ მან გადაჭრილი თოფითაც ისროლა გულ-მკერდის არეში, შემდეგ ეს იარაღი უნდა გადაეგდო მოშორებით. ეს რამდენად შესაძლებელი იქნებოდა? ესეც კიდევ დამატებითი შეუსაბამობა იყო. გამოძიებამ ეს თოფი წაიღო შემთხვევის ადგილიდან, ისე, რომ მანძილი არ დააფიქსირეს. წესით, პოლიციას უნდა სცოდნოდა, რომ ასეთი ნივთმტკიცება ადგილიდან არ უნდა აიღოს. მან უნდა დაიცვას შემთხვევის ადგილი, რაც არ გააკეთეს. არადა პოლიცია იქ გაჩნდა მომენტალურად. დედა ამბობს, რომ გარეთ მანქანა უკვე იდგა, როდესაც მისი შვილი სახლში მივიდა.

– ანუ შესაძლოა, ნივთმტკიცება შეგნებულად მოაშორეს შემთხვევის ადგილს?

– ყოველ შემთხვევაში ეს კითხვა ლეგიტიმურია. მახსოვს პოლიცია ნივთმტკიცების მოშორებას დედის უსაფრთხოებით ხსნიდა და ამბობდა, რომ ქალბატონი იმდენად მძიმე მდგომარეობაში იყო, რომ შესაძლოა, იქვე დაგდებული იარაღით მასაც მოეკლა თავი. აბსოლუტურად მიუღებელი არგუმენტია, რადგან ნივთმტკიცების ამოღება გამოძიებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. შეეძლოთ, დედა საერთოდ არ მიეშვათ შემთხვევის ადგილზე. ასეთი დეტალებით იყო ეს საქმე დახუნძლული და ამიტომაც გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მჭედლიშვილს ბავშვური წყენის გამო არ მოუკლავს სამხარაული. ამ ეჭვს აღრმავებს ოჯახის ნაამბობი, რომ სამხარაულის მკვლელობის წინა პერიოდში მჭედლიშვილი დადიოდა თბილისში, თუმცა არ ამბობდა ვისთან. არ არის გამორიცხული, რომ მას ამუშავებდნენ კონკრეტული საქმისთვის.

– თუკი მკვლელობის მოტივი არ ყოფილა ბავშვობისდროინდელი წყენა, მაშინ რასთან გვაქვს საქმე? ვის აძლევდა ხელს ლევან სამხარაულის მოცილება?

– სამხარაულის არსებობა არ იყო სასურველი ხელისუფლებისთვის, რადგან საექსპერტო დაწესებულებაში, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა ხდებოდა უკანონო დავალებების შესრულება. ამბობდნენ, რომ ამას უშუალოდ ლევან სამხარაული აკეთებდა. ის თავისი ინიციატივით, ამას ვერ გააკეთებდა, მას აძლევდნენ უკანონო დავალებებს. მას შემდეგ, რაც სამხარაული ცოცხალი აღარ არის, ძნელია იმის გაგება, ვინ აძლევდა მას ასეთ დავალებებს იგივე ზურაბ ჟვანიას საქმეზე. არ არის გამორიცხული, სწორედ ეს გამხდარიყო მისი მოცილების საფუძველი. ყოველ შემთხვევაში არსებობენ მოწმეები, რომლებიც ამბობენ, რომ სამხარაული ავალებდათ ზურაბ ჟვანიას საქმის მასალების გაყალბებას.

მაია ნიკოლეიშვილი, ექსპერტი:

„რაკი სახეზე გვაქვს ორი ჭრილობა, შედარებით სარწმუნოდ დედის ჩვენება მიმაჩნია, თუმცა კატეგორიულად ვაცხადებ, რომ იმ დაზიანებების მიხედვით, რასაც თავის კვლევაში აღწერს ექსპერტი ნატროშვილი, გამორიცხულია ეს ორივე გასროლა ერთი და იგივე ადამიანის მიერ განხორციელებულიყო. ფაქტია, რომ ამ ორი იარაღიდან ერთდროულად, თუნდაც წამების შუალედით გასროლა ერთი და იგივე პირის მიერ, კატეგორიულად გამორიცხულია. ის სანადირო თოფი გადაჭრილი რომ არ იყოს, კიდევ დასაშვებია, რომ ამ ბიჭმა მისი კონდახი რაღაც მყარს დააყრდნო, თუნდაც იატაკს და თოკით გამოჰკრა სასხლეტი, მაგრამ მსგავსი არაფერია ნაჩვენები საქმის მასალებში. ბალისტიკური ექსპერტიზა გადაჭრილი იარაღის ზომებსაც გვთავაზობს. მისი ლულა 34 სანტიმეტრია, მთლიანი სიგრძე კი – 55 სმ. ამ შემთხვევაში გამოძიებას აუცილებლად უნდა ჩაეტარებინა ექსპერიმენტი, რამდენად მოახერხებდა დათო მჭედლიშვილი ამ ორი იარაღის თუნდაც ერთდროულად ხელში დაჭერას. თქვენმა მკითხველმა თავადაც რომ გადაწყვიტოს მსგავსი ექსპერიმენტის ჩატარება, თვითონაც მიხვდება, რომ ასეთი მონაცემებით გადაჭრილი სანადირო თოფის მარცხენა ხელში დაჭერა და ჩახმახთან თითის დადება, იმ დროს როცა მარჯვენაში კიდევ ერთი იარაღი გიჭირავს, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან დიდ უხერხულობას ქმნის. უკვე აღარ მაქვს საუბარი სასხლეტზე თითის ერთდროულ გამოკვრაზე“.

ვახო კომახიძე: „სამხარაულის მკვლელობის წინა პერიოდში მჭედლიშვილი დადიოდა თბილისში... არ არის გამორიცხული, რომ მას ამუშავებდნენ კონკრეტული საქმისთვის“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ექიმების“ ბავშვთა ქირურგი სამსახურსა და ოჯახში

EXCLUSIVE

ლევან ხარაშვილი: „დიდების ექიმი უნდა გავმხდარიყავი, მაგრამ პედიატრიულ განყოფილებაში აღმოვჩნდი. რომ ვიმორიგევე, მივხვდი, რომ ჩემი საქმე ბავშვებთან მუშაობაა“

my View
თამარ გონგაძე

შესაძლოა გადაცემა „ექიმებს“ რეგულარულად არ უყურებდეთ, მაგრამ ამ საინტერესო ოთხეულისთვის ერთი-ორჯერ მაინც გექნებათ თვალი მოკრული. ყველა მათგანი კასტინგის მეშვეობით შეირჩა. სანდოობა, კომუნიკაბელურობა და პროფესიონალიზმი – ეს ამ ექიმების ის საერთო თვისებებია, რითიც ისინი გადაცემისთვის შეირჩნენ. ექიმებს რომ იუმორი აქვთ აქ სიახლე არაფერია. როგორც ჩემი რესპონდენტი ამბობს, ქირურგები კიდევ უფრო სხვა კასტაა, თავიანთი ნიშან-თვისებებით. ამჯერად, ბავშვთა ქირურგს ლევან ხარაშვილს წარმოგიდგენთ. რვა წელია იაშვილის კლინიკის ქირურგია. „ეს ის არის, „ექიმებში“ რომ „გამოდის“ – ჩურჩულებენ ჩემი დანახვისას. ზოგი ეჭვის თვალით მიყურებს, წამყვანი ვგონივარ. მე ვამშვიდებ, ნამდვილი ექიმი ვარ-მეთქი. გადაცემის და წამყვანების მიმართ დადებითი განწყობა აქვთ. ჩვენი დანახვა უხარიათ“, – შთაბეჭდილებას მიზიარებს ლევანი. ამბობს, რომ ბავშვთა ექიმობა გაცილებით კომფორტულია მისთვის. „პატარები მიმნდობები არიან. უნდა აუხსნა და როცა გულწრფელად უხსნი, მოგყვება. მერე შენ თავს იმის უფლებას ვერ მისცემ, რომ მოატყუო. თუ მტკივნეული მანიპულაცია ელის, უნდა გააფრთხილო, რომ ნდობა არ დაკარგოს. ძალიან საყვარლები არიან“.

– თქვენს ბავშვობასთან ასოცირებული თეთრხალათიანი ადამიანი როგორია?

– ჩემს ბავშვობასთან ასოცირდება ბებიაჩემის სამსახური, არამიანცის კლინიკურ ლაბორატორიაში მუშაობდა და როცა ბაღში არ მივყავდი, იქ ვიყავი და არაჩვეულებრივი გასართობი გარემო იყო ჩემთვის. მახსოვს უამრავი სინჯარა, ხსნარები, სანახაობა... ექიმის არასდროს მშინებია, არც ნემსის გაკეთებაზე მომიწყვია ისტერიკა, არც კბილის ექიმთან. ხშირად დავდიოდი თვალის ექიმთან. სამკურნალო ფაკულტეტი დავამთავრე და დიდების ექიმი უნდა გავმხდარიყავი, მაგრამ პედიატრიულ განყოფილებაში აღმოვჩნდი. რომ ვიმორიგევე, მივხვდი, რომ ჩემი საქმე ბავშვებთან მუშაობაა. ყველაფერი პროფესორ პაატა გვეტაძისგან ვისწავლე, მან გამზარდა როგორც ქირურგი. რეზიდენტურაში რომ ვიყავი, ყველა ქირურგს ვიყავი მიმაგრებული, ხელებში ვუყურებდი, რომ არაფერი გამომპარვოდა. ბავშვთა ქირურგი ვარ, მაგრამ უმეტესად ახლა გულმკერდის ქირურგიაში ვარ დატვირთული. პედიატრიული ქირურგია ძალიან საინტერესოა, ნიუანსური დარგია, განსაკუთრებით ახალშობილთა ქირურგია. მინიმალურ ჩარევაზეა ორიენტირებული. იაშვილის კლინიკაში კეთდება საინტერესო და ჩვენი სივრცისთვის ექსკლუზიური ოპერაციები, მაგალითად ისეთი, როგორიცაა გულმკერდის დეფორმაცია. ეს არის „მეწაღის“ და „ქათმის“ გულმკერდი, ერთი ჩავარდნილია, მეორე – გამოწეული. ამას მასაჟი არ შველის. ჩემთვის ყველაზე დიდი კაიფია, როდესაც ოპერაცია წარმატებით ჩაივლის, ღამე მშვიდად გძინავს. კაიფია, როდესაც ბავშვი, რომელიც ტკივილისგან იტანჯებოდა, გაწერის დროს გაგიღიმებს და სახლში უშვებ. ეს დიდი სიამოვნებაა. ამისთვის ბევრი სწავლაც ღირს, ღამისთევაც და შრომაც. პროფესია რთულია ემოციურადაც და ფიზიკურადაც.**

„მეტყველება არ გვიჭირს ზოგჯერ, მაგრამ ზოგჯერ ვჭედავთ. ამაზე ტყდება სიცილი, დანარჩენი სამი მხიარულობს, დარბაზსაც ეს უნდა, ერთმანეთი აბუჩად ავიგდოთ და ვიმხიარულოთ“

„პატარები მიმნდობები არიან. უნდა აუხსნა და როცა გულწრფელად უხსნი, მოგყვება. მერე შენ თავს იმის უფლებას ვერ მისცემ, რომ მოატყუო. თუ მტკივნეული მანიპულაცია ელის, უნდა გააფრთხილო, რომ ნდობა არ დაკარგოს“

– განსატვირთად რას აკეთებთ ექიმები?

– განსაკუთრებულს არაფერს. ექიმებს ქეიფი გვიყვარს, როგორც სხვას ყველას. ჩემთვის სპორტიც განტვირთვაა, თუმცა ჰობისთვის დრო არ გვრჩება. ხშირად ექიმები ვერ ვახერხებთ სადმე ერთად წასვლას. გადაცემის ჩაწერა ღამის 11 საათზე მთავრდება და მერე სადმე ერთად წასვლის თავი არ გვაქვს. ზოგჯერ ორ გადაცემას გადაბმულად ვწერთ. მთელი ჯგუფი მხიარული და ადვილად საურთიერთობო ხალხია. ბევრი მაიმუნობა ეთერში არ ხვდება, სამაგიეროდ სახალისო ვიდეოები საახალწლო ეთერში მოხვდა. მათთან ერთად ქეიფი ძალიან სასიამოვნოა. ძალიან ძნელი იყო ისეთი დღის გამონახვა, ოთხივეს რომ დრო გვქონოდა. ბოლოს ასეთი დღე ორშაბათი საღამო აღმოჩნდა. თუმცა ამ დღესაც დამირეკეს. გადაცემა ჩაიწერა და უცებ დამირეკეს, ბავშვს სასუნთქ სისტემაში უცხო სხეული აქვს გადაცდენილიო, მძიმედ იყო, თხილი თუ მზესუმზირა ჰქონდა გადაყლაპული. საბედნიეროდ ყველაფერი კარგად დასრულდა.

მაყურებლის და წამყვანი ექიმების გემოვნება ერთმანეთს არ ემთხვევა. რეიტინგიან გადაცემაზე მეტად მედიკოსებს სხვა გადაცემა მოსწონებიათ, ანუ ექიმებს რა თემაც ეჩვენებათ საინტერესოდ იმ გადაცემას ისეთი რეიტინგი არ ჰქონია. „პირველი თუ მეორე გადაცემა იყო წყალზე. ვინც მხვდება, ყველა მეუბნება, თქვენი გადაცემის მერე წყლის სმა დავიწყეო. გადაცემის მიზანიც ეს არის, გაითვალისწინონ რჩევები. სისხლის დონაციაზე გვქონდა გადაცემა და სისხლის ბანკმა გვითხრა, მომართვებმა მოიმატაო“.

– კამერებს ადვილად შეეჩვიეთ?

– კამერებთან ურთიერთობის გამოცდილება არც ერთს არ გვქონია, ყველანი პროფესიონალი ექიმები ვართ. ახალგაზრდა და თავის საქმეში მეტ-ნაკლებად წარმატებული ექიმები სჭირდებოდათ. მაყურებელს ნდობა უნდა ჰქონოდა ჩვენი, რომ ჩვენ ნამდვილად ექიმები ვართ და საზოგადოება გვცნობს. იუმორს და მეტყველებას თავისთავად მიაქციეს ყურადღება.

ერთმანეთს არ იცნობდნენ, გადაცემამ კი ისე დააახლოვათ, რომ უკვე მეგობრობენ. „მხიარული, კარგი ხალხია. ქირურგები ვართ ოთხივე, ქირურგები თავიანთი ხასიათით განსხვავდებიან ექიმებისგან. ექიმები ხომ კასტაა და ქირურგები ცალკე კასტაა. ექსტრემალურ სიტუაციაში გვიწევს მუშაობა და ჩვენი სამუშაო არა მხოლოდ დიაგნოზის დასმა და მკურნალობაა, არამედ ქმედებაა, რომელიც ხშირად დროშია შეზღუდული. მოკლე დროში სწრაფად ვიღებთ რაციონალურ გადაწყვეტილებას. შედარებით პრაგმატული ტვინის მქონე ხალხი ვართ“.

– არაპროფესიონალი წამყვანები ეთერში არ გაჭედილხართ?

– მეტყველება არ გვიჭირს ზოგჯერ, მაგრამ ზოგჯერ ვჭედავთ. ამაზე ტყდება სიცილი, დანარჩენი სამი მხიარულობს, დარბაზსაც ეს უნდა, ერთმანეთი აბუჩად ავიგდოთ და ვიმხიარულოთ. მერე ეს უსაშველოდ გრძელდება. ასეთ დროს ძნელია ფორმაში ჩადგომა. პროფესიონალი წამყვანები ხომ არ ვართ?! მე ვჭედავ სიტყვა – რისკჯგუფებზე. არადა ეს სიტყვა ტექსტში აუცილებლად მიწერია. რომ დაინახავენ ეს სიტყვა მიწერია, ჩემი კოლეგა წამყვანები ემზადებიან სახალისოდ. არაბუნებრივი სიტყვაა.

„შვილები არ კანკალებენ, მაგრამ ჩემი ერიდებათ. შეამხანაგებულები ვართ. ასაკშიც არ არის დიდი სხვაობა. 22 წლის ვიყავი პირველი შვილი რომ გაჩნდა“

პირადი

ლევანის მეუღლე თათა ფერაძე კონფლიქტოლოგია. ორი ვაჟი ჰყავთ. ბიჭები გადაცემაშიც ჰყავდა ლევანს. გრიპის საწინააღმდეგო აცრა გაუკეთეს. ცხრა წლის ოთო და შვიდი წლის სანდრო მამით ამაყობენ.

„შენ მხეცი ხარ, გვატკენო და ყელში არ მახედებენ, ეშინიათ. გადაცემაში რომ მივიყვანე, გავაფრთხილე, მთელი საქართველო გიყურებთ, არ შემარცხვინოთ-მეთქი. კაცურად აიტანეს ნემსის ჩხვლეტა. ავად რომ ხდებიან კოლეგებთან მიმყავს. ჩემი სურვილები და სუბიექტური შეხედულებები რეალობას შეიძლება არ დაემთხვეს. შეიძლება არ გინდოდეს, რომ შენ შვილს სჭირდეს და თვალი დახუჭო. ნემსი არ გაუკეთეო, ეტკინებაო. ამიტომ ჯობს სხვამ ნახოს. მკაცრი მამა არ ვარ, მეგობრული ვარ. თუმცა ჩემი რიდი აქვთ. მამაშენს ვეტყვიო, რომ ეუბნებიან, ჭრის. არ კანკალებენ, მაგრამ ერიდებათ. შეამხანაგებულები ვართ.

ასაკში დიდი სხვაობა არ არის. 22 წლის ვიყავი პირველი შვილი რომ გაჩნდა.

მე მგონი მოსწონთ მამის პოპულარობა. ექიმი რომ ვარ, ეს უფრო მოსწონთ. გამიგია, რომ უთქვამთ, მამაჩემი ექიმიაო. ძალიან სერიოზული რაღაც ჰგონიათ:). მათი კლასელები ამბობენ, „ექიმებში“ რომ არის ის, ის მამა მოვიდაო.

თათას მედიცინა აინტერესებს. ჩემი, როგორც წამყვანის მიმართ, ზომიერად კრიტიკულია, აუცილებლად მეუბნება, რაც არ მოსწონს და მეუბნება. ჩვენი გადაცემის კარგი მაყურებელია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

BUSINESS Time
www.primetimenews.ge



სამშენებლო კომპანიები, რომლებმაც 2008 წლის ომი და მსოფლიო კრიზისი გადაიტანეს, დღგ-სგან თავისუფლდებიან

„ჩვენ აქ ერთი დიდი ოჯახი ვართ. ჩვენთვის ადამიანური ურთიერთობები მთავარია“

პერსონა - ტარიელ ხეჩიკაშვილი

იქცევა თუ არა ბანკების მიერ საკრედიტო განაკვეთების გაძვირება საგანგაშო ტენდენციად

დოლარში აღებული სესხების გარდა ლარში გაცემული კრედიტებიც ძვირდება

ქართული ქვევრის ღვინო მსოფლიოს მთავარი მარკეტინგული სიახლე ხდება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინც საცხოვრებელი ფართის გაქირავებით მიღებულ შემოსავალს დამალავს, კანონის წინაშე აგებს პასუხს

ლელა წიკლაური

ბინების გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი, 20%-ის ნაცვლად, 5%-ით დაიბეგრება

„გამქირავებელსა და მქირავებელს შორის სიტყვიერი შეთანხმების სახით ხდება გარიგება და ის თანხა, რომელიც ბიუჯეტში უნდა შევიდეს, არ შედის“

საქართველოში ცოტა თუ მეგულება ადამიანი, თუ კანონი არ ავალდებულებს, საგადასახადო სტრუქტურებში მივიდეს, საკუთარი შემოსავალი ბიუჯეტს გაუნაწილოს და თავი გადასახადების გადამხდელად აღიაროს. როგორც ჩანს, მთავრობა ჩვენს მაღალ მოქალაქეობრივ ვალდებულებას ცდის. ასე რომ, ხელისუფლების მხრიდან ახალი ინიციატივის გაჟღერება გარკვეული ტესტია.

მაგრამ ყველაფერი ამით არ დამთავრდება. თუ ბინის გაქირავებით მიღებულ შემოსავალს დამალავთ, არ არის გამორიცხული, საკონტროლო შესყიდვის მსხვერპლი გახდეთ და კანონით გათვალისწინებული საშემოსავლო გადასახადის სახელმწიფოსთვის დამალვისთვის დიდი ჯარიმის გადახდა მოგიხდეთ და ის თქვენი შემოსავლის 5%-ზე გაცილებით დიდი იქნება.

მოკლედ, ვინც მოქალაქეობრივ ვალს პატიოსნად მოიხდის ქვეყნისა და ბიუჯეტის წინაშე, კანონით გათვალისწინებული სანქციები არ შეეხება, მაგრამ ვინც ასე არ მოიქცევა, ვინ იცის, როდის აიძულებენ ამის გაკეთებას და რა ძვირი დაუჯდება ეს. ასე რომ, საგადასახადო სტრუქტურები გელიან.

საცხოვრებელი ბინის გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი, 20%-ის ნაცვლად, 5%-ით დაიბეგრება. მთავრობა მიიჩნევს, რომ ახალი ინიციატივა ახალ მოტივაციას გააჩენს. პრემიერის შეფასებით, აღნიშნული ინიციატივა საინტერესო იქნება საცხოვრებელი ბინის გამქირავებელი ფიზიკური პირებისთვის. რამდენად? ეს ექსპერტებსა და თავად კანონში ცვლილების შეტანის ინიციატორებს ვკითხეთ.

ლევან კალანდაძე, ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში:

– ბუნებრივია, ბინის გაქირავებასთან დაკავშირებული დაბეგვრის ინსტიტუტის რეალური ფუნქციონირება ქვეყანაში პრობლემურია, იმიტომ რომ ყველამ კარგად ვიცით, რომ ბინის გამქირავებლების აბსოლუტური უმრავლესობა ამ თანხას რეალურად არ იხდის. ანუ გამქირავებელსა და მქირავებელს შორის სიტყვიერი შეთანხმების სახით ხდება გარიგება და ის თანხა, რომელიც ბიუჯეტში უნდა შევიდეს, არ შედის. გამონაკლისია, თუკი ბინის დამქირავებელი ან გამქირავებელი იურიდიული პირია, ან ფირმა, რომლისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია გადახდილი თანხის დანახარჯებში ასახვა, თუმცა მთავრობის სიახლე მათ არ ეხება. ეს არის შემოსავლების სამსახურის კომპეტენცია, სწორედ მათ უნდა აკონტროლონ ეს საკითხი. გადასახადის გადამხდელის რეგისტრაციაზე დადგომის საკითხი, შემდეგ უკვე დეკლარაციის წარდგენისა და გადასახადის გადახდის საკითხიც.

– ეს პრობლემა არსებობდა გასულ წლებში, მაგრამ მძიმე სოციალური ფონის გამო ხელისუფლება თვალს ხუჭავდა და ბინების გაქირავებიდან მიღებული შემოსავლის ასახვისთვის საკუთარ ბერკეტებს არ იყენებდა.

– ხელისუფლება თვალს ხუჭავდა ამ პრობლემაზე, იმიტომ რომ ეს გარკვეულ სოციალურ პრობლემებთან დაკავშირებული საკითხია და გარკვეულ სოციალურ უკმაყოფილებას გამოიწვევდა, მმართველი პოლიტიკური ძალები კი ყოველთვის გაურბიან უკმაყოფილებას საზოგადოებაში. მე მგონია, რომ 20%-ის 5%-მდე ჩამოწევა თავისთავად სწორი გადაწყვეტილებაა იმიტომ, რომ ჩვენ, ერთი მხრივ, მნიშვნელოვნად ვამცირებთ საგადასახადო ტვირთს, ამავდროულად ვქმნით მოტივაციას ბინების გამქირავებლებისთვის, რომ მათ, პრინციპში, კანონი არ დაარღვიონ. დღეს რაც ხდება, ეს არის კანონის გვერდის ავლა, რაც დასჯადია საგადასახადო კანონმდებლობით. ასეთი ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში ბინის გამქირავებელს სერიოზული სანქციები დაეკისრება.

– რა სახის სანქციებზეა საუბარი?

– აქ არის ფულად ჯარიმებზე ლაპარაკი, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება იმ თანხას, რომელიც გადასახადის სახით ეკისრება გამქირავებელს, მაგრამ, თუ ეს თანხა განსაკუთრებით დიდი ოდენობისაა, მაშინ არ არის გამორიცხული, სისხლის სამართლის დევნის კატეგორიაშიც გადავიდეს. ჩვენ თუ საგადასახადო ტვირთს შევამცირებთ და აქეთკენ მივდივართ, ამავდროულად, თუ შევქმნით მოტივაციას, რომ ადამიანები დარეგისტრირდნენ და გადაიხადონ ეს გადასახადი, საინტერესო იქნება როგორც სახელმწიფოსთვის, ასევე იმ ადამიანებისთვის, რომლებიც აქამდე კანონმიღმა აყენებდნენ საკუთარ თავს, რადგან 20% მართლაც მაღალი საგადასახადო ტვირთია ბინის გამქირავებლისთვის.

– მაგრამ გადასახადის 4-ჯერ შემცირება რამდენად მომხიბვლელი მოტივაციაა?

– გადასახადის გადახდის მოტივაცია არ არსებობს, არც ერთი გადამხდელი არ არის მოტივირებული, რომ გადასახადი გადაიხადოს.

– როგორ უნდა მოიქცნენ ადამიანები, ვინც კანონით საშემოსავლო გადასახადის გადამხდელად ითვლებიან?

– პროცედურა ასეთია. გადასახადის გადამხდელი საგადასახადოში დარეგისტრირდება, როგორც გადასახადის გადამხდელი და, დეკლარაციის წარდგენის შემდეგ, გადაიხდის გადასახადს.

პრობლემა არის ის, რომ ასეთი ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში არ არის გამორიცხული, ადმინისტრაციული სასჯელი დაეკისროს მას. მგონია, რომ საკუთარი რეპუტაციისა და ფინანსური მდგომარეობის ასეთი რისკის ქვეშ დაყენება, უბრალოდ, არ ღირს. 5%-იანი გადასახადი სიმბოლურია. მაგალითად, 500 დოლარიდან მათ ბიუჯეტის სასარგებლოდ 25 დოლარის გადახდა მოუწევთ. 5% უკვე გონივრული თანხაა და ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს გადამხდელს, კანონის ჩარჩოებში მოქცევა არჩიოს.

– ხომ არ ვიხილავთ საკონტროლო შესყიდვების ვიდეოჩანაწერებსა და დაჯარიმებულ მოქალაქეებს ჩვენი ტელეეკრანებიდან და ეს ხომ არ გახდება უფრო კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მოტივაცია გამქირავებლებისთვის?

– ნამდვილად არ გამოვრიცხავ, იმიტომ რომ შემოსავლების სამსახურსა და იმ ფინანსური მოკვლევის სამსახურს აქვს გარკვეული უფლებამოსილება, რომ ღონისძიებები, მათ შორის საკონტროლო შესყიდვებიც აწარმოოს და ურჩი გადამხდელები გამოავლინოს. სწორედ გართულებების თავიდან აცილების მიზნით, მოქალაქეებმა საგადასახადო სამსახურებს უნდა მიმართონ და თავისი შემოსავლების ის ნაწილი დაარეგისტრირონ, რომელსაც ბინის გაქირავების შედეგად იღებენ. კანონთან კონფლიქტში შესვლა სასარგებლო არავისთვის არ იქნება.

ლევან დგებუაძე, ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დეპარტამენტის სამსახურის უფროსის მოადგილე:

– ეს ცვლილება ეხება მხოლოდ იმ შემთხვევას, როცა ფიზიკური პირი მიაქირავებს ფიზიკურ პირს საცხოვრებელ სახლს და ის ისევ საცხოვრებელ სახლად დარჩება. მხოლოდ ამაზეა საუბარი.

– როგორ გააკონტროლებს შემოსავლების სამსახური გამქირავებლებს. რა მეთოდით აღრიცხავთ მათ და როგორ აიძულებთ, გადაიხადონ საშემოსავლო გადასახადი. თუმცა უნდა ითქვას, რომ ინტერნეტი სავსეა მათ შესახებ ინფორმაციით, პირდაპირ კონტაქტებია მითითებული. ბაზარზე დიდი კონკურენციაა. ე.ი. საშემოსავლოს ბევრი არ იხდის.

– ჩვენ არავის არაფერს ვაიძულებთ, პირიქით, მოტივაციას ვაჩენთ. კონტროლის მექანიზმები კი სხვადასხვაა. ეს სიახლე გავრცელდება საინფორმაციო საშუალებებით. 20% სა და 5%-ს შორის დიდი განსხვავებაა და ამ თანხის გადახდა პრობლემა არ უნდა იყოს. თუ ვინმეს ჩვენი ახალი ინიციატივის შემდეგ გაუჩნდება იმის სურვილი, რომ გადასახადები დამალოს, ამის გამოვლენა ჩვენთვის პრობლემა არ იქნება.

– რა მექანიზმებითა და მეთოდებით მოახდენთ გამოვლენას?

„...თუკი ბინის დამქირავებელი ან გამქირავებელი იურიდიული პირია, ან ფირმა, რომლისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია გადახდილი თანხის დანახარჯებში ასახვა, თუმცა მთავრობის სიახლე მათ არ ეხება“

– ჩვენთვის ეს ადვილია, ჩავატარებთ გამოკითხვას, განვახორციელებთ საკონტროლო შესყიდვას და გამოვლენილნი იქნებიან კანონის დამრღვევები, მაგრამ ეს შემოსავლების სამსახურის სტრატეგია არ არის. დამრღვევებმა, უბრალოდ, კანონიერად უნდა გადაიხადონ. გვესმის სოციალური მდგომარეობა. ესენი ხომ ბიზნესმენები არ არიან, ასეთი ტიპის შემოსავლის მქონე პირები არასამეწარმეო საქმიანობას ეწევიან და ხშირ შემთხვევაში ოჯახებს ამ შემოსავლით არჩენენ, ამიტომაც, მათ რომ მძიმე წნეხად არ დასწოლოდათ გადასახადი, მნიშვნელოვნად შევამცირეთ ის. ბინების გამქირავებლებს შემოსავლის 5%-ის დამალვის სურვილი აღარ უნდა გაუჩნდეთ.

„დღეს რაც ხდება, ეს არის კანონის გვერდის ავლა, რაც დასჯადია საგადასახადო კანონმდებლობით. ასეთი ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში ბინის გამქირავებელს სერიოზული სანქციები დაეკისრება“

შემოსავლების სამსახური

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

იქცევა თუ არა ბანკების მიერ საკრედიტო განაკვეთების გაძვირება საგანგაშო ტენდენციად

დოლარში აღებული სესხების გარდა ლარში გაცემული კრედიტებიც ძვირდება

ლელა წიკლაური

ვისაც სესხი დოლარში გვქონდა, მათ დასაფარად ხარჯი ყოველთვიურად გვეზრდება. ლარი დოლართან მიმართებაში 18%-ით დაეცა და გაცვლითი კურსის ტაბლოზე დოლარის მაჩვენებლებთან შედარებით ლარი ციფრებში იზრდება. ერთი დოლარი 2 ლარზე მეტი ღირს და არც არავინ პროგნოზირებს რა მოხდება მომავალში, თუ ლარის დევალვაციის პროცესი გაგრძელდა ეს კატასტროფის ტოლფასი იქნება თვითოეული ჩვენგანისთვის. ვისაც სესხი ლარში აქვს აღებული, ეგონა, რომ თავი ქუდში ჰქონდა, მაგრამ ეს ასე არ არის. ლარში აღებული კრედიტებიც ძვირდება. სქემა მარტივია: ეროვნულ ბანკს ლარის გაუფასურების და ფასების ზრდის ტენდენციის შესაჩერებლად ანტიინფლაციური ინსტრუმენტის გამოყენება მოუხდა. კომერციულ ბანკებს ფული, ანუ რეფინანსირების სესხი 0,5%-ით გაუძვირა და შესაბამისი შედეგიც დადგა. ქართულმა საფინანსო ინსტიტუტებმაც საკუთარ კრედიტორებს მყისიერად, რეინვესტირების განაკვეთზე მიბმული სესხები ასევე 0,5%-ით გაუძვირა. ახლა ისღა დაგვრჩენია, რომ თაროდან გადმოვიღოთ და კარგად წავიკითხოთ ბანკებთან გაფორმეული სასესხო ხელშეკრულებები, თუკი, რა თქმა უნდა, ის აქამდე არ წაგვიკითხავს და გავარკვიოთ, არის თუ არა მიბმული ჩვენი კრედიტი ეროვნული ბანკის რეინვესტირების მცოცავ განაკვეთზე. დაზარალებულები ბევრნი არიან.

ფინანსისტები ამბობენ, რომ, თუკი მთავრობის ეკონომიკურმა გუნდმა შექმნილი მდგომარეობის შესაცვლელად კონკრეტული გეგმა არ ნარმოადგინა, დღეს განხორციელებული ნებისმიერი ინტერვენცია მოკლევადიანი იქნება და ლარი უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში გაუფასურების რეკორდსმენი გახდება. იქცევა თუ არა საგანგაშო ტენდენციად ბანკების მიერ საკრედიტო განაკვეთის გაძვირება. რა შედეგს მოიტანს საბოლოოდ ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება. რეფინანსირების განაკვეთის ნახევარი პროცენტით გაზარდა პირდაპირპროპორციულად მოქმედებს ბანკების კლიენტების ჯიბეზე და მათი სოციალური პირობების გაუარესებაზე. ამართლებენ თუ არა დღეს გიორგი ქადაგიძის გადაწყვეტილებას მთავრობის წევრები, რომლებიც ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ბოლო პერიოდში ლარის გაუფასურების შემოქმედად მიიჩნევდნენ და თითს მისკენ იშვერდნენ. რას ამბობენ ექსპერტები, შეუშლის თუ არა ხელს ეკონომიკის ზრდას ანტიინფლაციური ქმედებები და შეჩერდება თუ არა საბოლოოდ ეროვნული ვალუტის დაღმასვლის პროცესი. ამ კითხვებზე პასუხები ყველა იმ მხარეს მოვთხოვეთ, ვინც დღეს ფინანსური ბაზრის სტაბილურობაზეა პასუხისმგებელი.

ზურა გვასალია, ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი:

– გაძვირდება თუ არა ლარში აღებული ყველა ტიპის სესხი ბანკებში?

– არა ყველა სესხს ეს არ შეეხება. ეს შეეხება იმ სესხებს, რომელიც რეფინანსირების განაკვეთზე არის მიბმული. მსესხებლებმა ამის შესახებ წინასწარ იცოდნენ, როცა სესხს იღებდნენ. ეს ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული. რომ მომხდარიყო რეფინანსირების განაკვეთის კლება, ბუნებრივია, საბანკო საპროცენტო განაკვეთიც დაიკლებდა, მაგრამ ახლა გვაქვს სხვა რეალობა. მოხდა ზრდა და ბუნებრივია პროცენტი მოიმატებს. ლარში აღებულ დანარჩენ სესხებს ეს არ შეეხება. სხვა ტიპის საკრედიტო ხაზებზე საპროცენტო განაკვეთის მატების საფრთხეებს ჯერ ვერ ვხედავთ, ბუნებრივია, დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთის მატება შემდგომ გასაცემი სესხების საპროცენტო განაკვეთებზეც იმოქმედებს, მაგრამ ამაზე ჯერ ადრეა საუბარი. ამას დინამიკაში დავაკვირდებით, როგორ მოახდენს საპროცენტო მატებაზე საფინანსო ბაზარი რეაგირებას.

– კონკრეტულად რამდენი ლარით გაუძვირდება მოსახლეობას ლარში აღებული სესხები, რომლებიც რეინვესტირების განაკვეთზეა მიბმული და ძირითადად რა ტიპის სესხებს შეხება ეს. არის თუ არა ზედა ზრღვარი დაწესებული ასეთ შეთხვევაში, თუ ეს ბანკების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული?

– არა, ეს ბანკების კეთილ ნებაზე არ არის დამოკიდებული. იმ პროდუქტებზე გაცემული სესხები გაძვირდება მხოლოდ, რომლებიც რეფინანსირების განაკვეთზეა მიბმული. მაგალითად, თუ სესხი წლიურ 10%-ში გაქვთ აღებული და აქედან 6%-ი არის ბანკის მიერ ფორმირებული და 4%-ი რეფინანსირების განაკვეთით სესხია, მაშინ ოთხს დაემატება ის ნახევარი და კრედიტზე გადასახადი 0,5%-ით გაძვირდება, საერთო ჯამში კი ის 10,5%-ი გახდება. ეს არის მარტივი ფორმულა. დანარჩენ სესხებზე იქ, სადაც რეფინანსირების სესხი არ მოქმედებს და ხელშეკრულებებში არც არის შესაბამისი პირობა ჩადებული, ასეთი სესხები ჩვეულებრივად დარჩება იმ პროცენტში რა პროცენტიც არის გათვალისწინებული კონტრაქტით.

– ხომ არ გაკეთებულა ანალიზი რამდენ ადამიანს შეიძლება შეექმნას პრობლემა. რამდენია ასეთი მსესხებელი?

– მე მინდა გითხრათ, რომ საკრედიტო პორთფელში ასეთი ტიპის სესხი რამდენია ჯერ არ დაგვითვლია, რადგან არ იყო ამის საჭიროება, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ეს მცირე პროცენტია. საკრედიტო პორტფელში მათ დიდი წილი არ უჭირავთ.

– არის, თუ არა დღეს შესაძლებელი, რომ ეროვნული ბანკის მიერ გაძვირებული რეფინანსირების განაკვეთი საბანკო კრედიტების გადასახადებზე არ აისახოს?

– ეს თანხა აუცილებლად უნდა აისახოს გადასახადებში, რადგან ფული ბანკებსაც უძვირდებათ. როგორც ბანკსა და კლიენტს შორის არსებობს ოფიციალური ურთიერთვალდებულებები, ასევე არსებობს კომერციულ ბანკებსა და ეროვნულ ბანკს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლის მიხედვითაც, რეფინანსირების განაკვეთის მატების შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთი იმატებს, კლების შემთხვევაში კი იკლებს.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ ბანკებს შესაძლოა სესხების ამოღების პრობლემები შეექმნათ, რადგან მოსახლეობას გაძვირებული საპროცენტო განაკვეთები მძიმე ტვირთად დააწვა. რამდენად გადახდისუნარიანი იქნებიან კრედიტორები?

– მაგალითად, 2007 წელს 7%-ი იყო რეფინანსირების განაკვეთი, შემდეგ წლებში 6,05% 2013 წელი 3,75%-იანი განაკვეთით დასრულდა, მაგრამ 2014 წელს მოიმატა 0,25%-ით, ახლა კი ის 4,05%-ი გახდა, ეს პროცესი მტკივნეულად არ ასახულა არცერთ წლებში, მაგრამ, ახლა სხვა რეალობის წინაშე ვდგავართ. ეროვნული ბანკი მთავრობასთან კოორდინირებულად მოქმედებს და ბუნებრივია ბევრი რამეა დამოკიდებული ეკონომიკურ გუნდზე, ფინანსთა სამინისტროზე, ეკონომიკის სამინისტროზე. მხარჯველ ორგანიზაციებზე, როგორიც არის ინფრასტრუქტურის სამინისტრო, მნიშვნელოვანია, როგორ ხდება დინამიკაში ბიუჯეტის ხარჯვა. ის, არ უნდა იყოს ნახტომისებური, რომ ფინანსურ ბაზარს არ დააწვეს მძიმედ ფულადი მასა. მნიშვნელობა აქვს, იმასაც, თუ როგორი იქნება ტურისტული ნაკადები. ექსპორტ იმპორტი და ა.შ. სწორედ ამას აკვირდება ეროვნული ბანკი და პრევენციულად იღებს გადაწყვეტილებებს. ასე რომ, ცენტრალური ბანკის ქმედება გაკოტრებამდე ნამდვილად არ მიიყვანს მოსახლეობას. გადახდიისუუნარო ადამიანი სხვა, უფრო კომპლექსური მიზეზების გამო ხდება.

– რამდენად კოორდინირებულია მთავრობა და ეროვნული ბანკი. არსებობდა, თუ არა არსებული ვითარების თავიდან აცილების შანსი? ექსპერტები ყოველთვის ამბობდნენ, რომ ცენტრალური მთავრობა და ცენტრალური ბანკი არაკოორდინირებულად მოქმედებდნენ.

– შექმნილი ვითარება მთავრობის ეკონომიკური გუნდისა და ეროვნული ბანკის ცუდ მუშაობაზე კი არა, გარე ფაქტორებზე იყო დამოკიდებული. ასეთი პირობები საქართველოს კარგა ხანია არ ჰქონია. ჩვენმა მთავარმა სავალუტო შემომტანებმა საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ტრანზაქციები შეამცირეს. გზავნილები შემცირდა რუსეთიდან, საბერძნეთიდან უკრაინიდან და თურქეთიდანაც კი. თურქული ლირაც უფასურდება ევროსა და დოლარის მიმართ. ანუ მდგომარეობა იქაც მძიმეა. აი, ამ ფონზე, ვფიქრობ, საქართველო მაინც ნაკლები დანაკარგებით გამოდის.

ეს შეეხება იმ სესხებს, რომელიც რეფინანსირების განაკვეთზე არის მიბმული

ბანკებში რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული სესხი 4902 ადამიანს და 2111 იურიდიულ პირს გაუძვირდება

რეფინანსირების განაკვეთი იზრდება, შემცირდება თუ არა ეკონომიკასთან ერთად ფასების საერთო დონე

საზოგადოება და ბანკები

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის 50 საბაზისო პუნქტით გაზრდის შესახებ. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 4.5 პროცენტს შეადგენს.

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტია და ის ერთგვარ ორიენტირს ნარმოადგენს საბაზრო განაკვეთებისთვის.

ვინაიდან ბოლო თვეებია სახეზეა ეროვნული ვალუტის მკვეთრი დევალვაცია და ქვეყანაში მიმდინარე ნეგატიური ეკონომიკური პროცესები, შედეგად დადგა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ზრდის საკითხი.

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ზრდა გამოიწვევს იმ სესხებზე საბაზრო განაკვეთის ზრდას, რომელიც რეფინანსირების განაკვეთზეა მიბმული. შედეგად შემცირდება ერთობლივი მოთხოვნა, ეკონომიკის დაკრედიტება და ფასების საერთო დონე. საბოლოოდ მოხდება მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის შემცირება, რაც ლარის გაცვლით კურსს დროებით დაასტაბილურებს. თუმცა მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის შემცირება ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფითად აისახება.

იმისთვის, რომ ეროვნული ვალუტის კურსის დროებით დასტაბილურება მაინც მოხდეს, ამ ეტაპისთვის, რეფინანსირების განაკვეთის ზრდა, ჩვენი აზრით, ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტებს შორის ყველაზე ოპტიმალურია. მართალია, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ზრდა ეროვნული ვალუტის დასტაბილურებას გამოიწვევს, თუმცა ამას მხოლოდ დროებითი ეფექტი ექნება. თუ არ მოხდა ფუნდამენტური ფაქტორების გამოსწორება, როგორიცაა ინვესტიციების ზრდა, საგარეო სავაჭრო სალდოს გაუმჯობესება და ა.შ. ეროვნული ვალუტის მკვეთრი გაუფასურება ქვეყნის ეკონომიკისთვის კვლავ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად დარჩება.

2015 წლის იანვრის მდგომარეობით რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული იპოთეკური სესხი 4902 ადამიანს, ხოლო ბიზნეს სესხი 2111 იურიდიულ პირს აქვს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკები“ რეფინანსირების განაკვეთის ზრდასთან დაკავშირებით კვლევას ავრცელებს

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პერსონა - ტარ

ლელა წიკლაური

KIA,WOLKSVAGEN, SEATI, SHKODA, MITSUBISHI, RENAULT, PEUGEUT, AUDI, SALLER…

ვინ ყიდულობს დღეს ძვირადღირებულ ავტომობილებს. „იბერია ბიზნეს ჯგუფი“ 15-წლიანი გამოცდილებით დღეს აცხადებს, რომ მოთხოვნა მის მიერ შემოყვანილ ბრენდებზე მთლიანად, რეგიონის მასშტაბით დიდია. ავტომობილების ღირებულება კომპანიის სალონში 11 000 დოლარიდან 100 000 დოლარამდე მერყეობს. როგორ ინარჩუნებს კონკურენციის პირობებში ბაზარზე 35 %-იან წილს კომპანიის დამფუძნებელი ტარიელ ხეჩიკაშვილი. რას ფიქრობს ბიზნესმენი მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკაზე. გრძნობს თუ არა მთავრობის მხარდაჭერას. რა არის ის, რაც უნდა შეცვალოს მთავრობამ ინვესტიციების მოსაზიდად. რა რეფლექსი აქვს გამომუშავებული „იბერია ბიზნეს ჯგუფის“ ხელმძღვანელს. „BUSINESS TIME“ ტარიელ ხეჩიკაშვილს ესაუბრა.

„ინვესტორს უნდა შეუქმნა კარგი პირობები და მათთან უფრო მნიშვნელოვანი მესიჯია გასაგზავნი, რომ საქართველო უნდა გახდეს ჰაბი, შესაბამისი კანონმდებლობებით. სწორედ ასეთი საქართველო იზიდავს ინვესტორებს და არა ისეთი, როცა ელემენტარულად საზღვარზევე ექმნებათ ვიზებთან დაკავშირებით პრობლემები“

– ბატონო ტარიელ, 15 წელია, „იბერია ბიზნეს ჯგუფი“ ქართულ ბაზარზეა და მთელი ამ ხნის განმავლობაში ახერხებთ ბაზარზე საკუთარი წილი შეინარჩუნოთ. ომისა და ფინანსური კრიზისის პერიოდშიც კი ვითარდებით. როგორია თქვენი მართვის სტილი. რა არის ის, რაც თქვენთვის მნიშვნელოვანია.

– თქვენ წარმოიდგინეთ, ქართულ კომპანიებს უკვე რეფლექსი გამოუმუშავდათ, როგორ უნდა მართონ კრიზისულ სიტუაციებში საკუთარი კომპანია. მთავარია მაინც, იმ ადამიანური რესურსის მობილიზება, რომელიც არსებობს კომპანიაში. შემდეგ მნიშვნელოვანია ფინანსური რესურსის მობილიზება, გაყიდვების არხების ბოლომდე გამოყენება, რაც თავისთავად გულისხმობს რეგიონალურ პროექტებში ჩართვას, რომ არ იყო დამოკიდებული მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე. სწორედ ამ ყველაფრის ხარჯზე შევინარჩუნეთ ბაზრის წილი და უფრო მეტიც, გავზარდეთ კიდეც. რამდენიმე ბრენდი დავიმატეთ და ახალ საინვესტიციო პროექტებზეც ვმუშაობთ. ამ მიმართულებით მუშაობას ვაგრძელებთ და მომხმარებელს მივაწვდით ახალ პროდუქტებს, რაც მათთვისაც და ჩვენი კომპანიისთვისაც მომგებიანი იქნება. მომხმარებელი იღებს ახალ სერვისებს და ზოგადად, ბაზარიც ვითარდება.

– თქვენი მართვის სტილი კორპორაციაში, რა არის თქვენთვის ყველაზე მთავარი.

– ეს ინდივიდუალურია, ზოგისთვის მისაღები მკაცრი მენეჯმენტია, ზოგიერთისთვის ლოიალური. ჩვენთან ყველაფერი ნდობას და პროფესიონალიზმს ემყარება. პროფესიონალიზმი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ამიტომ კვალიფიკაციის ასამაღლებლად ინვესტიციასაც ვდებთ ჩვენს თანამშრომლებში. „იბერია ბიზნეს ჯგუფს“ სხვა დანარჩენი კომპანიებისგან განასხვავებს ის, რომ ჩვენ ვცდილობ კომპანიაში მაქსიმალურად დავნერგოთ ის სტანდარტები, რაც სათავო ოფისს აქვს. მაგალითად, შკოდის შემოყვანისთვის ახალი სტანდარტების დანერგვის ვალდებულება დილერებს 2015 წლამდე უნდა მოეხდინა, ჩვენ კი ეს 2013 წელს გავაკეთეთ. მარტის თვეში გაიხსნება ახალი აუდის სალონი, ასევე თანამედროვე სტანდარტებით. გერმანიაში რომ ნახოთ უახლესი აუდის ცენტრი ვერაფრით განასხვავებთ საქართველოში არსებული ცენტრისგან, რადგან მშენებლობა იგივე სტანდარტებით განხორციელდა. ამ მხრივ, ჩვენ არ ვზოგავთ თანხას, რომ, ერთი მხრივ, თანამშრომლებმა მიიღონ შესაბამისი კვალიფიკაცია, მეორე მხრივ კი, ინფრასტრუქტურულად განვვითარდეთ ისე, რომ ახალი სტანდარტები იყოს დანერგილი. პროფესიონალიზმთან ერთად აუცილებელია ნდობაც. ჩვენ აქ ერთი დიდი ოჯახი ვართ. ყველაზე ნაკლები გადინება გვაქვს კადრების მხრივ. მოდიან და რჩებიან აქ. ვხუმრობთ კიდეც, რომ ყოფილი ibg-ელები არ არსებობენ, ზოგიერთი წარმატებული მენეჯერი ახალ პროექტებზე გადავიდა, მაგრამ ჩვენ მაინც ერთად ვართ ყოველთვის. გვეამაყება ისიც, რომ იმდენად კარგი გარემო შეიქმნა ამ დიდი კორპორაციის წიაღში, რომ დაახლოებით 12 ოჯახი შეიქმნა და უკვე პატარა ibg-ელებიც გვყავს. ყველა ხედავს, რომ ჩვენთვის ადამიანური ურთიერთობები მთავარია.

– ახალი ხელისუფლების გზავნილი საქმიანი ადამიანების მიმართ არის ბიზნესის მხარდაჭერა, გრძნობთ თუ არა მხარდაჭერას მთავრობის მხრიდან. რამდენად მიმზიდველია დღეს საინვესტიციო გარემო. რას აკეთებს თქვენი აზრით ხელისუფლება ბიზნესის განვითარების მხარდაჭერის კუთხით და უწყობს თუ არა ხელს მართლაც ბიზნესს მათ მიერ გადადგმული ნაბიჯები?

– რატომღაც ბიზნესმენების ნაწილს ჰგონია, რომ მთავარი მშველელი არის მთავრობა, ეს ასე არ არის. შენც ხელი უნდა გაანძრიო. ეს კომუნისტური მიდგომებიდან დაგვრჩა, მაგრამ ყველაზე კარგი მხარდაჭერა მთავრობის მხრიდან არის ის, რომ ხელი არ შეუშალოს ბიზნესს. ყველაზე კარგი მთავრობა არის ის, რომელიც ბიზნესს ხელს არ უშლის. პირველ რიგში, ეს უნდა მოვთხოვოთ, შემდეგ უკვე თუ იქნება ჯანსაღი პროტექციონიზმი, რომ ბიზნესი განვითარდეს, თან იმ პერიოდში, რა გზასაც საქართველო გადის, ძალიან კარგი იქნება. მცდელობა იმისა, რომ ბიზნესს დაეხმარონ, ნამდ-

რას უკავშირდება 34-ის გამოჩენა?

მზეკო ჟვანია

რა შეიძლება იყოს 34? - ეს შეკითხვა უკვე კვირაზე მეტია მთელ თბილისს აწუხებს. თუმცა რატომ მხოლოდ თბილისს? ამბავი იდუმალი 34-ის შესახებ დედაქალაქის ფარგლებსაც გასცდა. ამაზე საუბრობენ ყველგან: ქუჩაში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, სილამაზის სალონებსა თუ სოციალურ ქსელებში. 34-თან დაკავშირებით უამრავი მოსაზრება არსებობს, თუმცა ეს ჯერ მხოლოდ ვერსიებია და ზუსტად არავინ იცის რას უნდა ნიშნავდეს.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა, მათ შორის ჟურნალისტებმა და სოციალური ქსელების აქტიურმა მომხმარებლებმა, „სრულიად საიდუმლო“ დამღით აღნიშნული წერილები მიიღეს. 14 თებერვალს, სიყვარულის დღეს მიღებულ საიდუმლო ბარათს ზოგი გულის ფანცქალით ხსნიდა, ზოგიც ცოტა შეშფოთებული ათვალიერებდა უცნაურ გზავნილს. წერილი კი ისეთივე მოულოდნელი და უცნაური იყო, როგორც თავად ამოუცნობი 34-ია. წერილში მაგალითი იყო მოცემული, რომელიც უნდა ამოგეხსნა, პასუხი კი მითითებულ ელექტრონულ მისამართზე გაგეგზავნა. სხვადასხვა მაგალითის მიუხედავად, ასობით ადრესატმა ერთი პასუხი მიიღო - 34 და როგორც წერილში ეწერა, ყველა შემდეგი ინსტრუქციისა და შესაბამისად, შემდეგი წერილის მოლოდინში გაირინდა. ამასობაში კი იდუმალი 34 ქუჩაში ბილბორდებზე, ტელევიზიით და მომდევნო წერილთან ერთად ე.წ. ბრელოკებზე გამოჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ 34 სულ უფრო აქტიურად იკავებს სივრცეს ჩვენ გარშემო, რეალურად არავინ იცის რას უკავშირდება მისი გამოჩენა. ხოლო მანამ, სანამ გამჟღავნდება ვინ დგას ამ მრავლისმეტყველი რიცხვის უკან, საზოგადოებას მხოლოდ ის დარჩენია, ფანტაზიას მოუხმოს და ვერსიები 34-ის რაობის ან იქნებ ვინაობის შესახებ ვებგვერდზე **www.34.ge** ჩაწეროს, სადაც ყველაფერი ისევ 34-ზე მრავლდება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

IBG
IBERIA BUSINESS GROUP

„ᲩᲕᲔᲜ ᲐᲥ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲝᲯᲐᲮᲘ ᲕᲐᲠᲗ. ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ“

„ᲩᲕᲔᲜ 15 ᲬᲔᲚᲘᲐ ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ ᲕᲐᲠᲗ, ᲐᲛ ᲮᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲨᲘ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ 15 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲚᲐᲠᲘ ᲨᲔᲒᲕᲐᲥᲕᲡ. ᲓᲘᲓᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲤᲝᲜᲓᲘᲪ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ 500-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲨᲘ“

ᲡᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲤᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲮᲐᲠᲯᲝᲡ. ᲠᲘᲗᲘ ᲛᲝᲘᲒᲔᲑᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ. ᲠᲐᲖᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲓᲝᲡ ᲤᲡᲝᲜᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ

ვილად არის, რამდენად საკმარისია, ეს სხვა საქმეა და ამ მიმართულებით კიდევ ბევრი სამუშაოა. ერთი მხრივ, ბიზნესმენებმა უნდა წარადგინონ სრულყოფილი და საინტერესო პროექტები, მეორე მხრივ კი, მთავრობამ უფრო მეტი პროექტის მხარდაჭერა უნდა მოახდინოს. მთავრობის ეკონომიკური გუნდი ამ ეტაპზე ცდილობს იყოს აქტიური. ამ მიმართულებით ჩვენ მთავრობასთან გვაქვს საუკეთესო კომუნიკაცია, ცდილობენ გაითვალისწინონ ჩვენი მოთხოვნები. თუმცა მოცემულობა საერთო ჯამში არის არასახარბიელო, თუ გავითვალისწინებთ საგარეო ფაქტორებს. არ უნდა ვთქვათ, ისიც, რომ არ იყო შეცდომები. ეს ბიზნესსაც ეხება და თავად მთავრობასაც. ამიტომ უფრო მეტი დიალოგი უნდა იყოს ხელისუფლებასა და ბიზნესს შორის.

– ზოგადად ბიზნესში არის განწყობა, რომ მთავრობამ ინვესტიციების მოზიდვის მიზნით ბიზნესგარემო კიდევ უფრო მეტად უნდა გააუმჯობესოს. დღეს ინვესტიციების ზრდა თითქოს ფიქსირდება, მაგრამ არსებული ეკონომიკური მაჩვენებლებით საქართველოში კაპიტალის დაბანდების თვალსაზრისით მაინც სიხალვათეა, თუმცა კომპანიები, ვისაც აქ მუშაობის გამოცდილება აქვს, არსად წასულან და არსად წაუღიათ საკუთარი ბიზნესები. რამდენად მიმზიდველია დღეს საქართველო, თუნდაც თქვენი პარტნიორებისთვის. როგორია ეკონომიკური პოლიტიკა. რაში ხედავთ ხარვეზებს.

– მე შემიძლია აუდის სალონზე ვისაუბრო, რადგან ეს ძალიან კარგი მაგალითია. როდესაც ახალ პროექტში ინვესტირება გადავწყვიტეთ, ძალიან იაფად გადმოგვეცა მინა. ეს არის ძალიან კარგი წახალისებაა, რადგან, რეალურად შეიქმნა ახალი ბიზნესცენტრი, სადაც დასაქმდა და დასაქმდებიან ადამიანები, ანუ ინვესტიციამ გაამართლა და ასეთი მიდგომა უნდა იყოს ხელისუფლების მხრიდან. კარგი საინვესტიციო პირობები ბიზნესმენებისთვის, რა თქმა უნდა, მასტიმულირებელია. თავის დროზე, როცა ახალი ხელისუფლება მოვიდა, რატომღაც იყო განწყობა, რომ ძალიან სერიოზული ინვესტიციები წამოვიდოდა, ამიტომ ძალიან ძვირი ღირდა უძრავი ქონებაც და მიწაც, მაგრამ, ჩემი აზრით, მიდგომები უფრო ლიბერალური უნდა იყოს. რა თქმა უნდა, ქართული მიწაც და ქონებაც მარჯვენივ და მარცხნივ არ უნდა არიგონ, მაგრამ უნდა ჩაიდოს მკაცრი პირობა ინვესტიციების განხორციელების მხრივ. თუ ასეთ მიდგომებზე გადავა მთავრობა უფრო მეტ ინვესტიციას მოიზიდავს. იმიტომ რომ, თუ ინვესტორს ეუბნები, რომ თან უნდა იყიდო თან უნდა ჩადო დიდი კაპიტალი და დახარჯო ფული საინვესტიციო პროექტში, არჩევანი ძალიან დიდია მთელ მსოფლიოში, რომ არ აკეთო ეს საქართველოში. აი, მაგალითად, ის შეცდომები, რაც სავიზო რეჟიმების გამკაცრებას მოჰყვა, აღიარეს. ჩემს ბევრ პარტნიორს პრობლემები შეექმნა ვიზის გამო. გაკეთდა მთავრობის მხრიდან სწორი ანალიზი და როგორც ვიცით, უახლოეს დღეებში მოხდება ლიბერალიზაცია, მე ვფიქრობ, რომ ქვეყანა ამით მოიგებს. ინვესტორს უნდა შეუქმნა კარგი პირობები და მათთან უფრო მნიშვნელოვანი მესიჯია გასაგზავნი, რომ საქართველო უნდა გახდეს ჰაბი, შესაბამისი კანონმდებლობებით. სწორედ ასეთი საქართველო იზიდავს ინვესტორებს და არა ისეთი, როცა ელემენტარულად საზღვარზევე ექმნებათ ვიზებთან დაკავშირებით პრობლემები.

– თუ გიცდიათ ბიზნესის სხვა დარგში გეცადათ თქვენი თავი, თუ გიჩნდებათ სურვილი მონაწილეობა მიიღოთ ხელისუფლების მიერ დაანონსებულ პროგრამებში, თუნდაც „ანარმოე საქართველოში“?

– მე რა საქმეშიც ვარ პროფესიონალი, მინდა ამ მიმართულებით კიდევ უფრო განვვითარდე, სხვა დარგში, უბრალოდ, კომპეტენცია არ გამაჩნია, მაგრამ თუ იქნება რაიმე ძალიან საინტერესო ბიზნესიდეა, რომელიც სასარგებლო იქნება, არ არის გამორიცხული, ჩემს პარტნიორებსაც შევთავაზო. ჩვენ, ბიზნესმენები, ფაქტობრივად ყველაზე კარგად ვუკეთებთ პოპულარიზაციას სხვა ქვეყნებში ჩვენი ქვეყნის შესაძლებლობებს, რომ ხედავენ, რომ თუნდაც ჩემი კომპანია წარმატებულია, ყოველთვის უჩნდებათ საქართველოსთან დაკავშირებით კითხვები. ჩვენთან, იმ მხრივ, რომ კომუნიკაციის პრობლემა მთავრობასთან არ გვაქვს, საწუწუნო ნამდვილად არ არის. სხვა ქვეყნებში გაცილებით რთულად არის საქმე. ჩვენთან კარგი პროექტების ნაკლებობა უფროა და ხშირ შეთხვევაში სწორად არ არის განსაზღვრული პრიორიტეტები და ის მიმართულებები, რომელიც გლობალურად უფრო საინტერესოა და ჩვენი ქვეყნის პოტენციალს პასუხობს. საქართველოში პატარა ბაზარია და დიდი ინვესტორის მოყვანა ძალიან რთულია, ამიტომ სწორად უნდა განვსაზღვროთ ჩვენი შესაძლებლობები.

– რა რაოდენობის ინვესტიცია გაქვთ ჩადებული საქართველოში, საინტერესოა თქვენი საინვესტიციო პორტფელი და ახალი საინვესტიციო პროექტები.

– ჩვენ 15 წელია ბაზარზე ვართ, ამ ხნის განმავლობაში ყოველწლიურად ბიუჯეტში დაახლოებით 15 მილიონი ლარი შეგვაქვს. დიდია ჩვენი სახელფასო ფონდიც, რადგან 500-ზე მეტი ადამიანი მუშაობს ჩვენს სივრცეში. კომპანია დოვლათს ქმნის და ეს დოვლათი ნაწილდება ქვეყანაში. სხვადასხვა პროექტებში ამ წლების განმავლობაში მინიმუმ 15 მილიონის ინვესტიცია გვაქვს განხორციელებული. მიმდინარე პროექტი „პრესიჟენი“, რომ ავიღოთ, ჩვენი შენატანი არის 4 მილიონი ლარი. ეს არის მულტიბრენდული სერვისების ამერიკული ქსელი. ჩვენ ვართ პარტნიორები ამიერკავკასიის რეგიონში და შევძლებთ ესენგეს სივრცეშიც გასვლას. ეს მოხდა ამერიკის ხელისუფლების დახმარებით, იაფი სესხი ავიღეთ პარტნიორებმა ოპეკიდან. მარტში და აპრილში ცენტრები გაიხსნება ქუთაისსა და ბათუმში, თბილისში და რუსთავში კი უკვე წარმოდგენილია, და მომხმარებელი სწრაფ და მაღალხარისხიან მომსახურებას მიიღებს. არ არის გამორიცხული, რომ ინვესტიციები ამ კუთხით ავტობიზნესში ჩართულმა პირებმაც განახორციელონ და ჩვენგან მოიპოვონ ცნობილი ამერიკული ბრენდის გამოყენების უფლება. სერვისების გაუმჯობესებისა და გაფართოების მიზნით ამ წელს კიდევ, დამატებით 3 მილიონი დოლარის დახარჯვას ვაპირებთ, ასე რომ, გეგმები ამბიციურია.

– თქვენ ახსენეთ ამერიკული ბანკი და იაფი სესხი. რა ტიპის თანამშრომლობა გაქვთ ქართულ ფინანსურ ინსტიტუტებთან.

– რომ არა ქართული ბანკები, ალბათ, ჩვენ ამდენს ვერ გავაკეთებდით, საერთოდ, ბანკები არიან ბიზნესის ავანგარდში, ვისაც არ ეზარება ყველა აკრიტიკებს ბანკებს, მაგრამ ბანკს თავისი ფუნქცია აქვს და თავის მისიაც, რა თქმა უნდა, უკეთესია იაფი სესხი, რომ უფრო მოქნილები ვიყოთ, მაგრამ ბანკები იმ მოცემულობით მოქმედებენ, რა მოცემულობაც ბაზარზეა.

– როგორია სტატისტიკური მაჩვენებლები ექსპორტის კუთხით.

– სტატისტიკური მაჩვენებლები მზარდია, ჩვენ მიმართ ინტერესი ასევე მზარდია. ყოველწლიური მაჩვენებლები მატულობს და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ გაისად კიდევ 50%-იან ზრდის მმაჩვენებლეს დავდებთ.

– შეგიძლიათ გვითხრათ იმ ქვეყნების სამეული, რომელიც თქვენი ყველაზე აქტიური მომხმარებელია.

– ბაზარი საკმაოდ დივერსიფიცირებული გვაქვს. შემიძლია ვთქვა, რომ ეს ესენგეს ქვეყნებია.

– მოდით ვისაუბროთ ლარზეც, რადგან ლართან დაკავშირებული პრობლემები ბიზნესზე აისახა. ბატონო ტარიელ, ავტომობილების გაყიდვების თვალსაზრისით ქართული ბაზარი რამდენად რელევანტურია, აქვთ ქართველებს იმის შესაძლებლობა ახლა, რომ ფუფუნების საგნები იყიდონ. მათ შორის ხარისხიანი და ძვირადღირებული მანქანები?

– რომ არა რეგიონალური პროექტები, ჩვენ ნამდვილად გაგვიჭირდებოდა, რადგან ბოლო წლებია მსყიდველუნაიონობა ქართულ ბაზარზე შემცირდა. კრიზისი ნამდვილად სახეზეა. ჩვენ თვითონ ამ წლების განმავლობაში გავიზარდეთ და ბაზრის 35%-იანი წილიც შევინაჩუნეთ, მაგრამ თვითონ საქართველოს ბაზარია პატარა და ამ მხრივაც ქვეყნის მთავრობამ ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას. ჩვენ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას მოვაწერეთ ხელი, რაც ეკოლოგიური ნორმების ევროსტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას გულისხმობს. ქალაქში ძველი ავტოპარკია და ის გამოსაცვლელია, ამ მხრივ უნდა ვიმოქმედოთ. ქვეყანაში უნდა გაჩნდეს საშუალოშემოსავლიანი ფენა და სოციალური ფონი არ უნდა იყოს დამოკიდებული პოლიტიკურ ცვლილებებზე. ქვეყნისა და მით უფრო ბიზნესის განვითარებისთვის სტაბილურობა ყველაზე მნიშვნელოვანია.

„ᲠᲐ ᲠᲔᲤᲚᲔᲥᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲣᲛᲣᲐᲕᲓᲐᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲛᲔᲜᲔᲑᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ“

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

ქართული ქვევრის ღვინო მსოფლიოს მთავარი მარკეტინგული სიახლე ხდება

ლელა წიკლაური

რა დაუტოვა საქართველოს ილია ჭავჭავაძის სიმამრმა

ბიოლოგიურად სუფთა ღვინის დაყენებაში საქართველო ფლაგმანი ხდება. ქართველები მსოფლიოს ქვევრის ღვინის დაყენებას ასწავლიან. ილია ჭავჭავაძის მემარნე სიმამრი ღვინის საერთაშორისო ბაზარზე ახალი სტანდარტების ფუძემდებელი ხდება. სად შენდება მსოფლიოში უანალოგო მარანი, სადაც გამოცდილ მეღვინეებსა და გამოუცდელ სტუდენტებს ქართული ღვინის შექმნის პროცესს ასწავლიან. სასწავლებლის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ ბიოლოგიურად სუფთა ღვინის დაყენების მთელი ტექნოლოგიური ჯაჭვი სტანდარტად უნდა იქცეს და ეს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბაზაზე მოხდება.

კახაბერ ჯაყელი, ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში:

– იუნესკომ ქვევრის ღვინო მსოფლიო კულტურის მატერიალურ ძეგლად აღიარა. ეს მოხდა დიდი შრომის შედეგად. მსოფლიო ეძებდა ღვინის წარმოშობის ადგილსა და სამშობლოს. მან იცოდა, რომ ეს საქართველოა. მაგრამ სხვადასხვა ქვეყნები აპროტესტებდნენ ამ ფაქტს. მაგალითად, ჩინელები, მათაც ჰქონდათ უძველესი საწნახელი, მაგრამ გაიმარჯვა ქართულმა ტრადიციულმა მეღვინეობამ. ქართულმა ტრადიციულმა ღვინის დაყენების მეთოდმა, რომელიც არის უფალი ღმერთის მიერ ბუნებრივი ღვინის შექმნის პრინციპებზე აგებული პროცესი, ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა დაუგდო ყური ბუნებას, დააკმაყოფილო მისი მოთხოვნები და, უბრალოდ, უნდა მიჰყვე მას. არანაირი ქიმია, არანაირი ჩარევა. ღვინის დაყენების თითოეული ეტაპი მეღვინესგან დაფიქრებას მოითხოვს. ქიმიურ სასუქებს არ იყენებს ის და უნიკალურ ბუნებრივ სასუქებზეა ორიენტირებული.

„როგორც იოგას კურსების შესასწავლად უნდა წახვიდეთ ინდოეთში, ასევე უნდა ჩამოხვიდეთ საქართველოში ბიოლოგიურად სუფთა ღვინის დაყენების შესასწავლად“

ჩვენ ვქმნით ფაკულტეტს, რომელიც ყველა მსურველს ასწავლის ბუნებრივი ღვინის დაყენების პრინციპებს. გავუზიარებთ წინაპრების გამოცდილებას – ეს არის მსოფლიოში უანალოგო სასწავლო ცენტრი. ჩვენი მრავალი ათასი წლის ღვინის კულტურა, ქართული მეღვინეობა ქართლოსიდან, ჩვენი ეთნარქებიდან მოდის. უძველესი ქვევრები და მარნები ამის დამადასტურებელია. ილია ჭავჭავაძის ჩანაწერებიც მეტყველებს ბევრ რამეზე. ეს არის მსოფლიოსთვის მთავარი მარკეტინგული სიახლე. სად უნდა ნახონ და გასინჯონ ბიოლოგიურად სუფთა ღვინო. სწორედ ბიოლოგიურად სუფთა ღვინის დაყენებაში უნდა გახდეს საქართველო ფლაგმანი და ასწავლოს მსოფლიოს სამეცნიერო დონეზე. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა ქართული მეღვინეობისა და მევენახეობის პროგრამა, სადაც უცხოელი და ქართველი სტუდენტები ისწავლიან. როგორც იოგას კურსების შესასწავლად უნდა წახვიდეთ ინდოეთში, ასევე უნდა ჩამოხვიდეთ საქართველოში ბიოლოგიურად სუფთა ღვინის დაყენების შესასწავლად. სხვაგან სამეცნიერო ბაზისი არ არსებობს. მევენახეობა-მეღვინეობისა და აგროტექნიკის ფაკულტეტი ცალკე შენობაში განთავსდება, რომელიც ილია ჭავჭავაძის სიმამრის ცნობილი მარნის ანალოგია. „მემარნე“ თადეოზ გურამიშვილის პრინციპებიდან გამომდინარე მოეწყობა, სადაც ღვინოს დააყენებენ, რთველში მუშაობა კი სტუდენტებს უნივერსიტეტის კახურ ვენახებში მოუწევთ. ილია ჭავჭავაძის სიმამრი თადეოზ გურამიშვილი არის ადამიანი, რომელმაც საქართველოს კლასიკური მარნისა და ღვინის დაყენების პრინციპი შემოუნახა. ამ პროგრამის ფარგლებში სტუდენტობა თეორიული ცოდნას მიიღებს, სასწავლებლის უნიკალურობა კი იმაში მდგომარეობს, რომ ბიოლოგიურად სუფთა ღვინის დაყენების მთელი ტექნოლოგიური ჯაჭვი გვინდა გარდავქმნათ სტანდარტად. ანუ დღეს ქართული ქვევრის ღვინის სტანდარტიზაცია ხდება.

ფარმაცევტული კომპანიების ასოციაციაში მედიკამენტების ფასებზე კატასტროფულ ზრდას გამორიცხავენ

ნანა შონია

ფარმაცევტული კომპანიების ასოციაციის წარმომადგენლები მედიკამენტების ფასების კატასტროფულ ზრდას გამორიცხავენ.

განცხადება ამასთან დაკავშირებით ორგანიზაციის წარმომადგენლებმა „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გაკეთეს. მათი თქმით, ბოლო პერიოდში ზოგიერთი ტიპის მედიკამენტზე მხოლოდ 8-9%-იან ზრდა შეიმჩნევა, თუმცა ეს მასობრივი ხასიათის მატარებელი არ არის.

„ბოლო პერიოდში საზოგადოებაში გაჩნდა დიდი ინტერესი მედიკამენტებზე ფასის შესაძლო ზრდასთან დაკავშირებით. ფარმაცევტულ საქმიანობაში გაუთვითცნობიერებელი ადამიანისთვის ერთ და ორ პრეპარატზე ფასის ზრდიდან გამომდინარე წარმოუდგენელია საერთო სურათის დანახვა. ჩვენ არ უარვყოფთ იმას, რომ პრეპარატებზე ფასები გაიზარდა, სხვადასხვა პრეპარატზე გაიზარდა, სხვადასხვა პროცენტული მაჩვენებლით, საშუალოდ ეს ზრდა არ არის კატასტროფული და შიდა მონიტორინგზე დაყრდნობით ეს არის 8-9%, ისიც ეხება დოლარის ზონიდან შემოტანილ პრეპარატებს“,– აცხადებს ფარმაცევტული კომპანიების ასოციაციის ხელმძღვანელი ილონა კოკიაშვილი.

„ჩვენი კომპანიები ადრეც ახდენდნენ ფასების კონტროლს, დღეს კი ასოციაციის ეგიდით ვართ ამ ყველაფერში ჩართული“

ფარმაცევტული კომპანიების ასოციაციის პრეზიდენტი ირინა ჭელიძე განცხადებით, კომპანიები მინიმუმ წელიწადში ერთხელ მაინც აკეთებენ ფასების შიდა მონიტორინგს და ფასებს ამოწმებენ.

„ამ კვლევების შემდეგ ჩვენ გვექნება ინფორმაცია, საშუალოდ რა რაოდენობის მედიკამენტებზე გაიზარდა ფასები და რა პროცენტით. ეს არის იმ კვლევის მონაცემები, რომელსაც ფარმაცევტული კომპანიების ასოციაცია ცოტა ხანში დადებს. დღეს არსებული სიტუაციით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასობრივად მედიკამენტებზე ფასები არ გაზრდილა. არის, რიგი მედიკამენტები, რომლებზეც შეიმჩნევა ფასის მატება და ამავდროულად რიგ მედიკამენტებზე ფასები შემცირდა კიდეც“, – აცხადებს ფარმაცევტული კომპანიების ასოციაციის პრეზიდენტი ირინა ჭელიძე.

კომპანია „ჯიპისის“ ფარმაცევტული დეპარტამენტის ხელმძღვანელის ნინო ბარათაშვილის განცხადებით, მათი კომპანია აქტიურად არის ამ ყველაფერში ჩართული. „ჩვენი კომპანიები ადრეც ახდენდნენ ფასების კონტროლს, დღეს კი ასოციაციის ეგიდით ვართ ამ ყველაფერში ჩართული. კვლევა ნამდვილად კომპეტენტური იქნება და ყველა ერთად ვნახავთ შედეგებს. მანამდე კი სხვადასხვა სახის ინფორმაციები მიდის მოსახლეობამდე, ზოგიერთი ფასების დრამატულ ციფრსაც ასახელებს. ასეთ დრამატულ ზრდასთან ნამდვილად არ გვაქვს საქმე და საზოგადოებამ ეს აუცილებლად უნდა გაიგოს“. Ⓐ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სამშენებლო კომპანიები, რომლებმაც 2008 წლის ომი და მსოფლიო კრიზისი გადაიტანეს, დღგ-სგან თავისუფლდებიან

აყენებს თუ არა მთავრობა ბიზნესმენებს არათანაბარ პირობებში? ჩნდება თუ არა კორუფციის საფრთხე? რა არის ხელისუფლების რეალური მოტივი?

ლელა წიკლაური

გადასახადების პატიება ეკონომიკაში აღიქმება, როგორც უსამართლო გადაწყვეტილება, რადგან მიიჩნევა, რომ, ვინც პატიოსნად იხდის გადასახადს, ის იჩაგრება, ნაპატიები მეწარმე კი გარკვეულწილად უპირატეს მდგომარეობაში რჩება და ეს არის პირდაპირი ჩარევა ბიზნესში და არაკონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა. მაგრამ მეორე საკითხია შეჩერებული მშენებლობები და ომის პერიოდში დაწყებული ბიზნესი, რომელსაც მსოფლიო ფინანსური კრიზისი დაემთხვა და იყო ობიექტური გარემოებები, რომელმაც ისინი დააზარალა, მაგრამ, როგორ გავარკვიოთ, ეს ობიექტური მიზეზები იყო თუ სუბიექტური, როცა შექმნილი ფორსმაჟორული სიტუაციით არაკეთილსინდისიერი ბიზნესმენები ხელს ითბობენ, სიტუაციას საკუთარი გამორჩენის მიზნით იყენებენ და არ ასრულებენ სახელმწიფოსა და საკუთარი კლიენტების მიმართ აღებულ ვალდებულებებს.

თუ ეს ობიექტური მიზეზია, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ მასტიმულირებელ ინიციატივებსა და ინსტრუმენტებზე, რომელიც შეჩერებულ პროექტს დაძრავს, მაგრამ თუ აქ სხვა მიზნები იკვეთება, მაშინ რატომ უნდა აპატიოს ხელისუფლებამ ბიზნესს შეუსრულებელი ვალდებულებები? ასეთ შემთხვევაში, პირიქით, საჯარიმო სანქციები უნდა აამოქმედოს.

ზოგადად, ამნისტიები ქმნის ორმაგი სტანდარტის საფრთხეს და ნებისმიერი ამნისტია ჩინოვნიკების მიერ ვიღაცის სასარგებლოდ მიღებულ გადაწყვეტილებად აღიქმება და აქ ყოველთვის იბადება კითხვა: ხომ არ ჩნდება გარკვეული კორუფციული რისკები? ამიტომაცაა, რომ, ზოგადად, ეკონომიკასა და ბიზნესში არასწორია ასეთი მიდგომები.

უნდა იყოს თუ არა გადასახადი ყველასთვის ერთნაირად სამართლიანი და თანაბარი? „Business time“-მა კითხვებით ახალი ინიციატივის ერთ-ერთ ავტორს, სამშენებლო კომპანია „არსის“ გენდირექტორს თორნიკე აბულაძეს მიმართა.

– მე აქ ცოტა სუბიექტური ვარ. ამ კანონპროექტზე 8 თვეა ვმუშაობთ. ვფიქრობ, ეს კარგად გააზრებული და მნიშვნელოვანი ინიციატივაა. ვიმუშავეთ საგადასახადო ომბუდსმენთან, ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებთან. აქ საუბარია იმ კომპანიებზე, რომლებმაც მშენებლობა დაიწყეს 2008 წლამდე, გაჩერდნენ რეალურად და ვეღარ აგრძელებენ, ან მათ დაამთავრეს უკვე მშენებლობა, გადასცეს ბინები მოსახლეობას, მაგრამ აღარ აქვთ იმის თანხა, რომ გადაუფორმონ. მყიდველი ცხოვრობს თავის ბინაში, მაგრამ არ აქვს ბინა გადაფორმებული იმიტომ, რომ კომპანიამ დღგ ვერ გადაიხადა და რომ გადაუფორმოს, მაშინვე დღგ-ს გადასახადი უწევს. ამის გამო ბინის მფლობელი ბინას ვერ იფორმებს, ვერც იპოთეკაში დებს სესხის აღების მიზნით, ზოგი არც არემონტებს, იმიტომ, რომ ეშინია, რომ არ გადაუფორმებენ. შესაბამისად, ქვეყანაში არსებობს ჰაერში გამოკიდებული პრობლემა. აქედან გამომდინარე, ყველანაირი ეკონომიკური აქტივობა შეჩერებულია.

– მოდით, იმ სიკეთეებზე ვისაუბროთ, რაც შეიძლება ამ ახალ ინიციატივას მოჰყვეს.

– როგორც კი ბინა რეალური მფლობელის საკუთრებაში გადავა. ბინის მეპატრონე იწყებს რემონტს. კვადრატული მეტრი ფართის რემონტი, უხეშად რომ ვიანგარიშოთ, 300 დოლარამდე ჯდება, აქედან უშუალოდ რემონტი 150 დოლარიდან 180 დოლარამდე ხარჯს ითვალისწინებს. ბინის აღჭურვა კი, კვადრატული მეტრობით თუ ვიანგარიშებთ, ასევე, 150 დოლარამდე აღწევს. ეს რომ თბილისში არსებულ უზარმაზარ ფართობზე გადავიანგარიშოთ, მილიონ ორასი ათასი გამოდის. მაგრამ თუ ნდაც 300 ათას კვადრატულ მეტრზე რომ დაიწყოს აქტიური სარემონტო სამუშაოები, ეს გახდება ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდის მოტივაცია და სამი თვის შემდეგ საკმაოდ შთამბეჭდავი შედეგი დადგება. ციფრები აქაც დინამიკაში გაიზრდება. და მოკლე დროში უამრავი ქონების გადაფორმება მოხდება.

– უსამართლო ხომ არ არის თქვენი ინიციატივა იმ მეწარმეების მიმართ, ვინც გადასახადებს პატიოსნად იხდიდა და დღგ-ც გადახდილი აქვთ?

– ზოგადად, ამნისტია, როგორც ასეთი, მიიჩნევა ხოლმე, რომ არის უსამართლო. ეს ნიშნავს იმას, რომ ვისაც უკვე გადახდილი აქვს, მას ეს არ ეხება, მან გარკვეული ხარჯი გასწია, და ვისაც არ აქვს გადახდილი, მას არ გადაახდევინებენ და ჩამოეწერება. ზოგადად, ამნისტიის ბუნება ასეთია, მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში არ უნდა მივუდგეთ საკითხს ამგვარად. რეალურად ეს ინიციატივა ეხება იმ მეწარმეებს, ვინც 2008 წლის 8 აგვისტომდე დაიწყო მშენებლობა, მოყვნენ ომის ქარ-ცეცხლში და გაიარეს მსოფლიო ფინანსური კრიზისიც. შესაბამისად, იმ მშენებლებს, ვინც წარმოებას იწყებდნენ 2010, 2012 და 2013 წლებში, გააზრებული ჰქონდათ, რა ბაზარზე შედიოდნენ, რა პირობები ჰქონდათ ბიზნესის განსავითარებლად და ამ პირობების ფარგლებში თამაშობენ. მშენებლობა, რომელიც გაჩერებულია და მშენებლობა, რომელიც მიდის, ერთმანეთის კონკურენტი ვერასდროს ვერ იქნება. იმიტომ, რომ ერთი ბაზარზე მოქმედებს, მეორეს კი ვალდებულებები აქვს შესასრულებელი, რომელიც 2008 წლიდან მოსდევს. შესაბამისად, არასწორია, შევადაროთ ომამდე და ომის შემდეგ დაწყებული მშენებლობები, რადგან მათ აბსოლუტურად სხვადასხვა გარემოებები აქვთ.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ იმ მეწარმეთა შორის, ვისაც რეალურად შეექმნათ პრობლემები, ისეთებიც არიან, რომლებმაც ზარალი იმ დროს განვითარებულ მოვლენებს დააბრალეს, რეალურად კი ფული "მოუტეხეს" როგორც სახელმწიფოს, ასევე საკუთარ მომხმარებლებს?

– ვინ შეიძლება იყოს ისეთი ტიპი, ვინც შეიძლება ამით ისარგებლოს? საუბარი არ არის იმაზე, რომ მთავრობა ამ შემთხვევაში ამ კომპანიებს ეხმარება. კი, ცხადია, რომ დამატებითი ეფექტი არის ის, რომ ამ კომპანიის მფლობელებს აღარ დაიჭერენ გადასახადების დამალვისთვის, მაგრამ რეალურად ამით სარგებლობს 15 000 ოჯახი, რომლებიც წლებია, იბრძვიან საკუთარი ბინების გასაფორმებლად. საბოლოო ჯამში, მთავრობის ეს ინიციატივა ემსახურება ამ 15 000 ოჯახის კეთილდღეობას და არა კომპანიების გამორჩენას. ვინ ისარგებლა მშენებლობის ბუმით ჩვენს სფეროში? იარაღის ბიზნესში თუ იყო ვინმე, არ ვიცი, მაგრამ ამ ბიზნესით სხვა ბევრი ბიზნესიც ხეირობს. მაგალითად, სამშენებლო მასალების ბიზნესი. ახლა შეიძლება ვიღაცამ 2008 წლამდე მართლაც მოტეხა ფული, მაგრამ ასეთი უძრავი ქონება ან დაყადაღებულია, ან ბანკმა წაართვა, ან მათი საქმეები პროკურატურაშია.

> „იყო შემთხვევები, როცა თავად სამშენებლო კომპანია სთხოვდა ბინის მეპატრონეს დღგ-ს გადასახადის გადაფარვას ბინის გადაფორმებისთვის და ამას დიდი აჟიოტაჟიც მოჰყვა, მაგრამ რეალურად მოსახლეობას აღარ მოუწევს ფულის გადახდა იმაში, რაც უკვე გადახდილი აქვს“

ფაქტობრივად, ამ ინიციატივით იმ ბინის მფლობელებს ვეხმარებით, ვინც საკუთარი ფულით ნაყიდ ბინებს ვერ იფორმებენ. თუ პირმა ბინა გადააფორმა, ე.ი. კომპანიას ეძლევა შანსი, რომ გადააფორმოს და აი, ამ მომენტში არ დაიჭირონ. დღგ-ს გადახდის ვალდებულება გიდგება მაშინ, როცა ბინას უფორმებ და ბინას თუ არ უფორმებ, ეს ვალდებულებები ისედაც არ გიდგება. შესაბამისად, თუ არ გიდგება ამის ვალდებულება, არც ამნისტია გეხება, და თუ შენ დღგ-ს ჩათვლის გარეშე გადაფორმების შანსი გეძლევა, ამით, უბრალოდ, მოსახლეს აძლევ იმის შანსს, რომ ბინა, რომელშიც ცხოვრობს, მის საკუთრებაში ოფიციალურად გადავიდეს. ასე რომ, ამ ინიციატივით მოსახლეობა მიიღებს სარგებელს.

– რამდენი ბინაა დათვლილი, რა თანხას შეადგენს დღგ-ს გადასახადი, რომელსაც ბიუჯეტი კარგავს?

– დაახლოებით 200 მილიონს. ფაქტია ის, რომ ეს დღგ-ს გადასახადი ამოღებადი არ იყო კომპანიებიდან, იმიტომ რომ არ ჰქონდათ. და, საბოლოო ჯამში, ეს მოსახლეობაზე ტყდებოდა. კომპანიას ფული არ ჰქონდა და ამის გამო ვერ უფორმებდა ბინას მესაკუთრეს. თუ ვინმე არაკეთილსინდისიერად თავის დროზე მიითვისა თანხა, მე მაგაზე თავს ვერ დავებ, პროკურატურა იძებს. კანონით მას პასუხისმგებლობა ეკისრება და ამ ინიციატივით მისი მდგომარეობა ვერ გაუმჯობესდება, მაგრამ მოსახლეობა აღარ დაიჩაგრება. კომპანიების საკეთილდღეოდ ამ ნაბიჯს არავინ გადადგამდა. იყო შემთხვევები, როცა თავად სამშენებლო კომპანია სთხოვდა ბინის მეპატრონეს დღგ-ს გადასახადის გადაფარვას ბინის გადაფორმებისთვის და ამას დიდი აჟიოტაჟიც მოჰყვა, მაგრამ რეალურად მოსახლეობას აღარ მოუწევს ფულის გადახდა იმაში, რაც უკვე გადახდილი აქვს.

პრემიერის შეფასებით, სამშენებლო კომპანიების მიერ სახელმწიფოს მიმართ დაგროვილი ვალდებულებები კომპანიებს დღემდე მძიმე ტვირთად აწევს, რაც აღნიშნული დარგის განვითარებას აფერხებს.

„საბანკო დაკრედიტების გამკაცრებამ და უძრავ ქონებაზე მოთხოვნის შემცირებამ ძალიან სერიოზული ზიანი მიაყენა სამშენებლო დარგს და შედეგად კომპანიებს სახელმწიფოს მიმართ მნიშვნელოვანი ვალდებულებები დაუგროვდათ, რაც მათ

> „ნებისმიერი ამნისტია ჩინოვნიკების მიერ ვიღაცის სასარგებლოდ მიღებულ გადაწყვეტილებად აღიქმება და აქ ყოველთვის იბადება კითხვა: ხომ არ ჩნდება გარკვეული კორუფციული რისკები“

დღემდე ძალიან მძიმე ტვირთად აწევთ. ეს, ბუნებრივია, ხელს უშლის ამ დარგის განვითარებას. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ის სამშენებლო ობიექტები, რომელთა მშენებლობაც 2008 წლის აგვისტომდე დაიწყო და დღემდე არ დასრულებულა, გავათავისუფლოთ სახელმწიფოს წინაშე არსებული ვალდებულებებისგან, მათ შორის დღგ-ს გადასახადისგან და K2 მოსაკრებლის გადასახადისგან“, – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის თავმჯდომარე ფიქრობს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს ქვეყანაში სამშენებლო სექტორის გამოცოცხლებას, მის შემდგომ განვითარებას და ამ დარგისგან დადებითი ეფექტების სხვა სფეროებზე გადაცემას.

„ამ პროექტის არანაკლებ მნიშვნელოვანი ეფექტი იქნება შეჩერებული მშენებლობების დასრულების შედეგად ქალაქის იერსახის გაუმჯობესებაც. ჩვენ ამ მიმართულებით აქტიურად ვთანამშრომლობთ ქალაქის მერიასთან“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

ვიცე-პრემიერი, ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი დარწმუნებულია, რომ პრემიერ-მინისტრის მიერ გამოთქმული ინიციატივით ბევრი გაჩერებული მშენებლობა განახლდება.

„ისეთი ტიპის ობიექტებზე, რომელზეც მშენებლობის ნებართვა 2008 წლამდეა გაცემული და დღემდე არ არის დასრულებული, ხდება გადასახადების კუთხით შეღავათების დაწესება. ეს გამოიწვევს იმას, რომ ბევრი შეჩერებული მშენებლობა განახლდება, ბევრ ობიექტს შესაძლოა, პარტნიორი გამოუჩნდეს, რომელიც დაასრულებს დაწყებულ მშენებლობას და უდავოდ წაადგება ბიზნესის გამოცოცხლებას მშენებლობის სექტორში. ძალიან ბევრი კომპანიაა, რომელსაც ასეთი ტიპის პრობლემა აქვს. ჩვენ სისტემურად შევაფასეთ ეს პრობლემა ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე და მივიღეთ დადებითი გადაწყვეტილება სწორედ იმიტომ, რომ უამრავ კომპანიას სხვა გამოსავალი არ გააჩნია“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თიბისი ბანკი აზიის განვითარების ბანკისგან მიღებული სესხით მცირე, საშუალო და მიკრო ბიზნესებს დააფინანსებს

თიბისი ბანკმა ქართული ბანკების ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი ტრანზაქცია განახორციელა. ეროვნულ ვალუტაში 100 მილიონი ლარი, აზიის განვითარების ბანკისგან ისესხა.

თიბისი ბანკმა და აზიის განვითარების ბანკმა სწორედ დღეს, 20 თებერვალს მოაწერეს ხელი სასესხო ხელშეკრულებას, რომლის თანხებიც მოხმარდება თიბისი ბანკის მიერ მცირე, საშუალო და მიკრო ბიზნესების დაფინანსებას საქართველოს რეგიონებში.

„ეს ტრანზაქცია შედგება ორი ნაწილისაგან, ერთი რომ ჩვენ შევიძინეთ აზიის განვითარების ბანკის მიერ გამოშვებული ობლიგაციები ლარებში, ამ მოცულობით ლარებში ობლიგაციები ჯერ არ გამოსულა საქართველოს ბაზარზე, მეორე, აზიის განვითარების ბანკი ამ რესურსს გვაძლევს სესხად და შესაბამისად, ჩვენ გვიჩნდება საშუალება 100 მილიონი ლარი განვათავსოთ ქართულ ეკონომიკაში. მაშინ, როდესაც, ლარის კურსი იცვლება დოლართან მიმართებაში, ამ ფონზე ლარში სესხის აღება განსაკუთრებით პრიორიტეტული ხდება მომხმარებლისთვის. 100 მილიონი ლარის ქონება ძალიან კარგი დახმარება და სტიმულია ეკონომიკის ზრდისათვის“, - აღნიშნა თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ბადრი ჯაფარიძემ.

აზიის განვითარების ბანკის საქართველოს წარმომადგენელის კატი ჯულიანის განცხადებით. ამ ხელშეკრულების გაფორმება ხელს შეუწყობს საქართველოში სამუშაო ადგილების შექმნასა და კომპანიების განვითარებას.

„ეს ღონისძიება უპირველეს ყოვლისა ემსახურება საქართველოში კაპიტალური ბაზრების განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, რადგან ამ ობლიგაციებიდან მიღებული შემოსავალი მცირე, საშუალო და მიკრო საწარმოების განვითარებას მოხმარდება. ბუნებრივია, ეს ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების შექმნას და კომპანიების განვითარებას“, - განაცხადა აზიის ბანკის საქართველოს წარმომადგენელმა კატი ჯულიანმა.

ცნობილია, რომ ობლიგაციების დაფარვა 2018 წლის 15 თებერვალს განხორციელდება.

თიბისი ბანკმა ენერგო-კონფერენციას უმასპინძლა

გასულ კვირას თიბისი ბანკის ორგანიზებითა და ენერგეტიკის სამინისტროს მხარდაჭერით თიბისი ბანკის საკონფერენციო დარბაზში ენერგო-კონფერენცია სახელწოდებით „საინვესტიციო შესაძლებლობები და გამოწვევები საქართველოს ენერგეტიკის სფეროში“ გაიმართა. კონფერენციას ენერგეტიკის სამინისტროს, საპარტნიორო ფონდის, საქართველოში მოქმედი ყველა ძირითადი ენერგოკომპანიის, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის (EBRD) და USAID წარმომადგენლები დაესწრნენ. კონფერენცია ვიცე-პრემიერმა, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა, კახა კალაძემ გახსნა.

კახა კალაძე:

„ჩვენი დარგი წინსვლის და განვითარების ფაზაში იმყოფება. კარგად გვესმის, რომ ენერგეტიკის განვითარების გარეშე წარმოუდგენელია საქართველოს ეკონომიკური წინსვლა. აღსანიშნავია, რომ საქართველო მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, ჩვენი მდინარეები ენერგეტიკული მნიშვნელობით გამოირჩევა, მაგრამ ამ ეტაპზე არსებული ჰიდროპოტენციალის მინიმუმია ათვისებული. საქართველოში დაახლოებით 25 000 მდინარეა, აქედან დაახლოებით 300 არის ენერგეტიკულად საინტერესო. მინდა გითხრათ, რომ ჩვენ დავიწყეთ მოკვლევა და დაახლოებით სექტემბრის ბოლოს, ოქტომბრის დასაწყისში, გვექნება სრული სურათი. დაწყებული გვაქვს საქართველოში არსებული ყველა მდინარის ენერგეტიკულად შესწავლა და ოქტომბერში ეს რეპორტი იქნება წარმოდგენილი. ეს განაპირობებს სექტორში ინვესტორების მაქსიმალურად მოზიდვას. დღეს, ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველო ენერგეტიკულად დამოკიდებულია მეზობელ ქვეყნებზე. ჩვენ ყოველწლიურად, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში, ვახორციელებთ იმპორტს ჩვენი მეზობელი ქვეყნებიდან. თუმცა, საქართველოს ნამდვილად აქვს რეალურად შესაძლებლობა, რომ უახლოეს მომავალში გახდეს ენერგეტიკულად დამოუკიდებელი ქვეყანა და მეტიც, საქართველოში გამომუშავებული ელექტროენერგია იყოს მოხმარებული, არა მარტო ადგილობრივი ბაზრისთვის, არამედ შევძლოთ ელექტროენერგიის ექსპორტი ჩვენს მეზობელ ქვეყნებში. ბევრი მნიშვნელოვანი, საინტერესო პროექტი იქნა განხორციელებული ბოლო წლების განმავლობაში. ჩვენ ასევე ძალიან ბევრი ცვლილება განვახორციელეთ რეგულაციებში, რაც თავისთავად აისახება განხორციელებულ ინვესტიციებზე. მოხარული ვარ და მოხარულია ყველა ჩემი თანამშრომელი, რომელიც ამ დარგში საქმიანობს, რომ ძალიან გააქტიურდა ადგილობრივი ბიზნესი, დიდია ინტერესი ახალი პროექტების განხორციელებისთვის და ეს მისასალმებელია. საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და ადგილობრივი ბანკების როლი ჩვენი ქვეყნის განვითარებაში ძალიან მნიშვნელოვანია და ჩვენ აქტიური თანამშრომლობა გვაქვს სხვადასხვა საფინანსო უცხოურ ორგანიზაციებთან და ადგილობრივ ბანკებთან. თიბისი ბანკი არის ერთ-ერთი წამყვანი და გამორჩეული ბანკი საქართველოში, რომელმაც ბოლო წლების განმავლობაში დაახლოებით 10 მნიშვნელოვანი პროექტი დააფინანსა, რაც 150 მილიონი ლარის ინვესტიციაა. დარწმუნებული ვარ, რომ თიბისი ბანკი მომავალშიც ბევრს საინტერესო პროექტს განახორციელებს. ჩვენ მეგობრული ურთიერთობა და თანამშრომლობა გვაქვს. მინდა დაგარწმუნოთ იმაში, რომ საქართველოს მთავრობა, ხელისუფლება, ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ საქართველოში განხორციელდეს ახალი პროექტები, რათა საქართველომ უახლოეს მომავალში მიაღწიოს ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას. მე ყოველთვის ვამბობ და ვიმეორებ, რომ ქვეყნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობა არის ტოლფასი საქართველოს დამოუკიდებლობისა“.

ენერგო-კონფერენციის მიზანს საქართველოს ენერგეტიკის სფეროში არსებული გამოწვევებისა და სამომავლო განვითარების პერსპექტივების განხილვა წარმოადგენდა, ასევე მთავრობის წარმომადგენლებს, სექტორის ძირითად მოთამაშეებსა და დარგის სპეციალისტებს შორის გამოცდილების გაზიარება.

ენერგეტიკის სექტორის დაფინანსების მიხედვით თიბისი ბანკის, როგორც წამყვანი ქართული ბანკის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტია ენერგეტიკული პროექტების მხარდაჭერა და დარგის განვითარების ხელშეწყობა. თიბისი ბანკს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 150 მლნ ლარით დაფინანსებული აქვს ათამდე ენერგეტიკული პროექტი.

თიბისი ბანკის გენერალური დირექტორი, ვახტანგ ბუცხრიკიძე:

„ენერგო-კონფერენცია საშუალებას მოგვცემს სრულად წარმოვაჩინოთ საქართველოს ენერგეტიკის ინდუსტრიაში არსებული შესაძლებლობები და გამოწვევები, როგორც მარეგულირებელი ორგანოების, ასევე საქართველოსა და უცხოეთში ენერგეტიკის სფეროში მოღვაწე კომპანიების წარმომადგენლების თვალით. აღსანიშნავია, რომ ასეთ მნიშვნელოვან ღონისძიებას ბანკი მასპინძლობს, რადგან საბანკო სექტორის როლი უმნიშვნელოვანესია ქართული ენერგეტიკის სფეროს განვითარების საკითხში“.

მსგავსი მასშტაბის ენერგო-კონფერენცია საქართველოში პირველი პრეცედენტია, რომლის ინიციატორი და ორგანიზატორი კომერციული ბანკია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მომღერალმა „ორ ვარსკვლავში“ „მოგებული“ ლეკა მიქაძე დანიშნა

მარიკო ებრალიძე:
„მათი სიყვარულის ისტორიის ორი ლამაზი დეტალი ვიცი და დარწმუნებული ვარ ასე საინტერესოდ, მხიარულად და სიურპრიზებით აღსავსე ცხოვრებით შეაბერდებიან ერთმანეთს“

გიორგი მახარაშვილის ერთწლიანი სიყვარულის ისტორია ნიშნოობით დასრულდა

EXCLUSIVE

მარიამ როინიშვილი:
„გიორგი და ლეკა, უსაყვარლესო ადამიანებო, გილოცავთ! მართლა დიდ სიყვარულს ასხივებთ ერთად“

my View
თამარ გონგაძე

4 თებერვალს „ფეისბუქმა“ გვამცნო, რომ მომღერალი გიორგი მახარაშვილი ლეკა მიქაძეზე დაინიშნა. ამ წყვილის სიყვარულის ისტორიაზე რამდენიმე თვის წინ ვწერდით. გიორგიმ პირველად „პრაიმტაიმში“ ილაპარაკა თავის შეყვარებულზე. „არც ერთს არ გვიაქტიურია. როგორც ყველამ „ორ ვარსკვლავში“, მე და ლეკამაც გავიცანით ერთმანეთი. და მერე ამ ნაცნობობას ერთ-ერთი გამოეყო, ეს ლეკაა. ძალიან ბევრი რამ გვაქვს საერთო. ეს იყო ჩვენი დაახლოების გადამწყვეტი ფაქტორი. ორივეს გვიყვარს ჭამა, თან მაგრად გვიყვარს“– გვითხრა მაშინ გიორგიმ.

წყვილისთვის ეს წელი უცნაურად დაიწყო. იანვრის დასაწყისში დიდთოვლობის გამო ყაზბეგში ჩარჩნენ. მთაში მანქანით ასულები რამდენიმე დღის შემდეგ უკან ვერტმფრენით დაბრუნდნენ. მანამდე გიორგიმ ერთ-ერთ სააგენტოს კომენტარი მისცა. „მანქანასაც ვერ ვძრავთ ადგილიდან, ვერც სასტუმროდან გავდივართ. ყველაფერი დაკეტილია. ხელისუფლებას ვთხოვთ, რომ რამე საშუალება გამონახონ იმისთვის, რომ ჩვენ გამოვიდეთ აქედან. სამსახურები გვაქვს, პროექტები დაგვეწყო, გამოცდები და უამრავი საქმე გვაქვს. მანქანის წამოყვანას აღარ ვფიქრობ, აქ დავტოვებ გაზაფხულამდე, ოღონდ გუდაურამდე ჩავაღწიოთ. ვერტმფრენით მაინც დაგვეხმარონ, რომ მოხერხდეს ხალხის გადაყვანა. ჩემთან ერთადაა ჩემი შეყვარებული ლეკა მიქაძე, მაგრამ აქ სასტუმროში ბევრნი ვართ, მიშა ანდღულაძე, კრისტი ყიფშიძე და ჩვენი მეგობრები. ყველანი ასეთ დღეში ვართ. სასტუმროს ფული გვაქვს, მაგრამ საჭმელზე რა მოგახსენოთ, ნელ-ნელა გვითავდება, პროდუქტები ფაქტობრივად არ არის და რამე უნდა გვიშველონ“. სოციალური ქსელის საკუთარ გვერდზე ყაზბეგში ჩარჩენილი გიორგი ასე „ხუმრობდა“ – „ჩარჩენილები“. დღე მეხუთე –„ზვავ საშიშროებაა, გიხაროდენ“, „მანქანებს გაზაფხულზე ჩამოაკითხეთო“.

სოციალურ ქსელში აქტიური გიორგი ბოლო დროს პირად ცხოვრებაზე დაწერილ ფრაზებს არ ერიდება – „მე ბედნიერი ვარ შენით, ლეკა მიქაძე“. 4 თებერვალს კი წყვილის დანიშვნის ამბავი შევიტყვეთ.

ბექა ჩხაიძე: გიორგის დიდი სიყვარულით ვულოცავ. როგორი წარმატებულიც არის ხელოვნებაში, ისეთი წარმატებული ოჯახი ჰყოლოდეს!!!

მარიამ როინიშვილი: გიორგი და ლეკა, უსაყვარლესო ადამიანებო, გილოცავთ! მართლა დიდ სიყვარულს ასხივებთ ერთად და გისურვებთ, რომ დიდი სიყვარული მთელი სიცოცხლე თან გდევდეთ. მიყვარხართ!!!

ირინა ონაშვილი: ვულოცავ, ვუსურვებ ორივეს ბედნიერებას და წარმატებას ყველა საქმეში, ასეთი შეყვარებულები ყოფილიყვნენ ცხოვრების ბოლომდე.

ირინა ბაირამაშვილი: ნუპიკო (ჩვენ „ჯეოსტარელები“ ვართ და ასე ვეძახით), გილოცავ, ჩემო საყვარელო. ბედნიერი იყავი შენ ლამაზ გოგოსთან ერთად.

მარიკო ებრალიძე: ორივეს ვუსურვებ ბედნიერებას, გამრავლებას და წარმატებას. გიორგი ძალიან კარგი ადამიანი და მომღერალია, ლეკა პროექტის – „ორი ვარსკვლავის“ ფარგლებში გავიცანი და სასწაული გოგოა. მათი სიყვარულის ისტორიის ორი ლამაზი დეტალი ვიცი და დარწმუნებული ვარ ასე საინტერესოდ, მხიარულად და სიურპრიზებით აღსავსე ცხოვრებით შეაბერდებიან ერთმანეთს.

გიორგიმ ლეკა სიმღერა Moon river-ის შესრულებით მოხიბლა, რომელიც „ახალ ხმაში“ იმღერა. „ეს სიმღერა მიყვარს მთელი ცხოვრება. მომეწონა ამის ნამღერი და „ფეისბუქზე“ დავდე“ – ერთ ინტერვიუში ამბობს ლეკა.

„ორ ვარსკვლავში“ დაახლოვდნენ. ბიჭი კონკურსანტი გახლდათ, მღეროდა, გოგო კულისებში იყო, პროდიუსერის რანგში. ურთიერთობა მეგობრობით დაიწყო, ამასობაში საერთო თვისებები და ინტერესები გამოიკვეთა. გემრიელად კვების სიყვარულმა წყვილი მალე ისე დაახლოვა, რომ გრძნობაც მოვიდა. ეს არის შემთხვევა, როდესაც გრძნობამ გეზი გულისკენ კუჭის გავლით აიღო. იყო გაცილება, სავსე ცხოვრებით შეაბერდებიან ერთმანეთს.

„21-ე საუკუნეა, რა დროს ეგაა? ნელ-ნელა ირკვევა ყველაფერი და დინებას მიჰყვები. პირველად სად და როგორ ვუთხარი – მე შენ შემიყვარხარ, არ მახსოვს“

„ჩემი შესრულებით „Moon River“ „ფეისბუქზე“ ორჯერ ჰქონდა ლეკას გაზიარებული, როდესაც მე „ვოისის“ კონკურსანტი ვიყავი და არ მიცნობდა. იქიდან მოყოლებული გიჟდება ჩემი ხმის ტემბრზე. ამას ხშირად აღნიშნავს“



ბოლო ერთ-ორ კვირაში ეს ამბავი ბევრ ადამიანს ეცოდინებოდა.

კიწმარიშვილის საქმეზე პროკურატურამ ეჭვმიტანილები დაკითხა?!

„საგამოძიებო მოქმედება აუცილებლად სრულყოფილადაა ჩასატარებელი, რათა გაირკვეს მათი უშუალო მონაწილეობა ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების საქმეში“

Nodar TSKHVIRASHVILI (RFE/RL)

მირიან ბოქოლიშვილი

პროკურატურა ეროსი კიწმარიშვილის საქმეზე კვალიფიკაციის შეცვლას არ ჩქარობს, გარდაცვლილის ძმა და ოჯახის ადვოკატები კი ვარაუდობენ, რომ თვითმკვლელობის ვერსია მალე მკვლელობით შეიცვლება. მათი ეს ეჭვი კიდევ უფრო გამყარდა თბილისის პროკურატურაში ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების საქმეზე მომუშავე საგამოძიებო ჯგუფის წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ. ზურა კიწმარიშვილი და ადვოკატები პროკურატურის მიერ მოპოვებულ ბოლო საგამოძიებო მასალებს გაეცნენ.

„ბოლო ერთი თვეა, ვსაუბრობთ, რომ გამოძიებისთვის სხვადასხვა სამუალებებით გახდა ცნობილი რამდენიმე პიროვნება, რომლებთან დაკავშირებითაც საჭიროა დამატებითი ინფორმაცია და შესაძლოა, ეს ინფორმაცია საკმაოდ მნიშვნელოვანი გამოდგეს გამოძიებისთვის. არ არის გამორიცხული, იმდენად წინ იყოს წასული საგამოძიებო მოქმედებები, რომ დადგეს საკითხი კვალიფიკაციის შეცვლის“, – ამბობს ეროსი კიწმარიშვილის ძმა, **ზურა კიწმარიშვილი.**

კვალიფიკაციის შეცვლას არ გამორიცხავს არც კიწმარიშვილების ოჯახის ადვოკატი გაგი მოსიაშვილი, რომელიც შემთხვევის ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე საეჭვო პირთა გადაადგილების შესახებ საუბრობს.

გაგი მოსიაშვილი, ადვოკატი:

– არ გამოვრიცხავ, რომ ეროსი კიწმარიშვილის საქმესთან დაკავშირებით თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლი მკვლელობის მუხლით გადაკვალიფიცირდეს. ჩვენი მოთხოვნაა, რომ აუცილებლად გადამოწმდეს ის ინფორმაცია, რომელიც გარკვეულ ეჭვებს ბადებდა. ეს გამოძიებამაც გაითვალისწინა და არ არის გამორიცხული, რომ სიტუაცია საგამოძიებო კუთხით შეიცვალოს.

– იქნებ დაგვიკონკრეტოთ, რა ეჭვებზე საუბრობთ?

– როდესაც საქმის მასალებს გავეცანით, გარკვეული საინტერესო გარემოებები გამოიკვეთა. კერძოდ, შემთხვევის ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე საეჭვო პირთა გადაადგილება შეიმჩნეოდა. ჩვენ მოვითხოვეთ ამ პირების გამოვლენა-იდენტიფიცირება, ეს პიროვნებები უნდა შეისწავლოს გამოძიებამ, თუნდაც იმ მიზნით, რომ გაქარწყლდეს ჩვენი ეჭვები. ეს საგამოძიებო მოქმედება აუცილებლად სრულყოფილადაა ჩასატარებელი, რათა გაირკვეს მათი უშუალო მონაწილეობა ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების საქმესში.

– რა პასუხი მიიღეთ პროკურატურისგან? მოხდა თუ არა „საეჭვო პირების“ გადამოწმება?

– ამ ეტაპზე გამოძიება დაკავებულია სწორედ ამ მიმართულებით საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებით. ჩვენ სისტემატურად ვიღებთ ინფორმაციას ამა თუ იმ საგამოძიებო ღონისძიების შესახებ.

– ამ პიროვნებების იდენტიფიცირება მოხდა?

– როგორც ვიცი, ამასთან დაკავშირებით მიმდინარეობს მუშაობა.

– თქვენთვის საიდან გახდა ცნობილი მათ შესახებ?

– ჩვენ დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში ვეცნობოდით საქმის მასალებს, პარალელურად გვქონდა კომუნიკაცია საგამოძიებო ორგანოებთან. ამ საქმის მასალებში მოიპოვება რამდენიმე მტკიცებულება, რომელმაც აღნიშნული ეჭვის საფუძველი გაგვიჩინა. ჩვენი ეჭვები გაიზიარა საგამოძიებო ორგანომ და დაიწყო ამ მიმართულებით მუშაობა.

– რა შეხება ჰქონდათ მათ შემთხვევის ადგილთან?

– ჩვენ მათი მოქმედებები და აქტიურობა მივიჩნიეთ საეჭვოდ. ერთ შემთხვევაში ფიქსირდება აქტიური მოქმედება, მეორე შემთხვევაში – შედარებით პასიური. ამიტომ არის აუცილებელი, რომ გაქარწყლდეს, ან დადასტურდეს მათი მონაწილეობა ამ საქმეში. მათი გადაადგილება ემთხვევა ზუსტად გარდაცვალების დროს.

– რამდენ პიროვნებაზეა საუბარი?

– ერთი არ არის. საუბარია რამდენიმე პირზე. გვაქვს ეჭვი, რომ ისინი ერთმანეთთან იყვნენ დაკავშირებულნი. ნაწილი მათგანი გამოძიებამ უკვე დაკითხა. მეტს ვერაფერს გეტყვით, დაველოდოთ გამოძიებას.

„საუბარია რამდენიმე პირზე. გვაქვს ეჭვი, რომ ისინი ერთმანეთთან იყვნენ დაკავშირებულნი“

საერთაშორის ბიუჯეტს 7

მირიან ბოქოლიშვილი

ეს საქმე ძალიან ჰგავს ებრაელი ბიზნესმენების გახმაურებულ ისტორიას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იმდროინდელმა პროკურატურამ შვეიცარიელი ბიზნესმენების საქართველოში ჩამოტყუება და დაპატიმრება ვერ მოახერხა. სამაგიეროდ, ციხის გზას გაუყენეს შვეიცარიელების ქართველი პარტნიორი ანდრო ჩხიკვიშვილი. მან სასჯელაღსრულების დაწესებულება 5-წლიანი პატიმრობის შემდეგ, 66 წლის ასაკში დატოვა.

ყველაფერი კი 2006 წელს დაიწყო. ზურაბ ადეიშვილის სცენარით, შვეიცარიული კომპანიის – „სიერა ოილ ენტერპრაიზის“ დამფუძნებლები საქართველოში უნდა ჩამოეყვანათ მათზე ზემოქმედების მოხდენის მიზნით, რათა მათ უარი ეთქვათ ლონდონის საერთაშორისო არბიტრაჟის მიერ დაკისრებული ვალდებულებების შესრულებაზე. სწორედ მსგავსი სცენარით მოქმედებდა პროკურატურა ებრაელი ბიზნესმენების შემთხვევაში, როდესაც ზურაბ ადეიშვილმა ისინი მოტყუებით ჩამოიყვანა საქართველოში და დააპატიმრებინა იმ მოტივით, რომ მათ რამდენიმე მილიონი დოლარის ჩამოწერაზე უარი განაცხადეს.

საქმის დეტალებზე „პრაიმტაიმი“ შვეიცარიელი ბიზნესმენების ქართველ პარტნიორს, პატიმრობიდან განთავისუფლებულ ანდრო ჩხიკვიშვილს ესაუბრა, თუმცა სანამ მის ინტერვიუს გაგაცნობთ, მოგიყვებით იმის შესახებ, რამ განაპირობა კომპანია „სიერა ოილ ენტერპრაიზისა“ და საქართველოს შორის მრავალმილიონიანი ვალის წარმოქმნა.

1995 წელს უცხოელ პარტნიორებთან ერთად ძმებმა ჩხიკვიშვილებმა დააარსეს შვეიცარიულ-ამერიკული კომპანია „სიერა ოილ ენტერპრაიზის“ წარმომადგენლობა საქართველოში. კომპანია გარდაბნის ე.წ. გრესზე სანვავის შემოტანის პროგრამას კურირებდა, რომელსაც საქართველოს მთავრობა 1997-98 წლებში ყიდულობდა. ამის შემდეგ კი მთავრობამ შეწყვიტა შემოტანილ პროდუქციაზე თანხების გადახდა. ვინაიდან საქართველოს მთავრობა ფულს აღარ იხდიდა, „სიერა ოილ ენტერპრაიზმა“ საქართველოში წარმომადგენლობა დახურა და ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო საერთაშორისო არბიტრაჟს მიმართა. ამ პერიოდში ჩხიკვიშვილებს კომპანიასთან შეხება აღარ ჰქონდათ, რადგან საქართველოს წარმომადგენლობა 2000 წლიდან დაიხურა. საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით, 2007 წელს საქართველოს სახელმწიფოს ვალმა „სიერა ოილ ენტერპრაიზის“ სასარგებლოდ 7 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. პარალელურად დაყადაღდა საქართველოს დივიდენდები ევროპულ ბანკებში. მაგალითად, „სიერა ოილ ენტეპრაიზის“ სასარგებლოდ ყადაღა დაედო „საქნავიგაციის“ ფულად აქტივებს ჰოლანდიასა და საფრანგეთში.

როგორც ჩანს, აღნიშნული პრობლემის მოგვარება ზურაბ

ადეიშვილი შვეიცარიელი ბიზნესმენების საქართველოში ჩამოტყუებასა და მათ დაპატიმრებას გეგმავდა?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სო არბიტრაჟში წაგებული საქმე მილიონი დოლარი დაუჯდა

მსგავსი სცენარით მოქმედებდა პროკურატურა ებრაელი ბიზნესმენების შემთხვევაში, როდესაც ზურაბ ადეიშვილმა ისინი მოტყუებით ჩამოიყვანა საქართველოში და დააპატიმრებინა იმ მოტივით, რომ მათ რამდენიმე მილიონი დოლარის ჩამოწერაზე უარი განაცხადეს

„პროკურატურის დაკვეთით ჩატარებულ დასკვნას ხელს აწერს სამხარაულის ბიუროს არასპეციალისტი ექსპერტი ნუგზარ ბელქანია, რომელიც დღეს უკვე აღიარებს, რომ მას ყალბი დასკვნა ჩემი დაპატიმრების მიზნით დააწერინეს“

ადეიშვილს დაევალა. გენერალურ პროკურატურაში ჯერ კიდევ 2006 წელს შეიქმნა სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი.

ანდრო ჩხიკვიშვილი, ბიზნესმენი:

– ვინაიდან 2000 წლამდე მე და ჩემი ძმა ვიყავით „სიერა ოილ ენტერპრაიზის“ პარტნიორები, დაიწყო ჩვენი სისტემატური დაბარება გენერალურ პროკურატურაში. თავდაპირველად ზოგადი გასაუბრებების მიზნით, რომელიც შემდეგ პირდაპირ შანტაჟში გადაიზარდა და 2006 წლის 18 ოქტომბერს ჩემი დაპატიმრებით დასრულდა. დაპატიმრებამდე გამომძიებელმა კახა ჭუმბაძემ (ამჟამად სანდრო გირგვლიანის საქმეს იძიებს) გადმოგვცა ზურაბ ადეიშვილის დანაბარები – ჩვენ უნდა დაგვერწმუნებინა „სიერა ოილ ენტერპრაიზის“ შვეიცარიელი პარტნიორები, უარი ეთქვათ მოთხოვნილ თანხაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ხანგრძლივი პატიმრობა მელოდა მე, ხოლო ჩემს ძმას გამოიყენებდნენ ფულის მოსატანად და შვეიცარიელი პარტნიორების საქართველოში ჩამოსაყვანად. ჩვენ განვუმარტეთ კახა ჭუმბაძეს, რომ კომპანიიდან ჩვენ 2000 წელს გამოვედით და მას შემდეგ არანაირი შეხება შვეიცარიელ პარტნიორებთან არ გვქონია, რაზეც გვიპასუხა, რომ ეს მისი პრობლემა არ იყო და თუ შვეიცარიელებთან კავშირს ვერ გამოკვეთდნენ, სხვა საქმეს მონახავდნენ დასაპატიმრებლად.

– და რა იყო ის საქმე, რის საფუძველზეც დაგაპატიმრეს?

– პროკურატურისთვის ცნობილი იყო, რომ ჩემს ოჯახს დაფუძნებული ჰქონდა სააქციო საზოგადოება „კედარი“. ამ კომპანიის პარტნიორების წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო 2006 წელს. სრულიად უკანონოდ დამაკავეს და მიმცეს პასუხისგებაში. 1999 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ საქართველოს მთავრობას ეკონომიკური სიძნელეების გადალახვის მიზნით, ჩინური ხის საშრობი მანქანა-დანადგარების შესაძენად გამოუყო 3 მილიონი იუანი (დაახლოებით 700.000 ლარი). ჩინური გრანტის მიმღებად დამტკიცდა ეკონომიკის სამინისტრო. სწორედ მას უნდა გამოეცხადებინა ტენდერი და გრანტის ფარგლებში შეძენილი პროდუქცია – ხის საშრობი დანადგარები ლიზინგით გადაეცა გამარჯვებულისთვის. სწორედ ამ ტენდერში გაიმარჯვა სს „კედარმა“ და 2001 წლის სექტემბერში გაფორმდა ლიზინგის ხელშეკრულება ეკონომიკის სამინისტროსთან. ჩავიბარეთ საშრობი, მაგრამ მუშაობის პროცესში გაირკვა, რომ თითოეული კამერა 100 კვ.მ ნედლეულის გამოშრობის ნაცვლად, აშრობდა მხოლოდ 60-ს. ჩავატარეთ ექსპერტიზა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ექსპერტიზის ცენტრში, რითაც დადასტურდა ეს ფაქტი. ეს ვაცნობეთ ეკონომიკის სამინისტროს, რომელმაც თავი აარიდა პასუხისმგებლობას. ამიტომ მაშინვე მივმართეთ სასამართლოს და სწორედ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდა ვალდებულებათა ურთიერთგაქვითვა. ადეიშვილის პროკურატურამ გადაწყვიტა, „გაეცოცხლებინა“ ზემოხსენებული დავა ეკონომიკის სამინისტროსთან. პროკურატურის დავალებით ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 18 სექტემბრის დასკვნით დადგინდა, რომ ვითომდა ხის საშრობი კამერების ტევადობა შეესაბამებოდა მის საპასპორტე მონაცემებს და მე ტექნიკური უნივერსიტეტის ექსპერტიზის გაყალბების გზით მოვახდინე ვალდებულებათა ურთიერთგაქვითვა. პროკურატურის დაკვეთით ჩატარებულ დასკვნას ხელს აწერს სამხარაულის ბიუროს არასპეციალისტი ექსპერტი ნუგზარ ბელქანია, რომელიც დღეს უკვე აღიარებს, რომ მას ყალბი დასკვნა ჩემი დაპატიმრების მიზნით დააწერინეს. პრესაში გამოქვეყნდა ექსპერტ ბელქანიას ინტერვიუ სულ სხვა თემაზე, ვინაიდან ეს ექსპერტი ჟვანიას საქმეში გარკვეულ სამუშაოებში იყო ჩართული და ამ კუთხით საუბრობდა. იქ ახსენა, მე ყველაზე მძიმედ მახსოვს ჩხიკვიშვილის საქმე, რომელსაც 5 წელი მიუსაჯესო. მაიძულეს, ყალბი დასკვნა გამეცა მის საქმეზეო. ჩემი მოთხოვნაა, რომ ეს ადამიანი მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში. როგორც ვიცი, პროკურატურამ ჩემი საქმის

„გამოძიება დასრულებულია, თუმცა პროკურატურა არ იღებს ბელქანიას პასუხისგებაში მიცემის დადგენილებას“

გამოძიება დაასრულა, თუმცა სასამართლოში არაფრით არ აგზავნის.

– რატომ თქვენ და არა, თუნდაც თქვენი ძმა?

– იმიტომ, რომ ჩემი ძმა ამერიკის მოქალაქეა და ვერ გაუბედეს. სანამ მე უკანონო ბრალდებით თავისუფლების აღკვეთის დანესებულებაში ვიმყოფებოდა, გამომძიებელმა კახა ჭუმბაძემ კვლავ დაიბარა ჩემი ძმა და უთხრა, რომ ჩემი თავისუფლებაზე გამოსვლის ერთადერთი შანსი იქნებოდა, თუკი ის შვეიცარიაში წავიდოდა და ყოფილ პარტნიორებს დაარწმუნებდა, უარი ეთქვათ საქართველოს მიმართ არსებული მოთხოვნის უფლებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მე მთელ დარჩენილ სიცოცხლეს ციხეში გავატარებდი. ჩემი ძმა მართლაც შეხვდა შვეიცარიელებს და ისინი დაითანხმა, უარი ეთქვათ საპროცენტო სარგებელზე, რაც მნიშვნელოვნად ამცირებდა ვალს. ამის მიუხედავად, ზურაბ ადეიშვილმა „სიერა ოილ ენტერპრაიზისთვის“ ძირი თანხის, 1,5 მილიონი დოლარის გადახდის ნაცვლად ძვირადღირებული ამერიკული საადვოკატო კომპანია დაიქირავა, რათა ამ კომპანიას დავა ეწარმოებინა „სიერა ოილ ენტერპრაიზთან“. საბოლოო ჯამში, საქართველოს მთავრობას მაინც მოუწია დავალიანების სრული დაფარვა დარიცხული პროცენტებით (7 მილიონ აშშ დოლარზე მეტი). ადეიშვილის წყალობით, საბოლოოდ, 4-ჯერ მეტი თანხა გავიდა ქვეყნის ბიუჯეტიდან, რამაც ზურაბ ადეიშვილი კიდევ უფრო გააბოროტა. პარალელურად, 2006-07 წლებში მიმდინარეობდა ზეწოლა „სიერა ოილ ენტერპრაიზის“ საქართველოს წარმომადგენლების თანამშრომლებზე, რათა მათ ეღიარებინათ, რომ რეალურად საქართველოში მაზუთი არ შემოდიოდა და ვითომდა ჩემი ხელმძღვანელობით დგებოდა ყალბი მიღება-ჩაბარების აქტები. ციხეში გამომწყვდევის მუქარით, ზეწოლა ხორციელდებოდა ერთ-ერთ თანამშრომელზე, ირაკლი ცინცაძეზე, რომელმაც ზეწოლას ვერ გაუძლო და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

– ექსპერტ ბელქანიას მიმართ საქმე არ აღძრულა?

– გამოძიება დასრულებულია, თუმცა პროკურატურა არ იღებს ბელქანიას პასუხისგებაში მიცემის დადგენილებას. ეს პროცესი ჭიანურდება, ამასობაში კი იწურება ბელქანიას მიერ ჩადენილი დანაშაულის ხანდაზმულობის ვადა. საგამოძიებო ორგანოს მიერ ამ ვადის შეგნებულად გაშვება, სამოხელეო დანაშაულია. მე მაქვს მტკიცებულებები ზეწოლის ფაქტებზე ზურაბ ადეიშვილის მხრიდან, ამიტომ მოვითხოვ, დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა მის მიმართ, კონკრეტულად ჩემი საქმის საფუძველზე. 70 წლის კაცი ვარ, დიაბეტის მძიმე ფორმით დაავადებული. მინდა, ჩემს შვილებსა და ოჯახს დავუტოვო პატიოსანი კაცის სახელი და არა თაღლითის.

„ჩვენ უნდა დაგვერწმუნებინა „სიერა ოილ ენტერპრაიზის“ შვეიცარიელი პარტნიორები, უარი ეთქვათ მოთხოვნილ თანხაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ხანგრძლივი პატიმრობა მელოდა მე, ხოლო ჩემს ძმას გამოიყენებდნენ ფულის მოსატანად და შვეიცარიელი პარტნიორების საქართველოში ჩამოსაყვანად“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სოფო ნარჩემაშვილი პირველ

my View
თამარ გონგაძე

სოფო ნარჩემაშვილი „მოამბიდან“ მახსოვს. პატარა ვიყავი, მაგრამ იმ პერიოდის ტელევიზიის გამორჩეული წამყვანი სილამაზით დამამახსოვრდა. მგონი, მისი მსგავსი ვარცხნილობაც მინდოდა მქონოდა. ეკრანიდან საკმაოდ დიდი ხანი გაუჩინარებული ლამაზი სოფო ერთხელაც „იმედის“ „შუადღეში“ გამოჩნდა. ინტერვიუს ჩაწერის იდეა რომ გამიჩნდა, „დავგუგლე“, ვიფიქრე, გადავხედავ პრესისთვის მიცემულ სოფოს ინტერვიუებს-მეთქი. რა მოგიგონია?! ინტერვიუ ვერ ვიპოვე. „მე ისეთი სამსახური მქონდა, არც ვლაპარაკობდი და არც „ვიგუგლებოდი“. რაც უკრაინიდან ჩამოვედი, ინტერვიუც არ მიმიცია. თვითონაც მიკვირს მეორედ რატომ ამოვყავი თავი ამ გაუგებრობაში – ტელევიზიაში. ცხოვრება ისე მობრუნდა, რომ ისევ დავბრუნდი ტელევიზიაში, რაზეც ვერც ვიფიქრებდი.

„ასაკში ნაოჭი გიხდება, ჩემი აზრით, ღირსეულად დაბერება სჯობს“

„სტუდენტობის მერე ერთი დღეც არ ყოფილა არ მემუშაოს. ბედისწერის მჯერა. პროტეჟე, „კრიშა“ და პატრონი არც ერთ სამსახურში არ მყოლია. თავისით ვხვდებოდი ყველგან“

„მსგავსი ადამიანი არ შემხვედრია და მას შემდეგ მარტოც ამიტომ ვარ. უზარმაზარი სიყვარული იცოდა, რაც ჰქონდა უნდა გაეცა. რომ ვიქორწინეთ 22 წლის იყო, ერთად გავიზარდეთ. ვიცოდი, რომ ამქვეყნად ყველაზე მეტად ვუყვარდი“

ექვსი წელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ნარმომადგენელი გახლდით უკრაინაში. 2013 წლის ზაფხულში რომ დავბრუნდი საქართველოში ისევ სამინისტროში გავაგრძელე მუშაობა. დამირეკა თამარ ღვინიანიძემ, „შუადღის“ პროდიუსერმა და წამყვანობა შემომთავაზა. არც დავუშვებდი ასეთ რამეს. სტუდენტობის მერე ერთი დღეც არ ყოფილა არ მემუშაოს. ბედისწერის მჯერა. პროტეჟე, „კრიშა“ და პატრონი არც ერთ სამსახურში არ მყოლია. თავისით ვხვდებოდი ყველგან. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ პოლიტიკასთან შეხება არ ჰქონოდა გადაცემას. მეორე ფაქტორი იყო გადაცემის კოლექტივი, სადაც კომფორტულად ვგრძნობ თავს. ტელევიზიაში დაბრუნებას არ ვნანობ. კარგად ვარ. მაგრამ კიევი არის ჩემი ცხოვრების განსაკუთრებული ნაწილი, მიყვარს და მენატრება. გული მტკივა, რომ იქ ასეთი სიტუაციაა დღეს“, – საუბარი დავიწყეთ მე და ქალბატონმა სოფომ. „ელასტიკებშიც“ ელეგანტური და რაფინირებულია. მის შემხედვარეს მკვეთრი მაკიაჟის გაკეთებაც მოგინდებათ და ფორმაში ჩასადგომად დიეტაზე დაჯდომაც. დინების საწინააღმდეგოდ – სოფო ნარჩემაშვილი.

„სხვაზე არავინ ფიქრობს“

სოფო ნარჩემაშვილი: საქმე არ მქონდა, ბიოქიმიის სტუდენტი ვიყავი და ახლობლებმა ტელევიზიაში დამიძახეს. ჯერ იყო ტელეკომპანია „მერმისი“, სადაც ლელა გოცირიძესთან (ზურა ყიფშიძის მეუღლე) ერთად ვმუშაობდი, ნანა დევდარიანი იყო ჩვენი უფროსი. მერე იყო ჯერ „მეორე არხი“ და მერე „პირველი არხი“. ის ნლები ახალგაზრდობასთან ასოცირდება. ყველაფერს უძლებ, ყველაფერი ლამაზია. წყალი არ იყო, შუქი არ იყო, საბურავებს ანთებდა ხალხი, დილის ექვს საათზე პურის რიგში ვიდექით. მაინც ბედნიერები ვიყავით იმით, რაც გვქონდა. უკრაინიდან რომ ჩამოვედი, ჩემი თბილისი აღარ დამხვდა. ყველაფერი არის ურთიერთობები - ოჯახიც, ქალაქიც. მე ჩემი თბილისი მაინც მაქვს შემონახული, რომელიც დღესაც მიყვარს. ის ჩემს სახლში და ჩემი მეგობრების წრეშია. გარეთ ბევრი რამ უცხოა ჩემთვის. შეიძლება მე ჩამოვრჩი და ადამიანები ახლა სხვა ღირებულებებით ცხოვრობენ. ჩემთვის კომფორტულია ის ვიწრო წრე, რაც ჩემს გარემოცვაშია. გაცალკევებული და გათითოკაცებულია ყველა, ყველა მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს. სხვაზე არავინ ფიქრობს. აუცილებლად უნდა გიყვარდეს სხვა, თანამშრომელი, თანამოქალაქე, მეზობელი, გვერდში მდგომი. ალბათ, ამან გააფუჭა ეს ურთიერთობები.

შვიდი ნელი იმუშავა ტელევიზიაში, რომლის პარალელურად მერიაში საინფორმაციო სამსახურის უფროსად მუშაობდა. ტელევიზიას ძირითად საქმიანობად არასდროს მიიჩნევდა, უფრო გატაცებად მიიჩნევდა. „ჩემი დამოკიდებულება ტელევიზიისადმი არასერიოზული იყო. გართობა უფრო იყო. სერიოზული იყო სწავლა, სამეცნიერო ხარისხი, დიპლომატიური სამსახური, მერია, გამგებლის მოადგილეობა. მერიის კულტურის, სპორტის, ახალგაზრდული დეპარტამენტის უფროსის, დათო ოქიტაშვილის მოადგილე ვიყავი.

ლალი მინდელს

– მოგწონდათ ცნობილი რომ იყავით?

– რა ცნობილი მე ვარ და ყოველთვის მერიდებოდა თუ მცობდნენ. სასიამოვნოა, რომ უცნობები სახელით მოგმართავენ, მაგრამ უხერხულობას მიქმნიდა და ასეა ახლაც. რომელი ჯულიეტა მაზინა მე ვარ. დიდი უნდა იყო, რომ ეს შეიფერო. ალენ დელონს ვუყურებდი და მან ის, როგორიც არის ნლების მანძილზე დაიმსახურა. მაშინ ბენზინი არ იყო და ვიღაცები ბენზინს მჩუქნიდნენ. როდესაც რესტორანში ჩემს მაგიდაზე უცნობები შამპანურს გამოგზავნიდნენ, საწყალი ჩემი ქმარი მაშაყირებდა, ქალბატონ ლალი მინდელს გვერდითა მაგიდიდანო.

„მე ისეთი სამსახური მქონდა, არც ვლაპარაკობდი და არც „ვიგუგლებოდი“. რაც უკრაინიდან ჩამოვედი, ინტერვიუც არ მიმიცია. თვითონაც მიკვირს მეორედ რატომ ამოვყავი თავი ამ გაუგებრობაში – ტელევიზიაში“

– შეადარეთ ძველი და ახალი ტელევიზია.

– „იმედში“ რომ მითხრეს, თმას და მაკიაჟს გაგიკეთებთო, გამიკვირდა. ადრე ჩემი და მინისტრთა კაბინეტში მუშაობდა. დენი მასთან იყო და თმას იქ ვივარცხნიდი. მოვდიოდი ტელევიზიაში და მაკიაჟს ჩემით ვიკეთებდი. რასაც ვიშოვიდით, იმას ვისვამდით. ლენინგრადის ტუშები და რაღაც დაფქული „აგურის“ რუმიანა. არ იყო სუფლიორი და აპარატურა. ახლა ტელევიზიაში მუშაობა კომფორტია. პროფესიონალმა ზაზა დარასელმა გვასწავლა ყველაფერი. როგორი კარგი აპარატურაც არ უნდა გქონდეს, ჩემთვის ტელევიზია ადამიანური რესურსია. რა ვარცხნილობაც არ უნდა გქონდეს, თუ თავში არაფერი გიყრია, არაფერი გამოდის. ჩემთვის, ადამიანისთვის მიუღებელი რაღაცის რეიტინგისთვის გაკეთება, მიუღებელი რჩება. ხარისხი უფრო ღირებულია და არა რეიტინგი.

კიევი

თავდაცვის სამინისტროში ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობას ასრულებდა. სამნლიანი თანამშრომლობის შემდეგ მიიღო გამოწვევა და ექვსი ნლით წავიდა კიევში. „ახალი ჩასული ვიყავი კიევში, რომ ხელში იქაური ჟურნალი ჩამივარდა, სადაც თიკა კანდელაკის ინტერვიუს ვკითხულობდი. ინტერვიუ ასე იწყებოდა. „ეკითხებიან – რატომ მოგინდათ ტელევიზიაში მუშაობა? თიკა პასუხობს – იმ დრო იყო ასეთი წამყვანი – სოფიკო ნარჩემაშვილი, იმ პერიოდის რუხი ფერებისგან

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ად თავის პირად ცხოვრებაზე



„როდესაც რესტორანში ჩემს მაგიდაზე უცნობები შამპანურს გამოგზავნიდნენ, სანყალი ჩემი ქმარი მაშაყირებდა, ქალბატონ ლალი მინდელს გვერდითა მაგიდიდანო“



„ჩემი თბილისი აღარ დამხვდა. ყველაფერი არის ურთიერთობები - ოჯახიც, ქალაქიც. ადამიანები ახლა სხვა ღირებულებებით ცხოვრობენ. გათითოკაცებულია ყველა, ყველა მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს“

„მე და თენგო 20 წელი ვიცხოვრეთ ერთად. საკმაოდ ახალგაზრდა დაიღუპა, გულით. დეპრესიის დრო არ მქონდა. ორი შვილი დამრჩა და უნდა გამეზარდა“

EXCLUSIVE

ამოვარდნილი, უზადო სილამაზის ქალბატონი, სოფი ლორენს ჰგავდა. სამი წელი ვაკვირდებოდი მას და გამიჩნდა სურვილი ამ პროფესიას დავუფლებოდი“. ეს ძალიან მესიამოვნა. თიკა კახა კალაძესთან მეგობრობდა. კახას თინას ნომერი გამოვართვი, მადლობისთვის დავურეკე. გაგიჟდა. ჩამოვიდა და ვნახე.

ახალმა გამოწვევამ დამაინტერესა, სიახლეები მიყვარს, ცოტა მეშინოდა. ქალისთვის საპასუხისმგებლო და რთული სამუშაოა. დიპლომატიური სამსახურის გამოცდილება არ მქონია. თუმცა რატომაც არა-მეთქი და გავრისკე. თავიდან მარტო ვიყავი. მერე ჩემი ქალიშვილი ჩამოვიდა და კიევის საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტში სწავლობდა. მერე ისევ მარტო დავრჩი. სულ ექვსი წელი და რვა თვე. კიევი თბილი ქალაქია და ოჯახისნევრივით მენატრება ხოლმე. პოსტსაბჭოთა ქვეყნის ქალაქია. ჩემთვის იმ პერიოდიდან ღია და ლაღი ურთიერთობები მოდის. კიევში ეს სილაღე თვალშისაცემია. ძალიან კარგი ხალხია უკრაინელები. მეიდნის ამბებამდე ტოტალური საბჭოთა წყობა იყო. რადიკალურად შეიცვალა ყველაფერი. იქ ბევრი მეგობარი მყავს. როგორც კი ორი თავისუფალი დღე ჩამოვარდება, გავრბივარ ხოლმე. სახლი მქონდა იქ. რომ მოვდიოდი, შვილებს დავურეკე, მოვდივარ-მეთქი. ქალიშვილს ეწყინა, დედა, რას მელაპარაკები, კიევში რომ ჩავალ სახლი აღარ გვექნებაო? საელჩოსთან ახლოს ლევ ტოლსტოის ქუჩაზე ვცხოვრობდით, ერთ-ერთ ცენტრალურ – ტარას შევჩენკოს ბულვარზე, იქვეა ბოტანიკური ბაღი. ძალიან კარგი მეზობლები მყავდა. მომენტს არ ვუშვებ ან დაბადების დღეზე ან ქორნილში არ ჩავიდე. კომუნიკაბელური, თბილი ხალხია, კარგი უფრო მეტია, ვიდრე ცუდი.

დიპლომატიური სამსახური საინტერესოდ დატვირთულია. დაუსრულებელი შეხვედრები და მიღებები. მიღებაზე საინტერესო სიტუაციაა. ზემდეტი სიტყვა და შეუფერებელი ჩაცმულობა არ გეპატიება. ასეთ ვარცხნილობას, რაც ახლა მაქვს, იქ ვერ გავიკეთებდი. თავისი ეტიკეტი აქვს ყველაფერს. ტელევიზიაში რომ მოვედი, აღმოჩნდა, რომ მხოლოდ პიჯაკები მქონდა, ის, რაც იქ მეცვა. ჩანთა, ვარცხნილობა, სამკაული - ყველა დეტალი მნიშვნელოვანია. შეიძლება ერთი პატარა დეტალის გამო ისეთი უარყოფითი დამოკიდებულება გამოიწვიო, რომ ჩათვალეთ, არასოდეს მათ დონეზე აღარ იქნებით. არავინ გეტყვით, მაგრამ მათ თვალში დაბლა დაიწევთ. ეს ყველაფერი ვისწავლე.

რუსეთ-საქართველოს ომის დროს მე იქ ვმუშაობდი. სამხედრო უწყებაში ყველა სიტყვა, შემოხედვა, ნაბიჯი უნდა მოზომომ და დაფიქრდე. შეიძლება ისეთი შედეგი მოჰყვეს, ვერ გამოასწორო.

– მაკიაჟს იკეთებდით?

– რასაკვირველია, მკვეთრი მაკიაჟი არ მქონდა. ასე მასხარასავით ჩაცმულ-დახურული იქ არ დავდიოდი. ახლა მომწონს ამ მასხარის იმიჯი, თმა თითქმის გადავიპარსე, რა ფერის პომადასაც მინდა ვისვამ. რომ ჩამოვედი დიდი ხანი დამჭირდა კომპლექსის მოსახსნელად. მთელი ცხოვრება და ბოლოს, მით უმეტეს, ისეთი სამსახური მქონდა, რომ არ უნდა მელაპარაკა და სიჩუმის შენარჩუნებას ვსწავლობდი. ტელევიზიაში პირიქით, მე უნდა მელაპარა და სხვას მოესმინა. ეს ტრანსფორმაციის ურთულესი ფორმა იყო ჩემთვის. რალაცას ვჯახირობ.

– სამინისტროსთვის პიჯაკებს სად იძენდით?

– კიევში მაღაზიაში ვიძენდი. მთავარია სამოსი ჩემთვის კომფორტული იყოს, ბრენდს მნიშვნელობა არ აქვს. განსაკუთრებული არაფერი მცმია. თუ კარგი ჩანთა მიჭირავს, ჩემი შვილის გამონაცვალი ჩანთაა. შაბათ-კვირას შემეძლო პრაღაში წასვლა, როგორც აქედან ზესტაფონში ისე. ეს დიდი სიამოვნებაა ჩემთვის. მარტო, უცხო ქალაქში სეირნობა მიყვარს. შენგენის ვიზა რომ არ გჭირდება და მანქანაზე დიპლომატიური ნომრები გაქვს, დაჯდები და რვა საათში ევროპაში ხარ. ჩანთაში 1000 დოლარი რატომ უნდა მივცე, როცა იმ თანხის ბენზინს ჩავასხამ და პრაღაში წავალ.

ოჯახი

ვერაზე გაიზარდა. კეკელიძეზე. ახლაც ვერაზე ცხოვრობს, ლურჯ მონასტერთან. მისი უბანია. ნაცნობ-მეგობრების გარემოცვაშია. ორი შვილი და ორი შვილიშვილი ჰყავს.

„18 წლის ვიყავი ვასკა რომ გაჩნდა. არაფერი მესმოდა, უფროსი შვილი არსად რჩებოდა და სადაც კი დავდიოდი, მოკიდებული, ყველგან დამყავდა. ჩემი მამამთილი მეტყოდა, ასე ხლიტებივით რომ დაწანწალებთ, ბავშვი მაინც დატოვეთ სახლშიო. ანანო 27 წლის ასაკში გავაჩინე. შვილი რომ გყავს, უკვე შვილისთვის ცხოვრობ. შენი მე მეორე პლანზე გადადის და მათთვის ცხოვრობ. მის გასაჩენად მზად უნდა იყო.

ჩემი და ჩემი მეუღლის მშობლები ერთმანეთს იცნობდნენ. ჩვენ რომ მათ ჩვენი გრძნობა გავუმხილეთ, თავში ქვა გიხლიათო, გვითხრეს, აზრი არ ჰქონდა ჩვენთან ლაპარაკს. ჩვეულებრივად წავედით, არ გავპარულვართ. გული მწყდება, რომ თენგო ისე გარდაიცვალა ჯვარი არ დაგვიწერია. კომკავშირულ თანამდებობაზე იყო. ხანდახან ვეუბნებოდი, კარგია ჯვარი რომ არ დაგვიწერია, იმქვეყნადაც ტვინი რომ არ მიბურღო-მეთქი. ეს ხუმრობით. ალბათ, უნდა დაგვეწერა, როცა ადამიანებს ერთმანეთი უყვართ, ყველაფერი კარგადაა. არამხოლოდ ოჯახის წევრები. სხვისი გასაჭირი თუ არ გტკივა, არაფერია შენი ცხოვრება.

მე და თენგომ 20 წელი ვიცხოვრეთ ერთად. საკმაოდ ახალგაზრდა დაიღუპა, გულით. დეპრესიის დრო არ მქონდა. ორი შვილი დამრჩა და უნდა გამეზარდა. არც მდიდარი მამა მყავდა, დაღუპული იყო, დედას ჩვეულებრივი სამსახური ჰქონდა. გავაცნობიერე, რომ შვილები მე უნდა გამეზარდა. სულ ვმუშაობდი. მგონი ნორმალური შვილები გავზარდე. ადამიანობა და სიყვარული ვასწავლე. არც კარიერა, არც ფული არაფრად მიმაჩნდა, შვილები იყო უმთავრესი. ძირითადი სიყვარულია, მერე მოდის დანარჩენი ყველაფერი. ფული რომ გაქვს და არ გიყვარს, უბედური ხარ, როცა პირიქით არის ბედნიერი ხარ. ასე რომ ვცხოვრობ, ღმერთმა არ მიმატოვა. ყოფილა შემთხვევა არ ვიცოდი ხვალ რა იქნებოდა, რა გავაკეთო-მეთქი, ვფიქრობდი, აუცილებლად რაღაც ჩნდება. არ მოექცე ადამიანს ისე, როგორც არ გინდა მოგექცნენ. ეს მართლა ასეა, კოსმოსიდან გიბრუნდება.

– მეუღლეს როგორ ახასიათებთ?

– ჩემი მეუღლე – თენგო კავაძე იყო. მსგავსი ადამიანი არ შემხვედრია და მას შემდეგ მარტოც ამიტომ ვარ. უზარმაზარი სიყვარული იცოდა, რაც ჰქონდა უნდა გაეცა. რომ ვიქორწინეთ 22 წლის იყო, ერთად გავიზარდეთ. ვიცოდი, რომ ამქვეყნად ყველაზე მეტად ვუყვარდი.

ქალის მისია

– არაჩვეულებრივ ფორმაში ხარ, თავს როგორ უვლით?

– არ ვუვლი, ეს გენეტიკაა. არასოდეს დიეტაზე არ ვყოფილვარ. ვარჯიშიც მეზარება. სახეზე ეთერში სარეკლამო სიუჟეტისას ვილაც რაღაცას თუ ჩამარჭობს, ეგ არის. ჩემი ნებით არ მივდივარ. პროდიუსერი მირეკავს, ხვალ ბოტოქსის ინექციას იკეთებო. სხვა რა გზა მაქვს. ყველას ეტყობა გადაჭიმვა. ასაკში ნაოჭი გიხდება, ჩემი აზრით, ღირსეულად დაბერება სჯობს. არ მიყვარს ხორცი. ვიკვებები ქათმის ხორცით, პურითა და ბოსტნეულით. ბალანსირებული კვება მოგიგონიაო, დიეტოლოგმა მითხრა.

– ქალის მისია რა არის?

– ქალის მისია დედობა და მათთვის ცხოვრებაა. შვილებისთვის ხმამაღალი სიტყვა არ მითქვამს. მათგან რაღაცები ბევრჯერ მწყენია. მინდა უფრო ყურადღებიანნი იყვნენ. მეგობრულები ვართ. არც მე ვუმალავ არაფერს, არც მათ აქვთ საიდუმლო.

„ჩანთაში 1000 დოლარი რატომ უნდა მივცე, როცა იმ თანხის ბენზინს ჩავასხამ და პრაღაში წავალ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„მოქმედებაა საჭირო და არა პოლიტიკური არჩევნებით გართობა“

სალომე ზურაბიშვილი: „არაფერი ისეთი წარმატება არ არის, როდესაც ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი სხვა ქვეყნის პრეზიდენტის მრჩევლად ინიშნება, ეს უფრო ჩვენი სახელმწიფოს დაკნინებაა“

EXCLUSIVE

ხათუნა მგალობლიშვილი

სალომე ზურაბიშვილი ვადამდელი არჩევნების საჭიროებას ვერ ხედავს, თუმცა მიაჩნია, რომ პარლამენტი საკუთარ მოვალეობას არ ასრულებს და არ იღებს იმ კანონებს, რომელიც ქვეყანას „გამყინვარებიდან“ გამოიყვანს. გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციების კომიტეტის ირანის ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელს მიაჩნია, რომ პრობლემა დეპუტატებშია, რომლებიც პრიორიტეტებს სწორად ვერ საზღვრავენ. მათ უმოქმედობას კი სათავისოდ იყენებს ოპოზიცია და უკრაინაში „გახიზვნის“ შემდეგ კიდევ უფრო აქტიურად ცდილობს, საზოგადოებაში დაამკვიდროს აზრი, რომ ნაციონალები ხელისუფლებაში კვლავ რევოლუციით დაბრუნდებიან. პირადად სალომე ზურაბიშვილს არარეალურად მიაჩნია ყოფილი ხელისუფლების ქვეყნის სათავეში მოსვლა, მით უფრო მაშინ, როდესაც მათი ლიდერის მიმართ გამოძიებას კითხვები დღესაც აქვს. საეკაშვილი კი, პასუხების გაცემის ნაცვლად, თავს უკრაინას აფარებს...

სალომე ზურაბიშვილი, დიპლომატი:

– საქართველოში არის სერიოზული ეკონომიკური და სოციალური პრობლემები – მათი გადაჭრა და მოგვარებაა მთავარი და არა მორიგი არჩევნები. შეიძლება გარკვეულ პოლიტიკურ ძალებს სურთ ვადამდელი არჩევნები, მაგრამ ისეთ კრიზისულ მომენტებს, რომლებიც ვადამდელ არჩევნებს განაპირობებს, ნამდვილად ვერ ვხედავ, მით უფრო, რომ 2016 წლამდე ისედაც ცოტა დროა დარჩენილი. მოქმედი პარლამენტის შემადგენლობა საოცნებო რომ არ არის, ეს ყველამ კარგად ვიცით და ვადამდელი არჩევნების შემთხვევაში რამდენად უკეთეს პარლამენტს მივიღებთ, ეს ცალკე განხილვის თემაა. ვფიქრობ, უმჯობესი იქნება, ყველამ თავისი საქმე აკეთოს. პირველ რიგში, პარლამენტმა უნდა დაიწყოს სერიოზული და საჭირო კანონების მიღება. მოქმედებაა საჭირო და არა პოლიტიკური არჩევნებით გართობა, ეს უფრო ყურადღების გადატანის მცდელობას ჰგავს. იგივე ლარის კურსსა და ეკონომიკურ პრობლემებს რომ შევეხოთ, აუცილებელია, დაწესდეს ბანკებზე კონტროლი, რომელიც ისევ და ისევ პარლამენტის მიერ მიღებული კანონებით უნდა განხორციელდეს. ასე ხდება ყველა ნორმალურ ქვეყანაში. გავიძახით, რომ ევროპა გვინდა. ჰოდა, ევროპაში პრიორიტეტი საკუთარი მოქალაქეების უფლებების დაცვაა. დამცავი მექანიზმები კი სწორედ პარლამენტის შესაქმნელია, რაც ჩვენთან არ კეთდება. რომ დავაკვირდეთ, რა კანონებს იღებს პარლამენტი დღეს, მივხვდებით, რომ ერთ ადგილს ვტკეპნით. პარლამენტზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, მან უნდა მიიღოს მნიშვნელოვანი კანონები, რომლებიც ქვეყანას გამყინვარებიდან გამოიყვანს.

– ფიქრობთ, რომ პარლამენტი პრიორიტეტებს ვერ ალაგებს?

– ის ხალხი, ვინც პარლამენტშია, არ არის მზად ასეთი ტიპის საქმიანობისთვის. ამიტომ, როცა არჩევნები იქნება, უკეთ უნდა დავფიქრდეთ, როგორი პარლამენტი გვინდა. პარლამენტში უნდა შევიდნენ ის დეპუტატები, რომლებსაც ნაფიქრი ექნებათ, როგორ უნდა აეწყოს ქვეყანა, რომელი კანონპროექტის მიღებას უნდა მიანიჭონ უპირატესობა, პირველ რიგში. იგივე პარტიების დაფინანსების საკითხი ძალიან სერიოზულად უნდა დადგას დღევანდელი პარლამენტის დღის წესრიგში. ჩვენი პარლამენტი ან რაიმე უაზრო კანონებს იღებს, ან კოპირებული კანონები გადმოგვაქვს ამერიკიდან, ევროპიდან. რატომლაც ფიქრობენ, რომ ყველა უცხოური კანონი მოგვერგება, რა თქმა უნდა, ეს არასწორი აზროვნებაა. არ მესმის, რატომ არ დაიწყო მსჯელობა ორმაგ მოქალაქეობაზე. საუბრები, რომ უცხო ქვეყნის ქართველი მოქალაქე მარტივად დაიბრუნებს საქართველოს მოქალაქეობას, არ არის მართალი. ვიცი, რომ ბევრმა მიიღო უარი, არის სერიოზული დაბრკოლებები.

– რა დაბრკოლებები აქვთ? დიასპორის მინისტრმა განაცხადა, რომ ეს არის უმარტივესი პროცედურა, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე...

– არ არის ასე, დაკითხვას უწყობენ მოქალაქეებს. მაგალითად, ეკითხებიან, ვის იცნობთ საქართველოში ცნობილ ადამიანებს, ვისაც შეუძლია რეკომენდაცია გაგიწიოთ. რატომ არის ვალდებულება, იცნობდე ცნობილ ადამიანს იმისთვის, რომ საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო? ორმაგი მოქალაქეობისადმი ასეთი მიდგომით პუტინს პირდაპირ ხელში ვაძლევთ ინსტრუმენტს, ქართველებს დაეკარგვინოს მოქალაქეობა. საკმარისია, პუტინმა აფხაზებს, ოსებს მისცეს რუსეთის მოქალაქეობა, ისინი ავტომატურად დაკარგავენ საქართველოს მოქალაქეობას, ანუ გარდა იმისა, რომ ვკარგავთ მოქალაქეებს, ამავდროულად ვკარგავთ ძალიან სერიოზულ იურიდიულ არგუმენტს სამომავლოდ.

– მას შემდეგ, რაც თქვენ აღნიშნულ საკითხზე შეხვდით მინისტრებს, პრემიერ-მინისტრს, არანაირი ნაბიჯები არ გადადგმულა პრობლემის მოსაგვარებლად?

– მას შემდეგ დიდი დრო არ გასულა, ახალი წლის პერიოდი იყო და სიმართლე გითხრათ, არც ველოდი, რომ მომდევნო ჩამოსვლისას საკითხი მოგვარებული დამხვდებოდა, თუმცა ის, რომ საკითხის განხილვაც არ დაწყებულა, უკვე პრობლემაა. ჩემი სურვილია, გავიგო, როგორ და რა ფორმით აპირებენ მოქალაქეობის საკითხზე მსჯელობას. შეხვედრას ვგეგმავ პარლამენტის თავმჯდომარესთან, წინა ჩამოსვლაზე ვერ მოვახერხე დავით უსუფაშვილთან შეხვედრა.

– ყოფილი პრეზიდენტისა და ნაციონალების წარმომადგენლების უკრაინაში დანიშვნას როგორ შეაფასებთ?

– უკრაინაში დანიშნულ ნაციონალებს, სავარაუდოდ, ძალიან კარგი ხელფასები აქვთ. გარდა ამისა, მიეცათ სტატუსი, რომელიც, ცხადია, ემიგრაციაში ყოფნაზე უკეთესია. ემიგრაციაში თავის დამკვიდრება ბევრად რთულია, მათ ადვილი გზა აირჩიეს. არაფერი ისეთი წარმატება არ არის, როდესაც ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი სხვა ქვეყნის პრეზიდენტის მრჩევლად ინიშნება, ეს უფრო ჩვენი სახელმწიფოს დაკნინებაა. გარდა ამისა, ყოფილმა პრეზიდენტმა აუცილებლად უნდა გასცეს პასუხები თავისი ქვეყნის სასამართლოს. ამისთვის იყო ის არჩეული, ამისთვის დადო ფიცი და ბოლომდე უნდა იგრძნოს ვალდებულება. პრეზიდენტი ბოლომდე უნდა იყოს თავისი ქვეყნის კანონის შემსრულებელი, როგორი შედეგიც არ უნდა მოჰყვეს ამას. ცალკე საკითხია, რამდენად წაადგება ეს უკრაინას, მით უფრო, რომ არც ერთი მათგანი არ ყოფილა დიდი საქმის გამკეთებელი თავის სფეროში. თუმცა ეს უკრაინის არჩევანია. თავად ფაქტი, რომ უკრაინამ, რომელიც ასეთ პოლიტიკურ მდგომარეობაში იმყოფება ამოირჩია ხალხი, რომლებმაც რუსეთთან ურთიერთობაში ვერაფერი ვერ შეძლეს, გარდა ტერიტორიების დაკარგვისა, საკმაოდ უცნაურია. თუ საკუთარი ქვეყნის მომავალზე ფიქრობ, უმჯობესია, მიმართო იმ ხალხს, ვისაც გამოცდილებაც უკეთესი აქვს და შედეგებიც. საერთოდ, შეურაცხმყოფელია, როდესაც 50-მილიონიან მოსახლეობაში საკუთარ კადრებს ვერ პოულობ. საქართველოშიც არასოდეს მომწონდა, რომ ამბობდნენ, კადრების პრობლემაა. კადრების პრობლემა ყოველთვის ხელისუფლების პრობლემას ნიშნავს, ანუ ხელისუფლებამ ვერ მოიზიდა, ვერ მონახა კარგად. თუ ვეღარ ზრდი ისეთ კადრებს, რომელიც წარმატებით მოუვლის ქვეყანას, ეს სერიოზული კრახია და ქვეყანა, სადაც კადრები არ არის, უნდა დაიხუროს. უკრაინას კი საქართველოსთან შედარებით ბევრად დიდი და ძლიერი დიასპორა ჰყავს, რომლებიც სხვადასხვა ქალაქების მმართველთა წრეებში იმყოფებიან როგორც ამერიკაში, ასევე კანადაში. ესენი არიან გამოცდილი ადამიანები. ასე რომ, თუ უკრაინას დასავლური რეფორმების გატარება უნდა, პირველ რიგში, სწორედ დიასპორიდან უნდა ჩამოეყვანათ წარმატებული ადამიანები.

– შესაძლებელია, რომ უკრაინაში მოღვაწეობის შემდეგ ნაციონალებმა ხელისუფლებაში დაბრუნება სცადონ თუნდაც ისევ რევოლუციური გზით?

– ნაციონალები ცდილობენ, საზოგადოებაში ეს აზრი დაამკვიდრონ, პიარი აამუშაონ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ. არა მგონია და არ მჯერა, რომ რაიმე საფრთხე ან რისკი არსებობს ნაციონალების დაბრუნების, რადგან მათ თავიანთი რესურსები თავის დროზე ამოწურეს. ცვლილება თუ განხორციელდება, ქვეყანას სჭირდება ახალი სისხლი, ახალი ძალები და არა ნაციონალების დაბრუნება.

– ახალ ძალაში ვინმე კონკრეტულს გულისხმობთ? ვინ შეიძლება ის იყოს?

– ამას დრო სჭირდება. მესამე ძალაზე საუბარი არაფერს არ შეცვლის. პოლიტიკაში ახალი პიროვნებები უნდა შემოვიდნენ, რომლებიც საზოგადოების სხვადასხვა სექტორებიდან იქნებიან, ვფიქრობ, უცხოეთში მცხოვრები ქართველებიც უნდა გამოჩნდნენ, რომლებსაც განათლება და ევროპული გამოცდილება უცხოეთში აქვთ მიღებული. შესაბამისად, მესამე ძალის შექმნაზე უფრო მნიშვნელოვანი პოლიტიკური სპექტრის განახლებაა.

– მესამე ძალის, ახალი სახეების რანგში რამდენად შეიძლება ლევან ვასაძის განხილვა?

– ეს არის ჩვეულებრივი პოპულისტური, დემაგოგიური ნიშა, რომელიც ყველა ქვეყანაში არსებობს, მით უფრო გლობალურ მსოფლიოში, სადაც ყველა შეშინებულია, თითქოს იდენტობას, ტრადიციებს კარგავს. ასეთ დროს სტერილურობა, საკუთარ თავში ჩაკეტილობა, რომელსაც ვასაძისნაირი ადამიანები ქადაგებენ, პოპულარული ხდება. ვფიქრობ, იდენტობის, ტრადიციების გადარჩენის სხვა უფრო საინტერესო ფორმები არსებობს, რომელიც არ იწყება და არ მთავრდება თავის თავში ჩაკეტვით. საზოგადოების ნაწილში ასეთი ადამიანები პოპულარულები იქნებიან. ეს გასაგებიც არის, რადგან მათი საუბარი მართალია, დემაგოგიაა, მაგრამ მარტივია, გასაგებია. ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში ასეთ დემაგოგიურ, პოპულისტურ ლიდერებს გარკვეული პროცენტები აქვთ ხოლმე, თუმცა ვასაძე იფიცება, არ მაინტერესებს პოლიტიკაო.. ვნახოთ...

– „თავისუფალ დემოკრატებთან“ ხომ არ გეგმავთ შეხვედრას?

– ირაკლი ალასანიას მხრიდან ორმაგი მოქალაქეობის საკითხზე პოზიციის დაფიქსირებას ველოდები. გარდა ამისა, როდესაც უფრო ნათლად გაირკვევა მათი მიზნები და გეგმები, შემდეგ გადავწყვეტ მათთან შეხვედრას. „თავისუფალმა დემოკრატებმა“ ჯერჯერობით ვერ მონახეს თავიანთი ნიშა. პროდასავლური, კონსტრუქციული ოპოზიციის ნიშა დღეს საქართველოში თავისუფალია. ამ ადგილს, ბუნებრივია, ნინო ბურჯანაძე და სხვები ვერ შეავსებენ. რეალურად საჭიროა არა მესამე ძალა, რომელზეც ბევრს საუბრობენ, არამედ ძალა, რომელიც ერთგვარი მოტორი გახდება ხელისუფლებისთვის. ხელისუფლება მიმდინარე პრობლემებით არის დაკავებული, ამიტომ ბიძგის მიცემა სჭირდება და ეს ბიძგი კონსტრუქციულმა ოპოზიციამ უნდა მისცემს. ირაკლი ალასანია ამ ნიშის დაკავებას თუ შეძლებს, საინტერესო იქნება.

ლევან ვასაძეზე: „ეს არის ჩვეულებრივი პოპულისტური, დემაგოგიური ნიშა, რომელიც არსებობს ყველა ქვეყანაში“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რატომ ჩამოდის ლუკაშენკო თბილისში

ქეთი ხატიაშვილი

რა პროვოკაციას გეგმავს რუსეთი საქართველოში და ვინ ლიდეროობს დსთ-ს სივრცეში

EXCLUSIVE

„იმედი მაქვს, რუსეთის ხელისუფლება შეიცვლება, მანამდე უნდა გავძლოთ რამენაირად“

„პრაიმტაიმი“ ევროპულ ფასეულობათა ინსტიტუტის დამფუძნებელს, ევროპის საბჭოში საქართველოს ყოფილ ელჩს მამუკა ჟღენტს ესაუბრა.

– მამუკა, დსთ-ს რეგიონში ლუკაშენკოს როლზე მინდა გკითხოთ. ადრე ამ რეგიონში (ყოფილ დსთ-ს ვგულისხმობ) გამოკვეთილი ლიდერი მიხეილ სააკაშვილი იყო და რჩება კიდეც... რაც შეეხება ლუკაშენკოს, რომელიც ხან „ევრაზიაში“ შედის, ხან კი აცხადებს, რომ ის ღია ნატოსთვის; რომელსაც ევროპაში ხან პერსონა ნონ გრატად აცხადებენ, ხან კი ევროპის ლიდერები მის ქვეყანაში მოლაპარაკებებს მართავენ... ჩვენ ვნახეთ მინსკში უკრაინის თემაზე გამართულ მოლაპარაკებებს რუსეთის პრეზიდენტიც ესწრებოდა და საფრანგეთი-გერმანიის პრეზიდენტებიც... ევროპაში არ უშვებდნენ, მაგრამ მინსკში თავად სტუმრობენ... ამის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლუკაშენკო ახალ ფუნქციას შეიძენს რეგიონში?

– ლუკაშენკო არის არა მხოლოდ დსთ-ს რეგიონში, არამედ მსოფლიოში ერთ-ერთი გამორჩეული და კოლორიტული ლიდერი. ის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი პოლიტიკოსია. ის ლავირებს სხვადასხვა ძალებს შორის, აკეთებს ყველაფერს, რომ ბელორუსი განვითარდეს. მას აკრიტიკებენ ევროპაში და ევროპის ბოლო დიქტატორს უწოდებენ – ბელორუსი ერთადერთი ევროპული ქვეყანა, სადაც სიკვდილით დასჯა არ გაუქმებულა. თუმცა, მან მაინც მოახერხა ის, რომ სწორედ მინსკში გაიმართა უკრაინის კრიზისზე მოლაპარაკებები. ამან მას სერიოზული პოლიტიკური ქულები ჩაუწერა.

სააკაშვილის დროს საქართველო ცდილობდა, ლუკაშენკოსა და დასავლეთს შორის შუამავლის როლი შეესრულებინა. გარკვეული შედეგებიც იყო, რაც, ერთი მხრივ, დასავლეთს აწყობდა, მეორე მხრივ – ბელორუსს, აქ საქართველოც თავის დივიდენდებს იღებდა.

საქართველოს დიპლომატია რაღაც შუამავლობას ვუწევდით, სტრასბურგში ამ თემაზე პირადად ვმუშაობდი, დირექტივები თბილისიდან მქონდა მიღებული. გარვეულ ნიუანსებს ახლაც ვერ გავამჟღავნებ.

– ამის ხარჯზე მივაღწიეთ არაღიარების პოლიტიკას ბელორუსის პრეზიდენტისგან? ამიტომაც არ აღიარა მან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა?

– ერთი-ერთი შემადგენელი ნაწილი ესეც იყო. ლუკაშენკო ძალიან პრაგმატულ და საკუთარი ქვეყნის ინტერესებზე დამყარებულ პოლიტიკას თამაშობს. ადამიანების უფლებებისა და კანონის უზენაესობის კუთხით, მას საკმაოდ დიდი პრობლემები აქვს, მიუხედავად ამისა, ახერხებს და ერთ-ერთი წარმატებული და განვითარებადი ეკონომიკა აქვს. ოპოზიცია არსებობს, რომელიც იჯაბნება, თუმცა ბალანსის შენარჩუნებას ახერხებს.

– თქვენ თქვით, ის ლავირებს, სწორი და რეალური პოლიტიკა აქვსო, ასეთი პოლიტიკა საქართველოსთვის ცუდი იქნებოდა? წინა ხელისუფლებას ბევრჯერ აკრიტიკებდნენ რუსეთთან გამწვავებული ურთიერთობების გამო, რადიკალური განცხადებები არ უნდა გაკეთებულიყო. 2008 წლის ომიც ბევრმა ამ კონტექსტში განიხილა. ლავირება იქნებოდა ჩვენთვის გამოსავალი?

– არანაირად! არ მიმაჩნია, რომ ბელორუსი და ლუკაშენკო სანიმუშო მაგალითია, ეს მიუღებელია. ბელორუსისნაირი სახელმწიფო ჩვენ არ გვინდა. ჩვენ ევროპულ ფასეულობებზე დაფუძნებულ დემოკრატიულ ქვეყანას ვაშენებთ. როგორ უნდა მოქცეულიყო, მაგალითად, მიხეილ სააკაშვილი, როცა აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტი მანამდეც არსებობდა.

– არ შევადარებ ერთმანეთს, თუმცა, ეროვნულმა მოძრაობამ ძალიან სერიოზული და უხეში შეცდომები დაუშვა.. ამ შემთხვევაში საგარეო პოლიტიკაში ლავირებას ვგულისხმობ...

– ჩვენ გვახსოვს, უკრაინის ყველა ხელისუფლება, იუშჩენკოს გამოკლებით, კუჩმა და კრავჩუკი, მაგალითად, რომელიმე იყო რუსეთთან დაპირისპირებული? არც ერთი. თუმცა, როგორც კი უკრაინამ საკუთარი ინტერესების გატარება დააპარა, მაშინვე მივიღეთ ის, რაც მივიღეთ... მაშინ საბჭოთა კავშირში დავრჩენილიყავით...

– რის ხარჯზე ახერხებს ლუკაშენკო ბალანსის შენარჩუნებას? გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ეთნიკური ერთიანობა უწყობს ხელს, თუ არის კიდევ სხვა მიზეზები?

– დიქტატურას თავისი პლუსებიც აქვს, მაგრამ გვინდა ეს პლუსები იმ მინუსების ხარჯზე, რაც ასეთ რეჟიმებს სდევს? არ გვინდა! ბევრი რამ უწყობს ხელს: ადგილმდებარეობა, ეკონომიკური სიძლიერე, ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყანაა, მანქანათწარმოება აქვთ, ასევე განვითარებულია სოფლის მეურნეობა, ჰყავს ძლიერი ჯარი... ბევრი ნიუანსია...

– უკრაინის პრობლემების ფონზე საინტერესოდ გაიჟღერა ლავროვის განცხადებამ, რომელმაც კიდევ ერთხელ მიანიშნა, რომ ნატოსკენ სწრაფვა შეიძლება რუსეთის აგრესიად დაგვიჯდეს. მანამდე ცხინვალმა გამოაცხადა, რომ თრუსოს ხეობა ყოველთვის ოსეთის ნაწილი იყო და მისი დაბრუნება ჩვენი ვალიაო... შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ლავროვი სწორედ თრუსოს ხეობის შესაძლო აფეთქებას გულისხმობდა?

– პრობლემები შეიძლება გაჩნდეს, მაგრამ ეს ნატომი ჩვენს გაწევრიანებას არ უკავშირდება... მე-19 საუკუნეში ნატო საერთოდ არ არსებობდა, არც 1921 წელს არსებობდა, ეგებ 1989-91 წლებში იყო ნატო რეალური შანსი?.. მოლდოვა, რა, ნატოს წევრი ხდება? კონსტიტუციაში უწერია, რომ ნეიტრალური სახელმწიფოა, მაგრამ გაგაუზიაში პრობლემებს მაინც უქმნიან.

ლავროვის განცხადებას ორი მიზეზი ჰქონდა: პირველი, რუბლი კოშმარულად გაუფასურდა, მოსახლეობას პურს ვერ აძლევენ, ამიტომაც აძლევენ სანახაობას ამ ნეოფაშისტური განცხადებების სახით. მეორე, მეხუთე კოლონისთვის ეს არის მესიჯი, მათ უნდა იძახონ: თუ ნატოსკენ წავალთ, კიდევ მეტი პრობლემა შეგვექმნება... ეს აბსურდული არგუმენტებია. ნატოსკენ რომ არც წავიდეთ, რუსეთი მარტო იმიტომ შეგვიქმნის პრობლემას, რომ დამოუკიდებლობა გვინდა... ნატო არ არის მიზეზი, ნატო არის საშუალება ჩვენი დამოუკიდებლობისა და მომავლის შენარჩუნებისა...

...იმედი მქვს, რუსეთის ხელისუფლება შეიცვლება, მანამდე უნდა გავძლოთ რამენაირად... რუსეთში ახლა არის ხელისუფლება, რომელსაც საქართველო უნდა, როგორც განადგურებული ვასალი და მონა... იმედია, რუსეთში ოდესმე მოვა ის ხელისუფლება, რომელიც დაინტერესებული იქნება, რომ საქართველო მისი ძლიერი პარტნიორი და მეგობარი ქვეყანა იყოს. ეს შესაძლებელი გახდება, თუ რუსეთი ცივილიზებულ საგარეო პოლიტიკას გაატარებს, თუმცა ამის ნიშნები არ ჩანს...

– შეიძლება ითქვას, რომ დსთ-ს სივრცეში ორი განსხვავებული ტიპის ლიდერი იკვეთება – ლუკაშენკო და სააკაშვილი... ისინი ამ რეგიონში ერთმანეთს კონკურენციას გაუწევენ, თუ ითანამშრომლებენ იმისთვის, რომ აქ პოლიტიკური სურათი შეიცვალოს?..

– დსთ-ს სივრცეში ბევრი პოლიტიკოსია, ვისი როლიც იყო და არის მნიშვნელოვანი... იგივე ვლადიმერ პუტინი, ის მსოფლიო მასშტაბის სერიოზული და გავლენიანი პოლიტიკოსია.

– პუტინს არ ვგულისხმობ, ამ შემთხვევაში საუბარი მაქვს იმ ლიდერებზე, რომლებიც პუტინს საფრთხედ აღიქვამენ.

– ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში სხვა ლიდერებიც არიან. პირველ რიგში, ნაზარბაევი, ალიევი..

...ყველა ეს ლიდერი საკუთარი ქვეყნის ინტერესებზე ზრუნავს. უკრაინის კრიზისის ფონზე დავინახეთ, რომ ურთიერთობები რუსეთსა და ამ ქვეყნებს შორის ცივდება, ახლა ამ ლიდერების მხრიდან ბევრად უფრო კრიტიკული განცხადებები კეთდება. დღეს ნათელია, რომ აზერბაიჯანი უფრო დამოუკიდებელ და განსხვავებულ პოლიტიკას ატარებს. ნაზარბაევი, რომელიც კი არის ევრაზიულ კავშირში, მაგრამ რუსეთთან დაპირისპირებულ პოზიციებს აფიქსირებს... ყველა სახელმწიფო ცდილობს, საკუთარი ინტერესები დაიცვას და ეს იწვევს რუსეთთან წინააღმდეგობას...

აქვე ლუკაშენკოს ვიზიტზეც ვიტყვი, ის თბილისში ჩამოდის. თქვეს, თითქოს ის რუსეთის მესიჯებს ჩამოიტანს. ეს სპეკულაციებია. ლუკაშენკო რამდენიმე თვის წინ მოლდოვაში იყო და იქ მხოლოდ ორმხრივ თანამშრომლობაზე ისაუბრეს ეკონომიკური კუთხით. საქართველოშიც ძირითადი ყურადღება ეკონომიკურ თანამშრომლობას დაეთმობა და ასევე, ბელორუსის პრეზიდენტმა შეიძლება გვთხოვოს ევროკავშირთან დაახლოებაში დახმარება.

„სააკაშვილის დროს საქართველო ცდილობდა, ლუკაშენკოსა და დასავლეთს შორის შუამავლის როლი შეესრულებინა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ევროპაბეთი“ „პრაიმტაიმთან“ ერთად წამოწყებული აქციით საკ

მაგდა კლდიაშვილი

2014 წელს წარმატებით განხორციელებული ერთობლივი პროექტის შემდეგ, გაზეთი „პრაიმტაიმი“ და ტოტალიზატორი „ევროპაბეთი“ თანამშრომლობის გაგრძელებაზე ისევ შეთანხმდნენ. 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე დაწყებული აქცია, შემოდგომიდან ისევ განახლდა და თუკი მანამდე ქართული ფეხბურთის ვარსკვლავებს მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტი უნდა დაესახელებინათ, ახლა ფსონი ჩემპიონთა ლიგაზე იდება. „ევროპაბეთი“ ისევ ზრუნავს საკუთარ მომხმარებლებზე – „ითამაშე ვარსკვლავთან ერთად“ კვლავ დაბრუნდა და 2015 წლის შეხვედრაც ტოტალიზატორის სამგორის ფილიალში შედგა.

წლის პირველ შეხვედრაში ბოლნისის „სიონის“ ფეხბურთელები, ალექსანდრე ინწკირველი და ზურაბ ბათიაშვილი ჩაერთვნენ. როგორც მოგვიანებით ფეხბურთელებმა „პრაიმტაიმთან“ აღნიშნეს, მათი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში მსგავსი ტიპის აქციები ძალიან იშვიათად მომხდარა და მის საჭიროებაზე ისაუბრეს.

ტოტალიზატორის სამგორის ფილიალში შეკრებილი გულშემატკივრისთვის, რომელიც ყველა შეხვედრაზე სითბოს არ იშურებს მისული სტუმრისადმი, ტრადიციულად გათამაშდა ბურთები, რომელიც მხოლოდ იღბლიანებს ხვდათ წილად. ბურთებზე ავტოგრაფები ფეხბურთელებმა დატოვეს, სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღეს გამარჯვებულებთან. ზოგიერთი სტუმარი მხოლოდ ფოტოს გადაღებით არ დაკმაყოფილდა, იყო ემოციური მოკითხვა და ჩახუტებაც. სწორედ ამან განაპირობა, ალბათ, ის კომენტარები, რაც სტუმრებისგან გაკეთდა შემდეგ ჩვენთან – ასეთ შეხვედრებს ყველა მონატრებულია – ფეხბურთელებიც და გულშემატკივრებიც.

ზურაბ ბათიაშვილს ახლახან 35 წელი შეუსრულდა, ცხოვრების უდიდესი ნაწილი მას მინდორზე აქვს გატარებული. მიუხედავად ხანგრძლივი კარიერისა, დღემდე აქვს გულისტკივილი, რომ ქართული ფეხბურთი მოწოდების სიმაღლეზე ვერ დგას და არც მოთამაშეებს და არც გულშემატკივარს, ერთმანეთთან აზრის გაზიარების და ურთიერთგაცვლის საშუალება არ აქვს.



ზურა ბათიაშვილი:

„ასეთი აქციები ძალიან კარგია. მით უმეტეს, რომ ქართულ ფეხბურთს ძალიან სჭირდება. სამწუხროდ, ისეთ სათანადო დონეზე ვერ დგას დღეს ქართული ფეხბურთი, ამიტომაც ძალიან საჭიროა ეს მაყურებლისთვის. გულშემატკივარმა უნდა გაიცნოს ქართველი ფეხბურთელები, იმიტომ, რომ უმეტესობას არც იცნობენ. რაც შემეხება მე, ჩემს კარიერაში ძალიან ცოტა ყოფილა ასეთი დაგეგმილი შეხვედრები. ძალიან სასიამოვნოა, როდესაც გხვდება გულშემატკივარი და გაფასებს, უხარია შენთან შეხვედრა. ერთგვარი სტიმულია ეს, როგორც ფეხბურთელისთვის, ასევე ქომაგისთვის. ვფიქრობ, ასეთი ურთიერთობისა და აზრების გაზიარებით, მეტი სიკეთე მოვა ქართული ფეხბურთისთვის და მისი განვითარებისთვის“.

„ერთგვარი სტიმულია ეს, როგორც ფეხბურთელისთვის, ასევე ქომაგისთვის. ვფიქრობ, ასეთი ურთიერთობისა და აზრების გაზიარებით, მეტი სიკეთე მოვა ქართული ფეხბურთისთვის და მისი განვითარებისთვის“

თავისი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში ვერც ალექსანდრე ინწკირველი იხსენებს, რომ მსგავს აქციაში მიეღოს მონაწილეობა და ვერ ფარავს გულისტკივილს, რომ დღეს საქართველოში მოთამაშე ფეხბურთელებს თითქმის არ იცნობს ქართველი გულშემატკივარი.

ალექსანდრე ინწკირველი: „სიმართლე გითხრათ, ძალიან იშვიათად ყოფილა ჩემს კარიერში ასეთი შეხვედრები. ძალიან სასიამოვნო იყო დღევანდელი საღამო, ხშირი უნდა იყოს ასეთი შეხვედრები. ნასიამოვნები ვარ დღევანდელი დღით და იმით, რომ ჩვენს გულშემატკივარს მცირედი სიამოვნება მივანიჭეთ. ჩვენთვისაც, ფეხბურთელებისთვის, აუცილებელია ასეთი აქციები, რომ გაგვიცნოს გულშემატკივარმა. პრაქტიკულად, ისინი არც კი იცნობენ საქართველოში მოთამაშე ფეხბურთელებს, ამიტომ მივესალმები ამ წამოწყებას“.

აქციის დაწყებიდან „ევროპაბეთი“ ფეხბურთელებს სიმბოლურ ბილეთებს უმზადებს, სადაც სტუმრები საკუთარ ფავორიტს ასახელებენ. მსოფლიო ჩემპიონატისას გამართული აქციისას, პროექტის – „ითამაშე ვარსკვლავთან ერთად“ სტუმრებმა ორი ისეთი გუნდი დაასახელეს, რომელთაგან ერთი ჩემპიონი გახდა, მეორე კი ვერცხლის მედლების მფლობელი. ამჯერად, ჩემპიონთა ლიგაზე უწევთ ქართველ ფეხბურთელებს ფსონის დადება, არჩევანი დიდია და შესაბამისად, შანსებიც – ვნახოთ, რომელი გუნდი მოიგებს 6 ივნისს, ბერლინში, „ოლიმპია შტადიონზე“ ლიგის ფინალს, ფავორიტები კი უკვე გამოიკვეთნენ. აქციის სტუმრების უმეტესობა ფსონს ესპანურ გრანდებზე – „რეალსა“ და „ბარსელონაზე“ დებს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

უთარ მომხმარებელს ჩემპიონთა ლიგის ფინალამდე გაანეგბივრებს



„აუცილებელია ასეთი აქციები, რომ გაგვიცნოს გულშემატკივარმა. პრაქტიკულად, ისინი არც კი იცნობენ საქართველოში მოთამაშე ფეხბურთელებს, ამიტომ მივესალმები ამ წამოწყებას“

სამგორში გამართულ შეხვედრაზე, ორივე ფეხბურთელმა საკუთარ ფავორიტად კატალონიური „ბარსელონა“ დაასახელა, თუმცა როგორც ზურა ბათიაშვილმა, ისე ალექსანდრე ინწკირველმა, აღნიშნეს, რომ წელს კატალონიელებს საჩემპიონო გუნდი არ ჰყავთ.

ზურა ბათიაშვილი:

„მე, რა თქმა უნდა, „ბარსელონას“ გულშემატკივარი ვარ, მაგრამ წელს მეეჭვება საჩემპიონო გუნდი ჰყავდეთ. მიუხედავად ამისა, მაინც ბოლომდე ვუგულშემატკივრებ ჩემს ფავორიტ და საყვარელ გუნდს“.

ალექსანდრე ინწკირველი:

„ჩემი საყვარელი გუნდი „ბარსელონაა“ და „ბარსელონა“ დავასახელე, მაგრამ უფრო რეალური კანდიდატებიც არიან, მაგალითად „ბაიერნი“, „ჩელსი“, „რეალი“, მგონია, რომ სწორედ მათ შორის გამოვლინდება გამარჯვებული, თუმცა, როგორც „ბარსას“ გუშემატკივარი, სწორედ ეს გუნდი დავასახელე“.

დღემდე ჩატარებული აქციებიდან, ჩემპიონთა ლიგაზე ხმები ასე გადანწილდა:

მადრიდის „რეალი“ – გიორგი გაბედავა, გია მეგრელაძე, ზურაბ იონანიძე, დავით სირაძე, ლადო ბურდული, გიორგი ილურიძე, ლაშა ჯაკობია.

კატალონიის „ბარსელონა“ – გიორგი ფოფხაძე, ზურაბ ბათიაშვილი, ალექსანდრე ინწკირველი.

მიუნხენის „ბაიერნი“ – გიორგი დათუნაიშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი.

ლონდონის „ჩელსი“ – გივი კვარაცხელია.

გაზეთ „პრაიმტაიმისა“ და ტოტალიზატორ „ევროპაბეთის“ ერთობლივი აქცია 6 ივნისის ჩათვლით იქნება. სწორედ ამ დღეს შედგება ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის ფინალი, რომელიც ბერლინში, „ოლიმპია შტადიონზე“ გაიმართება. წინ კი ბევრი შეხვედრაა. აქციის ფარგლებში, ქართველ გულშემატკივარს, როგორც თბილისში, ისე რეგიონში ექნება შესაძლებლობა გაიცნოს ქართველი ფეხბურთელები. მომდევნო აქცია კი „ევროპაბეთის“ ვარკეთილის ფილიალში შედგება, სადაც ტოტალიზატორის მომხმარებელი დაჩი ცნობილაძესა და დაჩი ფოფხაძეს გაიცნობს.

„ბარსელონა“ დავასახელე, მაგრამ უფრო რეალური კანდიდატებიც არიან, მაგალითად „ბაიერნი“, „ჩელსი“, „რეალი“, მგონია, რომ სწორედ მათ შორის გამოვლინდება გამარჯვებული“

„ბარსელონას“ გულშემატკივარი ვარ, მაგრამ წელს მეეჭვება საჩემპიონო გუნდი ჰყავდეთ. მიუხედავად ამისა, მაინც ბოლომდე ვუგულშემატკივრებ ჩემს ფავორიტ და საყვარელ გუნდს“





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ამერიკელი ტრენერი და ლექტორი ბრაიან თრეისი თბილისში მასტერკლასს მართავს



ცნობილი ბიზნესკონსულტანტი, გაყიდვების გურუ, თვითრეალიზაციისა და ლიდერობის თემაზე დაწერილი უამრავი წიგნის ავტორი, ბრაიან თრეისი თბილისში მასტერკლასს ატარებს.

"ექსპო-ჯორჯიას" მე-3 პავილიონში ბრაიან თრეისი 350-მდე მსმენელისთვის მასტერკლასს გაყიდვებისა და ლიდერობის თემაზე მართავს. მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ტრენერი და სპიკერი თბილისს პირველად ეწვია.

ამერიკელი ბრაიან თრეისი ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული საკონსულტაციო კომპანია Brian Tracy International-ის პრეზიდენტი და დამფუძნებელია, რომელსაც მსოფლიოს 31 ქვეყანაში აქვს ფილიალი. მარკეტინგში, ეკონომიკაში, მენეჯმენტსა და ფსიქოლოგიაში ჩატარებული 25-წლიანი კვლევის შედეგად, ბრაიან თრეისი მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტია ბიზნესის წარმატებით მართვასა და პირადი განვითარების საკითხში. ის ისეთ სახელოვან კომპანიებსა და ბრენდებს უწევს კონსულტაციებს, როგორებიც BMW, IBM, Hayatt Hotels, Ritz Carlton, Toyota, Nissan, Mercedes Benz, Bank of America, Ernst & Young-ი და სხვა ცნობილი მსოფლიო ბრენდებია.

კარიერის განმავლობაში, ბრაიან თრეისიმ 4 500-ზე მეტი სემინარი გამართა მსოფლიოს 500-ზე მეტი კომპანიისთვის, ყოველწლიურად კი მის ლექციებსა და ტრენინგებს 350 ათასი ადამიანი ესწრება. ბრაიან თრეისი ავტორია ისეთი ბესტსელერების, როგორებიცა "ჩვევები მილიონ დოლარად", "მაქსიმალური წარმატება", "მართე შენი დრო და გაიორმაგე შედეგები" და სხვა. მისი წიგნები თარგმნილია 20 ენაზე.

საქართველო 70-ე ქვეყანაა, სადაც ბრაიან თრეისი საკუთარ რჩევებს უზიარებს შეკრებილ აუდიტორიას.

ღონისძიება კომპანია "სითი კონსალტინგის" ორგანიზებითა და "ალიანს ჯგუფი ჰოლდინგის" წარდგინებით ხორციელდება, პლატინის სპონსორი კი ციფრული მარკეტინგის სააგენტო mCloud-ია (mcloud.ge).

ბრაიან თრეისის მასტერკლასის ერთ-ერთი საინფორმაციო მხარდამჭერია "პალიტრა მედია ჰოლდინგში" შემავალი ბიზნეს და ეკონომიკური პორტალი bpn.ge.

ინტერვიუ უზენაესი სასა

მარიამ ნადირაძე

სულ მალე პარლამენტი მიიღებს გადაწყვეტილებას, შეცვლის თუ არა „მდევნელს" „დევნილი" უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე. ეს, ალბათ, ერთგვარად სიმბოლური გადაწყვეტილებაც იქნება იმის დასადასტურებლად, რამდენად მზად არის ქვეყანა სასამართლო სისტემაში რადიკალური ცვლილებებისთვის...

კითხვებს, რომელიც საზოგადოებაში არსებობს სასამართლო სისტემის მიმართ, „პრაიმტაიმთან" ინტერვიუში თავად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის ერთადერთი კანდიდატი, ქალბატონი ნინო გვენეტაძე გასცემს პასუხებს:

– ზუსტად ერთი კვირის წინ თქვენ გახდით ერთადერთი კანდიდატი, ვინც პრეზიდენტმა მარგველაშვილმა საზოგადოებას წარუდგინა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე... როდის შეიტყვეთ ამ გადაწყვეტილების შესახებ?

– ზუსტად ორი დღით ადრე პრეზიდენტთან შედგა ყველა კანდიდატის შეხვედრა, რომელიც ჟურნალისტებისთვის დახურული იყო. ამ შეხვედრამ 5 საათს გასტანა. ერთი ნუთით არ დაუტოვებია პრეზიდენტს ეს სხდომა. ეტყობოდა, რომ ძალიან მომზადებული იყო. იცოდა ყველა კანდიდატის ბიოგრაფია, არა მხოლოდ ინფორმაციის დონეზე, არამედ იცოდა თითოეულის გამოსვლები, შეხედულებები და სამეცნიერო მიღწევებიც კი. როცა კანდიდატი საუბარს იწყებდა, ის ისე შედიოდა პოლემიკაში და ისეთ კითხვებს სვამდა, რომ ეს შეუძლებელია, გაეკეთებინა, თუ არ იყო სრულად ინფორმირებული იმ კონკრეტული პიროვნების შესახებ. იქვე დააზუსტა პრეზიდენტმა, რომ იქ წარმოდგენილი კანდიდატებიდან მხოლოდ ერთს აირჩევდა.

– ანუ, იმ შაბათ დღეს უკვე იცოდით, რომ კანდიდატთა ე.წ. „შორთ ლისთი" არ გაკეთდებოდა და პრეზიდენტი მხოლოდ ერთ კანდიდატს წარუდგენდა პარლამენტს?

– დიახ... მეორე დღეს დამიძახეს და შემხვდნენ პრეზიდენტი და ადმინისტრაციის თანამშრომლები. ამ შეხვედრაზე კიდევ უფრო ღრმად ვისაუბრეთ რიგ საკითხებზე... უფრო გვიან შევიტყვე, რომ ორშაბათს 12 საათზე გააკეთებდა ჩემს წარდგენას.

– ამ შეხვედრებამდე რა სახის კომუნიკაცია გქონდათ მარგველაშვილთან?

– არანაირი.

– არც მაშინ, როდესაც ორივე ოპოზიციაში იყავით და ყოფილი ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძოდით?

– რა თქმა უნდა, ზოგადად, ვიცოდით ერთმანეთის შესახებ, მაგრამ პირადი კომუნიკაცია არ გვქონია. მიუხედავად იმისა, რომ „ოცნებაში" სამართლის ჯგუფში აქტიურად ვმუშაობდი სხვადასხვა პროექტებზე სისხლის სამართლის მიმართულებით, რამე გადაკვეთა ჩვენ არ გვქონია.

– პრესაში აკეთებდით განცხადებებს, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობაზე საკუთარ თავს არ განიხილავდით. რამ შეგაცვლევინათ პოზიცია?

– ლია მუხაშავრიას იდეა იყო ეს. მე კატეგორიულად ვამბობდი უარს. მაგრამ ლიამ შეძლო ჩემი გადაწმუნება. მერე ვიგრძენი სერიოზული მხარდაჭერა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, ბატონი ოთარ გამყრელიძისგან და, რა თქმა უნდა, ამან წამახალისა.

– მოდით, დავკონკრეტდეთ – თქვენ უარს ამბობდით საერთოდ სასამართლო სისტემაში დაბრუნებაზე, თუ მხოლოდ თავმჯდომარის პოზიციაზე?

– თავმჯდომარეობაზე... მე, რასაკვირველია, სასამართლოდან ჩემი უსამართლოდ გამოშვების შემდეგ, ჩემს კოლეგებთან ერთად 10 წლის განმავლობაში ვიბრძოდი სასამართლოში საკუთარ უფლებებში აღსადგენად.

– რა იყო რეალურად 2005 წელს თქვენი დისციპლინური დევნის მიზეზი?

– იმ გუნდისთვის, რომელიც ხელისუფლებაში მოვიდა, ჩვენი პრინციპები მიუღებელი გახდა, შესაბამისად, მათ უკანონობით შეძლეს ჩვენი წინააღმდეგობის დაძლევა. თანაც, სასამართლო კორპუსიც არ იყო მაშინ ერთსულოვანი. გახსოვთ, მაშინ გარკვეული შეღავათები და შეთავაზებები გაუკეთეს მოსამართლეებს – ზოგს სრული სახელფასო განაკვეთი შეუნარჩუნეს საპენსიო უზრუნველყოფად, ზოგი რეზერვში გადასვეს, ზოგი თბილისის მოშორებით გაამწესეს სასამართლოებში. რა თქმა უნდა, ეს პროცესი არ იყო სამართლიანი. ჩვენი დევნა იყო მაშინდელი პოლიტიკური ხელისუფლების პასუხი, რომ, თუ გარდამავალი მართლმსაჯულების პრინციპებში ერთმანეთს ვერ დავეთანხმებოდით, ასე მოხდებოდა.

– როდესაც ნაციონალებმა თქვენს კანდიდატურასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთეს, უარი შემდეგი არგუმენტით დაასაბუთეს, რომ თქვენ იყავით შევარდნაძისდროინდელი კორუმპირებული სასამართლოს წარმომადგენელი. მათ არ უთქვამთ, რომ იყავით კორუმპირებული მოსამართლე, ან ის, რომ სასამართლოდან დისციპლინური წესით სამართლიანად გაგიშვათ მათმა ხელისუფლებამ...

– ვფიქრობ, თვითონ მოვიდნენ საკუთარ გადაწყვეტილებასთან წინააღმდეგობაში. რა თქმა უნდა, ვადასტურებ, რომ ვმუშაობდი შევარდნაძის დროს, მაგრამ გახსოვთ, რომ იმ კორუმპირებულ ეპოქაში დაიწყო მართლმსაჯულების რეფორმის პირველი ეტაპი. ისიც გახსოვთ, ვინ იყვნენ ამ რეფორმების მესვეურები...

– სააკაშვილს გულისხმობთ?

– რა თქმა უნდა. სწორედ ამ მესვეურებმა წამომაყენეს მაშინ უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ. მაშინ ამ რეფორმას ძალიან მკაცრი ბარიერები ჰქონდა. მაგრამ მე და ბატონი მერაბ ტურავა, როგორც სა-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მართლს თავმჯდომარეობის კანდიდატთან

„თუ ჩემი კანდიდატურა ჩავარდება, ეს მხოლოდ პოლიტიკური პროცესების გამო მოხდება“

EXCLUSIVE

მართლის გამოჩენილი სპეციალისტები, ყოველგვარი მკაცრი გამოცდის გარეშე, საკასაციო ინსტანციაში მათ მიერვე ვიყავით მხარდაჭერილები. მაშინ ჩვენ მართლა გვქონდა რეალური შანსი, რომ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულება განგვეხორციელებინა. ასეც ხდებოდა. ამიტომაც, გაუგებარია ჩემთვის მინიშნება შევარდნაძის ეპოქაზე, კორუფციასა და სხვა პრობლემებზე, რაც მართლაც არსებობდა იმ პერიოდში. მაგრამ ჩვენი პლუსიც ეს არის და ამაზე ხაზგასმა სულაც არ სჭირდებოდა „ნაციონალურ მოძრაობას“, რომ სწორედ იმ ეპოქაში შევძელით ის, რაც მოსამართლის ღირსებას, კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებების დაცვას სჭირდებოდა. ამიტომ იყო, რომ მოგვიანებით მათი ხელისუფლების პირობებში ჩვენ გავხდით დევნილი მოსამართლეები. შევარდნაძის წინდახედულება იყო ის, რომ მას წინააღმდეგობა არ გაუწევია სააკაშვილისთვის და მამინდელი სხვა რეფორმატორებისთვის. შესაბამისად, მათ მიერ წარდგენილი ჩვენი კანდიდატურები, შევარდნაძემ უპრობლემოდ დაადასტურა.

– რა ეტაპზე იყო თქვენი უფლებამოსილებაში აღდგენის საკითხი, როდესაც პრეზიდენტმა თავმჯდომარეობის ერთადერთ კანდიდატად წარგადგინათ?

– როდესაც პარლამენტმა სამოსამართლეო უფლებამოსილება შეგვიწყვიტა, სტრასბურგის სასამართლოს მივმართეთ და გვეგონა, რომ არცთუ გრძელვადიანი ლოდინი იქნებოდა საჭირო... ამის პარალელურად პროცესი გაგრძელდა ევროპის მოსამართლეთა და პროკურორთა ასოციაციის, ევროპელი ექსპერტებისა და ვენეციის კომისიის დიდი მხარდაჭერით. ჩვენ მაშინ შევხვდით ვენეციის კომისიის წევრებს, ბატონი ბუკიკიოს თავმჯდომარეობით. მოვუყევით ჩვენი პრობლემების შესახებ და ეს გახდა წინაპირობა იმისა, რომ 2007 წელს ვენეციის კომისიამ საქართველოს გამოუგზავნა რეკომენდაციები დისციპლინური სამართალწარმოების პრობლემებთან დაკავშირებით და 2007 წელს გამოგზავნილი რეკომენდაციები საბოლოოდ შესრულდა 2014 წლის ბოლოსთვის. ანუ ბოლო, 2014 წლის 1-ლი აგვისტოს ცვლილებით საერთო სასამართლოების შესახებ კანონში სახელმწიფომ აღიარა და მოხსნა ის დამაბრკოლებელი ბარიერი, რაც ჩვენს უფლებებში აღდგენას დააბრკოლებდა. მან ამოიღო კანონიდან კანონის უხეში დარღვევით დევნის საფუძველი და, ასევე, მიანშნა, რომ ამ საფუძვლით დევნილ მოსამართლეებს აქვს ხელახლა კანდიდატურის დაყენების უფლება. რაც, ფაქტობრივად, ჩვენი ბრძოლის შედეგი იყო.

– ანუ თავმჯდომარედ თქვენი წარდგენა რომც არ მომხდარიყო, თქვენ მაინც აპირებდით უზენაეს სასამართლოში უფლებამოსილების აღდგენას...

– ჩვენ ველოდებოდით სტრასბურგის გადაწყვეტილებას. ამიტომაც დავტოვე 2012 წელს „რესპუბლიკური პარტია“, რომ მე ამ გზით მემოძრავა, რაც ჩემი ხელახალი ნომინაციის შემთხვევაში მოსამართლის პოზიციაზე, დამაბრკოლებელი გარემოება არ იქნებოდა. თუმცა, პარტიულობა დამაბრკოლებელ გარემოებად არც ერთ კანონში არ არის აღნიშნული. ეს არის კრიტერიუმი, რაც საზოგადოებასთან შეთანხმებით მოხდა.

– თუმცა, რესპუბლიკელები ღიად გიჭერენ მხარს...

– ბუნებრივია, ვინაიდან, მე მათი წევრი რომც არ ვყოფილიყავი, უამრავი მათგანი ჩემი კოლეგაა...

– როგორ ფიქრობთ, პარლამენტში კენჭისყრის დროს იმოქმედებს ის ფაქტი, რომ თქვენ ერთ დროს რესპუბლიკელი იყავით? მით უმეტეს, რომ თავის ბოლო ინტერვიუში, ყოფილმა პრემიერმა საკმაოდ ღიად გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება რესპუბლიკელების მიმართ...

– ამიტომაც, პარტიული კუთვნილების საკითხი, ალბათ, კარგად უნდა შეფასდეს. მით უმეტეს, რომ 2012 წელს, არჩევნების შემდეგ დავტოვე „რესპუბლიკური პარტია“ და ბრძოლა სამართლებრივი გზით გავაგრძე. ვფიქრობ, რომ ეს ნიუანსი ანგარიშგასაწევია.

– უხეში გათვლა რომ გაკეთდეს, ნაციონალების, ზაქარია ქუცნაშვილის მხარდამჭერი 20 კაცისა და კიდევ შესაძლო რამდენიმე მოწინააღმდეგის გათვალისწინებით, გამორიცხავთ, რომ თქვენი კანდიდატურა ჩავარდეს?

– მე ყველაფრისთვის მზად ვარ. ეს არ იქნება ტრაგედია, თუმცა, რაღა თქმა უნდა, დიდი სურვილი მაქვს, რომ წარმატებით დასრულდეს კენჭისყრა. არამარტო იმიტომ, რომ მე ვარ კანდიდატი. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესი. ეს პროცესი არ უნდა ჩავარდეს. და თუ ეს მაინც ასე მოხდება, ცხადია, პოლიტიკურ პროცესებთან იქნება კავშირში, ვინაიდან პირადად ჩემს მიმართ, ვფიქრობ, არ უნდა ჰქონდეთ პრეტენზიები.

– თუ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე გახდებით, გამოითხოვთ საქმეს სტრასბურგიდან?

– ვერ გეტყვით. ამას მარტო მე ვერ გადავწყვეტ. ჩემს კოლეგებთან შეთანხმებით უნდა მივიღო გადაწყვეტილება...

– თუ თქვენ გახდებით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, თქვენთვის უფლებებში აღდგენის საკითხი უკვე მოიხსნება...

– რა თქმა უნდა... ბატონ მერაბ ტურავას ნომინირება ხდება საკონსტიტუციო სასამართლოში. თუმცა არიან ქალბატონი თამარ ლალიამვილი და ბატონი მურმან ისაევი. ისინიც ელოდებიან თავიანთ უფლებებში აღდგენას...

– ქალბატონო ნინო, პარლამენტის მხარდაჭერის შემთხვევაში, თქვენ ჩაანაცვლებთ ადამიანს, რომლის თავმჯდომარეობის პირველ ეტაპზე თქვენ და თქვენი კოლეგები ადმინისტრაციული დევნის წესით გაგიშვეს სასამართლოდან... ეს გარკვეულწილად გიკმაყოფილებთ პატივმოყვარეობას?

– ასე ვერ ვიტყოდი... მართალია, ძალიან ვიყავი გულდაწყვეტილი იმის გამო, რაც მე და ჩემს კოლეგებს გადაგვხვდა თავს, მაგრამ, ამის მიუხედავად, ვერ გეტყვით, რომ მაღალი პატივმოყვარეობის გრძნობით ვარ დღეს იმის გამო, რაც ხდება. ეს ცხოვრებაა. ბუნებრივია, შეიძლება ვინმეს მხრიდან ასეთ შეფასებას ჰქონდეს ადგილი, მაგრამ ჩემი შინაგანი განწყობა ნამდვილად არ ემთხვევა ამ შეფასებებს. პირიქით, ჩემი გონება აბსოლუტურად იმით არის დაკავებული, რომ, თუ პარლამენტი პოზიტიურ გადაწყვეტილებას მიიღებს, ამის მერე როგორ უნდა ვიმოქმედო.

– კოტე კუბლაშვილთან გქონიათ შეხვედრა?

– სულ ორჯერ მქონდა შეხვედრა. მათგან უკანასკნელი ძალიან არასასიამოვნო იყო და მას შემდეგ მასთან არავითარი კომუნიკაცია არ მქონია. როდესაც კუბლაშვილს დაუსვეს კითხვა ჩემს შესახებ, უარი განაცხადა კომენტარზე. შესაბამისად, ეთიკური სტანდარტების გათვალისწინებით, მეც უარს ვიტყვი მის შესახებ საუბრის გაგრძელებაზე.

– მაგრამ სასამართლოში დაგხვდებიან ის მოსამართლეები, ვინც თავის დროზე უარი გითხრეს თანადგომაზე... მათ გარდა, ისინიც, რომელთა განაჩენების გამოც, თავის დროზე, ოპოზიციაში გადაწყვიტეთ ყოფნა...

– მე ვემზადები ამისთვის. კანონისმიერი მექანიზმები და ბერკეტები მათ წინააღმდეგ არ გამაჩნია. თუ იქნება საკანონმდებლო ცვლილებები ხარვეზების გადასინჯვის შესახებ, ან უკანონო გადაწყვეტილების შემოწმების რაიმე მოდელი და ამის შედეგად შეიცვლება რამე, ამ შემთხვევაში მათ, პირველ რიგში, შანსი მიეცემათ, თვითკრიტიკისა და თვითკონტროლის საფუძველზე მიიღონ გადაწყვეტილებები, შემდეგ კი იმუშავებს მხოლოდ ის მექანიზმები, რაც კანონშია ჩადებული. მე ვერ მოვიფიქრებ რაიმე ორიგინალურს და არც მაქვს ამის სურვილი. მე იგივე იარაღს ვერ

რა წესით დაუპირისპირდება ნინო გვენეტაძე არასასურველ მოსამართლეებს?

გამოვიყენებ, რაც თავის დროზე ჩვენს წინააღმდეგ აამუშავეს...

– რატომ? თქვენ ხომ ამავდროულად იუსტიციის საბჭოს თავმჯდომარეც იქნებით...

– იუსტიციის საბჭოში ვაპირებ, შევცვალო სწორედ ის სტანდარტი, რაც თავის დროზე ჩვენს წინააღმდეგ იქნა გამოყენებული. შევეცდები, ამ საბჭოში აბსოლუტურად გამჭვირვალე გავხადო ყველა პროცესი – ვინ დამრღვევია და ვინ დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი. თუ რომელიმე მოსამართლე განზრახ ჩაიდენს უკანონობას, ამ შემთხვევაში მოქმედებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი. ეს მუშა პროცესია. ამიტომ წინმსწრებად მე მოსამართლეებს ვერც გარანტიებს მივცემ, რომ მათი უფლებამოსილების ვადის უზრუნველყოფა მოხდება და ვერც იმას გავბედავ, რომ მათ წინააღმდეგ რამე ვთქვა, თუ ეს არ იქნება მკაცრად დაცული საფუძვლიანი ინფორმაციებით.

– თქვენ, ალბათ, ბოლოდროინდელ სასამართლო გადაწყვეტილებებსაც ადევნებდით თვალს და გექნებათ თქვენი პოზიცია...

– რა თქმა უნდა, ეს ასეა, შეიძლება მქონდეს ჩემი პირადი დამოკიდებულებაც, ვეთანხმებოდე, ან არ ვეთანხმებოდე ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, მაგრამ მე ვალდებული ვარ, პატივი ვცე მას, ვინაიდან თუ ინსტანციებს გაუძლო ამ გადაწყვეტილებამ, არავითარი უფლება არ მექნება, რომ ის ეჭვქვეშ დავაყენო.

– და მაინც, კუბლაშვილის შესახებ: მან, მართალია, თქვენს შესახებ არ ისაუბრა, მაგრამ ირიბად მაინც დაგიტოვათ რჩევები, რომ იმუშაოთ სასამართლოს სრულ დამოუკიდებლობაზე და მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის წესზე... მიიღებთ მისგან ამ რჩევებს?

– ეს რჩევები უფრო მეტად ეკუთვნოდათ მოსამართლეებს, რომ მათ იბრძოლონ უვადოდ დანიშვნისთვის. ეს წესი უკვე არსებობს კონსტიტუციაში. თუმცა აქ საუბარია სამწლიან გამოსაცდელ ვადაზე, რომელიც კანონში დეტალურად იქნა გაწერილი. ბატონი კოტე არ ეთანხმება ამ სამწლიანი ვადის არსებობას, ვინაიდან ხედავს საფრთხეებს, რომ ამ დროს მოსამართლეების დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას შესაძლოა, დაემუქროს საფრთხე. მე ამაში მას ვერ დავეთანხმები, ვინაიდან ამ საპრობაციო ვადის რეგულირება იმდენად დეტალურად გაწერეს კანონში, რომ აქ მოსამართლეს უფრო მაღალი გარანტიები აქვს. თუმცა პრობლემა იქნება, თუ როგორ განხორციელდება ეს ყველაფერი პრაქტიკაში, რაზეც ჩვენ, მთელმა სასამართლო კორპუსმა, ერთად უნდა ვიზრუნოთ. მე კი ჩემი მხრიდან პირველი დამცველი ვიქნები მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის, მიუხედავად იმისა, ვადით იქნება ის დანიშნული, თუ უვადოდ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დაჩი ცნობილაძე და დაჩი ფოფ

მაგდა კლდიაშვილი

ტოტალიზატორი „ევროპაბეთი“ საკუთარი მომხმარებლებისთვის სიურპრიზების კეთებას აგრძელებს. აქცია – „ითამაშე ვარსკვლავთან ერთად“ კვლავ განახლდა და ქართველ გულშემატკივართან ჩემპიონთა ლიგის დასრულებამდე გაგრძელდება. ტოტალიზატორის სამგორის ფილიალის შემდეგ, შემდეგი შეხვედრა „ევროპაბეთის“ ვარკეთილის ფილიალში შედგა, სადაც ადგილზე შეკრებილმა სტუმრებმა საქართველოს 17 და 19 წლამდე ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ყოფილი წევრი დაჩი ცნობილაძე და დაჩი ფოფხაძე გაიცნეს.

ვიდრე შეხვედრა ვარკეთილში შედგებოდა, სამშაბათს, „ევროპაბეთის“ სამგორის ფილიალში ნლის პირველი შეხვედრა შედგა. სამგორი, ყოველთვის გამოირჩევა თავისი სტუმართმ-

ოყვარეობით და გულშემატკივართან სტუმრად მისულ ფეხბურთელებს ყოველთვის სითბოთი ხვდებიან ადგილზე შეკრებილი ადამიანები. გამონაკლისი არც ამჯერად ყოფილა, ზურაბ ბათიაშვილმა და ალექსანდრე ინწკირველმა მადლობა გადაუხადეს იდეის ავტორებს და გულისტკივილით აღნიშნეს, რომ მსგავსი შეხვედრები და აქციები, ქართულ ფეხბურთს აკლია, თუ მსგავსი პროექტები ხშირად დაიგეგმება და განხორციელდება,

ქართველი ფეხბურთელები თვლიან, რომ ეს ამ სპორტის სახეობას, რომელიც ბოლო პერიოდში მოწოდების სიმაღლეზე ვერ დგას, მხოლოდ სიკეთეს მოუტანს.

სამგორის შემდეგ ვარკეთილში გადავინაცვლეთ, სადაც სტუმრად ბოლნისის „სიონის“ ფეხბურთელები, დაჩი ცნობილაძე და დაჩი ფოფხაძე იმყოფებოდნენ.

დაჩი ცნობილაძე 17 და 19 წლამდელთა ნაკრების წევრი იყო, ახლა კი ეროვნული გუნდის კანდიდატად მოიაზრება. რაც მთავარია, 10 თებერვალს, ანტალიაში გამართულ დაპირისპირებაში, რომელიც ბოლნისის „სიონსა“ და რუმინეთის ეროვნულ ნაკრებს შორის შედგა, ახალგაზრდა მოთამაშემ უდიდესი სიმპათიები და ყურადღება დაიმსახურა. მისი გადაბირებით რუმინული გუნდი დაინტერესდა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ბუქარესტის „სტიაუა“ მალე ხელში ჩაიგდებს ახალგაზრდა შემტევს, რომელიც ქართული ფეხბურთის იმედადაც უნდა მოვნათლოთ. ვიდრე ახალგაზრდა ფეხბურთელს უცხო ქვეყანაში მოუწევს გამგზავრება, გაზეთ „პრაიმტაიმისა“ და ტოტალიზატორ „ევროპაბეთის“ ერთობლივ აქციაში დავპატიჟეთ.

როგორც დაჩი ცნობილაძე ამბობს, მის პრაქტიკაში ერთხელ იყო შემთხვევა, როდესაც 19 წლამდელთა საფეხბურთო ნაკრები საკუთარ ქომაგს შეხვდა ელიტ-რაუნდის დაწყებამდე.

დაჩი ცნობილაძე:

„ერთხელ მქონდა ასეთი პრაქტიკა, როდესაც 19 წლამდელთა ნაკრების წევრები ჩვენს ფანკლუბს, „ჯვაროსნებს“ შევხვდით. ეს შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო“.

ახალგაზრდა ფეხბურთელი მიიჩნევს, რომ მსგავსი შეხვედრებით ცნობადი ხდები, რაც შემდეგ მეტ პასუხისმგებლობას გაკისრებს გულშემატკივარის წინაშე.

„ჩემი ფავორიტი „რეალია“, ამიტომაც, მგონია და თუკი გუნდის სტაბილურობას გავითვალისწინებთ, წელს ზედიზედ მეორედ შეძლებენ მადრიდელები ჩემპიონთა ლიგის თასის აღებას“

„ჩემი აზრით, ასეთი შეხვედრები ძალიან სასარგებლოა, რადგან ხალხის დაინტერესებას იწვევს ფეხბურთით. ჩვენთვისაც სასიამოვნოა ეს. ასეთი შეხვედრების შემდეგ უფრო პოპულარული ხდები და შენს თავზე უფრო მეტ პასუხისმგებლობას გრძნობ, შესაბამისად, ცდილობ, ამ საქმეს უფრო პროფესიულად მოჰკიდო ხელი“.

დაჩი ფოფხაძემ თავისი კარიერა საქართველოში დაიწყო და დღემდე, ვერ იხსენებს ისეთ შემთხვევას, რომ გულშემატკივართან ასეთი ტიპის ურთიერთობა ჰქონოდა. გამოცდილი ფეხბურთელი ამბობს, რომ მოთამაშეებისთვისაც უცილებელია, კომუნიკაცია ჰქონდეთ საკუთარ ქომაგთან.

დაჩი ფოფხაძე:

„შეხვედრები გულშემატკივართან ძალიან იშვიათად მქონია, ჩემს კარიერაში, ალბათ, რამდენიმე, და ეს ძალიან კარგია. ასეთი აქციები და ვიქტორინები ბევრი უნდა ჩატარდეს. ფეხბურთელს კომუნიკაცია უნდა ჰქონდეს გულშემატკივართან, რომ გაიცნონ მოთამაშეები. კარგი აქციაა და რაც უფრო ხშირად ჩატარდება, ჩვენც მოხარულები ვიქნებით“.

აქციის დაწყებიდან დღემდე, გულშემატკივარი „ევროპაბეთისგან“ საჩუქრად ბურთებს იღებს. ყველა ის იღბლიანი, რომელიც დოლურადან დანიშნულ ფურცელს ამოიღებს, ბურთს იგებს, რომელსაც ავტოგრაფებით ტოტალიზატორის სტუმარი ფეხბურთელები ამშვენებენ. ქართველი ქომაგები ფეხბურთელებთან ერთად ფოტოებსაც იღებენ და შემდეგ აზრების გაცვლაც ხდება.

„ევროპაბეთი“ ქართველი ფეხბურთელებისთვის სპეციალურად, სიმბოლურ ბილეთს ამზადებს, რომელზეც სტუმრები საკუთარ არჩევანს და ფავორიტ გუნდს ასახელებენ. ამ შემთხვევაში, დაჩი ფოფხაძისა და დაჩი ცნობილაძის აზრები გაიყო, მათ ლიგის სავარაუდო გამარჯვებულად ერთმანეთის მოსისხლე მტრები – „რეალი“ და „ბარსელონა“ დაასახელეს.



დაჩი ცნობილაძის ფავორიტი მადრიდული გუნდია, მეორე დაჩიმ კი არჩევანი კატალონიურ გუნდზე შეაჩერა.

დაჩი ცნობილაძე:

„ჩემი ფავორიტი „რეალია“, ამიტომაც, მგონია და თუკი გუნდის სტაბილურობას გავითვალისწინებთ, წელს ზედიზედ მეორედ შეძლებენ მადრიდელები ჩემპიონთა ლიგის თასის აღებას“.

დაჩი ფოფხაძე:

„მე „ბარსელონა“ დავწერე და მჯ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ჩემი აზრით, ასეთი შეხვედრები ძალიან სასარგებლოა, რადგან ხალხის დაინტერესებას იწვევს ფეხბურთით“

EXCLUSIVE

„ბარსელონა“ დავწერე და მჯერა, რომ „ბარსელონა“ მოიგებს ჩემპიონთა ლიგას“

ერა, რომ „ბარსელონა“ მოიგებს ჩემპიონთა ლიგას“.

განვლილი აქციებიდან, ქართველი ფეხბურთელების ფავორიტებად სწორედ ესპანური გუნდები გამოიკვეთა, თუმცა მადრიდის „რეალი“, ხმათა უმრავლესობით, მაინც ლიდერობს სავარაუდო გამარჯვებულის რანგში.

სულ კი, ხმები ასე გადანაწილდა:

მადრიდის „რეალი“ – გიორგი გაბედავა, გია მეგრელაძე, ზურაბ იონანიძე, დავით სირაძე, ლადო ბურდული, გიორგი ილურიძე, ლაშა ჯაკობია, დაჩი ცნობილაძე;

კატალონიის „ბარსელონა“ – გიორგი ფოფხაძე, ზურაბ ბათიაშვილი, ალექსანდრე ინწკირველი, დაჩი ფოფხაძე;

მიუნხენის „ბაიერნი“ – გიორგი დათუნაიშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი;

ლონდონის „ჩელსი“ – გივი კვარაცხელია;

შეხვედრით კმაყოფილი დარჩა ვარკეთილში შეკრებილი ქომაგიც. ლევან ლარშანიშვილმა პირველად მიიღო ასეთ აქციაში მონაწილეობა და იმედს გამოთქვამს, რომ ამას სისტემატური ხასიათი მიეცემა. როგორც გულშემატკივარმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, გადაწყვიტა, რომ მოგებულ ბურთზე ამიერიდან ქართველი ფეხბურთელების ავტოგრაფები შეაგროვოს, რომელსაც უკვე ამშვენებს დაჩი ფოფხაძისა და დაჩი ცნობილაძის ხელმოწერები.

ლევან ლარშანიშვილი, გულშემატკივარი: „ასეთ აქციებზე დადებითი აზრის ვარ და უფრო სისტემატური სახე თუ მიეცემა, მოხარული ვიქნები. აქამდე, არ მქონია ასეთი შემთხვევა, პირველად მივიღე მონაწილეობა და მადლობას ვუხდი მის ავტორებს“.

„პრაიმტაიმისა“ და „ევროპაბეთის“ ერთობლივი პროექტის ფარგლებში ეს უკვე მეთორმეტე შეხვედრაა. აქციამ, გასული წლის შემოდგომაზე, რეგიონებიც მოიარა და კვლავ იგეგმება ქუთაისსა და ბათუმში ქართველი ფეხბურთელებისა და გულშემატკივრების შეხვედრა. აუცილებლად გასახსენებელია ლევან კობიაშვილის ემოციები, როდესაც პროექტის ფარგლებში მას კარიერის განმავლობაში პირველად მოუხდა ქართველ ქომაგთან შეხვედრა.

„მინდა, უდიდესი მადლობა გადავუხადი „პრაიმტაიმსა“ და „ევროპაბეთს“, რომელმაც ორგანიზება გაუწია დღევანდელ საღამოს. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ აქ ვიმყოფები. მსგავსი შეხვედრა, ამდენი წელია, საქართველოს ნაკრებში ვთამაშობ და პირველადაა, რომ გულშემატკივრებს ვხვდები, ავტოგრაფებს ვარიგებ, მათთან ერთად ვიმყოფები და ვსაუბრობ, რაც მიმაჩნია, რომ აუცილებელია და ძალიან მნიშვნელოვანია ქართული ფეხბურთისთვის. ერთი მხრივ, ის, რომ ფეხბურთელებსა და გულშემატკივარს შორის არის კავშირი, რომელსაც სწორედ ასეთი შეხვედრები აჩენს, ამიტომ უდიდესი მადლობა „პრაიმტაიმსა“ და „ევროპაბეთს“, – ასეთი იყო მაშინ, ვეტერანი ქართველი ფეხბურთელის და ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტნის შეფასება ჩვენს წამოწყებაზე, რამაც განაპირობა კიდეც ის, რომ პროექტი გაგრძელებულიყო და უფრო ფართო მასშტაბები მისცემოდა. რაც მთავარია, აქციის ყველა სტუმარი, ვეტერანი ფეხბურთელები, ქართული ფეხბურთის ვარსკვლავები თუ ახალგაზრდა მოთამაშეები, ერთხმად თანხმდებიან, რომ ასეთი აქციებით თუ დაუბრუნდება ხალხი სტადიონებს და ქართული ფეხბურთი დაიბრუნებს ინტერესს.

„ევროპაბეთი“ კი აგრძელებს აქციას და ის ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე სეზონის დასრულებამდე გასტანს. მორიგი შეხვედრა კი „ევროპაბეთის“ „თბილისი ცენტრალის“ ფილიალში გაიმართება.



დაჩი ფოფხაძე: „შეხვედრები გულშემატკივართან ძალიან იშვიათად მქონია, ჩემს კარიერაში, ალბათ, რამდენიმე, და ეს ძალიან კარგია. ასეთი აქციები და ვიქტორინები ბევრი უნდა ჩატარდეს. ფეხბურთელს კომუნიკაცია უნდა ჰქონდეს გულშემატკივართან, რომ გაიცნონ მოთამაშეები. კარგი აქციაა და რაც უფრო ხშირად ჩატარდება, ჩვენც მოხარულები ვიქნებით“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ეთერ კაკულიას ცხოვრე

my View

ნინო მჭედლიშვილი

ბევრი რამ თავისი ცხოვრებიდან არ ახსოვს, ნანობს, რომ არ წერდა დღიურებს. იმასაც ნანობს, რომ ბევრი შვილი არ გააჩინა... ემადლიერება შვილს, რომლისგანაც ამხელა მზრუნველობას ვერც წარმოიდგენდა. „ახლა გავიცანი ჩემი შვილი, როცა დამჭირდაო", - ღიმილით დასძინა ჩემთან საუბრისას მომღერალმა ეთერ კაკულიამ... გასაგები მიზეზების გამო, სახლიდან დიდი ხანია არ გასულა. მაგრამ ისევ ისეთი პოზიტიური, ხალისიანი და იუმორით სავსეა, როგორიც აქამდე იყო. ერთი კია, როცა ის ადამიანები ახსენდება, ვინც გაჭირვების ჟამს გვერდით დაუდგა, მადლიერების ცრემლებს ვერ იკავებს.

დედის ქუსლებზე შემხტარი პრანჭია

- გგონია, მახსოვს ჩემი ბავშვობა? მე და ლენინი რომ გიმნაზიაში ერთად დავდიოდით ეგ ამბავი არ გეცოდინება, მაქედან დავიწყებ (იცინის)... კალანდაძის ქუჩაზე დავიბადე, ვერაზე. ძალიან სიმპათიური ბავშვი ვიყავი, ეს კარგად მახსოვს. დედაჩემის „ჩერნაბურკას" ჩავიცვამდი ხოლმე, მის შლაპას დავიფარებდი თავზე, მისსავე მაღალ ქუსლებზე შევხტებოდი და მიხაროდა. მაშინ, ალბათ, სამი წლის ვიქნებოდი, ხომ წარმოგიდგენია რა პრანჭია ვიყავი. თავიდანვე მქონდა არტისტული მონაცემები. მერე დავკარგე. რატომ იცი? ორჯერ წამიყვანეს კინოსტუდიაში, სინჯებზე და ვერაფერი გავაკეთე.

- მშობლებზე რას მეტყვით?

- მამაჩემი, ირაკლი კაკულია გეპეის პროფესორი იყო. აბრაც არის ჩვენს სადარბაზოსთან, რომ ამ სახლში მამაჩემი ცხოვრობდა. ფოთში მისი სახელობის ქუჩაც არსებობს. მამაჩემის გაზრდილია ნახევარი საქართველო. სტუდენტებს, რომლებიც ზარმაცობდნენ, არ სწავლობდნენ, ხეებს არგვევინებდა. ჩვენს ეზოში სულ მამაჩემის სტუდენტების დარგული ხეებია. მერე აჭმევდა, ღვინოს დაალევინებდა ხოლმე. არ არის სწორი? თუ ვერ სწავლობ, ხე მაინც უნდა დარგო.

- დედა რას საქმიანობდა?

- დიასახლისი იყო. მე და ჩემს ძმას მოგვიძღვნა მთელი ცხოვრება. მე ვფიქრობ, ქალი დიასახლისი უნდა იყოს, თუ ხელჩლუნგი არ არის ჩემსავით და კერძების მომზადება შეუძლია. დედა საოცარი დიასახლისი იყო, ისეთ კერძებს ამზადებდა, თითებს ჩაიკვნეტდი. მე ვის დავემსგავსე, არ ვიცი. უნიჭო გამოვდექი. თან გასტროლებზე ვიყავი სულ, სადილის მომზადება როდის უნდა მესწავლა? თუმცა, მაინც ბედნიერი ვარ, რომ ქალი ვარ და თან ქართველი. ვგიჟდები ქართველებზე, ჭკუა მეკეტება და რა ვქნა?

- მშობლების კამათს თუ შესწრებიხართ, ძირითადად რა თემაზე კამათობდნენ?

- სასაცილო იყო მათი კამათიც კი. მამაჩემი დარეკავდა კათედრიდან და დედას ეუბნებოდა, ლოლა, ბიჭები მოვდივართ (75 წლისანი არიან ეს ბიჭები, არ დაგავიწყდეთ) და ხარჩო და ღომი გაგვიკეთეო, ლოლა სხვა კერძეს სთავაზობდა. ეს იყო მათი კამათის მიზეზი. ჩემი მშობლების სერიოზული ჩხუბი არ მახსოვს.

- რა გვარის იყო დედა?

- ლოლა ჩაჩავა, აბაშელი, „კრასავიცა".

პატენტი დედა

- თქვენ ვის ჰგავხართ ხასიათით?

- მამაჩემს ზღაპრული იუმორი ჰქონდა. ამაში დავემსგავსეთ მას მეც და ჩემი ძმაც. დედა ცოტა მკაცრად გვზრდიდა. სახლში თუ დავიგვიანებდი, რთულად იყო საქმე. ამაში ვერ დავემსგავსე ლოლას. ერთხელ, უნივერსიტეტში ნავიღე ჩემი ძმის ჩეხური ჟურნალები, რომელიც გამონერილი ჰქონდა ალკაზარს. „ბიკინებიანი" ქალების ფოტოებით იყო გადავსებული. დავდე სამასკაციან აუდიტორიაში და შემომეხვივნენ ბავშვები. ვიღას აინტერესებდა ჰიუგო, მოცვივდნენ და ვათვალიერებთ. ლექტორმა დაგვინახა, იქ ამბავი ატყდა... დედაჩემი უნივერსიტეტში დაიბარეს. დედას ამას როგორ გავუმხელდი. უნივერსიტეტის ეზოში ვართ დამნაშავე დაქალები და ვფიქრობთ, რა ვქნათ. ვხედავთ, მოდის ქალი, სავარაუდოდ შვილიშვილს ასეირნებს ეტლით. მივედით, ავუხსენით მგდომარეობა და ვთხოვე, ცოტა ხანს დედაჩემი იყავით-მეთქი. უარი არ უთქვამს, მიაჩეჩა ბავშვი ვიღაცას და გამომყვა. დედაჩემი ფუმფულა ქალი იყო, 102 კილო. ეს გამხდარი, დაბალი. გააღო დეკანის კარი, ჩვენ უკან ვდგავართ. დეკანი, დათიკო ფანჩულიძე, იცნობს დედაჩემს, მამაჩემს. ორი კვირის წინ სუფრა გვქონდა სახლში, რომ მოვეწყვე, მოვიპატიჟეთ. მე ეთერის დედა ვარო, რომ უთხრა ქალმა, დათიკო წამოდგა სკამიდან, ავად ხართო, ჰკითხა. ქალმაც თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. აი, მე ჰიუგოს ვასწავლი ბავშვებს და თქვენი ქალიშვილი კი რას აჩვენებს სტუდენტებს, განაგრძო დათიკომ და გადაუშალა ჟურნალები პატენტ დედას. ამ ქალმა დაავლო ხელი ჟურნალებს და მთხლიშა სახეში. ისე დავრეტიანდი, ვიღაცას მუხლებში ჩავუვარდი. დაწყნარდით ქალბატონო დედა, ძლივს ამოვილუღლუღე. ამიტომ მთხოვდი ფულს, არა, ესენი უნდა გეყიდა, ხომ, ყვირის დერეფანში. აუდიტორიებიდან გამოცვივდა ხალხი. გარბის და თან ყვირის. მივყვებით უკან და ვაწყნარებთ. დათიკო სულ გადაირია. მგონი

„ისეთი ცხოვრება გავიარე, დილით კახეთში ვიყავი, საღამოს სამეგრელოში. მოკლედ, უფალმა დამასვენა, განსაცდელი გამომიგზავნა. ამას გადავლახავ და გამომაჯანმრთელებს ისევ"

Aeterna nox (უსასრულო ღამე), ანუ ბაღდადში ისევ სიმშვიდეა...

მერაბ ხიდაშელი

საქართველოს პოლიტიკური კარმის რკინის ბორბლები ისევ თხრიან ახალი, პერსპექტიული გვირაბის შიგთავსს.

ამბიციები ისევ დაპაუზებულია, თუმცაღა, ისევ, სულ, მუდამ და თამამად: უკან, უკან, უკან!

საღამოს თბილისი ინდიგოს ფერშია გადაწყვეტილი და რესტორნები ურმის, ხინკლის, შემწვარი კანჭების, თესლის და კუნი-ურთიერთობების საოცარი სუნი- ბუკეტის რეტრანსლაციაზე ძალღონეს არ იშურებენ.

ხელისუფალთა შლეგი თითები ისევ სცემენ ბოლთას, აწ უკვე ღამის, ვარსკვლავთეკრანზე და კანონიკა ისევ ირჩევს მასტურბაციას მზერით...

მონტენეგროს ჩანჩქერები აუცილებლად გახდებიან მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მორიგე მეგობრები და სადღაც, აქეთ, მარცხენა სანაპირო ისევ ამოაგდებს ახლადგარდაცვლილი ქალწულის მკერდის სისხლიან ხორცებს, ქალწულისა, რომელმაც „უზრუნველყოფილ" დედობას ისევ არჩია ბელზებელის არტ-შოუს სოლო - „მე სიცოცხლე აღარ მინდა", არტ-შოუში, რომელიც აგერ უკვე ორი ათწლეულია, რაც ანშლაგით მიმდინარეობს.

მეომარი მატერიალიზმი ისევ პათოსით სთავაზობს საზოგადოებას ლოგიკურ ბუნტებს, გაუსაძლის შიმშილსა და სიცივეს და ხსნილი კარის კიბერპანკი ისევ ელის საჭეთმპყრობელთა ნაზი სიძულვილის დემონსტრაციას.

რა ღირს ერთი კილოგრამი ხელისუფალი?!

რა ღირს გოგირდის საცობი, სხვადასხვანაირი რბილი, ხავერდოვანი, და ზუსტად მოჭრილი ფუმფულა ყურზე?!

რა ღირს სიცრუე, რომელმაც ყოველი მოიცვა და სიტყვანი: „მიუსაფარი", „ობოლი", „უბედური", უწყისთა სართი და ულმობელთა კლავიატურის ანტი-სინტაქსისი გახდა?!

რა ღირს სინაზე, თუნდაც მდუმარე და ქადაგი უმეცრებისა, რომელიც ყოველივეს ხალხისთვის იქმს და არარას იხვეჭს?!

რა ღირს ზეიმი გამარჯვებისა, რომელიც კაცთა კვლის ზეიმის ტოლფასია და სიკეთე, რომელსაც მხოლოდ სძაგს და მის ლაშქარს მხოლოდ უბედურება მოაქვს?!

ქვეყანა ტრაურის ორნამენტებითაა აჭრელებული და ძნელია დაუძახო ექსტაზი თრობას, უხამსი სხეულის ქმედებებს, და ჩვენი დროის ბებერ სარა ბერნარს - მასმედიას, რომელიც დღემდე გვთავაზობს სოდომისა და გომორის ექსპერიმენტულ ეგზისტენციას, ხანაც შეყვარებულ ცნობისმოყვარე მსხვერპლთ, ხანაც კანონშემოქმედთა ნეო-მორალს, რომელიც კვლავ ცდილობს სიძულვილის, როგორც სიყვარულის ახალი ფორმის რეგისტრაციას...

ბაღდადში ისევ სიმშვიდეა, თუმცაღა აღმართის მნათე დიდი ხანია ჩაანაცვლა პატრულმა, რომელიც გამალებით დაეძებს თრიაქის დოკუმენტურ დადასტურებას...

იქ, სადაც ვარ და ვართ, დაუშვა იმედი - ნიშნავს წაგო, აქ იმედი მხოლოდ კლიპის 25-ე კადრია, ამ ქალაქიდან, რომელიც არ ცხოვრობს, თუმცა სწადია, დიდი ხანია ამელი გაიქცა, ის ურცხვი გობელენების სიუხვემ შეაშინა გამთენიისას.

აქ არ ცხოვრობს შექსპირი, არც ადამიანი- ჰამლეტი, არც რომეო და არც ჯული, მხოლოდ რჯული, რომელიც გვამცნობს, რომ სიყვარული უბრალო მოდემია, სიმამაცე - ფრაგმენტალური ჰალუცინაცია, სინაზე - იდიოტის კოშმარი, პოეზია - ჭკვამსუბუქთა მანერა, რომელიც სტრედროდში იშვა და მხოლოდ პატრიარქალური ერესია და საერთოდ: უილი დიდი ფალსიფიკატორი და მამაძაღლი იყო, ხოლო დავითის ქანდაკება - ჰომოფობი მიქელანჯელოს ავადმყოფური წარმოდგენა.

საზოგადოება დიდი ხანია მიხვდა ზედა დედათა და მამათა ჩანაფიქრს: „ნუ აქცევთ ყურადღებას იმ ადამიანს, ფარდის უკან", რამეთუ ოზის ჯადოსნური ციხესიმაგრე დიდი ხანია დასანგრევია მახინჯი ფასადის გამო!

მორჩა! იმპერატორების ერა დასრულდა! ჯოშუა აბრაჰამ მორტონი, რომელმაც 1859 წელს თავი აშშს იმპერატორად გამოაცხადა - მოკვდა!...

და დადგა ერა: ის- ტორიული არტე- ფაქტების, ყა-



ლბი დოლარების, ოზის ჯადოქარი დიდი ხანია ფედერალური სარეზერვო ბანკის ჯადოქრით ჩანაცვლდა, და გენიალურობის ნომინალური ღირებულება დადასტურდა!

ჩინგიზ-ხანის და მისი საყვარელი თათრის ქალის ვატერლოო უბრალო ტექნიკური რეპორტაჟია მავანთა ფუნდამენტალისტურ ფალსიფიკაციებში.

...და მხოლოდ ბახის „თოლიაა" ის უკანასკნელი კახპა, რომელიც უბრალოდ დაფრინავს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბისეული გამოცდილება



„ძველი ლათინური გამოთქმაა, „მემენტო მორი“, გახსოვდეს სიკვდილი. ეს რომ გვახსოვდეს ყველას, კარგად ვიცხოვრებთ“

„ცოლშვილიან კაცს არ უნდა გაჰყვე. ისე განვიცდიდი ამას. ვდარდობდი მის ცოლზე, შვილებზე. არ არის სწორი, ასე მოქცევა არ შეიძლება. თან ამ დროს იმდენი თაყვანისმცემელი მყავდა... მაგრამ ამან შემაყვარა თავი“

EXCLUSIVE

ჯობდა ნამდვილი დედისთვის მეთქვა ყველაფერი.

კახელი ენგელსი და ალკაზარი

ჩემი ძმა ცეკაში განყოფილების გამგე იყო. სულ პურ-მარილი იყო ცეკაში, რა კარგი იყო, კაცო, მეც მივდიოდი ხოლმე მასთან. დედაჩემი გვიანობამდე ელოდებოდა ჩემს ძმას, ფანჯარასთან იჯდა და გაჰყურებდა გზას, არ დაიძინებდა, სანამ არ მოვიდოდა... ჩემს ძმას პასპორტში ალკაზარი ჰქვია. ესპანური სახელია ალკაზარი. რუსთაველის თეატრში იდგმებოდა სპექტაკლი და ხორავა თამაშობდა ალკაზარს. ჩემს მშობლებს უნახავთ სპექტაკლი, მთავარი გმირი მოსწონებიათ და ჩემი ძმისთვის დაურქმევიათ ეს სახელი. ჩემს ძმას ემსახურებოდა შავი ვოლგა. ერთხელ, ურეკავენ ტელეფონზე და ეუბნებიან, მანქანა გელოდებათ, ჩაბრძანდითო. ჩავიდა ჩემი ძმა ეზოში, მძღოლს ეკითხება, რა გქვიაო, და ენგელსიო, პასუხობს მძღოლი. კახელი ენგელსი, წარმოიდგინე... ენგელსი როგორ უნდა დაარქვა ბავშვს?! მე ალკაზარიო, გაეცნო ჩემი ძმა. ეს იყო საუკუნის გაცნობა.

არშემდგარი ლექტორი

- კონსერვატორიაში მინდოდა ჩამებარებინა, მაგრამ ძალიან დიდი შრომა სჭირდება ამას. მე ცოტა ზარმაცი ვიყავი. მაშინ მოდაში იყო უცხო ენები. მაგრამ რატომღაც ინგლისურმა არ მიმიზიდა. გერმანულზე ჩავაბარე. დავამთავრე სიმღერ-სიმღერით. მამაჩემს უნდოდა პედაგოგი ვყოფილიყავი. რომ დავამთავრე, თავი მოიკლა, გინდა თუ არა გეპეიში უნდა დაიწყო მუშაობაო. ამ დროს პედაგოგობა არ შემიძლია, რა ვქნა? ხომ არ ვაწყენინებდი, წავედი. ვასწავლიდი, მაგრამ არც ერთმა ჩემმა სტუდენტმა გერმანული არ იცოდა. ჩემს კურიოზებს ვუყვებოდი. ისეთი დასწრება მქონდა, ადგილები არ იყო ლექციაზე. კათედრამ გადაწყვიტა დამსწრებოდა ლექციაზე. დამესწრნენ. ვერაფრით მოვინონე თავი, ბავშვებმა ერთი სიტყვაც არ იცოდნენ გერმანულად. ეს იყო ჩემი ბოლო ლექცია.

- გამოგიშვეს თუ თვითონ წამოხვედით?

- თვითონ წამოვედი. კოწია პევზნერს უკვე დარეკილი ჰქონდა, უნდა წავსულიყავი მასთან. ისედაც ხუთი წელი გავძელი მამაჩემის ხათრით.

- მამას არ მოსწონდა რომ მღეროდით?

- რას ლაპარაკობ, ამაყობდა, სცენაზე ამორბოდა, ისე უხაროდა. უბრალოდ, უნდოდა სხვა პროფესიაც მქონოდა. 15 წელი რადიო-ტელევიზიის ორკესტრის სოლისტი ვიყავი. კარგი ხელფასები გვქონდა, დავდიოდით გასტროლებზე მე, მაია ჯაბუა და თამრიკო ჭოხონელიძე. მოვიარეთ მსოფლიო. სომხეთში იმდენჯერ ვიყავით, სომხური სიმღერა ვისწავლე. ერთხელ, მე და გივი სიხარულიძე მიგვიწვიეს ტელევიზიაში. გივიმ თქვა, იცით რატომ უყვართ ეთერი სომხებს, დედა ჰყავდა სომეხი, ჩაჩავიან! დაიჯერა ხალხმა.

- პირველი ხელფასი რაში გამოიყენეთ გახსოვთ?

- იმხელა ცხოვრება გამოვიარე, ყველაფერი როგორ უნდა მახსოვდეს, რას ლაპარაკობ! ჟან მარე მეჯდა გვერდით, ის ვერ ვიცანი, ხელფასი საიდან უნდა მახსოვდეს.

- სად შეხვდით ფრანგ მსახიობს?

- მე და „ცისფერ ტრიოს“ გვქონდა გასტროლები ევროპაში. პარიზში ყავის დასალევად შევედი კაფეში. ნახევრად ჩაბნელებულია ოთახი. ვხედავ ვიღაც კაცი ზის ზურგით. ეს ზურგი ისე მომეწონა, ჭკუა დავკარგე კინაღამ. ყავის სმა რომ დაამთავრა, მივიდა ბართან და მადლობა გადაიხადა ფრანგულად. რომ დავინახე და ვიცანი, კინაღამ სკამიდან ჩამოვვარდი. მაშინ სითამამე მაკლდა, თორემ სურათს მაინც გადავიღებდი მასთან. იმდენ ცნობილ ადამიანს შევხვედრივარ, ზოგი არც მახსოვს. შევცდი, დღიურები უნდა დამეწერა.

„გაოგნებული ვარ, როგორ მპატრონობს და მივლის ბიჭი, რომელსაც კოვზით ვაჭმევდი საჭმელს. ახლა გავიცანი ჩემი შვილი, რომ დამჭირდა“



სასიყვარულო გამოცდილება...

- გათხოვება გახსოვთ?

- ისე რა, ბუნდოვნად (იცინის).

- რამდენი წლის გათხოვდით?

- 35-36-ის. გვიან გავთხოვდი, დრო არ მქონდა.

- ოჯახი თუ იყო თანახმა, მოსწონდათ სასიძო?

- არა, იმიტომ რომ ცოლშვილიანი იყო. ძალიან შევუყვარდი და მეც შემიყვარდა. ნამდვილად ძალიან კარგი კაცი იყო. მაგრამ ვერ გავუძელით ერთმანეთს. სულ გასტროლებზე ვიყავი, გადადგა კაცი ჭკუიდან. იმდენად ვუყვარდი, ჩემს სადღეგრძელოს რომ დალევდა, ტიროდა. ბიზნესმენი იყო, კარგი შესაძლებლობების პატრონი. მახსოვს, ერთხელ, კიევში გვქონდა გასტროლი და ჩუმად გადავფრინდით მე და ნუნუ გაბუნია. მერე დავურეკე იქიდან. მეორე დღეს ყვავილებით დამხვდა კიევში. ასეთი ლამაზი დღეებიც იყო. ბევრი დადებითი მახსოვს ცხოვრებიდან... ახლა უფალმა მითხრა, ასეთი სასიამოვნო, მხიარული ცხოვრება რომ გაიარე, ცოტა ხანს დაისვენეო და სნეული გამხადა. ესეც ჩემი ბრალია, ისეთი მერცხალი ვიყავი, 50 წელი ექიმთან არ მივსულვარ. ასე არ შეიძლება.

- ის ფაქტი, რომ თქვენს მეუღლეს მანამდე ჰყავდა ოჯახი, არ გაბრკოლებდათ?

- ცოლშვილიან კაცს არ უნდა გაჰყვე. ისე განვიცდიდი ამას. ვდარდობდი მის ცოლზე, შვილებზე. არ არის სწორი, ასე მოქცევა არ შეიძლება. თან ამ დროს იმდენი თაყვანისმცემელი მყავდა... მაგრამ ამან შემაყვარა თავი.

- რატომ დაშორდით?

- მოქეიფე კაცი იყო, უყვარდა სმა. ძალიან რთული აღმოჩნდა ჩემთვის, ვეღარ გავუძელი. არ მიყვარს ამ თემაზე ლაპარაკი, ისედაც საკმარისზე მეტი ვილაპარაკე.

- მარტო შვილის გაზრდა არ გაგიჭირდათ?

- არა. დამოუკიდებელი ცხოვრება დაწყებული მქონდა უკვე. დამოუკიდებელი ქალი ვარ და მომწონს ასეთი რომ ვარ. მეორედ გათხოვება საერთოდ ვერ წარმომედგინა. მიკვირს ოთხჯერ რომ თხოვდებიან ქალები. ისე ვიყავი ჩემს საქმეში ჩართული, ყოველ წელს ფილარმონიაში კონცერტი მქონდა, სად მეცალა თაყვანისმცემლებისთვის, სიყვარულისთვის. ერთადერთი, რასაც ვნანობ, ის არის, რომ ბევრი შვილი არ გავაჩინე. მივესალმები ქალებს, რომლებსაც 5 შვილი ჰყავთ. მეორედ ვერ გავთხოვდებოდი, შეშლილი ვიყავი ჩემს შვილზე, ჩავკიდებდი ხელს და ყველგან დამყავდა.

- დაგიფასათ?

- იცი, როგორ მივლის? გაგიჟდები. გოგო ვერ მოგივლის ასე. გაოგნებული ვარ, როგორ მპატრონობს და მივლის ბიჭი, რომელსაც კოვზით ვაჭმევდი საჭმელს. ახლა გავიცანი ჩემი შვილი, რომ დამჭირდა. ჩემი შვილიშვილი, ჩემი მარიამი ხომ საერთოდ მაგიჟებს. ცეკვავს, ჩემს სიმღერებს მღერის, ყოველდღე მაოცებს.

პატრიარქის წინ მდუმარე მომღერალი

- დღეს ვინ არის თქვენი ხშირი სტუმარი?

- უფალი და მთელი საქართველო. გაოგნებული ვარ. სუფრებიდან მირეკავენ, ტელეფონზე სიყვარულში მიტყდებიან ჩემთვის სრულიად უცხო ადამიანები. ასეთ დროს ვტირი, არ შემიძლია ამის მოსმენა. არ ვიცი რით დავიმსახურე ამხელა სიყვარული. ჯერ პატრიარქის სიყვარული როგორ დავიმსახურე ისე, რომ ჩემ სანახავად მეოთხე სართულზე ფეხით ამოვიდა. რომ დამირეკეს, თქვენ სანახავად მოდისო, მეგონა მეხუმრებოდნენ. ერთ საათში მოვიდა. გაოგნებული ვუყურებდი, ხმა წამერთვა. მდუმარე ვიყავი დიდხანს. ორი საათი გაჩერდა. როგორ დამემართა, რომ ერთი სიმღერა ვერ ვუმღერე.

- გთხოვათ?

- გიტარა გაქვსო, მკითხა. ვიღაცას ვაჩუქე. ფორტეპიანოზე მემღერა, მაგრამ გაოგნებული ვიყავი. თვეების განმავლობაში განვიცდიდი ამას. მის მერე ხშირად მკითხულობს. ცოტა კარგად რომ გავხდები, უნდა მივიდე. ისე მიკვირს, რომ გარეთ ვერ გავდივარ და ამას შევეგუე... ისეთი ცხოვრება გავიარე, დილით კახეთში ვიყავი, საღამოს სამეგრელოში. მოკლედ, უფალმა დამასვენა, განსაცდელი გამომიგზავნა. ამას გადავლახავ და გამომაჯანმრთელებს ისევ. ახლა მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო მთელ საქართველოს. ყველას, ვინც გვერდით დამიდგა, ერთი ზარი მაინც განახორციელა ჩემ სასარგებლოდ. მადლობა მინდა ვუთხრა, ჩემს უსაყვარლეს პატრიარქს, საქართველო ბედნიერია, რომ ასეთი პატრიარქი ჰყავს, ჩვენს პრემიერ-მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილს, დავით ნარმანიას, ფრიდონ ინჯიას, დათო ოქიტაშვილს, კულტურის სამინისტროს, რაულ ქირიას, რომელმაც როგორც დედას ისე მომიარა, მიხეილ ხუბუტიას, „აირზენას“ დირექტორს, თამაზ გაიაშვილს, რომელმაც მე და ჩემი შვილის მგზავრობა უზრუნველყო ისრაელში. ასეთ ხალხს მადლობა როგორ არ უნდა გადავუხადო. დღეს რომ ცოცხალი ვარ, ამ ადამიანების დამსახურებაა. დიდი კონცერტი მინდა გავაკეთო სტადიონზე და იქიდან გადავუხადო მადლობა ყველას. ძველი ლათინური გამოთქმაა, „მემენტო მორე“, გახსოვდეს სიკვდილი. ეს რომ გვახსოვდეს ყველას, კარგად ვიცხოვრებთ. მილიონებზე ფიქრობენ და ის კი არ იციან, რომ თან ვერ წაიღებენ. თქვენ იცით, რომ სიტყვა „მეცენატი“ გვარიდან მომდინარეობს? გაიუს მეცენატი იყო ძველი რომაელი საზოგადო მოღვაწე, იმპერატორ აუგუსტინეს მეგობარი, რომელიც თავისი ქველმოქმედებით მეცნიერების, მწერლობის, ხელოვნების მფარველად იქცა. ასე რომ, დაეხმარეთ გაჭირვებულებს, ბიზნესმენებო, იქნებ თქვენი სახელი და გვარიც შემოინახოს ისტორიამ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მარინა ნაცვლიშვილის ვერცხლის ბეჭდების სერია „სხვადასხვა ლურჯი“

„ჩიტების მეშინია, ბუმბულს ვერ ვეხები და სამკაულებში ვამზადებ. ჩემი ბეჭდების ჩიტები ზღაპრულია. კეთილი სახეები აქვთ“

EXCLUSIVE

my View
თამარ გონგაძე

21 თებერვალს შამპანურ „ბაგრატიონის“ ქარხანაში მხატვარ-დიზაინერმა მარინა ნაცვლიშვილმა და ფერმწერმა ეკა მუხაძემ გამოფენაზე დამთვალიერებელს უმასპინძლეს. მარინა დუტა სხირტლაძის მეუღლეა და გამოფენაზე წყვილის **16** წლის ქალიშვილმა ნინომ იმღერა. გამოფენის სახელწოდება „სხვადასხვა ლურჯი“ გახლდათ. დიზაინერმა ვერცხლის ბეჭდების სერია წარმოადგინა, სულ **27** ნამუშევარი, ფერმწერმა კი შირმები, მოხატული თეფშები, კარადა. მარინას ვერცხლის სამკაული ძვირფასი და ნახევრადძვირფასი ქვებით არის მორთული - ქრიზოლიტი, ლალი, საფირი, მარგალიტი, ცირკონი, სადაფი, ძოწი, გიშერი, მარჯანი, სერდოლიკი, მინანქარი... ბეჭდების სერია ზღაპრული ჩიტებისგან შედგება. ფრინველს სავიზიტო ბარათად მიიჩნევს, ჩიტის ლოგოც აქვს დამღად. „ჩიტების მეშინია, ბუმბულს ვერ ვეხები და სამკაულებში ვამზადებ. მაგრამ ჩემი ბეჭდების ჩიტები ზღაპრულია. კეთილი სახეები აქვთ. ჩვენს აივანზე სულ მტრედებია, ამ დროს არ მიყვარს ეს ფრინველი. გარემოს აბინძურებს. თითქოს ეს იციან და ჯინაზე მოდიან. არ ვაჭმევ და მაინც მოდიან, საოცრებაა. სამზარეულოშიც იყო ორი შემოფრენილი. თან რომ ფრთხიალებენ, მეშინია. ვერ გავიგე, რა უნდათ ჩემგან :) მე, ლამაზი, იშვიათი ფრინველები მომწონს, ისიც ნახატში და ხელოვნებაში.**

სხვათა შორის, მარინას სამკაულების დათვალიერებისას „ვეფხისტყაოსნის“ ზიჩის და თავაქარაშვილის ფასკუნჯების და ფრინველების ილუსტრაციები გამახსენდა. „ეკასაც გრავირებული, იუველირული ნამუშევარი აქვს, ბევრი ჩიტით და ლურჯი ფერით. რომ დავაკვირდი, ჩემთანაც სხავადასხვა გრადაციის ლურჯი იყო, ამიტომ დავარქვით ასე“.

მარინა ნაცვლიშვილს მოდელირების ფაკულტეტი აქვს დამთავრებული, კოსტიუმების დიზაინერია. უმუშავია კინოსა და თეატრში, მოდელირებას ასწავლიდა უნივერსიტეტსა და აკადემიაში. თეატრალურ სარდაფში არაერთი სპექტაკლის მხატვარი ყოფილა. სწორედ იქ შედგა დუტას და მარინას სამსახურებრივი რომანი, რომელიც აგერ უკვე 17 წელს ითვლის.

საიუველირო საქმიანობით ერთი წლის წინ დაინტერესდა და სახელოსნოში ვერცხლზე მუშაობა დაიწყო, როგორც ამბობს, შვილის ძიძის მითითებით. „მგონია, რომ სამკაულზე მუშაობა მაგრად გამოგვიაო. ვენდე. თავიდან ძალიან მერთულა - რა დაიმახსოვრებს ამდენ იაღარს, რა რის შემდეგ უნდა ვიხმარო-მეთქი. მაგრამ იმდენად მომერიდა ჩემი ძიძის, რომ თავს დავაძალე. დავიწყე და აზარტშიც ჩავვარდი. შედეულების დროს რომ არ დამწვოდა, ძალიან ვნერვიულობდი. მე ვერცხლი მიყვარს, სამუშაოდ უფრო რთულია, ვიდრე ოქრო. რთულად გემორჩილება. ოქრო რბილია. მე მომწონს ნინააღმდეგობის გადალახვა. ჩემს თავს გამოწვევების წინაშე ვაყენებ. სამკაული ყოველთვის მაინტერესებდა და მიყვარდა. მაგრამ მათი დამზადება ურთულესი რამაა, ქალისთვის რთული სამუშაოა. ქალი საიუველირო საქმიანობაში იშვიათობაა. მაგრამ ესკიზის მიტანას, მინდოდა ჩემით შემექმნა სამკაულის დიზაინიც და თვითონვე განმეხორციელებინა. ეს ცალკე პროფესიაა. პირველი ბეჭედი მეუღლეს გავუკეთე, უბრალო ვერცხლის რგოლი“.

„ყველა ეტაპი და ყველაფერი გავიარეთ, რაც არსებობს. მართლა არსებობს კრიტიკული და კრიზისული ეტაპები. ეს ლეგენდა არ ყოფილა. ხან ერთი ვდგამდით პირველ შესარიგებელ ნაბიჯს, ხან - მეორე“

„ნინი, გარეგნობიდან დაწყებული, ყველაფრით მამას ჰგავს. ლიდერია, მიზანმიმართულია. უყვარს წინა პლანზე ყოფნა. ამბობს, დროს ტყუილად არ ვხარჯავ, რასაც არ უნდა ვაკეთებდე, მინდა გამოჩენილი ვიყოო“

ნინი სხირტლაძე

დუტა: „მე მარინათი ვარ ამაყი! მიხარია და ბედნიერი ვარ, რომ ასეთ მოკლე დროში სასწაულების ათვისება შეძლო. თუ ნიჭიერი ხარ, ყველაფერში ნიჭიერი ხარ. მარინა ნიჭიერი აღმოჩნდა. შვილებშიც და საქმეშიც“

ხელობის შესწავლიდან ერთ თვეში დამოუკიდებლად დაიწყო მუშაობა. ქლიბებმა, ფუსფუსმა, სხვადასხვა „კაცურმა“ იარაღმა თითები გაუუხეშა. ამუშავებს, გრავირებას უკეთებს. პირველი ბეჭდის გაკეთებას ერთი კვირა მოანდომა, შედეგად ლამაზი ჩიტი მიიღო. მერე იყო რამდენიმე ჩიტი, ცხენი, ყვავილები, სხვადასხვა აბსტრაქტული, თუ გეომეტრიული ფორმის ბეჭდები. სადა სამოსზე გაკეთებული ეს სამკაული ქალბატონს ინდივიდუალურს ხდის. ეს მხოლოდ აქსესუარი არ არის, მათ თითქოს ცალკე დატვირთვაც აქვს.

ბეჭდების ავტორი ამბობს, რომ ხელსაქმეების კეთების ნიჭი დედისგან აქვს, რომელიც ყვავილებს ამზადებდა, ფოტოების ჩარჩოებს აკეთებდა, კერავდა, ათას რაიმეს ამზადებდა ხელით.

- გამოფენის მიზანი რა არის, გინდათ სამკაულზე შეკვეთები მიიღოთ?

- შეკვეთას თუ ავიღებ მხოლოდ ჩემი დიზაინით გავუკეთებ. ყველა სამკაული იქნება ექსკლუზიური, არ გამეორდება. ძალიანაც რომ მინდოდეს, ვერც გავიმეორებ. მე ხელოსანი არ ვარ. ხელოსანია ის ვინც სუფთა შეკვეთას იღებს. მე თვითონ ვქმნი მთლიანად. თუ რაღაც არ მომწონს, იმას ვერ ვაკეთებ, არც გამომივა. გამოფენაზე გაყიდვაც მოეწყო. მენანებოდა, მაგრამ მომიხდა. თუმცა პირველ ნამუშევარში მილიონი რომ გადამიხადონ, მაინც ვერ გავყიდი. ყველაზე ძალიან მიყვარს.

დუტა: მაგ ჩიტს სახელი რა ჰქვია უთხარი?

მარინა: ჩიტი გულნარა ჰქვია. სახელოსნოში დაარქვეს იუველირებმა.

- სავარაუდო ფასი რომ გვითხრათ?

- ეს შესრულების სირთულიდან, ქვიდან გამომდინარეა. იაფი არ ღირს.

- რა ტიპის ქალია ამ სამკაულის მატარებელი?

- გემოვნებიანს და ძალიან თავისუფალ ადამიანს უნდა ეკეთოს ეს ბეჭდები.

- დუტა, როგორ მოგწონთ მეუღლის ახალი გატაცება და ნამუშევრები?

- მე ვარ ამაყი! მიხარია და ბედნიერი ვარ, რომ ასეთ მოკლე დროში ასეთი სასწაულების ათვისება შეძლო. არ მეგონა ქალი ასეთ საქმეს ასე წარმატებით თუ გაართმევდა თავს. თუ ნიჭიერი ხარ, ყველაფერში ნიჭიერი ხარ. მარინა ნიჭიერი აღმოჩნდა. შვილებშიც და საქმეშიც.

მარინა: აქამდე ფრთებს მაჭრიდნენ და...

დუტა: ვინ გაჭრიდა? კაფე მინდაო, აჩემებული გქონდა. მე კიდევ გეუბნებოდი, საქმე გააკეთე-მეთქი.

მარინა: ის ჩემი კაფე ორი წელია დავხურე.

- დუტა, ხელს უწყობთ მეუღლეს?

- ყველაზე კარგი ხელშეწყობაა ის, რომ საერთოდ არ ვერევი.

- ბეჭდების გარდა რომელი სამკაულის გაკეთებას გეგმავთ?

მარინა: საყურეების, ბროშების. უამრავი ესკიზი მაქვს. ჩიტები, ალბათ, ყველგან იქნება.

„ვერცხლი მიყვარს, სამუშაოდ უფრო რთულია, ვიდრე ოქრო. რთულად გემორჩილება. ოქრო რბილია. მე მომწონს წინააღმდეგობის გადალახვა. ჩემს თავს გამოწვევების წინაშე ვაყენებ“

პირადი

17-წლიან თანაცხოვრებას სხირტლაძეების ოჯახში სულ მშვიდად და უკონფლიქტოდ არ ჩაუვლია. მარინა თვლის, რომ ახლა ყველაზე სასიამოვნო პერიოდი და სიმშვიდის ეტაპი უდგათ.

„უფრო კარგად იცნობ, უგებ. ცოლ-ქმარს შორის მეგობრობა ყოველთვის უნდა არსებობდეს. მის გარეშე ვერ წარმომიდგენია. ყველა ეტაპი და ყველაფერი გავიარეთ, რაც არსებობს. მართლა არსებობს კრიტიკული და კრიზისული ეტაპები. ეს ლეგენდა არ ყოფილა.

- გაყრის საფრთხე იდგა?

- ეს ყველასთან ხდება. სერიოზული არაფერი ყოფილა. მეც და დუტასაც წყენა მალე გაგვივლის ხოლმე, არ ვიბუტებით. გაბუტვა დისკომფორტია. ადამიანთან ერთად რომ ცხოვრობ, არ უნდა ელაპარაკო?! ხან ერთი ვდგამდით პირველ შესარიგებელ ნაბიჯს, ხან - მეორე. ვთვლი, რომ მე უფრო ვარ დამთმობი, დუტა პირიქით თვლის.

- რას აკეთებთ, რომ ცხოვრება მხოლოდ ყოველდღიურმა რუტინამ არ წაიღოს?

- ორივეს ისეთი პროფესიები გვაქვს, რომ ეს ყოველდღიურ რუტინას არ ემსგავსება. ერთსა და იმავეს დუტაც არ აკეთებს და მეც ვცდილობ, რომ ასეთი არ იყოს ჩემი დღეები. დაღლილს სახლში ყოფნა და ტელევიზორთან ჯდომა უყვარს. თუნდაც სულელური ფილმების ყურება. ტელევიზორთან მიირთმევს. გიყდება ლობიოზე. არ არის პრეტენზიული მჭამელი. თვითონ დუტა ჩემზე უკეთ ამზადებს საჭმელს, უბრალოდ, ამის დრო არ აქვს. ცოლად რომ გავყევი, მხოლოდ კვერცხის შეწვა ვიცოდი. და თვითონ ამზადებდა სადილებს. როდესაც მცხეთაში ვართ, აგარაკზე - მწვადს წვავს. როცა თევზაობს, თევზს ამზადებს გემრიელად. მთელ ზაფხულს აგარაკზე ვატარებთ. მე სულ საღებავით და ფუნჯით ვარ, ყველაფერი, რაც კი შეიძლებოდა, გადავღებე და მოვხატე. ხან ღობეს ვღებავ, ხან აივანს. სხვათა შორის, აივანსაც ხის გამოჭრილი ჩიტების რიკულები აქვს.

წყვილს 16 წლის ნინი და 10 წლის ლუკა ჰყავთ. დუტას პირველი ქორწინებიდან 23 წლის ქალიშვილი ჰყავს, გერმანიაში. ნინის ახლანდელი გატაცება სიმღერაა, მინისქვეშა გადასასვლელში დაუწყია სიმღერა. „მეც მანდ ვუკრავდი, რატომ დავუშალოო“, ამბობს მამა. ნინი გიტარაზე უკრავს, საფრანგეთში მუსიკალურ ფესტივალზეც მიიწვიეს. „იქსფაქტორში“ მონაწილეობაზე უარი უთქვამს, პაპსა არ ვარო.

მარინა: ნინი, გარეგნობიდან დაწყებული, ყველაფრით მამას ჰგავს. ლიდერია, მიზანმიმართულია. უყვარს ნინა პლანზე ყოფნა. მე ჩრდილში ვარ კომფორტულად. ამბობს, დროს ტყუილად არ ვხარჯავ, რასაც არ უნდა ვაკეთებდე, მინდა გამოჩენილი ვიყოო.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა დაცმარება სთხოვა ყოფილ ცოლს მიშა

გომიაშვილმა - „ცუდად ვარ, მარტო ვარო, მითხრა“



my View
ნინო მჭედლიშვილი

სანამ უმცირესობაში არ აღმოვჩნდებით!!! – ამ სათაურით მსახიობმა, მიშა გომიაშვილმა სტატუსი გამოაქვეყნა, სადაც ქართულ ტელესივრცეში არსებულ იმ ტელეშოუებს აკრიტიკებდა, რომლებიც ეთერს დიდი დოზით უთმობენ სექსუალურ უმცირესობებს.

„არ მოგწონს ტელეგადაცემაო?... პულტი გაქვს... ღილაკი აქვს ბევრიო, გადართეო... გადავრთე, კიდევ გადავრთე... კიდევ გადავრთე... გადავრთე... გადავრთე.... გავგიჟდი!!!... რამდენი უნდა გადავრთო კაცო??? სადაც არ გადავრთე, უსქესო, გადაკეთებულ-გადმოკეთებული, უჯიშო, გაუნათლებელი წამყვან-სტუმრიანი, გადაცემა – „თოქ შოუ“ შემრჩა... გადავრთავ რუსულ არხზე და პრორუსული ხარო....!!!??? არ მირჩევნია პრორუსული ვიყო, ვიდრე პროპიდარასტული?... დავიჯერო, რომ ეგენი უფრო საინტერესონი არიან ჩვენი ქვეყნის ტელეაუდიტორიისთვის ვიდრე მხატვრების, მსახიობების, კინოსა თუ თეატრის, სპორტისა თუ მეცნიერების წარმომადგენლების ცქერა, მათი მართლა საინტერესო აზრებისა და ამბების მოსმენა, მუსიკოსების, მომღერლების მოსმენა?“, - წერს მსახიობი.

ამ წერილის გამო მიშა გომიაშვილი არასამთავრობო ორგანიზაციების კრიტიკის ობიექტი გახდა. მათ შორის იყო არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობა“, რომელიც მოუწოდებდა რეჟისორებს, არ დაეკავებინათ მსახიობი თეატრში, კინოში. მსახიობი მისმა ყოფილმა ცოლმა, მაკა თვალჭრელიძემ დაიცვა. „არ აქვს მნიშვნელობა რა მოხდა ჩვენ შორის, სულ რომ არ მცნობოდა, მაინც მექნებოდა სერიოზული პროტესტი ამ საცოდავი ორგანიზაციის მიმართ!!! სასაცილოა... პირი მაინც გამოერეცხათ“

მაკა თვალჭრელიძე:

- ზოგადად, არ მიყვარს საკუთარი აზრის დაფიქსირება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ეს ის შემთვევა იყო, როცა გულმა ვერ გამიძლო. არ ვიცი მიშასთან რომ არ ყოფილიყო ეს თემა დაკავშირებული, დავნერდი თუ არა რამეს, მაგრამ დამოკიდებულება ზუსტად იგივე მექნებოდა. ყველა სიტყვას ვიზიარებ, რაც მიშას იქ უწერია. არ ვარ არანაირი ძალადობის მომხრე, მაგრამ ვთვლი, რომ თვალში არ უნდა გვეჩხირებოდნენ სექსუალური უმცირესობები. ღარიბი რუსულით წერსო, თქვეს. ჯერ რა კავშირში იყო და მერე, კარგით რა, მიშასნაირი რუსულით ვერ ლაპარაკობს ბევრი რუსი, ლიტერატურული რუსულით საუბრობს. მე რუსული ძალიან კარგად ვიცი, მაგრამ მიშასთან მრცხვენოდა რუსულად ლაპარაკი, იმდენად კარგად ლაპარაკობდა თვითონ.

- გამოგეხმაურა მიშა?

- ამაზე არა, მაგრამ იყო ერთი სტატუსი, სადაც ვიღაც ქალი ლანძღავდა და დავიცავი. მაშინ გამომეხმაურა ირიბად, ცხადი იყო, რომ ესიამოვნა.

- მაკა, გისმენ და ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ დღესაც არ ხარ გულგრილი მიშას მიმართ...

- რასაც ქალისა და კაცის სიყვარული ჰქვია, ეს გრძნობა ნამდვილად არ დარჩენილა ჩემში. თუმცა, მიშაზე იმდენი ამაგი მაქვს, პატივისცემის გრძნობა დამრჩა მის მიმართ, მიუხედავად ყველაფრისა, რაც ჩვენ შორის მოხდა. 5 წლის განმავლობაში ძალიან ბევრს ვაკეთებდი მისთვის, ამას ვერც მიშა უარყოფს. როგორ შეიძლება გრძნობა დარჩენილი არ გქონდეს იმ ადამიანის მიმართ, რომელსაც ზედ გადაყევი. მიშა იყო ამის ღირსი, ცუდი ქმარი არ მყავდა ნამდვილად. უარყოფითი და დადებითი მხარე ყველა ადამიანს აქვს. სულელი ხომ არ ვარ, იმსახურებდა და ვაკეთებდი. ეს ყველაფერი ნორმალურ ადამიანებში უკვალოდ არ ქრება. მიშა რომ ნავიდა, ერთი წლის განმავლობაში ყველა დაქალს ავუკრძალე ჩემთან მოსვლა. რატომ? იმიტომ რომ არ მინდოდა მასზე ვინმეს რაიმე ცუდი ეთქვა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან გამწარებული ვიყავი.

- მე მახსოვს ინტერვიუ, სადაც მიშა ძალიან ღიად, გახსნილად ყვებოდა თქვენი სიყვარულის ისტორიას, როგორ მიხვედი მასთან ინტერვიუზე და როგორ დაგტოვა სახლში. სად გაქრა ის სიყვარული? რა იყო გადამწყვეტი ფაქტორი თქვენი დაშორებისა?

- შევეცდები ავხსნა. ამაზე ძალიან ბევრი მაქვს ნაფიქრი. მე რომ მიშას გავყევი, საერთოდ არ ვიცოდი მისი პირადი ცხოვრება. მხოლოდ ის ვიცოდი, რომ იყო ნანა ლორთქიფანიძის ყოფილი ქმარი. ისიც ინტერვიუმდე ორი დღით ადრე გავიგე. ეს ჩემი, როგორც ჟურნალისტის სირცხვილია, მაგრამ მაშინ პოლიტიკაზე ვმუშაობდი და რაღაცნაირად გამომრჩა მიშას პიროვნება. მაშინ „ყავა და ლუდი“ გადიოდა. მომეწონა როგორ თამაშობდა და დედაჩემს ვეკითხებოდი, ვინ არის, რა კარგი ტიპია, ნეტავ არჩილის ვინ არის-მეთქი. მერე, როცა მისი პირადი ამბები, ამდენი ცოლის ისტორია გავიგე, უკვე იმდენად მიყვარდა, ვფიქრობდი, უბრალოდ, არ გაუმართლა, ალბათ, მეთქი. როცა ჩვენი ურთიერთობა დაიწყო, ყველა დარწმუნებული იყო, რომ მე ვიყავი ის, ვისაც მიშა ეძებდა. ჩემი ყურით მაქვს მოსმენილი, „დღის შოუში“ ნანა ლორთქიფანიძემ რომ თქვა, ვფიქრობ, მიშამ უკვე მართლა იპოვა თავისი მეორე ნახევარიო. არავინ წარმოიდგენდა იმას, რომ ჩვენ დავშორდებოდით.

- მაკა, მიშამდე გყავდა პირველი ქმარი, რომლისგანაც გყავს ქალიშვილი, ანასტასია იოსელიანი. მიშამ იცოდა შენი პირველი ქონწინების შესახებ?

- იცოდა, რა თქმა უნდა. მეორე ოჯახი შექმნა ჩემმა პირველმა ქმარმა. მოსკოვში ცხოვრობდნენ, შვილი ეყოლათ. მალე ცოლი გარდაეცვალა და ბავშვი უდედოდ დარჩა. მიშა ამბობდა, მამა მარტო როგორ გაზრდის ბავშვს, იქნებ ჩამოვიყვანოთო. წარმოგიდგენიათ, რამდენად სულგრძელია?

- შეიძლება, პირველ ქმართან დაშორების მიზეზი გკითხო?

- ძალიან სასაცილოა, კაცები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ჩემს საწოლში მოხვდნენ და მერე ქალის გამო მტოვებენ (იცინის). ოლონდ მერე, ყველა ჩემგან წასული კაცი მუხლებზე დამხობილი პატიებას მთხოვს. ყველას ისე ვამბობ, თითქოს 40 მყოლია, მაგრამ ვინც მყოლია ყველა მომტირის. ღალატის პატიება არ გამომდის, არ შემიძლია.

- ანის მამა იყო კაცი, რომელმაც „თებერვალი“ მოგიძღვნა?

- არა. ანის მამას რომ გავშორდი, ძალიან ცუდად ვიყავი. 5 წლის შემდეგ ჩემს ცხოვრებაში გაჩნდა ადამიანი, რომელმაც მაფიქრებინა, რომ სხვა კაციც შეიძლება არსებობდეს ამ ქვეყანაზე. როცა გადავწყვიტე ცოლად გავყოლოდი, ერთ კვირაში მოკლეს. სწორედ ამ ადამიანმა მომიძღვნა ეს უკვე ძალიან ცნობილი სიმღერა.

- დღეს რაიმე ტიპის ურთიერთობა გაქვს მიშასთან?

- წინა ზაფხულს დამირეკა, ეზოში ვიყავი, ცუდად ვარ და მარტო ვარო, მითხრა. მე ვიცი მისი ცუდად ყოფნა და თან მარტოობა, შემეშინდა, ვერ მოვითმინე, გამოვკითხე მისამართი, ჩემი შვილის მეგობარი წავიყოლე და წავედი. ისეთი არეულობა იყო, ძლივს შევედი სახლში. ჩუსტებით ვიყავი ნასული, ისე გამოვიდა რომ ერთი კვირის განმავლობაში მასთან ვიყავი. ვუვლიდი, ექიმები, გადასხმები დასჭირდა. მორიგეობით მოდიოდნენ, ჩემი შვილი, სიძე, მათი მეგობრები.

- მისი ცოლი, ქეთი სად იყო?

- როცა მიშა გადაბმით იწყებდა სმას, ქეთი მიდიოდა. ასე ვიცი მე. ვიღაც ქალი მოდიოდა, სახლს ულაგებდა. ამ დროს დარეკა ზურა ყიფშიძემ, ჰკითხა დამლაგებელს, ვინმე ადგას თავზეო. ამან უთხრა, მისი ცოლიაო. ვინ ცოლიო. ფისოო, უპასუხა ამ ქალმა (ფისო მაკას მეტსახელია. ავტ). გაგიჟდა ზურა, ეგონა „დეუჟავუ“ დაემართა (იცინის). ერთი სიტყვით, გამოვიყვანე მდგომარეობიდან. გათენდა დილა, როცა მიშა ფეხზე ადგა. ცუდად ვარ, მეცოდება, ვიცი, რომ უნდა დავრჩე, ამას ვხედავ. ტაქსი გამოვიძახე, 5 წუთიც რომ გავჩერებულიყავი იმ სახლში, დავრჩებოდი. ქეთი არ მოისვენებდა, გამოჯანმთელებულ მიშასთან ისევ დაბრუნდებოდა და ამ ყველაფერს თავიდან ვერ გადავიტანდი. ცუდად ნამოვედი, არც გამოვუცილებივარ, საშინლად ვგრძნობდი თავს. მერე „ფეისბუქზე“ მწერდა, იქნებ შევრიგდეთო. გიჟი ვარ სიყვარულში. პირად ურთიერთობებს რაც ეხება, ყველაფერი დაუფიქრებლად, იმპულსურად მაქვს გაკეთებული. მაგრამ როცა გრძნობა არ არის ის, რაც ამ სიგიჟეს გამაკეთებინებს, არ აქვს მნიშვნელობა, ბებია ვარ თუ დიდი ბებია, რისკზე არ წავალ.

- ქეთიმ გაიგო თქვენი ერთკვირიანი თანაცხოვრების ამბავი? გაბრაზდა თუ მომვლელად ჩაგთვალა?

- მომვლელად ვერ ჩამთვლიდა, ეგ გამორიცხულია. იმ ერთი კვირის განმავლობაში მიშას ტელეფონი მე მქონდა. გადაღებები უნდა ჰქონოდა და მთხოვა, შენ უპასუხე ზარებსო. მაშინ შემთხვევით ვნახე მიშას გზავნილები, როგორ სთხოვდა ქეთის, მოდი, დამიბრუნდიო. ქეთის არ დაურეკავს. მისი რეაქციები ნამდვილად არ ვიცი.

- ერთკვირიანი იყო ყოველთვის მიშას ცუდად ყოფნა?

- სამთვიანიც ყოფილა. და იყო თვეები, როცა არ მიძინია. ეს იცოდა ყველამ. მთელი ღამე რომ მევლო ქალაქში, არსად მივატოვებდი.

- ანისთან მაინც თუ აქვს ურთიერთობა დღეს?

- ანის და მიშას ისეთი ურთიერთობა ჰქონდათ, მისგან მაინც არ უნდა წასულიყო ასე. ანის მამის წასვლა არ ახსოვს, მაშინ ათი თვის იყო. ანის მიშას წასვლა ახსოვს და თან ძალიან მწარედ.

- შვილის შეძენაც არ მიულოცია ანისთვის?

- სამშობიაროდან რომ მოვედი, აჟიტირებულმა, ინსტინქტურად გავხსენი ჩათი და ბავშვის ფოტოები გავუგზავნე მიშას. არ გამომხმაურებია. ძალიან მიკვირს, მგონია, არ უნახავს.

- ვარსკვლავების გარემოცვაში ხარ. შენი სიძე ოთო ბერიშვილი, „საქართველოს ვარსკვლავის“ მონაწილე იყო, თინეიჯერების კუმირია... შენი გული როგორ მოიგო?

- როგორც სასიძო არასდროს მომწონდა. ძალიან მიყვარს, კარგი ძმაკაცი ხარ-მეთქი, ვეუბნებოდი, მაგრამ სიძედ არ მინდიხარ-მეთქი. არ მუშაობდა, სმაც უყვარდა. ისე არ ვიყავი, როგორც დედაჩემი, დედაჩემი საერთოდ ქვებს ისროდა ოთოს ხსენებაზე, მაგრამ ახლა ძალიან უყვართ ერთმანეთი. მეც, რომ დავინახე აფრენდნენ ერთმანეთზე, ვეღარ წავედი წინააღმდეგი.

- გაამართლა?

- ხასიათის სიმძიმე ყველას აქვს. ვთვლი, რომ კარგი ქმარია. რასაც ვერც წარმოვიდგენდი, მამაც კარგია. ცოტა ხნის წინ პამპერსის ჩაცმა ისწავლა და მასზე ბედნიერი არავინაა, დროზე ადრე უცვლის ხოლმე.

- მაკა, დღეს არის შენ ცხოვრებაში მამაკაცი?

- უსიყვარულოდ ძალიან ცუდად ვარ, მეტაფორას არ ვამბობ, მართლა ასეა, თევზი ხმელეთზე ხომ ვერ ისუნთქებს, ასე ვარ მეც სიყვარულის გარეშე. ოლონდ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოველ კვირა კაცებს ვიცვლი. ბუნებით ერთგული ვარ. მიყვარს თავის მიძღვნა ადამიანისთვის.

- სამი წელია მიშა წავიდა შენგან, როგორ სუნთქავ?

- ცუდად ვსუნთქავ. მიუხედავად იმისა, რომ არ მაკლია თაყვანისმცემლები. ცხოვრების თითქმის ნახევარი მაქვს გავლილი, ვგრძნობ, რომ ვუყვარდები ყველას. შეიძლება ვიღაც სხვა მიზნით „მაბამს“, მაგრამ ამასობაში თვითონ „ებმება“. ახლა უსიყვარულოდ ვარ და საშინლად განვიცდი ამას. ოლონდ, ძალიან მინდა აღარ შემეშალოს.

„წინა ზაფხულს დამირეკა, ეზოში ვიყავი, ცუდად ვარ და მარტო ვარო, მითხრა. მე ვიცი მისი ცუდად ყოფნა და თან მარტოობა, შემეშინდა, ვერ მოვითმინე, გამოვკითხე მისამართი, ჩემი შვილის მეგობარი წავიყოლე და წავედი“

„ძალიან სასაცილოა, კაცები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ჩემს საწოლში მოხვდნენ და მერე ქალის გამო მტოვებენ (იცინის). ოლონდ მერე, ყველა ჩემგან წასული კაცი მუხლებზე დამხობილი პატიებას მთხოვს“

„ძალიან ბევრს ვაკეთებდი მისთვის, ამას ვერც მიშა უარყოფს. როგორ შეიძლება გრძნობა დარჩენილი არ გქონდეს იმ ადამიანის მიმართ, რომელსაც ზედ გადაყევი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ალექსანდრე ინწკირველმა ცო

მაგდა კლდიაშვილი

საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი და ბოლნისის „სიონის“ მოთამაშე, ალექსანდრე (ლექსო) ინწკირველი და თეა კოპალეიშვილი უკვე 12 წელია ცოლ-ქმარი არიან. ერთმანეთი 2001 წელს გაიცნეს და მას შემდეგ ერთად მოდიან. თეა პროფესიით ბალერინაა, მათი ოჯახი კი ხელოვნებისა და სპორტის სინთეზია. წყვილს სამი ვაჟი ჰყავს, ორი კი უკვე მამის კვალზე დგას. რამდენად ადვილია სამი ბიჭის დედობა და როგორ ჩაუშალა თაფლობის თვე ლექსო ინწკირველმა ცოლს – „ფეხბურთელების ცოლები“-ს შემდეგი სტუმარი თეა კოპალეიშვილია.

„როგორც ქართველი მამაკაცების უმეტესობა, არც ლექსო ყოფილა საბალეტო ხელოვნების დიდი მოტრფიალე, მაგრამ იცის, რომ ბალეტი ჩემი პროფესიაა, რასაც სიამოვნებით ვემსახურები“

თეა კოპალეიშვილი: ერთმანეთი 2001 წელს გავიცანით. ზღვაზე ვისვენებდი მეგობრებთან ერთად. ლექსომ და მისმა გუნდელებმა ჩემს ბიძაშვილს ჩამოაკითხეს. ერთ-ერთს უყვარდა ჩემი ბიძაშვილი. რომ გითხრათ, რომ მე ვეცადე ლექსოს მოხიბვლას, მოგატყუებთ. მგონი, პირიქით იყო (იცინის). ლექსოს ჰკითხეთ, უკეთესად მოგიყვებათ. დიდხანს კი ვანწვალე, მერე მივხვდი, რომ დღითი დღე მიყვარდებოდა.

– როდის იქორწინეთ?

– უკვე 12 წელი გვისრულდება ზაფხულში, რაც ცოლ-ქმარი ვართ. უფროსი ლუკა 11 წლისაა, შუათანა დაჩი – 8 წლის, ხოლო გეგა მალე 4-ის გახდება.

– როგორი იყო თქვენი ქორწილი?

– ქორწილი 2003 წელს გვქონდა. ყველაზე ახლობელი და საყვარელი ხალხის გარემოცვაში, დაუვიწყარი წვეულება იყო ყველასთვის, მაგრამ არ გვქონია თაფლობის თვე. უკვე გამზადებული ვიყავი, რომ მეორე დღეს მივფრინავდით, მაგრამ ლექსო ნაკრებში გამოუძახიათ ქორწილამდე ერთი კვირით ადრე და მიმალავდა, ქორწილის დღეს მითხრა, სიურპრიზად ინახავდა, ამის გამო, თაფლობის თვე ჩამიშალა, ვერ ვპატიობ დღემდე (იცინის).

– ლექსომდე ფეხბურთთან რა შეხება გქონდა?

– ლექსომდე ფეხბურთთთან შეხება არ მქონია. უფრო სწორად, არ მაინტერესებდა, თორემ ჩემი ბიძა ყოფილი ფეხბურთელია და ოჯახში ყველას უყვარს ეს სპორტი. რაც ლექსო გავიცანი, სულ ვცდილობდი მის თამაშებზე მევლო. ვიცოდი, ახარებდა ჩემი დასწრება. მაშინ ლექსო „ვიტ ჯორჯიაში“ თამაშობდა. ის მოხდა, რომ გუნდიდან ოთხმა მეგობარმა საბოლოოდ, ოთხი მეგობარი შეგვირთეს ცოლად (იცინის). 2004 წელს, „ვიტ ჯორჯია“ ჩემპიონიც გახდა, ერთ-ერთი უძლეველი გუნდი იყო, უზომოდ მეგობრული და შეკრული. შეყვარებულობის პერიოდმა „ვიტ ჯორჯიას“ მთლიან შემადგენლობასთან ერთად, არაჩვეულებრივი მოგონებებით ჩაიარა. დღეს უმრავლესობას ნათელ-მირონი გვაკავშირებს, გოგოებიც ახლო მეგობრები ვართ და მიხარია, რომ ჩვენი შვილებიც ერთად იზრდებიან. როცა ბავშვები ვარჯიშზე დადიან, დღესაც იგივე გვარებით მიმართავენ ერთმანეთს, „ინწკი“, „ადამა“, „ბათი“, „დიღმელა“, „მელქა“.

„ლექსოს ფეხბურთი არ მეყოფოდა, ახლა ბავშვებიც დამემატა“

– შენი მეუღლის ყველაზე დიდი გულშემატკივარი ვინ არის?

– ყველაზე დიდი გულშემატკივრები, ალბათ, დაჩი და ლუკა არიან. გეგას ამდენი ჯერ არ ესმის. მეც ძალიან ვნერვიულობ, განსაკუთრებით მაშინ, თუ თამაშზე არ ვიმყოფები. ლექსოს ფეხბურთი არ მეყოფოდა, ახლა ბავშვებიც დამემატა (იცინის).

– ბავშვებმა დიდი ხნის წინ გადაწყვიტეს მამის კვალს გაჰყოლოდნენ?

– მგონი, მას შემდეგ, რაც გონში ჩავარდნენ. სამივე ბურთს დასდევს. დაჩი და ლუკა „დინამოს“ საფეხბურთო სკოლაში დადიან. ვარჯიშის შემდეგ დიდი კონსილიუმი აქვთ მამასა და შვილებს (იცინის), ლექსოც, რა თქმა უნდა, პროფესიულ რჩევებს აძლევს მათ.

– თავად შენ გაგიკრიტიკებია ლექსო თამაშის გამო?

– გაკრიტიკებით არასდროს ვაკრიტიკებ მის თამაშს. არ მინდა, გული ვატკინო. ჩემზე უკეთესადაც იცის თავის შეცდომები.

– შენი პროფესიიდან გამომდინარე, ალბათ, სახლში ხშირად არ გიწევს ყოფნა, მოსწონს შენს ქმარს შენი პროფესია?

– როგორ გითხრათ, ალბათ, როგორც ქართველი მამაკაცების უმეტესობა, არც ლექსო ყოფილა საბალეტო ხელოვნების დიდი მოტრფიალე, მაგრამ იცის, რომ ბალეტი ჩემი პროფესიაა, რასაც სიამოვნებით ვემსახურები. უთანხმოება არ გვქონია ამის გამო. ორივე ვცდილობთ ერთმანეთს მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი. მე თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის ბალეტის მსახიობი ვარ და თეატრში 1998 წლიდან დღემდე ვმუშაობ. ლექსო ჩემს სპექტაკლებს ხშირად ესწრება. უყვარს განმარტოებით ჯდომა. მანაც ისიც, რომ ძალიან მახარებს და სტიმულს მაძლევს მისი დარბაზში ყოფნა. უფრო მეტად ვინდომებ, რომ კარგად ვიცეკვო. ბავშვები თითქმის არასდროს ტოვებენ მშობლების სპექტაკლსა და მატჩს.

– ლექსოს ლეგიონერობის პერიოდში არ გაგიჭირდა?

– მისი აზერბაიჯანში ყოფნის პერიოდში, შეძლებისდაგვარად ჩავდიოდი ბაქოში. თუ მე ვერ ვახერხებდი, თვითონ, ყოველი თამაშის მერე, კვირაში ერთხელ მოდიოდა თბილისში, ერთი-ორი დღითაც კი. ძალიან წვალობდა, რამდენჯერ უვლია შუაღამეს საჭესთან მარტო, მაგრამ სხვაგვარად არ შეგვეძლო. ორი დღის შემდეგ განშორება, ეს საშინელი ტანჯვა იყო, მაგრამ ამან უფრო განამტკიცა და გამოსცადა ჩვენი სიყვარული. უზომოდ გვენატრებოდა ერთმანეთი და 6 დღე საუკუნედ მეჩვენებოდა, უკვე ორი შვილის მშობლები ვიყავით, მაგრამ თავს ახალ შეყვარებულ წყვილად ვგრძნობდით, სულ ზარისა და მესიჯის მოლოდინში.

– ადვილია სამი ბიჭის დედობა?

– სამი ბიჭის დედობა ნამდვილად არაა ადვილი. სამივეს განსხვავებული და თავისებური ხასიათი აქვს. ძალიან ცელქები არიან. წარმოიდგინეთ, სახლში რა ხდება, როდესაც ლექსო და ბავშვები საერთო ოთხში ფეხბურთს ერთად თამაშობენ. ბავშვებს რა უნდა მოვთხოვო, როდესაც მამა ყველაზე მეტად ერთობა (იცინის). თუ ჩვენთან სტუმარი მოდის, ვურჩევთ, ჩაფხუტით მოვიდეს, ერთი თავში ბურთს უმიზნებს, მეორე დაფრინავს, მესამე დახოხავს და ა.შ. მაგრამ, ვცდილობ, ყველაფერს გმირულად შევხვდე და ღირსეული დედობა გავუწიო შვილებს.

– როგორი მამაა ლექსო და რა დოზითა ჩართული ბიჭების აღზრდის პროცესში?

– ლექსო, ჩემგან განსხვავებით, რბილია. დიდი სიმკაცრით არ გამოირჩევა. ცდილობს, ხმას არ აუწიოს და დიპლომატიური გზით გადაუწყვიტოს შვილებს პრობლემა. პატარებიც პატივს სცემენ. უფრო სწორად, ვიტყოდი, რომ ძალიან მეგობრული ურთიერთობა გვაქვს ბავშვებთან.

– შენი საყვარელი ფეხბურთელი ვინაა?

– ჩემი საყვარელი ფეხბურთელი, რა თქმა უნდა, ლექსო ინწკირველის შემდეგ, პაოლო მალდინია (იცინის).

– გოგონას გაჩენას არ აპირებ?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლს თაფლობის თვე ჩაუშალა



„ეს ყველაზე დიდი კომპლიმენტია, რადგან ამ საკითხში ბაცები ძალიან მკაცრები არიან“

„უკვე გამზადებული ვიყავი, რომ მეორე დღეს მივფრინავდით, მაგრამ ლექსო ნაკრებში გამოუძახიათ ქორწილამდე ერთი კვირით ადრე და მიმალავდა, ქორწილის დღეს მითხრა, სიურპრიზად ინახავდა, ამის გამო, თაფლობის თვე ჩამიშალა“

„წარმოიდგინეთ, სახლში რა ხდება, როდესაც ლექსო და ბავშვები საერთო ოთხში ფეხბურთს ერთად თამაშობენ. ბავშვებს რა უნდა მოვთხოვო, როდესაც მამა ყველაზე მეტად ერთობა“

„გუნდიდან ოთხმა მეგობარმა საბოლოოდ, ოთხი მეგობარი შეგვირთეს ცოლად“

– გოგონა ძალიან მინდოდა, ჰოდა, მამშვიდებენ, შვილიშვილები გეყოლება გოგოებიო და მეც ველოდები (იცინის).

– ვინ გეხმარება საოჯახო საქმეებში, ან გრჩება ამისთვის დრო?

– საოჯახო საქმეებში ძალიან მეხმარებიან ლექსოს დედა და დედაჩემი. ორივე ყველანაირად გვიწყობს ხელს.

– როგორი ცოლი ხარ?

– როგორი ცოლი ვარ? – ამაზე, ალბათ, ლექსო უკეთ გიპასუხებთ.

– გიეჭვიანია ქმარზე?

– არა, არასდროს.

– მოძრაობის წესებს ხშირად არღვევ?

– მანქანას უკვე 12 წელია ვატარებ. ლექსო ამბობს, კარგად ატარებო. ეს ყველაზე დიდი კომპლიმენტია, რადგან ამ საკითხში კაცები ძალიან მკაცრები არიან.

– ხშირად გიწევს მზარეულობა?

– ხშირად არ მიწევს, მაგრამ ლექსოს რომ ჰკითხო, კარგი ხელი მაქვს. საფირმო კერძად ნუ ჩამითვლით, მაგრამ სპაგეტი გამომდის კარგად.

– ლექსოს გაუკეთებია ოდესმე შენთვის კერძი?

– კი, ომლეტი (იცინის).

– გიჩხუბიათ?

– არა, ღმერთმა დაგვიფაროს.

– თქვენ ორ შორის, რომელი უთმობს მეორეს?

– როგორც ჯენტლმენი, ალბათ, ლექსო.

– ოჯახური ტრადიცია გაქვთ რაიმე?

– ასე კონკრეტულად არ მახსენდება. ჩვენი ოჯახური ტრადიცია, ალბათ, ისაა, რომ მუდამ ერთად ვართ ხუთივე. ერთად ვუმკლავდებით ყოველგვარ პრობლემას. საღამოობით განვიხილავთ, ვინ როგორ გაატარა დღე, რა შეცდომები დაუშვა და როგორ გამოვასწოროთ, რომ დღითი დღე გავაძლიეროთ და განვამტკიცოთ ჩვენი ოჯახი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N7 (308) ორშაბათი, 23 თებერვალი, 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge

europe-bet.com

სოფო ნარჩემაშვილი პირველად თავის პირად ცხოვრებაზე

„მე და თენგომ 20 წელი ვიცხოვრეთ ერთად. საკმაოდ ახალგაზრდა დაიღუპა, გულით. დეპრესიის დრო არ მქონდა. ორი შვილი დამრჩა და უნდა გამეზარდა“

exclusive

„ითამაშე ვარსკვლავთან ერთად“ გრძელდება

რა დახმარება სთხოვა ყოფილ ცოლს მიშა გომიაშვილმა

მაკა თვალჭრელიძე:
„ცუდად ვარ, მარტო ვარო, მითხრა“

exclusive

ეთერ კაკულიას ცხოვრებისეული გამოცდილება

„ცოლშვილიან კაცს არ უნდა გაჰყვე. ისე განვიცდიდი ამას. ვდარდობდი მის ცოლზე, შვილებზე. არ არის სწორი, ასე მოქცევა არ შეიძლება. თან ამ დროს იმდენი თაყვანისმცემელი მყავდა... მაგრამ ამან შემაყვარა თავი“

exclusive

ალექსანდრე ინწკირველმა ცოლს თაფლობის თვე ჩაუშალა

exclusive

ISSN 1987-7404

9 771987 740005

შპს „ასავალ-დასავალის სტამბა“

ნინო მაჩაიძე:
„ალესანდროს დაბადების შემდეგ უკეთესი გახდა ყველაფერი. მან ჩემი და ჩემი მეუღლის ცხოვრებას ბედნიერება შემატა“

ოპერის ქართველი დივეზის პირადი და კარიერა

exclusive

გიორგი მახარაშვილის ერთწლიანი სიყვარულის ისტორია ნიშნოზით დასრულდა

„ექიმების“ ბავშვთა ქირურგი სამსახურსა და ოჯახში

exclusive

მარინა ნაცვლიშვილის ვერცხლის ბეჭდების სერია „სხვადასხვა ლურჯი“

exclusive

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება